

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: „თანამედროვე ქართული ლიტერატურა
და ლიტერატურის თეორია“

ციცინო ანთაძე

აღზრდის კონცეპტები / მოზარდის სახე

ქართულ ლიტერატურაში

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი - **მარინა ტურავა**
ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2024

შინაარსი

სარჩევი	2
შესავალი.....	3
თავი I.....	14
საგანმანათლებლო დისკურსის ისტორიიდან	14
1.1. მსოფლიო საგანმანათლებლო მოდელები	14
1.2. სწავლა-აღზრდის კონცეპტები საქართველოში.....	32
თავი II.....	50
აღზრდის კონცეპტები XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში.....	50
2.1. პიროვნებად ჩამოყალიბების რეცეფცია-რეფლექსიები ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსში“	50
2.2. აღზრდის კონცეპტი (მოზარდის სახე) რევაზ ინანიშვილის პროზაში	62
2.3. მოზარდის სახე ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში „სასწაული“	81
2.4. სკოლის საბჭოთა მოდელი გოდერძი ჩოხელის „ლუკას სახარების“ მიხედვით.....	87
თავი III.....	99
მოზარდთა ფსიქოტიპ(ებ)ი პოსტმოდერნისტულ ტექსტში	99
3.1. კონცეპტები „პირველი სიყვარული“ და „ზრდა“ ნაირა გელაშვილის რომანში „მე ის ვარ“ ...	103
3.2. მოზარდის სახე ლაშა ბუღაძის პოსტმოდერნისტულ მინირომანში „ბოლო ზარი“	113
3.3. მოზარდი და ოჯახი (თამარ გეგეშიძის „საშლელეები“, ანა კორძია-სამადაშვილის „გიმნაზისტკა“).....	121
3.4. მოზარდი და „ომის ტრავმა“ (ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“, თამთა მელაშვილის „გათვლა“).....	135
3.4.1. ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“	139
3.4.2. თამთა მელაშვილის „გათვლა“	146
გამოყენებული ლიტერატურა:.....	169

შესავალი

აღზრდის კონცეპტები და მოზარდის სახე ნებისმიერ ეპოქასა და ნებისმიერ ქვეყანაში ლიტერატურისთვის აქტუალური თემაა და ამას მრავალი მიზეზი აქვს. მოზარდობა თვითგამორკვევისა და იდენტობის ჩამოყალიბების პერიოდია. ამ თემაზე ორიენტირებული ლიტერატურა ასახავს აღზრდის კონცეპტებს, საკუთარი თავის აღმოჩენის სირთულეებს, პიროვნული ფასეულობების ფორმირებასა და საზოგადოების მოლოდინებს, წარმოგვიჩენს საზოგადოებასა და ინდივიდებს შორის კონფლიქტებსა და მოგზაურობას საკუთარი თავისკენ.

ჩვენი კულტურა მდიდარია ხალხური სიტყვიერების ნიმუშებით, ზღაპრებითა და თქმულებებით, რომლებზეც თაობები აღიზარდნენ. დღეს მოზარდი საყვარელ ლიტერატურულ პერსონაჟებს შორის აუცილებლად დაასახელებს კარლსონს, პეპის, ემილიას, ალისას, ნილსს ან უცხოური ზღაპრის სხვა გმირს. მასწავლებლები, თავის მხრივ, ცდილობენ ქართულ ლიტერატურას გაუწიონ პოპულარიზაცია, მოსწავლეებს ჯერ ეროვნული ზეპირსიტყვიერება, მწერლობა შეაყვარონ და მერე გააცნონ უცხოელი მწერლები, რათა მოზარდმა შეძლოს მსგავსებისა თუ განსხვავების დანახვა ერთმანეთისგან თუნდაც ძალზე დაშორებულ ქვეყნებში მცხოვრები ავტორების ტექსტთა კონცეფციებს შორის.

ქართული ლიტერატურა, მსოფლიო ლიტერატურის მსგავსად, აღზრდის კონცეპტების, მოზარდის ფენომენის საკმაოდ მრავალფეროვან ინტერპრეტაციებს გვთავაზობს. აღზრდის კონცეპტები, განათლებასთან დაკავშირებული თეორიები იცვლებოდა ეპოქების მოთხოვნის, სახელმწიფოებრივი საჭიროებისა და გემოვნების შესაბამისადაც კი. ჰუმანისტურ ეპოქებში ჰარმონიული, სულიერად და ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანის აღზრდა იყო მნიშვნელოვანი. გვიანდელ საუკუნეებში ვითარება იცვლება: ხან განათლებული ინტელექტუალის, განსხვავებულად მოაზროვნის, ხანაც მეომრის, სამშობლოს მცველის აღზრდა ხდებოდა განსაკუთრებით ღირებული. თუ რუსთაველი და სულხან-საბა ორბელიანი ტახტის მემკვიდრის აღზრდის კონცეპტებს

გვთავაზობენ და უფლისწულების: ნესტან-დარეჯანისა და ჯუმბერის, მმართველობისთვის მომზადების საკუთარ, მაგრამ ეპოქის იდეალებთან დაკავშირებულ მოდელებს გვიხატავენ, დავით გურამიშვილის შემოქმედებაში, ზოგადად, ყრმის წვრთნა ხდება პრიორიტეტული. რეალიზმის ეპოქაში ეროვნული აზროვნება, ნაციონალური ცნობიერების ჩამოყალიბებაა წარმართველი კონცეპტი, საბჭოთა ოკუპაციის მერე ეს ამოცანა კიდევ უფრო რთულდება. ქართველი მწერლები საკითხს შეფარულად, ქვეტექსტურად წარმოაჩენენ, საბჭოთა აღზრდის კონცეპტიც უფრო კრიტიკულ კონტექსტში შემოდის ტექსტში. როგორი ვითარებაა ამ მხრივ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, როგორ აისახება აღზრდა და მოზარდი თანადროულ ტექსტებში?! საკმაოდ აქტუალური, საინტერესო კითხვაა და სწორედ ამას ეძღვნება ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი.

ქართულმა ლიტერატურამ სხვადასხვა ნაწარმოებში მოზარდი პერსონაჟი წარმოაჩინა, როგორც მეზრდოლი და მამიებელი, გვიჩვენა პერსონალური გამოცდილება, გამოწვევები და სულიერი ტრანსფორმაცია ცხოვრების გარდამავალ პერიოდში. ნაშრომში სწორედ ამ მაგალითებზე ვისაუბრებთ და განვიხილავთ მათ ლიტერატურულ ასპექტებს კონკრეტული ლიტერატურული ტექსტისა და პერსონაჟის გათვალისწინებით. წარმოდგენილი მაგალითები ხაზს (გა)უსვამს მოზარდი პერსონაჟების, აღზრდის კონცეპტების მრავალფეროვნებას ქართულ ლიტერატურაში.

„ხელოვნების ნიმუში საკუთარი, ზესუბიექტური ლოგიკის მატარებელია“ [ჭილაია, 2012:22]. მოზარდი პერსონაჟ(ებ)ის წარმოჩენა ლიტერატურაში მრავალ მიზანს ემსახურება და სხვადასხვა მნიშვნელობას ატარებს - ხელს უწყობს თხრობის დინამიკასა და შინაარსის მრავალფეროვნებას, რაც თემების ლავირებასა და სხვადასხვა სოციალური მოწყობის ანალიზში ვლინდება.

მოზარდი პერსონაჟები ხშირად წარმოაჩენენ გარდამავალ ფაზას ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის, განასახიერებენ ზრდის, საკუთარი თავის აღმოჩენისა და მომწიფების ფენომენს და ადამიანის მოგზაურობას ყრმობიდან ზრდასრულობამდე. მოზარდი ლიტერატურული გმირები ავლენენ ცვლილებისა და ტრანსფორმაციის პოტენციალს, უმკლავდებიან გამოწვევებსა და იღებენ გამოცდილებას, რითაც შემდეგ საკუთარ იდენტობასა და მსოფლმხედველობას აყალიბებენ. მოზარდებზე შექმნილ ლიტერატურას მრავალი საჭირბოროტო თემის გადმოცემა შეუძლია არა მხოლოდ

ადამიანის ფიზიკური და სულიერი ზრდის, არამედ - სოციალურ-კულტურული ნარატივების ანალიზის კონტექსტშიც.

მოზარდებს, ზოგადად, ახასიათებთ გულწრფელობა, მიამიტობა, გამოუცდელობა, არიან დაუცველები, რადგან ისინი მთელი არსით მზად არიან იკვლიონ და აღმოაჩინონ სამყარო, მაგრამ არ იციან იმ დაბრკოლებებისა და ბოროტების შესახებ, რომლებსაც ამ აღმოჩენების პროცესში აწყდებიან. ეს პერსონაჟები მკითხველს საშუალებას აძლევენ დაფიქრდნენ ყრმათა დაუცველობაზე, გააღვიძონ ნოსტალგიის გრძნობა საკუთარი მოზარდობის გამოცდილების მიმართ, რომელიც განმეორებადი ბუნებისაა. ხელოვნებისეული კანონზომიერებანი „შიგნიდან“ იხსნება [ჭილაია, 2012:24]. მოზარდები, თავიანთი ბრძოლით, მკითხველს, განსაკუთრებით, მოზარდს, ახალგაზრდას, მინიმუმ, ინფორმაციას აწვდიან საკუთარი თავის აღმოჩენის გზებზე. მოზარდის ფენომენი ლიტერატურაში შესაძლებელია სიმბოლურად ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციის - *მადიებლობის* კონტექსტშიც - გავიაზროთ.

სხვადასხვა გამოწვევის დასაძლევად განვლილი გზა გამძლეობის, მონდომებისა და დაბრკოლებების გადალახვის უნარი მაგალითია, რომელიც შთააგონებს მსგავსი სირთულეების წინაშე მდგარ მოზარდსა თუ ზრდასრულ მკითხველს. მოზარდი პერსონაჟები, მათი ხასიათის, ქმედებების შინაარსიდან, სპეციფიკურობიდან, ასევე უნივერსალურობიდან, მაგრამ მაინც ექსლკუზიურობიდან გამომდინარე, ქმნიან სივრცეს სპეციფიკური კონტექსტის, შესაბამისი სოციალური და კულტურული თემების წარმოსაჩენად. საზოგადოებაში არსებული კონფლიქტებისა და დაძაბულობის ასახვით, ეს გმირები ნათელს ჰფენენ საზოგადოებაში დაფარულ საკითხებს, ასტიმულირებენ კრიტიკულ აზროვნებას, შესაბამისად, მოზარდი პერსონაჟი წარმოადგენს ერთგვარ სარკეს, რომელსაც შეუძლია არა მხოლოდ ეპოქის არეკვლა, არამედ - მისი კრიტიკული ანალიზიც.

მოზარდებსა და მოზარდებისათვის შექმნილი ლიტერატურისათვის მთავარი მაინც საყოველთაო ადამიანური გამოცდილების რეპრეზენტაციაა, რომლითაც შესაძლებელია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თემის აკუმულირება ერთ სივრცესა და დროში. ადამიანი მოზარდობის მდგომარეობას ცხოვრებაში, ფაქტობრივად, მრავალჯერ განიცდის. „მიღებული აზრით, თხრობის აღნიშნული პოზიციები განსხვავებული მანერით რეალიზდება ტექსტებში“ [რატიანი, 2012:151].

ლიტერატურაში მოზარდი პერსონაჟები თავიანთი ინდივიდუალური ისტორიების მიღმა დიდ მნიშვნელობას ატარებენ. ისინი წამოჭრიან/განასახიერებენ უნივერსალურ თემებს, ადამიანის ზრდასა და ტრანსფორმაციას. ამ პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობები, პრობლემები, ფორმის თვალსაზრისით, ძირითადად, პირველ პირში, პერსონალურ გამოცდილებაში ვლინდება. „პირველი პირისაგან წარმოებული თხრობისას ტექსტი ეყრდნობა მთხრობლის გამოცდილებას, მესამე პირისგან წარმოებული თხრობის პირობებში კი მთხრობელი მხოლოდ გარეშე დამკვირვებლის ფუნქციით შემოიფარგლება“ [რატიანი, 2012:150].

ისტორიები და ამბები მოზარდებზე ხშირად ასახავს მათ ემოციურ და ფსიქოლოგიურ ზრდას, გამოწვევებს სამყაროსთან, გარემოცვასთან, საკუთარ თავთან მიმართებით. გარდატეხის ასაკის ჩვენება განსაკუთრებით პოპულარული მიმართულებაა მოზარდთა ლიტერატურაში, რადგან ის ნათლად ასახავს ბავშვობიდან სრულწლოვანებაში გადასვლის პერიოდს, ახალგაზრდა პროტაგონისტების მძაფრ და ემოციურ ისტორიებს, ამ ამბებისგან ნასწავლ და ვერნასწავლ გაკვეთილებს, პიროვნულ ზრდასა თუ დაღმასვლას.

მოზარდობა/თინეიჯერობა ადამიანის ცხოვრების 13-დან 19 წლამდე (*thirteen-nineteen*) პერიოდს მოიცავს. „მისი ხანგრძლივობა ჩვენს დროში სულ უფრო და უფრო იზრდება, ვინაიდან მოწიფულობამდე ბევრი ცოდნა და უნარ-ჩვევა დასაუფლებელი“ [ლაბარტყავა, 2012 (ელ. რესურსი)]. თინეიჯერები, ბავშვობიდან ზრდასრულ ასაკში გადასვლისას, მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ და ემოციურ განვითარებას განიცდიან. ეს პერიოდი რამდენიმე ფსიქოლოგიური ასპექტით გამოირჩევა, რომლებიც მათ ქცევას, ემოციებსა და აზროვნების მოდელებს აყალიბებს.

მოზარდები უამრავ გამოწვევასა და დაბრკოლებას აწყდებიან, განსაკუთრებით, გარდატეხის ასაკში. „გარდამავალ ასაკში მკვეთრ ცვლილებებს განიცდის მოზარდის განვითარების ყველა მხარე – როგორც ანატომიურ-ფიზიოლოგიური, ისე - გონებრივი და სოციალურ-პიროვნული“ [ლაბარტყავა, 2012 (ელ. რესურსი)]. ისინი განიცდიან თანატოლებისგან ზეწოლას, „აკადემიურ სტრესს“ და იტანჯებიან საზოგადოების, განსაკუთრებით, ოჯახის მოთხოვნისგან - გააკეთონ ყველაფერი იდეალურად. ემოციური წნეხის გამო, საკუთარ თავში იკეტებიან ან/და ჰიპერაქტიურები ხდებიან, უჭირთ თავის კონტროლი, ყველაფრის მიმართ პროტესტი უჩნდებათ. „გარდამავალ ასაკში აღზნებისა და

შეკავების პროცესები გაუწონასწორებელია – აღზნება მნიშვნელოვნად სჭარბობს შეკავებას. აღზნების პროცესი ხშირად ისეთი ძლიერი და ინტენსიურია, რომ მოზარდს ძალა არ ჰყოფნის მის შესაკავებლად. აზნება ერთბაშად აღმოცენდება, დიდი ენერგიით ვითარდება, მაგრამ მალევე ცხრება“ [ლაბარტყავა, 2012 (ელ. რესურსი)].

მოზარდობა იდენტობის შესწავლისა და ჩამოყალიბების პერიოდია. ამ დროს თინეიჯერებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ ღირებულებები, რწმენა და როლები საზოგადოებაში, ისინი ცდილობენ გაარკვიონ, ვინ არიან და რა ფასეულობებს იცავენ. ამ დროს მათი გონება გამალებით მუშაობს და ახალი ინფორმაციების მიღებასა და დამუშავებას სწრაფად და განსაკუთრებული გზებით ახერხებენ. ნაწარმოებები მოზარდებზე ხშირად წარმოაჩენენ დამოუკიდებლობის, პასუხისმგებლობის, ზნეობისა და მნიშვნელობის ძიების თემებსაც, რადგან მოზარდობის პერიოდს თავისთავად ახასიათებს ინტენსიური შეგრძნებები და ემოციური ზრდის დინამიკურობა. მოზარდებისთვის შექმნილი და მათზე დაწერილი ლიტერატურა ასახავს თინეიჯერობის წლების ემოციურ ტურბულენტობას/არამდგრადობას, სიხარულს, შფოთვის, ვნებასა და დაბნეულობას, რაც თან სდევს სხვადასხვა ურთიერთობას, მეგობრობას, სიყვარულს, ვლინდება ოჯახსა თუ სკოლაში, ზოგადად, სოციალურში. ეს კონკრეტული და ზოგადი ისტორიები ეხმიანება მკითხველის პერსონალურ გამოცდილებას, შესაბამისად, ასეთი ტიპის ლიტერატურა, ნებისთთუ უნებლიეთ, ემსახურება მკითხველის გაძლიერებას.

ხშირად მოზარდი პერსონაჟები ლიტერატურულ ნაწარმოებებში გამოწვევებს წარმატებით უძკლავდებიან და პიროვნებებად ყალიბდებიან, ან ვერ უძკლავდებიან, მაგრამ გამოცდილებას იღებენ; ასეთი ტიპის ლიტერატურა საბოლოოდ მაინც ემსახურება ერთ მიზანს - მკითხველისათვის ერთგვარი გზამკვლევის შეთავაზებას საკუთარი თავის აღმოჩენის რთულ და, ერთი შეხედვით, გადაულახავ გზაზე. „თავისუფალი შემოქმედებითი ხასიათის თხზულებანი, რომლებიც მეხუთე კლასიდანვე იწერება ჩვენს სკოლებში, დიდ როლს ასრულებს მოსწავლეთა ლიტერატურული წარმოსახვითი უნარის განვითარების საქმეში. ძირითადად, მას საფუძვლად ედება მოსწავლეთა მიერ საკუთრივ ნახული და განცდილი - მოგზაურობის, ექსკურსიის, რელიგიური დღესასწაულების ჩატარების, პირად ცხოვრებაში განცდილი ან რომელიმე საინტერესო ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებანი“ [თოფურია, 1991:351].

ლიტერატურა მოზარდებზე და მოზარდებისთვის ხშირად წარმოაჩენს იდენტობის საკითხებსაც - ამ ასაკში ხომ ხშირად აწყდებიან ინდივიდუალობის ძიების, კუთვნილების, როგორც მოვლენის, გააზრებისა და თვითგამოხატვის სირთულეებს. ამ ბარიერების გადალახვამ, ფაქტობრივად, მათი მომავალი ცხოვრება უნდა განსაზღვროს. მოზარდებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა უზრუნველყოფს ერთგვარი პლატფორმის შექმნას ამ საკითხების გადასაჭრელად და თინეიჯერული გამოცდილების მხატვრულ ტრანსფორმაციას.

„მხატვრული სახე ყოველთვის ატარებს თავის თავში განზოგადობას, ანუ გააჩნია ტიპურის მნიშვნელობა“ [ლომიძე, 2012:136]. სხვადასხვა წარმომავლობისა და პერსპექტივის პერსონაჟების გადმოცემით ლიტერატურას შეუძლია დაეხმაროს მოზარდებს საკუთარი იდენტობის გააზრებაში - ვინ არიან სინამდვილეში, როგორები არიან ან როგორები უნდათ, რომ იყვნენ, რას სთავაზობს მათ სამყარო, რას სთავაზობენ ისინი სამყაროს და უნდა შესთავაზონ თუ არა საერთოდ რაიმე, სად ხედავენ საკუთარ თავს აქ და ახლა და სად დაინახავენ მომავალში?! „ყოველი მწერალი თავისი გმირის ხასიათს, ამ ხასიათში ჩაქსოვილ იდეურ აზრს გვიჩვენებს თავისებური სტილური და მხატვრული ხერხებით“ [თოფურია, 1991:366]. მოზარდები სხვების შეცნობას, მათი აზრის წვდომას ცდილობენ. პიროვნული დამოუკიდებლობა, პირველ რიგში, იდენტობის ჩამოყალიბებასთან არის დაკავშირებული. იდენტობის ჩამოყალიბება, ანუ თვითგამორკვევა, ხანგრძლივი, რთული და ზოგჯერ არცთუ უმტკივნეულო პროცესია. „მოზარდის წინაშე რთული ამოცანა დგება: შეკრიბოს და გააერთიანოს ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ (როგორი შვილია, როგორი და ან ძმა, მოსწავლე, სპორტსმენი) და მოახდინოს ამ მრავალრიცხოვანი მეს ხატების ინტეგრაცია პიროვნულ იდენტურობაში“ [ლაბარტყავა, 2012 (ელ. რესურსი)]. ეს კითხვები, ამბები და მოვლენები ყველას გვეხება, რადგან გამოგვიცდია ან გამოვცდით მომავალში, შესაბამისად, ლიტერატურაში აღზრდის კონცეპტების, მოზარდის სახის წარმოჩენას, ამ რეფლექსიის ანალიზს დიდი როლი ენიჭება.

„ანტიკურობაში მიიჩნევდნენ, რომ წიგნი ზეპირი მეტყველების სუროგატია, მას მხოლოდ ამ თვალთ უყურებდნენ. გავიხსენოთ ფრაგმენტი პლატონიდან, სადაც იგი ამბობს, რომ წიგნები ქანდაკებებს ჰგვანან; ცოცხლები გვგონია, მაგრამ თუ რამეს ვკითხავთ - ვერ გვიპასუხებენ“ [ბორხესი, 2015:126]. თინეიჯერებზე გათვლილი ლიტერატურა ხშირად ასახავს თანამედროვე სოციალურ საკითხებსაც, ხელს უწყობს ახალგაზრდა

მკითხველის სოციალიზაციას, რაც მრავალი სირთულითაა სავსე. მხატვრული ტექსტები ხშირად ისეთ თემებსაც ეხება, როგორებიცაა: რასიზმი, ფსიქიკური ჯანმრთელობა, შეზღუდული შესაძლებლობები და თუნდაც, გარემოსდაცვითი პრობლემები. ამ საკითხების წამოწევით ლიტერატურას შეუძლია მოზარდებში თანაგრძნობისა და სოციალური პასუხისმგებლობის გაღვივება. სოციალური და კულტურული რეფლექსია ერთ-ერთი მთავარი ასპექტია ამგვარი ლიტერატურისა. „საბავშვო და ახალგაზრდობის სიტყვაკაზმული მწერლობის უმნიშვნელოვანესი როლი გაპირობებულია შესაბამისი შემეცნებითი და აღმზრდელობითი ფუნქციით. იგი მოზარდ თაობას აცნობს საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესებს. არკვევს ამ პროცესის მიზეზებსა და შედეგებს, აცნობს საზოგადოებრივი თვალსაზრისით, რომელი მოვლენაა დადებითი, კარგი, სასარგებლო და რომელია უარყოფითი, მავნე“ [ჩაჩიბაია, 1978:7].

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წინამდებარე საკვალიფიკაციო თემის აქტუალობას განაპირობებს თანამედროვე ქართული ლიტერატურის კვლევა აღზრდის კონცეპტებისა და მოზარდის სახის წარმოჩენის თვალსაზრისით; ქართული სალიტერატურო დისკურსის სისტემური გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. განსხვავებით საბჭოთა ეპოქის ქართველი მწერლებისაგან, რომლებსაც მეტ-ნაკლები ცენზურის პირობებში უწევდათ შემოქმედებითი საქმიანობა, დამოუკიდებელ საქართველოში მცხოვრები ავტორები პოზიციას, სათქმელს აბსოლუტური თავისუფლების პირობებში გამოხატავენ, რამაც, პოზიტიურთან ერთად, უარყოფითი შედეგებიც მოიტანა. მწელი გახდა მოძალებული, რაოდენობრივად ჭარბი ლიტერატურული პროდუქციიდან ნამდილად ღირებულის, გამორჩეულის გამოყოფა. მოიშალა თვითცენზურაც, ლიტერატურაც ისეთივე ქაოტური გახდა, როგორც ცხოვრებაა. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მოკრძალებულ მცდელობას ზემოაღნიშნული პრობლემების სისტემური გაანალიზებისა, როგორც თეორიულ ჭრილში, ასევე კონკრეტული ავტორებისა და ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე.

პრობლემის შესწავლის ისტორიის თვალსაზრისით საკმაოდ არასახარბიელო სიტუაცია გვაქვს; არსებობს ცალკეული მწერლების შემოქმედების ანალიზი და მათში ჩართული აღზრდის კონცეპტებისა და მოზარდის სახის გააზრება, მაგრამ ცალკეული კვლევები, რეფლექსიები, სადაც სისტემურად იქნებოდა გამოკვლეული აღნიშნული პრობლემა, არც სამეცნიერო, არც ლიტერატურათმცოდნეობითსა და კრიტიკულ დისკურში

არ არსებობს; ამიტომ ვეცადეთ ამ თემაზე არსებული ცალკეული წერილების, სტატიების მიმოხილვას, დეფინიციებსა და ინტერპრეტაციებზე მსჯელობას.

რაც შეეხება სადისერტაციო თემის **საგანს, მიზანსა და ამოცანებს**: საკვალიფიკაციო ნაშრომის **საგანს** წარმოადგენს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში არსებული აღზრდის მოდელებსა და მოზარდის სახის გამოკვეთასთან დაკავშირებული იმ ტენდენციების, კონცეპტების შესწავლა, რაც გასული საუკუნის პოლიტიკური ცვლილებების ფონზე გამოიკვეთა. შესაბამისად, კვლევის **მიზნად** გვესახება ქართული ლიტერატურის იმ ნიმუშების გაანალიზება, რომლებშიც წარმოჩენილია აღზრდის მოდელებიცა და მოზარდის სახეც. აუცილებელი გახდა არა მხოლოდ თანამედროვე პროცესის შესწავლა, არამედ - წარსულის გამოცდილების რეფლექსია, რათა აღნიშნული პრობლემა სიღრმისეულად გვეკვლია. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი **კონკრეტული ამოცანების** გადაჭრა:

- სწავლა-აღზრდის მოდელების გაანალიზება ქართულ საგანმანათლებლო/კულტურულ სივრცეში, უძველესი დროიდან დღემდე; მათი მიმართების გააზრება ქართულ ლიტერატურასთან;
- აღზრდის კონცეპტებისა და მოზარდის სახის გამოკვეთა საბჭოთა მწერლობის ნიმუშების ანალიზის საფუძველზე, რომლის ბაზაზეც (ან უარყოფაზე) აღმოცენდა მიმდინარე პერიოდის ქართული მწერლობა;
- მოზარდებსა და მოზარდებისათვის შექმნილი ლიტერატურის მეცნიერული რეფლექსია თანამედროვე ქართულ ტექსტებში;
- აღზრდის კონცეპტი და მოზარდის, თინეიჯერის მხატვრული სახის განვითარება თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში;
- მოზარდის სახე ომის თემაზე დაწერილ თანამედროვე ქართულ ტექსტებში;
- ⊕ კვლევის ყველა ეტაპზე უცხოური ლიტერატურის შესაბამისი ნიმუშების მოხმობა და კომპარატივისტულ ჭრილში გაანალიზება.

შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომის კვლევის **ობიექტად** მივიჩნით, ერთი მხრივ, სამეცნიერო მასალა, რომელშიც გადმოცემულია მსჯელობა აღზრდის მოდელებზე, კონცეპტებსა და მიდგომებზე, ქართული ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში არსებული წერილები/კვლევები/მონოგრაფიები, რომლებშიც, სხვადასხვა მწერლის შემოქმედების

ანალიზისას, ფრაგმენტულად არის საუბარი აღზრდის მოდელებსა და მოზარდის სახეზე, მეორე მხრივ, ქართული პროზის ნიმუშები, რომლებშიც არსობრივად გამოვლინდა საკვლევი ტენდენციები. ამდენად, კვლევის ობიექტებად შევარჩიეთ შემდეგი ნაწარმოებები: ნოდარ დუმბაძის „HELLADOS“, „ნუ გააღვიძებ“, „ხაზარულა“; რევაზ ინანიშვილის „დამრიგებელი“, „შორი თეთრი მწვერვალი“, „ჩიტების გამომზამთრებელი“; ჯემალ ქარჩხაძის „სასწაული“, გოდერძი ჩოხელის „ლუკას სახარება“; პოსტმოდერნიზმის ეპოქის ნაწარმოებები: ნაირა გელაშვილის „მე ის ვარ“, ლაშა ბუღაძის „ბოლო ზარი“; ანა კორძაია-სამადაშვილის „გიმნაზისტკა“; თამარ გეგეშიძის „საშლელეები“; ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“ და თამთა მელაშვილის „გათვლა“.

ტიპოლოგიურ/კომპარატივისტულ ჭრილში განვიხილეთ მსგავსი თემატიკის არაერთი უცხოური ტექსტი, რომელიც პირველად შემოვიდა სამეცნიერო მიმოქცევაში. ამერიკელი მწერლის ტიმ ო'ბრაიენის (დაიბადა 1946 წელს) ყველაზე ცნობილი წიგნი, 1990 წელს გამოცემული *The Things They Carried* („რასაც თან დაატრევდნენ“), რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ვიეტნამის ომზე დაწერილ წიგნებს შორის, ამ კრებულის ორი მოთხრობა ჟურნალ „არილში“ დაიბეჭდა 2017 წელს, მოგვიანებით „დიოგენემ“ გამოსცა; პულიტცერის პრემიის ლაურეატის, ასევე ამერიკელი მწერლის, ენტონი დოერის (დაიბადა 1973 წელს) რომანი „ნათელი, რომელსაც ვერ ვხედავთ“, ავღანური წარმოშობის, ასევე ამერიკელი მწერლის, ქართველი მკითხველისათვის ცნობილი ხალიდ ჰოსეინის „ფრანით მორბენალი“ და არაერთი სხვა უცხოური ტექსტი ქართული ნაწარმოებების ღრმად გასააზრებლად დაგვჭირდა.

საკვალიფიკაციო ნაშრომში გამოვიყენეთ მოზარდებსა და მოზარდებისათვის დაწერილი ლიტერატურა და არა ის ტექსტები, სადაც მოზარდობის ასაკია აქცენტირებული, ამიტომაც ჩვენი კვლევის არეალში ვერ მოექცა მაგალითად, ოთარ ჭილაძის ცნობილი რომანის, „მარტის მამლის“ ასევე ცნობილი მოზარდი პერსონაჟის, ნიკოს თვითრეფლექსია და პიროვნული ფორმირების პროცესი, ილიას მკვლელობის გააზრებასა და ადრეულ ბავშვობაში მიღებულ მძიმე გამოცდილებას რომ ემყარება. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით კვლევა კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

კვლევის თეორიულ საფუძვლებად და წყაროებად ვიყენებთ აღზრდის უძველესი სისტემების, საქართველოში სწავლა-აღზრდის საკითხების თეორიების შემქმნელებს -

ფაზისის რიტორიკის აკადემიიდან მოყოლებული დღემდე, ამ მხრივ უძველესია ბერძენი ფილოსოფოსის თემისტოსის (317-388) ცნობა იმის შესახებ, რომ მასაც და თემისტოსის მამას, ევგენიოსსაც, განათლება კოლხეთში მიუღიათ. იმ დროს განსწავლა ათენშიც შეიძლებოდა, მაგრამ სპეციალური რიტორიკული სკოლა მხოლოდ კოლხეთში არსებობდა. ამ სასწავლებელში განუყოფელი იყო ფილოსოფია და მჭევრმეტყველება.

ვიყენებთ ქართულ სალიტერატურო სივრცეში არსებულ სამეცნიერო წყაროებსა და ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაშრომებს: წიგნებს, სტატიებს, პერიოდულ პრესას, ინტერნეტრესურსებს. საკვალიფიკაციო ნაშრომში გამოვიყენეთ გურამ ბენაშვილის, გურამ გვერდწითელის, ჯანსუღ ღვინჯილიას, თამაზ ვასაძის, თამაზ კვაჭანტირაძის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის, მარიამ მირესაშვილის, ნანა გაფრინდაშვილის, ნინო წერეთლის, ირმა რატიანის, ლალი იარაჯულის, ინგა მილორავას, მაია ჯალიაშვილის, გაგა ლომიძის, კონსტანტინე ბრეგაძის, მალხაზ ხარბედიას, დავით პაიჭაძის, მარინა ტურავასა და სხვათა სამეცნიერო/კრიტიკული რეფლექსიები; ნინო ლაბარტყავას, ნატა გიორგობიანის, ნელი ქუთათელაძის, არჩილ ჩაჩიბაიას, ლუიზა ირემაშვილისა და სხვათა კვლევები, საბჭოთა და თანამედროვე ეპოქაში შექმნილი, ქართველ მწერალთა ზემოთ დასახლებულ ტექსტები და მათ შესახებ ქართულ ლიტერატურაში არსებული ცალკეული კვლევები და დისკურსები.

საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, დისერტაციაში **კვლევის სხვადასხვა მეთოდს** მივმართეთ:

- საკვლევი ტექსტების დაჯგუფებისათვის გამოვიყენეთ შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდი;
- მხატვრული ტექსტების ანალიზისას, ტრადიციულად, ვეყრდნობით ჰერმენევტიკულ მეთოდს, რადგან საკვლევ ნაწარმოებებში ვხვდებით სახე-სიმბოლეს, „შეფარვით თქმას“, იგავურ აზროვნებას;
- კომპარატივისტული მეთოდი დაგვჭირდა ქართული და უცხოური ტექსტების შედარებისთვის;
- ლოგიკური მსჯელობის, არგუმენტაციის, ანალიზისა და ნარატოლოგიური განხილვის მეთოდები გამოვიყენეთ მხატვრული ნაწარმოებების მეცნიერული კვლევისთვის.

სადისერტაციო ნაშრომის სიახლედ გვესახება პირველად ქართულ სამეცნიერო სივრცეში აღზრდის კონცეპტებისა და მოზარდის სახის სისტემური ანალიზი, ქართული ლიტერატურის ნიმუშების კრიტიკული რეფლექსიის საფუძველზე. ადრე არც სადისერტაციო ნაშრომში, არც მონოგრაფიულად ამგვარი კვლევა არ განხორციელებულა, რამაც, ერთი მხრივ, გაართულა ჩვენი ამოცანა, მაგრამ, მეორე მხრივ, საკმაოდ ფართო პერსპექტივა გადაგვიშალა. აღზრდის მოდელები და მოზარდის სახის რეპრეზენტაცია ფრაგმენტულად წარმოვაჩინეთ მრავალსაუკუნოვანი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის მაგალითზე, დეტალურად გავანალიზეთ თანამედროვე ქართული ტექსტები. დავრწმუნდით, რომ ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება აუცილებელია და ერთ ან რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომში საკითხის ამოწურვა შეუძლებელია.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებად მიგვაჩნია საკითხით დაინტერესებულ პირთათვის, შემდგომი კვლევებისას, მისი ფაქტობრივ მასალად გამოყენების შესაძლებლობა. კვლევის შედეგების გათვალისწინება შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებს, მომავალ მკვლევართ, რომლებიც საკითხით დაინტერესდებიან, მასწავლებლებს, რომლებიც სკოლებში ჩვენ მიერ გაანალიზებულ (ან მსგავს) ნაწარმოებებს ასწავლიან. საკვალიფიკაციო ნაშრომი დაინტერესებს როგორც სამეცნიერო, ასევე საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებს.

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა შეადგენს 193 გვერდს, შედგება შესავლის, ძირითადი ნაწილის (სამი თავის), დასკვნისაგან. ნაშრომს ერთვის გამოყენებული და დამოწმებული ლიტერატურის სია, სულ 138 ერთეული.

ძირითადი ნაწილი სამი თავისგან შედგება:

თავი I - საგანმანათლებლო დისკურსის ისტორიიდან

1.1. მსოფლიო საგანმანათლებლო მოდელები

1.2. სწავლა-აღზრდის კონცეპტები საქართველოში

თავი II - აღზრდის კონცეპტები XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში

2.1. პიროვნებად ჩამოყალიბების რეცეფცია-რეფლექსიები ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსში“

2.2. აღზრდის კონცეპტი (მოზარდის სახე) რევაზ ინანიშვილის პროზაში

2.3. მოზარდის სახე ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში „სასწაული“

2.4. სკოლის საბჭოთა მოდელი გოდერძი ჩოხელის „ლუკას სახარების“ მიხედვით

თავი III - მოზარდთა ფსიქოტიპ(ებ)ი პოსტმოდერნისტულ ტექსტში

3.1. კონცეპტები „პირველი სიყვარული“ და „ზრდა“ ნაირა გელაშვილის რომანში „მე ის ვარ“

3.2. მოზარდის სახე ლაშა ბუღაძის პოსტმოდერნისტულ მინირომანში „ბოლო ზარი“

3.3. მოზარდი და ოჯახი (თამარ გეგეშიძის „საშლელები“, ანა კორძაია-სამადაშვილის „გიმნაზისტკა“)

3.4. მოზარდი და „ომის ტრავმა“ (ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“, თამთა მელაშვილის „გათვლა“)

3.4.1. ნუგზარ შატაიძე, „მოგზაურობა აფრიკაში“

3.4.2. თამთა მელაშვილი, „გათვლა“

თავი I.

საგანმანათლებლო დისკურსის ისტორიიდან

1.1. მსოფლიო საგანმანათლებლო მოდელები

აღზრდა, როგორც ადამიანის პიროვნული განვითარება, სოციალური მოვლენაა და ის კაცობრიობის განვითარების თანამდევია. აღზრდის მოდელები, სისტემები იცვლებოდა კაცობრიობის პროგრესთან, სახელმწიფოს მიზნების ცვლასთან ერთად. ადამიანი, როგორც ბიოსოციალური არსება, როგორც ბუნების შვილი, თანდაყოლილად ფლობს გარკვეულ სენსომოტორულ თვისებებს, მაგრამ აღზრდის (როგორც ადამიანთა შორის ჩამოყალიბებული ქცევის) ნორმების ერთობლიობის წარმოშობა ისტორიული განვითარების პროცესია, რომელიც ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ ეპოქაში იღებს სათავეს. აღზრდა გულისხმობს ისეთი თვისებების ჩამოყალიბების ერთიან პროცესს, როგორებიცაა მსოფლმხედველობა, ზნეობა, მორალი, შრომისმოყვარეობა, სამშობლოსა და ერის სიყვარული, წარსულის პატივისცემა, სინდისი, პატიოსნება და ა.შ. აქედან გამომდინარე, აღზრდა, როგორც სოციალური მოვლენა, ადამიანთა პიროვნული განვითარების საჭიროების შედეგად გაჩნდა და მის ცხოვრებისუნარიანობას

განაპირობებდა, თუმცა ცოდნის დაგროვებამ და გაღრმავებამ საზოგადოებაში ცოდნის კულტუროლოგიური ფუნქციების შექმნაც განაპირობა, რამაც რადიკალურად შეცვალა წარმოდგენა ადამიანზე, ზოგადად გარემომცველ სამყაროსა და საზოგადოებაზე [ბასილაძე, 2013:14].

სამეცნიერო და პედაგოგიურ ლიტერატურაში საყოველთაოდ მიღებული ჭეშმარიტებაა, რომ აღზრდა-განათლების შინაარსი ისტორიულ ხასიათს ატარებს. ის იცვლებოდა ცხოვრებისეული მოთხოვნების, წარმოებისა და მეცნიერული ცოდნის განვითარებასთან ერთად. შესაბამისად, საზოგადოებისა და ქვეყნის მომავალი განათლებული, კარგად განვითარებული უნარ-ჩვევების, ეპოქის მოთხოვნების თანმხვედრი ღირებულებების მქონე თაობის აღზრდაშია. ღირებულებები და ფასეულობები კი, დროთა განმავლობაში იცვლება; ამის კვალობაზე იცვლება აღზრდის მოთხოვნებიცა და სისტემებიც.

სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოსა და ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა სახის საზოგადოება ყალიბდება, სოციუმი ცვალებადია დროსა და სივრცეში. ასევეა აღზრდის სისტემაც. ის განსხვავებულია სხვადასხვა სახის საზოგადოებაში და ცვალებადია დროში. აღზრდის განსხვავებული სისტემები იყო ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ ეპოქაში, შუა საუკუნეებსა და ე.წ. ახალ პერიოდში, კაპიტალიზმის განვითარების ხანაში. სხვანაირია აღზრდის სისტემები დღეს, თანამედროვე ტექნოლოგიების, სულიერების დეფიციტის ხანაში, ციფრულ სამყაროში. განსხვავებულია ის სხვადასხვა სოციალურ ფენაში და დამოკიდებულია ადამიანთა ინტერესებსა და მოთხოვნებზე. ნიშანდობლივია, რომ ერთსა და იმავე ისტორიულ პერიოდში ერთი და იმავე ქვეყნის - საბერძნეთის ორ ქალაქში, უფრო სწორად, ქალაქ-სახელმწიფოში, ათენსა და სპარტაში, აღზრდის განსხვავებული სისტემა მოქმედებდა - ერთი ადამიანის ინტელექტუალურ აღზრდაზე იყო ორიენტირებული (ათენი), მეორეში ფიზიკურ აღზრდას ენიჭებოდა უპირატესობა (სპარტა).

ერთ-ერთი უძველესი და საქართველოში საკმაოდ პოპულარული მეთოდია ძველ სპარტაში არსებული სისტემა, რომელიც მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია, როგორც **სპარტანული აღზრდა**. მისი უმთავრესი მიზანი მეომრის, მებრძოლის აღზრდა იყო. მეომარი ამტანი უნდა ყოფილიყო ფიზიკურადაც და სულიერადაც. მომავალი მებრძოლის აღზრდა სახელმწიფოს საქმედ ითვლებოდა. აღზრდის პროცესი სამი ეტაპისაგან შედგებოდა: პირველ ეტაპზე 7-15 წლის ვაჟებს ასწავლიდნენ წერასა და კითხვას,

წვრთნიდნენ ფიზიკურად და აკაჟებდნენ: ატარებდნენ ფეხშიშველებს, აძინებდნენ თხელ ნამჯაზე, სასტიკ ფიზიკურ გამოცდებს უწყობდნენ. 12 წლიდან აღზრდა კიდევ უფრო მკაცრდებოდა; მოზარდებს არა მხოლოდ ასკეტურ უნარებს უვითარებდნენ, არამედ მდუმარებას, ნაკლებ საუბარს აჩვენებდნენ (სპარტის მეორე სახელწოდება იყო „ლაკონია“, აქედან - ლაკონიური ანუ მოკლე(დ) საუბარი - ც.ა.). 14 წლის ასაკში, უამრავი ფიზიკური გამოცდის შემდეგ, ბიჭებს ეინერებად აქცევდნენ - ეს იყო თემი, რომელსაც გარკვეული საზოგადოებრივი უფლებები ჰქონდა. მეორე ეტაპზე (15-20 წელი) ახალგაზრდა მამაკაცებს, წერა-კითხვასთან ერთად, უნდა ესწავლათ სიმღერა და მუსიკა, ვაჟკაცურად უნდა აეტანათ შიმშილი და ფიზიკური ტკივილი, დამოუკიდებლად მოეპოვებინათ საკვები, მონაწილეობა მიეღოთ მონებისა და დამნაშავე ამხანაგების დასჯაში, ამ პროცესში უნდა შეეთვისებინათ თვითკონტროლისა და თვითდისციპლინის უნარ(ებ)ი. 20 წლის ასაკში ეინერები მეომრები ხდებოდნენ და სრულ აღჭურვილობას იღებდნენ. მესამე ეტაპზე, 20-30 წლის ასაკში, სპარტელი მამაკაცები მებრძოლთა თემის სრულფასოვან წევრებად იქცეოდნენ და იმდროისათვის არსებულ ყველა იარაღს ოსტატურად ფლობდნენ.

ძველი წელთაღრიცხვის VI-IV საუკუნეებში სპარტაში არსებული მეთოდი, ძირითადად, ფიზიკურ ამტანობასა და წვრთნას ემყარებოდა. სწორედ ეს პრინციპი გაიზიარეს მომდევნო საუკუნეებში ამ სისტემიდან, განსაკუთრებით დახურული სამხედრო სასწავლებლები ემყარებოდნენ ფიზიკურად და სულიერად ძლიერი მეომრის აღზრდის უძველეს სპარტულ გამოცდილებას [ზაგალოვა, 2012 (ელ.რესურსი)].

აღზრდის ათენური მოდელი ემსახურებოდა ყოველმხრივ ჰარმონიული, გონებრივად და ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანის აღზრდას და იგი ძველი საბერძნეთის საუკეთესო აღმზრდელობით გამოცდილებად არის აღიარებული. ათენური სისტემა ეფუძნებოდა შეჯიბრებითობას ტანვარჯიშში, ცეკვებში, მუსიკაში, კამათში, დისკუსიებში. ისიც ეტაპობრივ პრინციპს ეფუძნებოდა: 7 წლამდე ვაჟებს სახლებში ზრდიდნენ, პირველ ეტაპზე 7-დან 16 წლამდე ერთდროულად სწავლობდნენ მუსიკალურსა და ტანვარჯიშის სკოლებში, სადაც, უმთავრესად, ლიტერატურულ, მუსიკალურ და სამხედრო-სპორტულ განათლებას იღებდნენ; მეორე ეტაპზე, 16-18 წლამდე ჭაბუკები გიმნაზიებში აგრძელებდნენ სწავლას, შემდეგ ეტაპზე (18-20) საზოგადოებრივ სასწავლებელში საბოლოოდ ეუფლებოდნენ სამხედრო ხელოვნებას. თუ ძველი სპარტის სისტემა ფიზიკურ გაკაჟებასა და გამძლეობას ეფუძნებოდა, ათენელები სრულყოფილი,

ჰარმონიულად განვითარებული მომავალი თაობას აღზრდას ისახავდნენ მიზნად - ათენელი ჭაბუკი სპარტანელზე განათლებული და დახვეწილი უნდა ყოფილიყო.

აღზრდის ძველი **ფინური სისტემა** ეფუძნებოდა „სიკეთეების ერთობლიობას“, რამაც მომავალში შვიდი თავისუფალი ხელოვნების (გრამატიკა, დიალექტიკა, კამათის ხელოვნება, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა) სახელი მიიღო. ის ყველაზე ახლოსაა ძველბერძნულ მოდელთან. ეს სისტემა არაერთი თაობის აღზრდის მოდელად იქცა და საფუძვლად დაედო თანამედროვე ფინურ აღზრდას, რაც პიროვნების სრულ თავისუფლებას, ინდივიდუალურობისა და იდენტობის შენარჩუნებას ემყარება. ფინური მოდელი დღესაც ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება მსოფლიოში. „განათლების მიღება არ არის დამოკიდებული ოჯახის სიმდიდრესა თუ სოციალურ სტატუსზე... მასწავლებლებს სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული გამოსცადონ ახალი სასწავლო მეთოდები, აიღონ პასუხისმგებლობა ცოდნის შეფასებისას, აირჩიონ სწავლების ის ფორმატი, რომელიც ყველაზე მეტად ერგება მათ მოსწავლეებს. სწორედ მასწავლებელი წარმოადგენს განათლების სისტემის საფუძველს [კაილა, 2019 (ელ.რესურსი)].“

რომის (რომის იმპერიის) აღზრდის სისტემა ითვალისწინებდა საოჯახო და სასკოლო აღზრდას. პირველი მეტწილად განპირობებული იყო ოჯახის კეთილდღეობითა და ადგილით, რომელიც მას ეჭირა საზოგადოებაში. განათლებული და წარმატებული ოჯახის შვილებს ასწავლიდნენ ბერძნულ ენას, ლიტერატურას, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრასა და ა.შ. აღზრდითა და სწავლებით დაკავებული იყო სპეციალურად მოწვეული პედაგოგი, 4-5 წლამდე ბავშვი იმყოფებოდა დედისა და ძიძის ზედამხედველობის ქვეშ, სწორედ ისინი უყრიდნენ საფუძველს რომაელი ბავშვების სწორად აღზრდას.

ხუთი წლის შემდეგ ვაჟის აღზრდით დაკავებული იყვნენ მამა და მოწვეული პედაგოგი; გოგონა დედის ზედამხედველობის ქვეშ რჩებოდა და სწავლობდა მეურნეობის გაძლოლას, კერვას, ქარგვას, საკვების მომზადებას, სხვა საოჯახო საქმეებს. ბიჭებს ასწავლიდნენ სიმამაცეს, კეთილშობილებას, ფიზიკურ გამძლეობას, იარაღის ტარებას, აკადემიურ განათლებას აძლევდნენ რიტორიკის, ისტორიის, ლიტერატურის, მუსიკის, მათემატიკის, ფილოსოფიის სწავლებით. ამ პროცესის საბოლოო მიზანი იყო სახელმწიფოს ერთგული, განათლებული, მრავალმხრივ განვითარებული ჩინოვნიკის, მოხელის აღზრდა.

შუა საუკუნეებში (VI-XV) გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა აღზრდის რელიგიურ ტრადიციას, რომლის მიზანიც იყო ბალანსის პოვნა მიწიერ და ზეციურ არსებობას შორის. ამგვარი ჰარმონიის შესაძლებლობას იძლეოდა მხოლოდ რელიგიურად მიღებული (კათოლიკური, მართლმადიდებლური, იუდეური, მუსულმანური, ბუდისტური) ზნეობრივი ნორმების შესრულება.

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის საგანმანათლებლო სისტემა სამი ისტორიულ-კულტურული სინამდვილის (ანტიკური მემკვიდრეობის, „ბარბაროსული“ ტრადიციებისა და ქრისტიანული ეკლესიის) კულტურის ელემენტების სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდა.

ანტიკური (წარმართული) კულტურის მიმართ შუა საუკუნეებში მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდათ. ამ ეპოქის წყაროებში მრავლად შეგვიძლია ვიპოვოთ გამონათქვამები, რომლებიც ანტიკური მემკვიდრეობისადმი ცნობილი მოაზროვნეების ზიზღს გამოხატავს: „განა სწორია ერთი და იგივე პირით იუპიტერიც აქო და ქრისტეც?!“ – სვამდა რიტორიკულ კითხვას გრიგორი I და სასწავლო პროგრამიდან ბერძნულ-რომაული ლიტერატურის ამოღებას ითხოვდა; რეფორმატორი ალკუინი კი თავის მოწაფეებს ურჩევდა, ტვინი არ „დაეხინძურებინათ“ ვერგილიუსის ნაშრომებით. მიუხედავად ამისა, შუა საუკუნეებში მრავლად იყვნენ ბერები, რომლებიც ანტიკური მემკვიდრეობის გადარჩენას ცდილობდნენ. VII საუკუნეში ანტიკური სკოლები საბოლოოდ განადგურდა, მაგრამ, ნებსით თუ უნებლიეთ, ბერძნულ-რომაული საგანმანათლებლო კულტურის ცალკეულმა ელემენტებმა შუა საუკუნეების ევროპის საგანმანათლებლო სისტემაშიც დაიმკვიდრა ადგილი. პირველ რიგში, ეს ლათინურ ენას ეხება, რომელიც მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში სამწერლობო ენად რჩებოდა; ანტიკურობიდანვე მოდის შვიდი თავისუფალი ხელოვნება, რომელიც შუა საუკუნეების ევროპის უმაღლესი განათლების საფუძვლად იქცა [სილაგაძე, 2012 (ელ. რესურსი)].

„შუა საუკუნეები ომების ეპოქაა, ამ ეპოქაში წარმოებდა უამრავი საშინაო თუ საგარეო ომი. ომს სპეციალური მომზადება, მეომართა გაწვრთნა სჭირდებოდა, ნადირობა კი, როგორც ცნობილია, სამხედრო წვრთნის საუკეთესო საშუალებად იყო მიჩნეული აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში - იგი მოლაშქრეს აჩვევდა სიძნელეთა დაძლევას, უშიშრობას, მოსაზრებულობას, იარაღის ტარებასა და ყოველივე იმას, რაც ომის დროს აუცილებელი იყო. ერთი დიდებული ინდოელის თქმით, ნადირობა ომის დაა, ამ ეპოქაში ნადირობას ომის მოსამზადებელ ეტაპად თვლიდნენ“ [მინდაძე, 2008:14].

შუა საუკუნეებში, რელიგიურ მეთოდებთან ერთად, გაბატონებული იყო რაინდული აღზრდაც, რაც გულისხმობდა ერთგვარ მსხვერპლშეწირვას - რელიგიური აღზრდა უნდა შერწყმოდა პიროვნულ თავისუფლებას და, ღირსების კოდექსის დაცვით, მშვენიერი ქალის მსახურებას. აღზრდის ამ მეთოდს საფუძვლად ედო შვიდი რაინდული სიკეთე: იარაღის მოხმარება, ფარიკაობა, ჯირითი, ცურვა, ნადირობა, ჭადრაკის თამაში, სიმღერა და მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა. რაინდული აღზრდაც ეტაპობრივად ხორციელდებოდა და შემდეგ საფეხურებს გულისხმობდა: შვიდ წლამდე ვაჟი ოჯახში იზრდებოდა, 7-14 წლამდე ფეოდალის (სიუზერენის) კარზე იყო ფეოდალის მეუღლის პაჟი და მსახურების წრეში ეჩვეოდა სასახლის კარის ცხოვრებას. 14-21 წლამდე იგი სასახლის მამაკაცურ ნაწილში გადადიოდა და რაინდების იარაღის მტვირთველი ხდებოდა. სასახლეში ცხოვრებისას ახალგაზრდა მამაკაცს უნდა აეთვისებინა სიყვარულის, ომისა და რელიგიის ანბანი. 21 წლის ასაკში, გარკვეული უნარების, ფიზიკური, სამხედრო და მორალური თვისებების გამოცდის მერე, ახალგაზრდას რაინდად აკურთხებდნენ.

შუა საუკუნეებს, როგორც ყველა ისტორიულ ეპოქას, გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. მიიჩნევენ, რომ ამ ეპოქაში ადამიანთა საზოგადოება სამ კატეგორიად იყოფოდა - ვინც ლოცულობდა, ვინც იბრძოდა და ვინც შრომობდა. შუა საუკუნეების დასავლეთევროპული საზოგადოების ფორმულა ასეთი იყო: ხალხმა უნდა იშრომოს, რაინდებმა - იომონ, სამღვდელოებამ ილოცოს [მინდაძე, 2008:4].

V-IX დასავლეთ ევროპაში სკოლები ეკლესიის ხელში იყო. ეკლესია ადგენდა სასწავლო გეგმებს, არჩევდა მოსწავლეებს, ამ სკოლების უმთავრეს ამოცანას ეკლესიის მსახურების აღზრდა წარმოადგენდა. აქ ისწავლებოდა ანტიკური ეპოქისაგან ტრადიციად მიღებული გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა (ლოგიკის ელემენტებით), არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და სხვა. საეკლესიო სკოლების გარდა, არსებობდა ძალიან ცოტა, ე.წ. „საგარეო სკოლა“, სადაც სწავლობდნენ ის ახალგაზრდები, რომლებიც არ ემზადებოდნენ სასულიერო კარიერისთვის, ისინი, როგორც წესი, წარჩინებული ოჯახის შვილები იყვნენ [გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2011:181].

XV საუკუნიდან ეკლესიამ გააცნობიერა განათლებული ადამიანების მნიშვნელობა და სასულიერო სემინარიების გახსნა დაიწყო. ამ ეპოქაში სემინარია სწავლა-განათლების განსაკუთრებულ კერად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად პროცესს გარკვეულ სქოლასტიკურ ჩარჩოებში აქცევდა.

აღორძინების ეპოქის განათლების სისტემა დაფუძნებული იყო ჰუმანიზმზე. ამ ეპოქის პედაგოგები სრულად უარყოფენ შუა საუკუნეებში არსებულ აღზრდის მეთოდს, როდესაც მთლიანად ითრგუნებოდა ბავშვის უფლებები, პიროვნული ღირსება. ჰუმანისტებმა აღზრდის სისტემის ცენტრში დააყენეს ადამიანი და მისი პიროვნული, ინდივიდუალური თვისებების პატივისცემა. მოზარდს, მის თავისუფლებასა და უფლებებს პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდნენ, რაც აბსოლუტურად უცხო იყო ადრეული შუა საუკუნეებისთვის.

აღორძინების ეპოქის პედაგოგიკის არსი მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მან სასკოლო განათლება გაამდიდრა ახალი სასწავლო საგნებით, არამედ იმაშიც, რომ მან შეცვალა სწავლებისა და აღზრდის სულისკვეთება, საერთო მიმართულება. თუ სწავლება ადრეულ შუა საუკუნეებში შორს იდგა ცხოვრების სინამდვილისაგან და ვერ უპასუხებდა მის მოთხოვნებს, უმთავრესად დამყარებული იყო უსარგებლო მაღალფარდოვანი სიტყვების კორიანტელზე, აღორძინების ეპოქაში სწავლება ცხოვრებისეულ, პრაქტიკულ მიზნებს დაექვემდებარა. თუ კლასიკური ენები (მაგალითად, ლათინური ენა) მანამდე მხოლოდ ენაწყლიანობისთვის ისწავლებოდა, აღორძინების ეპოქაში დაფასდა იმიტომ, რომ წარმოადგენდა კლასიკოს მწერალთა ქმნილებაში მოქცეული მეცნიერული ფაქტებისა და აზროვნების საგანძურის გასაღებს. ლათინური ისწავლებოდა არა როგორც მკვდარი, არამედ - ცოცხალი ენა; ბავშვებს ასწავლიდნენ ლათინურ ენაზე ლაპარაკს, წერას, მსჯელობას. ლათინურს აღიქვამდნენ არა როგორც ეკლესიის, არამედ - პეტარკასა და ბოკაჩოს ენას; ლათინური იქცა მეცნიერების საერთაშორისო ურთიერთობის ენად. ლათინურად კითხულობდნენ არისტოტელეს „პოლიტიკას“ და მას სახელმწიფოს მართვის ყველაზე გონივრულ სახელმძღვანელოდ თვლიდნენ, იულიუს კეისრის თხზულებებს - სამხედრო ხელოვნების შესწავლის საუკეთესო საშუალებად, ვერგილიუსის „გეორგიკას“ - სოფლის მეურნეობის (მიწათმოქმედების, მებაღეობის, განსაკუთრებით, მევენახეობის, მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის) სახელმძღვანელოდ. აღზრდის საღი იდეების საუკეთესო წყაროებად ითვლებოდა ციცერონისა და პლუტარქეს მთელი რიგი თხზულებანი და ა.შ. ასე უყურებდნენ საქმეს თავისი დროის გამოჩენილი ჰუმანისტები [მკერვალიძე, 2021 (ელ. რესურსი)].

ამ ეპოქის კუთვნილებაა ე.წ. **ჯენტლმენური აღზრდის** მეთოდი. ჯონ ლოკის მიხედვით, ჯენტლმენი იყო განათლებული და საქმიანი ადამიანი, რომელიც სასურველ

განათლებას იღებდა შინ მოწვეული პედაგოგებისა და აღმზრდელების დახმარებით. ჯენტლმენი, ერთი მხრივ, საზოგადოებაში დახვეწილი მანერებითა და ფაქიზი ურთიერთობებით, მეორე მხრივ, საქმიანი ადამიანის თვისებებით გამოირჩეოდა. სწორედ ეს მოთხოვნებია გათვალისწინებული XVIII-XX საუკუნეების დასავლურ განმანათლებლურ კონცეფციებში. ჯენტლმენური აღზრდაც ეტაპობრივია და ითვალისწინებს შემდეგ საფეხურებს:

- ფიზიკური წვრთნა, ხასიათისა და ნებისყოფის, მორალური პრინციპების განმტკიცება, დახვეწილი მანერების ათვისება;
- შრომითი აღზრდა;
- ცნობისმოყვარეობისა და სწავლების სურვილის გაღვივება, როგორც თეორიული, ასევე - პრაქტიკული თვალსაზრისით.

მთავარ აღმზრდელობით ხერხად ითვლებოდა შესაბამისი გარემოს შექმნა, პირადი მაგალითი; ამგვარი სისტემა ბოლომდე იცავდა აღსაზრდელის ინდივიდუალურ, პიროვნულ თვისებებსა და იდენტობას.

განათლების სოციოლოგი ემილ დიურკემი ხაზს უსვამდა, რომ განათლების მთავარ ფუნქციას დომინანტური კულტურის ღირებულებების გადაცემა წარმოადგენს, მაგრამ იმის გამო, რომ განსხვავებულია საზოგადოების კულტურული მიზნები და ღირებულებები, განსხვავებულია განათლების შინაარსიც. მაგალითად: ძველ ათენში მოსახლეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ხელოვნებას, ძველ რომში განათლების მთავარი მიზანი სამხედრო პირებისა და სახელმწიფო მოხელეების აღზრდა იყო. შუა საუკუნეების ევროპულ ქვეყნებში ყურადღება ქრისტიანულ აღზრდას ეთმობოდა. ამ პერიოდში ევროპაში უმაღლესი განათლების ყველა სისტემას შეიძლება ეწოდოს ელიტარული, რადგან ის მხოლოდ უმცირესობისთვის (1-5%) - საზოგადოების უმაღლესი ფენებისთვის იყო ხელმისაწვდომი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სპეციალურ ჰუმანიტარულ ცოდნას, რომელსაც „ნამდვილი ჯელტმენი“ უნდა აღეზარდა. ეს ტენდენცია ბევრ ქვეყანაში არსებობდა [მოდეზაძე, 2014 (ელ. ვერსია)].

მე-17 საუკუნის ევროპაში პედაგოგიკა გამოეყო ფილოსოფიას და ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი დარგი. აღზრდის მთავარი მიზანი სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი, ჰარმონიული ადამიანის ჩამოყალიბება გახდა. სწავლების მოდერნიზაციით

დაკავებული იყვნენ ადამიანები, რომლებიც წერდნენ შრომებსა და სამეცნიერო სტატიებს სწავლა-აღზრდის საკითხებზე. ეს ნაშრომები დღემდე არ კარგავს აქტუალობას. ჩეხი განმანათლებელი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და მწერალი იან ამონ კომენსკი (1592-1670) ითვლება თანამედროვე პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების დარგის, დიდაქტიკისა და განათლების სისტემის, კერძოდ, სასკოლო და სკოლამდელი სწავლების, ფუძემდებლად. მან წამოაყენა პანსოფიის იდეა, რომლის მიხედვითაც, სწორი მიდგომების წყალობით, განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო. კომენსკის მოსაზრებით, ადამიანი ბუნების განუყოფელი ნაწილია, ამიტომაც ბუნების კანონები მოქმედებს საზოგადოებაშიც. სწორედ ამ კანონების ფარგლებში უნდა მოექცეს აღზრდის პედაგოგიური მიდგომა. კომენსკის სახელს უკავშირდება ცნებები: სასწავლო წელი, საკლასო-საგაკვეთილო სისტემა. მეცნიერი თვლიდა, რომ სწავლებას უნდა ჰქონდეს სისტემური ხასიათი, გულისხმობდეს მეცადინეობის გეგმას, სასწავლო მასალის ცოდნის შემოწმებას, მოსწავლეთა უზრუნველყოფას სახელმძღვანელოებით, მეცადინეობაზე აუცილებელ დასწრებას.

კომენსკიმ გამოსცა შრომა „დიდი დიდაქტიკა“, რომელშიც აღწერილი იყო სწავლების ზოგადი თეორია, მისთვის აღზრდა და სწავლება ერთმანეთზე დამოკიდებული, ერთმანეთისაგან გამომდინარე პროცესებია; დიდაქტიკას განათლების თეორიულ საფუძვლად მიიჩნევდა, სწავლებას კი - აღზრდის თეორიად. კომენსკი უნივერსალური სწავლების მომხრე იყო, რაც აღსაზრდელს მრავალმხრივი განვითარების საშუალებას აძლევდა, პრიორიტეტულად მიიჩნევდა ენების, განსაკუთრებით, მშობლიური ენის შესწავლას. თავისი პედაგოგიური მეთოდის საფუძვლად კომენსკი ბუნებრიობასა და სწავლების პროცესის მოწესრიგებულობას მიიჩნევდა, დარწმუნებული იყო, რომ ადამიანის გონებას შეუძლია ნებისმიერი სირთულის მასალის შესწავლა, თუ სწავლებას ეტაპობრივ სახეს მივცემთ, დავალებას კი სირთულის მიხედვით დავალაგებთ.

კომენსკი თვლიდა, რომ მნიშვნელოვანი ასპექტია ბავშვის მორალური აღზრდა, რაშიც გადამწყვეტ როლს ასრულებს მოზრდილების პოზიტიური ქცევა, პირადი მაგალითი. მე-17 საუკუნეში მოღვაწე ჩეხმა პედაგოგმა შექმნა აღზრდის ეტაპობრივი მოდელი, რომელიც მოსწავლის ასაკს შეეფერებოდა: დედის სკოლა (6 წლამდე), მშობლიური ენის სკოლა (6-12 წელი) და გიმნაზია (12-18 წელი).

კომენსკის აზრით, პედაგოგი მოსწავლეებს დამოუკიდებელ აზროვნებას უნდა აჩვენებდეს. თანამედროვე სწავლება კომენსკის დიდაქტიკურ ნაშრომებს ეფუძნება, მისი მოსაზრებები დღემდე არ კარგავს აქტუალურობას [კომენსკი,2019 (ელ. რესურსი)].

XVIII საუკუნიდან იწყება განმანათლებლობის ეპოქა, რომელმაც მთლიანად შეცვალა ადამიანის აზროვნება, დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ. განმანათლებლობა საკმაოდ რთული და მრავალმხრივი მოვლენაა, რომლის გააზრებაც დღემდე გრძელდება, მაგრამ მთავარი, რაც ამ ეპოქაზე ვიცით, რაც ყველა განმანათლებელს აერთიანებს, ეს არის ცოდნის, განათლების გაფეტიშება, მისი საყოველთაობა, რაც წარმატების საწინდარი უნდა გახდეს. ამ ეპოქაში ადამიანს უჩნდება განცდა, რომ მისი გონებისთვის არაფერია შეუცნობელი, ამიტომაც ყველაფერს აკეთებს სამყაროსეული მოვლენების რაციონალური ახსნისათვის.

განმანათლებლობა ევროპელი ინტელექტუალების მოძრაობაა, რომელშიც ღმერთთან, გონიერებასთან, ბუნებასა და კაცობრიობასთან დაკავშირებული იდეები სინთეზირდა მსოფლმხედველობაში, რომელმაც ფართო მოწონება დაიმსახურა დასავლეთში. ამან გამოიწვია რევოლუციური მოვლენები ხელოვნებაში, ფილოსოფიასა და პოლიტიკაში. განმანათლებლებისთვის მთავარი იყო გონივრული, რაციონალური აზროვნება, რომლის საშუალებითაც ადამიანები აცნობიერებენ სამყაროს და აუმჯობესებენ საკუთარ მდგომარეობას. რაციონალური კაცობრიობის მიზნებად ითვლებოდა ცოდნა, თავისუფლება და ბედნიერება.

განმანათლებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი მწერლები იყვნენ ფრანგი ფილოსოფოსები, განსაკუთრებით, ვოლტერი და პოლიტიკური ფილოსოფოსი მონტესკიე, დენი დიდრო და კონდორცეტი. ფრანგული განმანათლებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ენციკლოპედიების გამოცემა. შოტლანდიელი ფილოსოფოსები და ეკონომისტები დევიდ ჰიუმი და ადამ სმიტი, ინგლისელი ფილოსოფოსი ჯერემი ბენტამი, გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი და ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე თომას ჯეფერსონი ქმნიან განმანათლებლობის მთავარ კონცეპტებს.

განმანათლებლობის ეპოქაში ფიქრობდნენ, რომ ადამიანის მსჯელობამ შეიძლება აღმოაჩინოს ჭეშმარიტებები სამყაროს, რელიგიისა და პოლიტიკის შესახებ. ეს ჭეშმარიტება შეიძლება გამოყენებულ იქნეს კაცობრიობის ცხოვრების გასაუმჯობესებლად. სკეპტიციზმი ეპოქის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი იდეა იყო; ყველაფერი უნდა დაქვემდებარებოდა

ტესტირებასა და რაციონალურ ანალიზს. რელიგიური ტოლერანტობა და იდეა იმის შესახებ, რომ პიროვნებას აქვს თავისუფალი არჩევნის შესაძლებლობა და ამას არ უნდა ჰქონდეს იძულებითი სახე, ასევე განმანათლებლური იდეები იყო.

განმანათლებლობამ წარმოადგინა პირველი თანამედროვე სეკულარიზებული თეორიები ფსიქოლოგიასა და ეთიკაში. ჯონ ლოკის აზრით, ადამიანის გონება, რომელიც დაბადებიდან ტაბულა რაზა, ცარიელი ფურცელია, გამოცდილებას აგროვებს თავისუფლად და თამამად, ქმნის სამყაროს ინდივიდუალურ ხასიათს - ინდივიდუალური გამოცდილების შესაბამისად. თომას ჰობსი საუბრობდა ადამიანებზე, რომლებიც მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისა და ტკივილის გათვალისწინებით მოქმედებენ. ადამიანი დაინტერესებულია სიამოვნების მაქსიმალურად გაზრდით, სწორედ ამ დროს ჩნდება რადიკალური პოლიტიკური თეორიები. სახელმწიფო, რომელიც განიხილებოდა, როგორც მარადიული წესრიგის მიწიერი მოდელი, შექმნილი ღვთის ქალაქის ანალოგიით, ახლა განიხილება, როგორც ორმხრივად სასარგებლო შეთანხმება, თითოეული ადამიანის უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფელი.

განმანათლებლობის ეპოქაში, რომელიც აღრმავებდა აღორძინების ეპოქის პროგრესულ შეხედულებებს, იდეალად რჩებოდა სრულყოფილი, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული, მაღალი გონებრივი განვითარებითა და ესთეტიკური იდეალებით გამორჩეული პიროვნების აღზრდა; თავისუფალი სწავლა-აღზრდა შეხამებული უნდა ყოფილიყო მოზარდის ბუნებრივ თვისებებსა და უნარ-ჩვევებთან.

ფრანგული განმანათლებლობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლის, ჟან-ჟაკ რუსოს მემკვიდრეობაში პირველად არის დამუშავებული ბუნებრივი აღზრდის თეორია, რომელშიც გათვალისწინებულია ბავშვის ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივ-ესთეტიკური განვითარება პიროვნებად ჩამოყალიბების სხვადასხვა ეტაპზე. ეს კონცეფცია საფუძვლად უდევს რუსოს თვალსაზრისს აღზრდის მიზნის, შინაარსისა და განხორციელების მეთოდების შესახებ. თავად აღზრდის ძირითად მიზანს, ფრანგი მწერლისა და ფილოსოფოსის აზრით, წარმოადგენს აღსაზრდელის უკეთ მომზადება ცხოვრებისთვის, რაც იმ ეპოქის ცხოვრებისული მოთხოვნელებითა და იდეალებით განისაზღვრებოდა. ჟან-ჟაკ რუსო იყო ერთ-ერთი პირველი მოაზროვნე, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სახალხო სკოლისა და მშობლიური ენის შესწავლის

მნიშვნელობას. რუსომ ღრმა ფსიქოლოგიური განჭვრეტით გააანალიზა დედა ენის შინაგანი სამყარო და საგულისხმო დასკვნებიც გამოიტანა: ყოველ ენას თავისი განსაკუთრებული სული აქვს, რომელიც შეიძლება ნაწილობრივ ეროვნული ხასიათის მიზეზი ან შედეგი იყოს; ასაბუთებდა, რომ ყოველი ერის ენა იცვლება ზნე-ჩვეულებების ცვლილებებთან ერთად, ინახება ან ფუჭდება მათთან ერთად - ამით ჟან-ჟაკ რუსო ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ენა ერის სულის ნაწილია, შეზრდილია ერის სულიერ ფსიქიკასთან, მასთან არის შესისხლხორცებული [ობოლაძე,1977:64].

მე-19-მე-20 საუკუნეებში უპირატესობა ენიჭება ჰარმონიულ, მრავალმხრივ აღზრდას, რომელშიც თანაბრად იქნება განვითარებული ადამიანის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობანი. აღზრდის სისტემების განვითარებაში მონაწილეობა მიიღეს დიდმა პედაგოგებმა; მაგალითად. ფ. დისტერვენგი ილაშქრებდა წოდებრივი აღზრდის წინააღმდეგ, კ. უმინსკი ემხრობოდა სახალხო აღზრდის, თამაშის მემკვიდრით პიროვნული სრულყოფის მიღწევას. მეოცე საუკუნიდან არსებობს არაერთი აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც გარკვეულ თეორიულ მოდელს, კონკრეტულ ფილოსოფიურ სწავლებას ეფუძნება. ეს სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან არსებობის ხანგრძლივობით, კონცეპტებით, დანერგვის გზებით. ამგვარ აღმზრდელობით სისტემებს მიეკუთვნება: ჰუმანიტარული აღმზრდელობითი სისტემა (სკოლა N 825, ვ. კარაკოვსკის სისტემა), „საყოველთაო ზრუნვის პედაგოგიკა“, როგორც აღმზრდელობითი სისტემა, „წარმატების პედაგოგიკა“, სოფლის სკოლის სისტემა, ვალდორფის სკოლა, სოციუმის აღმზრდელობითი სისტემები: პიონერული ორგანიზაცია, სკაუტიზმი და ა.შ.

ვალდორფის სკოლა არსებობს XX საუკუნის დასაწყისიდან და მისი პოპულარობა სულ უფრო იზრდება. სკოლის მთავარი იდეა ისაა, რომ ადამიანი არის სამი სამყაროს ანარეკლი, ფიზიკური, სულიერი და ფსიქიკური ერთიანობის ნაყოფი. ამ სკოლის დამაარსებელია რუდოლფ შტაინერი (1861-1925), ავსტრიელი ფილოსოფოსი, პედაგოგი, სოციალური რეფორმატორი. სკოლა განსაკუთრებით პოპულარული გახდა საქართველოში მეოცე საუკუნის 80-90-იანი წლებიდან. როგორც ეზოთერიკოსი, ეზოთერიკულ-სპირიტუალური მოძრაობის - ანთროპოსოფიის დამაარსებელი, რუდოლფ შტაინერი ცდილობდა იმგვარი სკოლის დაარსებას, რომელიც ერთნაირად განავითარებდა მოზარდის ფიზიკურ და ფსიქიკურ მხარეებს, გარემოსთან, ბუნებასთან ჰარმონიას ჩამოუყალიბებდა.

შტაინერი თავისუფალი, ბუნებრივი აღზრდის მომხრე იყო. თავისუფლებას საფუძვლად უდევს პასუხისმგებლობის გრძნობა, ერთმანეთის გარეშე ეს ცნებები აზრს კარგავს. სკოლა ყალიბდება, როგორც ახალი ტიპის სოციალური ორგანიზმი, რომელსაც არ ჰყავს დირექტორი, ყველა მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაში ერთვებიან მშობლები. სკოლას არ აქვს ზოგადი მეთოდика, ზუსტი სასწავლო გეგმა, სახელმძღვანელოები. მასწავლებელს ენიჭება სრული თავისუფლება სწავლების შინაარსის, ფორმისა და მეთოდების შერჩევას. სწავლების ძირითად საშუალებად შეიძლება იქცეს ბუნებრივი მასალები, თამაშები, შემოქმედებითი პროცესი და ა.შ. აქცენტი კეთდება მოზარდის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, სულიერ ტკივილებზე, რაც პიროვნული „მეს“ განვითარების ერთგვარ სტიმულად იქცევა. ორიენტაცია აღებულია ბავშვის მიერ ბუნების, კულტურისა და ხელოვნების ადეკვატურ აღქმაზე, შესწავლის სურვილზე. სწავლების პროცესში არ გამოიყენება მოსწავლის შეფასების სისტემა, არ იწერება ნიშნები, ქულები, პროცესი თავისუფალ ურთიერთობას ეფუძნება.

გლობალური განათლების სკოლები შეიქმნა რ. ჰენვისა და მ. ბოტკინის ინიციატივით. ისინი სამყაროს აღიქვამენ როგორც ერთ მთლიანობას, სადაც ერთი ადამიანის კეთილდღეობა მეორისაზეა დამოკიდებული. რობერტ ჰენვის ფორმულირების მიხედვით, გლობალური განათლება შემდეგ პრინციპებს ეფუძნება - სამყაროს არამიკერძობული ხედვა, პლანეტის მდგომარეობისა და მსოფლიო პროცესების უწყვეტობის გააზრება და არჩევნის შესაძლებლობა [დიმიტრიევიჩი, 2019 (ელ. რესურსი)]. მ. ბოტკინის თვალსაზრისით, გლობალური სკოლების მთავარი მიზანია უარის თქმა სამყაროსთან ადაპტაციის გაუცნობიერებელ პროცესებზე, ინოვაციური მეთოდების შემოტანა. აქ გასათვალისწინებელია ორი მომენტი: პირველი - ახალი სიტუაციების, სირთულეების ადვილად გადალახვა, მათი წინასწარი განჭვრეტა და მეორე - სამყაროსთან გააზრებული, გაცნობიერებული თანაარსებობა, თანამშრომლობა. გლობალური განათლების მიღება შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო პროგრამებისა და გეგმის არსებობის შემთხვევაში, ეს გეგმები უნდა იყოს სხვადასხვა/განსხვავებული და შეავსოს ერთმანეთი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1960 წელს აღზრდის ახალი სისტემა - „სამართლიანი საზოგადოება“ გაჩნდა, რომლის საავტორო უფლებაც ლ. კოლბერგს ეკუთვნოდა. მთავარი კონცეპტიდან გამომდინარე, ადამიანის მორალური აღზრდა

გამომდინარეობს გონებრივი შესაძლებლობებიდან, ზნეობრივი სრულყოფილება კი თანდათან, ეტაპობრივად ყალიბდება. „სამართლიანი საზოგადოება“ სკოლის შიგნით არსებული მცირე გაერთიანებაა, რომელშიც მასწავლებლები და მოსწავლეები ერთად, თანაბარი უფლებების საფუძველზე, წყვეტენ პრობლემურ საკითხებს. ამ სისტემის მთავარი იდეაა სკოლის მორალური კლიმატის გაჯანსაღება, რაც შესაძლებელია ქცევის წესებისა და ნორმების ერთობლივი შექმნითა (ადმინისტრაცია, მოსწავლე, მასწავლებელი) და დაცვით. ეს პროცესი იწვევს სამართლიანობისა და კოლექტიურობის ბალანსირებულ დაცვას, მოსწავლის მოქალაქედ ჩამოყალიბებას, განსაზღვრავს სწორ ზნეობრივ ორიენტირებს.

საინტერესოა „კულტურათა დიალოგზე“ აგებული აღმზრდელობითი სისტემები, „განათლებული ადამიანიდან“ „კულტურულ ადამიანად“ ტრანსფორმირება. აღზრდის შედეგი გულისხმობს პიროვნების საბაზისო კულტურულ განვითარებას - ზნეობრიობას, სულიერებას, გონიერებას, ეკოლოგიურობას, კომუნიკაბელურობასა და ა.შ. ყველა იდეაში, ფრაზაში, სიტყვაში მიმდინარეობს სხვადასხვა ეპოქის, კულტურის, ხალხის დიალოგი. მასწავლებელთა და მოსწავლეთა ერთობლივი ძიების შედეგად ჩნდება ახალი იდეები, შეგრძნებები, ურთიერთდამოკიდებულება.

არსებობს უამრავი ახალი სისტემა, რომელიც თანამედროვე ადამიანის გაზრდილ მოთხოვნილებებს ეთანადება, თუმცა, რასაკვირველია, მაინც წარსულის გამოცდილებას ემყარება. მიმდინარე სასწავლო პროგრამები, თანამედროვე მსოფლიოში არსებული სწავლა-აღზრდის ყველა სისტემა პიროვნული განვითარების ორ ძირითად პედაგოგიურ იდეალს ეფუძნება:

- მაღალი, ფართოდ რეკლამირებული, წარმატებული, ადამიანისთვის თითქმის მიუღწეველი იდეალი, რომლის დანიშნულებაა იყოს ორიენტირი, ფლაგმანი, შუქურა, რომელსაც მაქსიმალურად უნდა მიემსგავსოს აღსაზრდელი, მოზარდი;
- განხორციელებადი, შესაბამისად, ნაკლებად რეკლამირებული, ნაკლებად პროპაგანდული იდეალი. ეს არის რეალური იდეალი - თავისი დროის გმირი, რომელსაც ყველა შურით უყურებს, რომლის ბედსაც ბევრი ინატრებდა შვილისთვის.

იქედან გამომდინარე, რომ აღზრდის მიზანი ადამიანთა საზოგადოების მთელი ისტორიის მანძილზე არსებული წარმოდგენების, იდეალის შესაბამისი იყო, დღესაც

პედაგოგიურ პროცესს საფუძვლად უდევს ის იდეალები, რომლებიც კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეებმა შექმნეს და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების შემცველია, მაგრამ, როგორც წარსულში, ახლაც, პედაგოგიური იდეალი, უმცირეს შტრიხებამდე, საზოგადოების პროდუქტია - ის გვისახავს, როგორი უნდა იყოს იდეალური პიროვნება და ამ იდეალში აისახება მისი ორგანიზების ყველა თავისებურება [ფირჩხაძე, 2014 (ელ. რესურსი)].

ეპოქალურ ცვლილებებთან ერთად იცვლებოდა პედაგოგიური გამოცდილება და რთულდებოდა მისი ადვილად გაზიარების შესაძლებლობა, რამაც გამოიწვია აღზრდის ორგანიზებული ფორმების შექმნის აუცილებლობა. გაჩნდა მოთხოვნა(ილება), რომ აღზრდის პროცესით ამ საქმეში ჩახედული, პროფესიული უნარების მქონე ადამიანები დაკავებულიყვნენ. ყველაზე გავრცელებული გახდა სამი ტიპის სკოლა: ქურუმთა, სასახლის კარზე არსებული და სამხედრო. თითოეულს თავისი მკაცრად განსაზღვრული მიზნები ჰქონდა: პირველი ზრდიდა კულტის მომავალ მსახურებს, მეორე - ჩინოვნიკებს, მოხელეებს, მესამე - მომავალ მეომრებს. სწავლება ფასიანი იყო და მასწავლებლის ავტორიტეტით იზომებოდა. სკოლების კურსდამთავრებულები სოციალური იერარქიის მაღალ საფეხურზე ადიოდნენ.

ძველ ინდოეთში იქმნებოდა თემთა სკოლები, მაგალითად, მიწათმოქმედთა თემისა. ქალაქებში მდიდართა და შეძლებულთა ოჯახებისთვის ტაძარში ფუნქციონირებდა სკოლები, სადაც ასწავლიდნენ ასტრონომიას, გეომეტრიას, არითმეტიკას, მედიცინას. ცოდნას მხოლოდ გაბატონებული ფენა ეუფლებოდა, პროცესი ერთგვარი მისტიციზმითა და იდუმალებით იმოსებოდა. ქურუმთა დახურულ, სასახლის კარზე არსებულ, სკოლებთან ერთად, გაჩნდა გადამწერთა, მოხელეთა სკოლები. ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში აუცილებელ განათლებას იღებდა მხოლოდ სამი უმაღლესი ფენის წარმომადგენელი. სამეცნიერო ტექსტებს სუტრის ფორმით წერდნენ - ეს იყო მცირე სალექსო საზომი, რომლის დამახსოვრებაც სირთულეს არ წარმოადგენდა. მოსწავლეები ისხდნენ მიწაზე, მასწავლებლის გარშემო და ბეჯითად იმეორებდნენ სუტრებს. გოგოები არ სწავლობდნენ, განათლებას მხოლოდ ვაჟები იღებდნენ. ბუდისტურ მონასტრებში სასულიერო ტექსტებს რიტმული მუსიკის თანხლებით ასწავლიდნენ. საგანგებოდ სწავლობდნენ ბუდას ცხოვრების გზას, განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ზნეობრივ აღზრდას.

ძველ ჩინეთში არსებობდა დაბალი და უმაღლესი სკოლები, უბრალო ადამიანებისა და მონების შვილები განათლებას ვერ იღებდნენ, ელემენტარულ უნარ-ჩვევებს მშობლებისგან ითვისებდნენ. უმაღლეს სკოლებში ისწავლებოდა შვიდი ხელოვნება: მორალი (რელიგიური ხასიათის), წერა, ანგარიში, მუსიკა, მშობილდოსნობა, ჯირითი და ეტლის მართვა. პედაგოგიური აზრის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინეს კონფუციმ (ძვ.წ. 551-479) და მისმა თანამოაზრეებმა. მათ განაზოგადეს ძველი ჩინეთის აღმზრდელობითი სისტემა და გამოთქვეს ორიგინალური საგანმანათლებლო იდეები, კერძოდ, ადამიანის მრავალმხრივი, ჰარმონიული განვითარების ფონზე ხაზი გაუსვეს ზნეობრივი საწყისის მნიშვნელობას.

ძველ ეგვიპტეში საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე სწავლა-აღზრდა ოჯახში მიმდინარეობდა, ტრადიციების გადაცემასთან ერთად, ეს პროცესი ერთგვარი თეორიული საფუძვლების, კონცეპტების არსებობასაც გულისხმობდა. ეგვიპტის პატრიარქალურ საზოგადოებას ამაში ძველი აღმოსავლეთის მნიშვნელოვანი ტექსტები ეხმარებოდა: ბაბილონის მეფე ჰამურაბის კანონები, იუდეის მეფე სოლომონისა და ინდური ბჰაგავადგიტას სიბრძნე. ძველი ეგვიპტელის იდეალი იყო მომთმენი, დიდი ნებისყოფის მქონე, თითქმის მდუმარე, ბედისწერის მძიმე დარტყმების ღირსეულად მიმღები ადამიანის აღზრდა. ოჯახი ამ საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებდა, ეგვიპტელები ქალისა და მამაკაცის უფლებების შედარებითი განურჩევლობით ხასიათდებოდნენ, ვაჟებსა და გოგონებს ერთნაირად ზრდიდნენ, თანაბარ დროს უთმობდნენ. ეს ტრადიცია იმანაც განამტკიცა, რომ, ძველი ეგვიპტელის რწმენით, გარდაცვალების მერე, სწორედ შვილებს შეეძლოთ მშობლებისათვის ახალი სიცოცხლის მინიჭება. ეს სწავლება ეგვიპტურ სკოლებშიც დაინერგა, პირველი ცნობები ზემოთქმულის შესახებ ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნიდან მოგვეპოვება [მიხაილოვა, 2023 (ელ. რესურსი)].

აცტეკური ტრადიციის თანახმად, თოთხმეტი წლის ასაკამდე ბავშვების განათლება მშობლების ხელში იყო. არსებობდა ზეპირი ტრადიცია (ზეპირი მითითებების ერთობლიობა) სახელწოდებით hueuetlatolli („ხანდაზმულთა ანდაზები“), რომელიც გადმოსცემდა აცტეკების მორალურ და ეთიკურ იდეალებს. არსებობდა ბრძნული გამონათქვამები ყველა ცხოვრებისეული შემთხვევისთვის, სიტყვები დაბადებისა და სიცოცხლესთან დამშვიდობებისთვის. ბიჭები სკოლაში დადიოდნენ 15 წლის ასაკიდან. არსებობდა ორი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება:

- ✓ თეპოჩკალი, სადაც ასწავლიდნენ ისტორიას, რელიგიას, საბრძოლო ხელოვნებას, ვაჭრობასა და ხელოსნობას;
- ✓ კალმეკები, სადაც, ძირითადად, პალილთა შვილები დადიოდნენ, ორიენტირებულნი იყვნენ ლიდერების (ტლაქტოკების), მოძღვრების, მასწავლებლებისა და მწიგნობრების მომზადებაზე - მათ ასწავლიდნენ რიტუალებს, პოეზიას, მეცნიერებას, საბრძოლო ხელოვნებას.

აცტეკები იყენებდნენ სწავლის სპარტულ მეთოდს - დილით ცივ აბაზანებს, მძიმე შრომას, ფიზიკურ დასჯას, სისხლიანი ეკლით გამძლეობის გამოცდას - გამბედავი ხალხის აღზრდის მიზნით. გოგონებს ასწავლიდნენ მხოლოდ სამინაო საქმეებსა და ბავშვების აღზრდას, წერა-კითხვას - არა. ნიჭიერი ბავშვებისთვის ორი ძირითადი შესაძლებლობა არსებობდა: ზოგს სიმღერისა და ცეკვის სახლში აგზავნიდნენ, ზოგს კი - ბურთის თამაშის სახლში. ორივე პროფესიას საკმაოდ მაღალი სტატუსი ჰქონდა [აცტეკების...(ელ. რესურსი)].

საბერძნეთის მრავალ ქალაქში გახსნილი იყო პალესტრები (შდრ. გრიგოლ რობაქიძის „ფალესტრა“ - ც.ა.) და გიმნაზიები, სადაც ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ აღზრდაზე ზრუნავდნენ. აქ გამოიყენებოდა აღზრდის ცნობილი სპარტ(ან)ული ფორმულა. სპარტელი ბავშვები შვიდიდან ოც წლამდე პალესტრებში სწავლობდნენ, საგულისხმოა, მათი აღზრდის ხარჯებს სახელმწიფო იღებდა თავის თავზე. პალესტრებსა და გიმნაზიებში ფიზიკური აღზრდის სისტემა მაღალ დონეზე იყო დაყენებული. ბავშვებს აჩვენებდნენ სიცივეს, სიბნელეში ყოფნას, ტალახსა და წვიმაში წვრთნიდნენ, ღია ცის ქვეშ, ხმელი ტოტებით დაფენილ მიწაზე აძინებდნენ, ამიტომაც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ტერმინი „სპარტ(ან)ული აღზრდა“ დამკვიდრდა, როგორც მკაცრი აღზრდის სინონიმი. აღზრდის ეს სისტემა ორიენტირებული იყო როგორც სპორტულ შეჯიბრებებზე მაღალი შედეგების მიღწევასა და სამხედრო-ფიზიკურ მომზადებაზე, ისე - სხეულის ჰარმონიულ განვითარებაზე. ფიზიკურ განვითარებას დიდი ყურადღება ექცეოდა ასევე ძველ რომში, სადაც მოზარდების წვრთნა, ძირითადად, მომავალი მეომრების მომზადებისათვის იყო გამიზნული, ასევე არსებობდა გლადიატორთა სკოლები, სადაც მონათაგან საუკეთესო მეომრებს არჩევდნენ, სპეციალურად ავარჯიშებდნენ და ამზადებდნენ ცირკის არენაზე სანახაობრივი გამოსვლისათვის [ქობულაძე, 2003:11].

სწავლა-აღზრდის პრობლემების შესახებ მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ძველ ბერძენ ფილოსოფოსებს. ცნობილ ფილოსოფოს დემოკრიტეს ეკუთვნის

იდეა აღზრდის მეთოდების ბავშვის ბუნებასთან შესაბამისობის აუცილებლობის შესახებ, რაც თანამედროვე - სწავლა-სწავლების პროცესის, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ქვაკუთხეა. არისტოტელეს აზრით, სახელმწიფოს უნდა გაეწია კონტროლი მომავალი თაობის სწავლა-აღზრდისათვის, ახალგაზრდა მოემზადებინა სამოქალაქო საზოგადოებაში (პოლისში) ინტეგრირებისათვის, რისთვისაც ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოზარდი თაობის გონებისა და აზროვნების განვითარებას ანიჭებდა.

საგანმანათლებლო საკითხებზე, აღზრდის სისტემებზე არაერთი პედაგოგი, ფილოსოფოსი, მოაზროვნე მსჯელობდა, ფიქრობდა, ნაშრომებსა და მონოგრაფიებს ქმნიდა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი წვლილი აღზრდის კონცეპტების, სასწავლო პროგრამების ჩამოყალიბებაში, რასაკვირველია, **უნივერსიტეტებს** მიუძღვის.

ბოლონიის უნივერსიტეტი (იტალია) მსოფლიოს უძველესი უნივერსიტეტის ტიტულს ატარებს, დაარსდა 1088 წელს. წარსულში აქ მხოლოდ დოქტორანტებს ასწავლიდნენ, დღეს ისწავლების სამივე საფეხურს გვთავაზობს. ცნობილი კურსდამთავრებულების სიაში არიან სამი პაპი, უამრავი ბიზნესმენი და რამდენიმე იტალიელი პოლიტიკოსი. ბოლონიის უნივერსიტეტში სწავლობდა ძველი დროის უკანასკნელი და ახალი დროის პირველი დიდი პოეტი დანტე ალიგიერი (1265-1321), რომელიც ევროპული რენესანსის წინამორბედად და შუა საუკუნეების ერთ-ერთ უდიდეს ავტორად ითვლება.

ოქსფორდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი) დაარსდა 1096-1167 წლებში. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შორის არიან დიდი ბრიტანეთის 26 ყოფილი მინისტრი, 20 არქიეპისკოპოსი, 12 წმინდანი, ნობელის პრემიის 29 ლაურეატი. ოქსფორდის უნივერსიტეტი პრესტიჟულობა მისი სიძველითაცაა განპირობებული. უნივერსიტეტის დაარსების ზუსტი თარიღი უცნობია, მაგრამ არსებობს მტკიცებულება, რომ 1096 უკვე მიმდინარეობდა სწავლება. უნივერსიტეტის სტუდენტების რაოდენობა დაახლოებით ოცდაორი ათასია და ყოველ წელს მატულობს. მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგში ოქსფორდის უნივერსიტეტი ერთ-ერთი გამორჩეულია.

სალამანკას უნივერსიტეტი (ესპანეთი) დაარსდა 1134 წელს, 1218 წლიდან სამეფო ქარტიის ქვეშ არსებობს. ვალენსიის უნივერსიტეტის შემდეგ, რომელიც ესპანეთში აღარ ფუნქციონირებს, სიძველით მეორე უნივერსიტეტია. სალამანკას უნივერსიტეტი პირველი

სასწავლო დაწესებულებაა, რომელსაც უნივერსიტეტის სტატუსი მიენიჭა. აქ 30 000 სტუდენტი სწავლობს და 9 კამპუსი ფუნქციონირებს. სალამანკას უნივერსიტეტში სწავლობდა ესპანური აღორძინების ყველაზე დიდი წარმომადგენელი, თანამედროვე ევროპული რომანის ფუძემდებელი, დიდი ესპანელი მწერალი - მიგელ დე სერვანტესი საავედრა (1547-1616).

პარიზის უნივერსიტეტი - სორბონა (პარიზი) დაარსდა 1160-1250 წლებში საფრანგეთის დედაქალაქში. ცნობილია, როგორც ევროპის ერთ-ერთი პირველი უნივერსიტეტი. საფრანგეთის რევოლუციის დროს, 1793-1896 წლებში, სწავლება შეჩერებული იყო. დღეს უნივერსიტეტი დაყოფილია 13 ავტონომიურ ინსტიტუტად და თითოეული მათგანი მაღალი რეპუტაციით სარგებლობს.

კემბრიჯის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი) დაარსდა 1209 წელს. იგი დააარსა ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა, რომელმაც პოლიტიკური კონფლიქტის გამო დატოვა ოქსფორდი. ინგლისურენოვან მსოფლიოში უნივერსიტეტი სიძველით მეორეა და ჩარიცხვის კრიტერიუმებითაც - ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შორის 81 ნობელის პრემიის ლაურეატია. ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტები ბევრი საერთო ტრადიციითა და ჯანსაღი კონკურენციით აგრძელებენ მოღვაწეობას. კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტთა რაოდენობა 18 000-ზე მეტია. აქ სწავლობდა ევროპული რომანტიზმის ყველაზე დიდი წარმომადგენელი, ინგლისელი პოეტი ჯორჯ გორდონ ბაირონი (1788-1824).

თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლების ძირითადი პრინციპია აღზრდა თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებული, მრავალმხრივი პროფესიონალისა, რომელსაც არ გაუჭირდება თანამედროვეობის მკაცრ მოთხოვნებთან შეჭიდება და აღმოაჩნდება კონკურენციის განსაკუთრებული უნარი. მატერიალურ ღირებულებებზე ორიენტირებულ საუკუნეში მნიშვნელოვანია, განათლება მატერიალური უზრუნველყოფის სერიოზულ ბაზისად იქცეს.

1.2. სწავლა-აღზრდის კონცეპტები საქართველოში

ძველი ბერძენი ისტორიკოსებისა და გეოგრაფოსების ჩანაწერები მოწმობს, რომ ანტიკურ საქართველოში იყო „აყვავებული ქალაქები“ შესანიშნავი საზოგადოებრივი შენობებით, „გიმნასიონებით“. ანტიკური განათლების გავრცელებასა და მეცნიერული

აზრის შემდგომ განვითარებაში დიდი როლი ითამაშა კოლხეთის უმაღლესმა რიტორიკულმა სკოლამ (III საუკუნის II ნახევარი).

კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა, იგივე კოლხეთის აკადემია, არსებობდა III-IV საუკუნეებში ფაზისის, ახლანდელი ფოთის მახლობლად და იყო ბერძნული სტილის საგანმანათლებლო სასწავლებელი. მის შესახებ არის ერთადერთი პირდაპირი ცნობა, რომელიც ეკუთვნის ანტიკური ხანის დიდ ბერძენ მოაზროვნეს, თემისტოსს (IV ს.). დაცულია თემისტოსის პროპედევტიკული ხასიათის ტექსტი, რომელშიც იგი სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდას რჩევა-დარიგებას აძლევს, თუ სად შეიძლება მიიღოს კარგი ფილოსოფიური და ორატორული განათლება. ახალგაზრდის მოსაზრებას, რომ მას განათლების მიღება არა პროვინციაში, არამედ რომელიმე ცნობილ ქალაქში სურს, თემისტოსი საკუთარი გამოცდილებით უპასუხებს. მისი აზრით, საფუძვლიანი ცოდნის მისაღებად განთქმულ ადგილებში გამგზავრება არ არის აუცილებელი, რადგან მეცნიერება ცნობილ ქალაქებსა თუ ადგილებში კი არ ცოცხლობს, არამედ მისი მატარებლები დიდი მეცნიერები და მოძღვრები არიან. აქედან გამომდინარე, თემისტოსი ამ ახალგაზრდას კაცს ურჩევს, რომ მჭევრმეტყველების ხელოვნებას ათენში კი არ დაეუფლოს, არამედ - ნაკლებად ცნობილ ადგილას, ფაზისის მახლობლად, კერძოდ, პონტოში. თვითონ თემისტოსიც, მისივე გადმოცემის თანახმად, ორატორული ხელოვნების მწვერვალებს სწორედ აქ დაუფლებია - ეს ადგილი ხომ არგონავტების სამიზნე იყო, ელინისტური კულტურის ზეგავლენითა და მუზათა დიად ტაძრად ცნობილი. თემისტოსის რჩევას მყარი საფუძველი ჰქონდა, რადგან გვიანანტიკური განათლების ამ ცენტრში მჭევრმეტყველების დიდი ხელოვნება არა მარტო მან, არამედ მამამისმა, ფილოსოფოსმა ევგენიოსმაც (III-IV სს.) შეისწავლა. ფილოსოფიის ისტორიაში ევგენიოსი არისტოტელეს მიმდევრად არის ცნობილი, მიუხედავად იმისა, რომ მას დიდი სიმპათია ჰქონდა პლატონის მოძღვრების მიმართაც. გვიანანტიკური აზროვნების მრავალი ცნობილი წარმომადგენლის მსგავსად, ევგენიოსიც ფიქრობდა, რომ პლატონსა და არისტოტელეს ნააზრევს შორის არსებითი განსხვავება არ იყო, მეტიც, არისტოტელემ პლატონის შეხედულებების სისტემატიზაცია შეძლო და მძაფრი კრიტიკისგან დაიცვა თავისი მასწავლებელი. თემისტოსმა მამამისის გზა განაგრძო. ფილოსოფიის ისტორიაში იგი არისტოტელეს ერთ-ერთ უდიდეს კომენტატორად არის მიჩნეული, რადგან სათავე დაუდო სტაგირელის ნაშრომთა ახსნა-განმარტებას პარაფრაზირების მეთოდით. ეს მეთოდი ისეთი ნაყოფიერი აღმოჩნდა, რომ მას

შუა საუკუნეების ლათინურენოვანი ფილოსოფიისა და თეოლოგიის მრავალი გამოჩენილი წარმომადგენელი (მაგალითად, ალბერტ დიდი, თომა აქვინელი და სხვ.) ანიჭებდა უპირატესობას [ირემამე, 2019:13-15].

თემისტიოსის ცნობებიდან ნათელი ხდება, რომ იმდროინდელი კოლხეთის ტერიტორიაზე არსებობდა სასწავლებელი, რომელიც ბერძნული საგანმანათლებლო კულტურის ზეგავლენის კვალს ატარებდა. სავარაუდოდ, აქ საგნები ბერძნულ აკადემიებში ცნობილი სასწავლო გეგმებითა და მეთოდოლოგიით ისწავლებოდა. დიდი ალბათობით, კოლხეთის აკადემიას ათენში პლატონური აკადემიის დახურვის შემდეგ (529 წ.), არც უარსებია. კოლხეთის აკადემია საქართველოში დიდი ფილოსოფიური კულტურის დამადასტურებელი პირველი ცენტრია [თემისტიოსი, 1961:50-54].

თემისტიოსი წერილში არ ასახელებს კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლის დამაარსებელს, თუმცა მას ბრძენსა და სათნოს უწოდებს. კოლხეთს თემისტიოსი იმ დროის მსოფლიოში კულტურულად ყველაზე დაწინაურებულ ელადას ადარებს. იმ დროს განათლების მიღება ათენშიც შეიძლებოდა, მაგრამ სპეციალიზებული რიტორიკული სკოლა მხოლოდ ჩვენში არსებობდა. ამ სასწავლებელში განუყოფელი იყო ფილოსოფია და მჭევრმეტყველება. თემისტიოსის მიხედვით, კოლხეთის უმაღლეს რიტორიკულ სკოლაში, მეზობელ ბარბაროსთა წესების შესაბამისად, ისართ ტყორცნა და (3)ოროლთ სროლა ან ჯირითი კი არ ისწავლებოდა, არამედ ამ სკოლის აღსაზრდელები რიტორიკულ ხელოვნებაში იწრთობოდნენ და ელინთა დღეობებზე ბრწყინავდნენ. ამ ცნობას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლის აღზრდილების ბერძნულ ენაში გაწვრთნილობასა და კლასიკურ ბერძნულ ლიტერატურაში საფუძვლიან განსწავლულობაზე მიუთითებს. რიტორიკულ სასწავლებელში იღებდნენ ბერძნული ენის მცოდნე ახალგაზრდებს, რაც გვაფიქრებინებს მოსამზადებელი სკოლის არსებობას(აც). თემისტიოსის ცნობიდან ისიც ჩანს, რომ კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა შინაარსითა და მიზანმიმართულებით ძველი ბერძნული და რომაული რიტორიკული სკოლებისგან დიდად არ განსხვავდებოდა და ცოდნის იმ მინიმუმის დაუფლებას მოითხოვდა, რაც ორატორისთვის, ციცერონისა და კვინტილიანეს შეხედულებით, იყო გათვალისწინებული. რომაული რიტორიკული სასწავლებლის მსგავსად, აქაც ასწავლიდნენ ლიტერატურას, ასტრონომიას, მუსიკას, მათემატიკას, ძირითადად კი - ფილოსოფიისა და სამართლის საფუძვლებს. რიტორიკულ

ხელოვნებას იმჟამინდელ კოლხიდაში პრაქტიკული გამოყენებაც ჰქონდა. აგათია სქოლასტიკოსის (536-582 წწ.) საისტორიო თხზულებაში დაცულია ცნობა კოლხი პოლიტიკური მოღვაწეების (აიეტი, ფარტაძი და სხვ.) ბრწყინვალე ორატორული გამოსვლების შესახებ. ცხადია, ეს ცოდნა მათ თანმიმდევრული და საფუძვლიანი სწავლით მიიღეს [ფხალაძე, 2018 (ელ. რესურსი)].

IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას მოჰყვა ეკლესიებთან სკოლების გახსნა, მაგრამ მალე დამპყრობთა შემოსევებმა, განსაკუთრებით კი - არაბთა ბატონობამ, დიდი ხნით შეაფერხა ქართული კულტურისა და, შესაბამისად, სწავლების სისტემის განვითარება.

განათლების აღორძინება დაიწყო XI-XII საუკუნეებში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ხანაში. შეიქმნა მეცნიერებისა და განათლების ისეთი კერები, როგორებიც იყო **გელათის, იყალთოს, გრემის** აკადემიები. ამ დიდი საქმის მოსამზადებელი საფეხურები იყო ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერები საქართველოს საზღვრებს გარეთ: **ათონის ივერთა** მონასტერი საბერძნეთში, **პეტრიწონის** მონასტერი ბულგარეთში, მონასტრები შავ, სინას მთაზე, ჯვრის მონასტერი პალესტინაში და სხვა. XIII საუკუნიდან ჯერ მონღოლთა ბატონობამ, ხოლო შემდეგ ირანისა და ოსმალეთის გაუთავებელმა შემოსევებმა ისევ საგრძნობლად დააქვეითა კულტურისა და განათლების განვითარება.

სადისერტაციო ნაშრომის წინამდებარე პარაგრაფზე მუშაობისას ხელთ გვექონდა ძველი გამოცემა, რარიტეტად ქცეული კვლევა - „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ 1937 წელს გამოცემული (დ. გვაზავას, გ. ლომინაძისა და ლ. ციხისთავის რედაქტორობით). სხვადასხვა ავტორი იკვლევს აღზრდის კონცეპტებს საქართველოში, კვლევა მე-11 საუკუნიდან, კერძოდ, გიორგი ათონელის მოღვაწეობიდან იწყება.

ათონის სალიტერატურო სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის ცხოვრების გზის, ბიოგრაფიული დეტალების კვალდაკვალ ზუსტად იკითხება ეპოქისათვის დამახასიათებელი აღზრდის მოდელი. დიდაქტიკური ხაზი აქ საკმაოდ ღრმად და საინტერესოდ არის გამოკვეთილი.

ნ. ბერძენიშვილს ეკუთვნის წერილი „მასალები მეთერთმეტე საუკუნეში სწავლა-აღზრდის შესახებ (გიორგი ათონელის ბიოგრაფიის მიხედვით)“. ძველი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ეპოქალური გამოვლინება - ათონის

სალიტერატურო სკოლა ქრონოლოგიურად ორი საუკუნის მიჯნაზე დგას - მე-10 საუკუნის 80-იან წლებში დაარსდა და მე-11 საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებამდე აღწევს დაახლოებით.

ათონის სკოლის სახელმძღვანელო იდეები მეათე საუკუნის საზოგადოებრივ ურთიერთობაში არის უმთავრესად მომწიფებული და ამ იდეების უდიდესი განმახორციელებლები (იოანე-თორნიკე, არსენი, იოანე და ეფთიმე) ან მთლიანად მეათე საუკუნის მოღვაწეები არიან, ან კიდევ - ნაწილობრივ (ეფთვიმე/ექვთიმე). ათონის სკოლა ასი წლის მანძილზე ვითარდებოდა და დასაწყისში ის იგივე არაა, რაც მის დასასრულს, მაგრამ მთავარ ხაზებში ის ერთი მთლიანი რჩება [ბერძენიშვილი, 1937:5].

გიორგი ათონელი (1009-1065) ქართველი პროზაიკოსი, მთარგმნელი, საეკლესიო მოღვაწე, ათონის სალიტერატურო სკოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია, რომელმაც განაგრძო ექვთიმე ათონელის საქმე - ბიზანტიური მწერლობის ქართულად თარგმნა, თუმცა სტილი შეცვალა - თარგმანი ზუსტად შეესაბამებოდა დედანს. დაიბადა თრიალეთში 1009 წელს. 7 წლისა ხახულის მონასტერში გადაიყვანეს, შემდეგ კონსტანტინოპოლში სწავლობდა. სამშობლოში დაბრუნებული ხახულის მონასტერში აღიკვეცა ბერად. მალე შავ მთაზე დაემოწაფა ქართველ ბერს, გიორგი შეყენებულს და 3 წელი იქვე, რომანწმინდას მონასტერში ცხოვრობდა. 30 წლისამ იერუსალიმის წმინდა ადგილები მოილოცა და, თავისი მოძღვრის შეგონებით, 1040 წელს, ათონზე მივიდა. იყო მონასტრის წინამძღვარი, თუმცა 1056 წელს წინამძღოლობას თავი დაანება, ანტიოქიაში დამკვიდრდა და ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა. 1057 წელს გიორგიმ ანტიოქიაში პატრიარქ თეოდოსის წინაშე დაიცვა ქართველთა საეკლესიო დამოუკიდებლობა. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა დაწვრილებით აღწერა მისმა მოსწავლემ - გიორგი მცირემ (ხუცესმონაზონმა). 1060 წელს ბაგრატ IV-ის მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა და მეფეს შეეწია საეკლესიო საქმეთა მოწესრიგებაში. გარდაიცვალა კონსტანტინოპოლში 1065 წელს. გიორგიმ დიდი ღვაწლი დასდო სამონასტრო და საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებას, როგორც ათონზე, ისე საქართველოში. შეაკეთა ათონის მონასტერი, აღნუსხა ქართველ მოღვაწეთა საქმეები, შექმნა ქართული სამონასტრო კოლონიის ისტორია და აღწერა მონასტრის მაშენებელთა ცხოვრება. სიკვდილის წინ გიორგის საქართველოდან ათონზე 80 ობოლი ბავშვი მიჰყავდა აღსაზრდელად და ათონის ქართველთა ძმობის განსამტკიცებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი გზაში გარდაიცვალა.

მოტირალ ბავშვთა სამგლოვიარო პროცესიამ აასვენა მისი ცხედარი კონსტანტინოპოლიდან ათონზე [ფაღავა, 2011 (ელ. რესურსი)].

ათონელის ბიოგრაფია შექმნილია გიორგი შეყენებულის (სვიმეონ წმინდელის) დაკვეთით, იგი წარმართავდა საეკლესიო საქმიანობას საზღვარგარეთ მდებარე ქართულ ცენტრებში. როგორც აღვნიშნეთ, სწორედ მისი დაჟინებული მოთხოვნით დაუწყო მოღვაწეობა ათონის მთაზე გიორგი მთაწმინდელსაც, რომლის „ცხოვრების“ მიხედვით შესაძლოა, სრული წარმოდგენა შევიქმნათ იმდროინდელი სწავლების ძირითად ტენდენციებზე. წმინდანთა ბიოგრაფიები იმიტომ უნდა დაიწეროს, რომ „ბამვად სათნოებათა მათთა წარვემატებოდეთ.“ პირადი მაგალითის ძალა აღზრდის ქრისტიანულ კონცეპტებშიც უმნიშვნელოვანესია. ბიოგრაფი აღწერს თავისი მასწავლებლის ცხოვრებას „შემდგომად ნათესავთა საწურთელად და გულისხმის საყოფელად“, ისევე, როგორც თვით გიორგიმ აღწერა ექვთიმეს ცხოვრება „სახედ და ხატად სათნოებისა მომავალთა ნათესავთათვის“. წერენ სრულიად გარკვეული მიზნით - ჩამომავლობის აღსაზრდელად („საწურთელად“) და გასანათლებლად („გულისხმის საყოფელად“). ასეთი თხზულება არის **სასწავლო** წიგნი. ეს მიზნები (პედაგოგიური) გარკვეულ სახეს აძლევდა თხზულებას: „სწერდნენ არა ყოველივეს, რაც იცოდენ (ვთქვათ, გიორგის შესახებ), არამედ იმას, რაც იყო „შუენიერებად აღწერისა“ [ბერძენიშვილი, 1937:9].

შვიდი წლის ასაკში გიორგი მშობლებისთვის მოუშორებიათ და აღსაზრდელად მონასტერში (ტაძრისში) მიუბარებიათ. როგორც ჩანს, ამ ასაკიდან იწყებოდა განსაკუთრებული ზრუნვა სულიერ განვითარებაზე, ბავშვის აღზრდა ოჯახის გარეთ ამისთვის საუკეთესო პირობად ითვლებოდა. აღსაზრდელს ბუნებრივი „სიკეთეც“, ხასიათიც უნდა დაჰყოლოდა, მაგრამ ამასთანავე ბევრი რამ უნდა ესწავლებინათ მისთვის. საღვთო წერილის შეთვისება აუცილებელი მოთხოვნა იყო. ბიოგრაფოსი განაგრძობს: „აქა სრულ ეყო სამცხესა ზრდილობისა მისისათვის სიტყუა და მერმე მოვიცვალო გონებითა და ხახულის მისვლისა და სწავლისა მისისა და ვთქუა თუ სრულიად განათლებისა მისისათვის ყოველივე სულ მცირედ და მოკლედ მოგითხრა“...

ყრმა **იზრდება**, **ჭაბუკი სწავლობს** და **კაცი განათლდება სრულად** - აქ სწავლა-აღზრდის სამი საფეხურია თითქოს წარმოდგენილი: ყრმობის, როცა მთავარი ყურადღება **აღზრდას** (ბუნებრივსა და ხელოვნურს, „კეთილად აღზრდას“) ექცევა, შემდეგ, **ჭაბუკობის**

ქამს, მთავარი ყურადღება სწავლაზე გადაინაცვლებს, რის შემდეგ და შედეგად ადამიანი „სრულად განათლება“ [ბერძენიშვილი, 1937:9].

ხახულის მონასტერში ცხრაწლიანი წვრთნის შემდეგ, დაახლოებით 1021 წელს, გიორგი, თავის ბიძა გიორგი მწერალთან ერთად, კონსტანტინოპოლშია, ფერის ჯოჯიკის ძის მეუღლე მარიამს ახლავს თან. ამ ქალბატონმა და გიორგი მწერალმა „სასწავლოდ მისცეს ყრმა იგი გიორგი კაცთა ფილოსოფოსთა და რიტორთა, ორთავე ცხოვრებითა შემკობილთა“ არა ერისკაცთა, არამედ მონაზონთა და ღვთის მოშიშთა და ყოველთა მიერ წამებულთა“ (ცნობილთა). გიორგი ყრმა ბერძნებთან ერთად სწავლობს სკოლაში და ყველასაგან გამოირჩევა „გულსმოდგინებითა“ და მიზანსწრაფულობით, კონსტანტინეპოლის სკოლაში თორმეტი წელი ისწავლა. ახლა მთავარი იყო სწორი მოძღვრების სწორად შეთვისება. 25 წლის ასაკში გიორგი მონაზვნად აღიკვეცა ხახულის მონასტერში, მერე საზღვარგარეთ წავიდა, მაგრამ სწავლა არასდროს შეუწყვეტია.

გიორგი ათონელის მიერ თარგმნილ წიგნთა მხოლოდ ჩამონათვალიც კი ნათელს ჰგენს მისი მოღვაწეობის განუზომელ მნიშვნელობას: დიდი სვინაქსარი, საწელიწადო გამოკრებული, პავლენი სრული, პავლენი გამოკრებული, საწელიწადო, თვენი, სადღესასწაულო, წიგნი ექვსთა დღეთა ბასილი დიდისა, დავითნი, დიდი პარაკლიტონი, დიდი მარხვანი, ზატიკი, დაბადების თარგმანება იოანე ოქროპირისა, მეექვსე კრების ძეგლისწერა, წიგნი გრიგოლ ნოსელისა და სხვანი.

„ცხოვრების“ მიხედვით, ბერძენი მეფე/ ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინე დუკა, ეუბნება გიორგის: „პატიოსანო მამაო, მე კაცი ვარ: სამხედროთა საქმეთა შინა აღზრდილი და ვერ წულილად მეცნიერ ვარ ყოველსა (საეკლესიო და სასულიერო) საკითხებში“, რაც ადასტურებს აღზრდის ორგვარობას:

- 1) სასულიერო-საეკლესიოს;
- 2) საერო-სამხედროს.

ადამიანის ცხოვრება შემდეგ ეტაპებად იყოფა:

- 1) ჰასაკი ჩჩვილი (შვიდ წლამდე);
- 2) ჰასაკი ყრმა;
- 3) ჰასაკი ჭაბუკი;
- 4) ჰასაკი სრული;

- 5) ჰასაკი განმწყობელი;
- 6) ჰასაკი მოხუცებული.

სასწავლო ასაკია პირველი სამი, 50 წელი სიბერედ არ ითვლება [ბერძენიშვილი, 1937:22]

ათონის ლიტერატურული სკოლის მიერ შესრულებული დიდძალი სამუშაო, საღვთო და სასულიერო ლიტერატურის ინტენსიური თარგმნა, გადაწერა საფუძვლად დაედო ქართულ ინტელექტუალურ და საღვთისმეტყველო საგანძურს, რომელიც შემდეგ საუკუნეებში კიდევ უფრო გამდიდრდა.

თანამედროვე ბულგარეთი შუა საუკუნეებში ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ბიზანტიაში მრავალი ქართველი მოღვაწეობდა, მათ შორის იყო სახელმოხვეჭილი სარდალი გრიგოლ ბაკურიანის ძე. გრიგოლმა 1083 წელს ბულგარეთის სოფელ პეტრიწონში ააშენა მონასტერი ქართველი ბერებისათვის და იქვე დააარსა სემინარია, ანუ სასულიერო სასწავლებელი, რათა ადგილობრივ აღეზარდათ მონასტრისათვის მომავალი ღვთისმსახურები. პეტრიწონში ჩამოყალიბდა ლიტერატურული სკოლა, რომლის ყველაზე სახელგანთქმული წარმომადგენელია იოანე პეტრიწი. ის სასულიერო სემინარიას 20 წელიწადი ედგა სათავეში.

პეტრიწონის სავანიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წმ. ნიკოლოზის ტაძარი, რომელშიც მოთავსებული იყო სასულიერო სემინარია; აქ ყრმები სწავლობდნენ ქართულ ენაზე და ემზადებოდნენ მღვდლის ხარისხისათვის, რომ პეტრიწონშივე დარჩენილიყვნენ მღვდელმსახურებად.

სამეცნიერო აკადემია პეტრიწონის სავანეში მოეწყო მას შემდეგ, რაც მის პირველ რექტორად დაინიშნა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე, რომელსაც სოფლის სახელი („პეტრიჩი“) პეტრიწი (ანუ პეტრიწონელი) ეწოდა. იოანე სწავლობდა მანგანის აკადემიაში, რომელიც იმ დროისათვის ბიზანტიური კულტურის ცენტრს წარმოადგენდა, იყო დიდი ფილოსოფოსების – მიქაელ ფსელოსისა და იოანე იტალოსის მოწაფე. კონსტანტინეპოლში იოანემ, თავის მასწავლებლებთან ერთად, ოფიციალური კონსერვატიული წრეების მიერ დევნა-შევიწროვება განიცადა, კონსტანტინეპოლიდან გააძევეს, ბულგარეთში, პეტრიწონის მონასტერში დამკვიდრდა და ოცი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კულტურის მსოფლიოში განთქმულ კერას. ეს წლები იოანესთვის სამწერლო-სამეცნიერო მოღვაწეობის საუკეთესო ხანა იყო.

იოანე პეტრიწს შექმნილი აქვს როგორც ორიგინალური შრომები, ისე - თარგმანები ფილოსოფიაში, ისტორიაში, ჰიმნოგრაფიაში, მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მონასტერში გახსნილი სემინარია მოსამზადებელი საფეხური იყო აკადემიაში სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად და ღვთისმსახურების შესასწავლად. პეტრიწის სემინარიაში ასწავლიდნენ გრამატიკას, რიტორიკას, დიალექტიკას, მუსიკას, ხატვას, ფილოსოფიას, საამკინძაო საქმეს (წიგნის აკინძვა, აწყობა) და სხვა. სემინარიის დამთავრების შემდეგ, ვინც მღვდლად ვერ ეკურთხებოდა, ერისკაცად რჩებოდა სამოქალაქო დაწესებულებასა ან სკოლებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საწარმოებლად. აქვე მზადდებოდა კადრები პეტრიწონის აკადემიაში სამეცნიერო მუშაობისთვის. სწავლობდნენ და იკვლევდნენ ფილოსოფიას, ისტორიას, გრამატიკას, ასტრონომიას, ბიბლიოგრაფიას, ჰაგიოგრაფიას, „პოიტიკასა“ და სხვა მეცნიერებებს.

პეტრიწონის სავანეს ჰქონდა საკუთარი ბიბლიოთეკა, საიდანაც დიდძალი ლიტერატურა გაიტანეს. ხელნაწერებიდან მხოლოდ თითო-ოროლაა აღწერილი. სავანეს აქვს მუზეუმიც, სადაც ინახება შეწირულობანი. გრიგოლ ბაკურიანისძის ტიპიკონის მიხედვით, აქ დღესაც დაცულია ჯვარი ვერცხლისა, სასარდლო, წითელთვლებიანი, ფერიცვალების დიდი მინანქრიანი ხატი, რამდენიმე ათეული ხის ხატი, ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმები, საცეცხლურები, ძვირფასი თვლებით შემკული ბერძნული სახარება და სხვა მრავალი საეკლესიო ნივთი. „ქართლის ცხოვრების“ უწყებით, მეფე დავით აღმაშენებელი უხვად სწყალობდა უცხოეთში არსებულ ქართულ სულიერ კერებს, მათ შორის, პეტრიწონის ქართულ მონასტერს. პეტრიწონის სავანე მე-15 საუკუნემდე ქართველთა ხელში იყო, შემდეგ სავანეში ჩვენი წინაპრების კვალი იკარგება.

1106 წელს მეფე დავით აღმაშენებელმა (1089-1125) გელათში შექმნა სალიტერატურო ცენტრი, გელათის აკადემია, სადაც, სხვა ფილოსოფოსებთან ერთად, უცხოეთიდან იოანე პეტრიწიც მოიწვია და გელათის აკადემიის რექტორად დანიშნა. იოანე პეტრიწს გელათში უთარგმნია „ოსიპოსის წიგნი ჰურიისა“. პეტრიწის თარგმანი შეიცავს ამ თხზულების მხოლოდ 15 წიგნს, 5 წიგნის თარგმანი კი დაკარგულია.

იოანე პეტრიწს ქართული გრამატიკის შედგენასაც მიაწერენ. ანტონ კათალიკოსი, მარი ბროსე და ალექსანდრე ცაგარელი მას გრამატიკოსად მოიხსენიებენ. ეს აზრი, ალბათ, იმას ემყარება, რომ იოანე პეტრიწს თავისი ორიგინალურ თხზულებაში („განმარტება“)

ვრცელი გრამატიკული მსჯელობა აქვს წარმოდგენილი [პეტრიწონის... (ელრესურსი)]. იოანე პეტრიწი შუა საუკუნეების გამორჩეული მოაზროვნე და ფილოსოფოსი, ინტელექტუალია. მისი ფილოსოფიური კონცეპტებიდან ამოიზარდა ჩვენი ლიტერატურის ცენტრალური ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი“, რომელზეც გარკვეული ზეგავლენა მოახდინა პეტრიწის სტილმაც. მოაზროვნის შრომების ღირებულებას ზრდის ზუსტი სამეცნიერო ენა. პეტრიწის სტილზე დიდი გავლენა მოუხდენია ბერძნულ ენას, განსაკუთრებით, სიტყვაწარმოებისა და სინტაქსის თვალსაზრისით. ფილოსოფოსის ენა გამოირჩევა ჩვეულებრივი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ცოცხალი ფორმებითა და არა სტატიკური, მხოლოდ მწიგნობრული ლექსიკით, რაც ზეპირი ლექციების დიდი გამოცდილებითაც უნდა იყოს გამოწვეული. იოანე პეტრიწი ორატორული ნიჭითაც გამოირჩეოდა. ელინოფილი მწერლებისაგან განსხვავებით, პეტრიწის ენა პოეტურობითაც არის დაღდასმული. ამ საკითხებზე განსაკუთრებული პროფესიონალიზმით წერს პროფესორი დამანა მელიქიშვილი. ჯერ კიდევ 1975 წელს გამოცემული წიგნი - „იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი“- შეივსო და ახალი მონოგრაფიის - „იოანე პეტრიწის ენა და სტილი (იოანე პეტრიწი და ქართული სამეცნიერო-მწიგნობრული ენის განვითარების გზები)“ სახით 2002 წელს დაიბეჭდა.

იყალთოს აკადემია XI-XII საუკუნეებში საქართველოში უმაღლესი სასწავლებელი იყო, რასაც ადასტურებს მონასტრის ეზოში შემორჩენილი შენობის ნანგრევები, რომლებიც საერო დანიშნულების ნაგებობას უფრო ჰგავს, ვიდრე სამონასტროსი. ნანგრევებში ჩანს კათედრის ფუძე, დამახასიათებელი თახჩა-ფანჯრები. შენობა მონუმენტური უნდა ყოფილიყო, გელათის აკადემიის შენობის მსგავსი, იმ განსხვავებით, რომ იყალთოს აკადემიის შენობა ორსართულიანია. იყალთოს აკადემიის პირველი რექტორი იყო არსენ იყალთოელი, რომელიც აქ გელათიდან გადმოსულა. იყალთოს აკადემიაში ეუფლებოდნენ ღვთისმეტყველებას, რიტორიკას, ასტრონომიას, ფილოსოფიას, გეოგრაფიას, გეომეტრიას, გალობას და სხვა. აღნიშნული თეორიული კურსების გარდა, მოსწავლეები სწავლობდნენ ლიტონის დამუშავებას, კერამიკულ წარმოებას, მევენახეობა-მელვინეობას, ფარმაკოლოგიას და სხვა. გადმოცემით ცნობილია, რომ იყალთოს აკადემიამ ფუნქციონირება 1616 წელს შეწყვიტა, როდესაც შაჰ-აბასის შემოსევისას მონასტერი დაიწვა.

იყალთოს აკადემიაში ფართოდ იყო გაშლილი მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობა. ბერძნულიდან ითარგმნებოდა მრავალი მნიშვნელოვანი თხზულება,

მრავლდებოდა ხელნაწერები, იქმნებოდა ძვირფასი ნუსხები. სწორედ სამშობლოში მოღვაწეობის პერიოდში იყალთოს აკადემიის ფუძემდებელმა და პირველმა რექტორმა არსენ იყალთოელმა თარგმნა ისეთი მნიშვნელოვანი თხზულება, როგორცაა „დიდი სჯულის კანონი“ [იყალთოს... (ელ. რესუსრი)]. ზეპირი გადმოცემის თანახმად, იყალთოს აკადემიას უკავშირდება სახელი შოთა რუსთაველისა, რომელმაც ბრწყინვალე განათლება მიიღო ჯერ საქართველოში, იყალთოს აკადემიაში, შემდეგ - საბერძნეთში (წყაროებითა და ფაქტებით ამის დადასტურება, სამწუხაროდ, შეუძლებელია); შეისწავლა ბერძნული, არაბული და სპარსული ენები, იცნობდა არა მარტო ქართველ მოაზროვნეთა ნაშრომებს, არამედ - ანტიკურ ფილოსოფიას, ემპედოკლეს, ჰერაკლიტეს, პლატონის ნაშრომებს, აღმოსავლურ ლიტერატურას (ფირდოუსი, გურგანი, ნიზამი და სხვა). ყოველივე ეს, აგრეთვე, პოეტის განსწავლულობა ასტრონომიაში, ასტროლოგიაში, გეოგრაფიაში, მედიცინაში, ფილოსოფიაში, სამართალში, ისტორიაში, სამხედრო საქმეში და სხვა, ასახულია მის პოემაში. „ვეფხისტყაოსნის“ ახლო შესწავლა არ სტოვებს არავითარ ეჭვს, რომ შოთამ კარგად იცოდა აღმოსავლეთის კულტურული ენები - სპარსული და არაბული. პოემის ცალკეულ ადგილებში, კერძოდ, საკუთარ სახელებში, ხაზგასმულია მათი არაბულ-სპარსული მნიშვნელობის ეტიმოლოგიური ნიუანსები. ამასვე ცხადჰყოფს პოემაში მიღებული ლექსიკური ქართულ-სპარსული და ქართულ-არაბული პარალელიზმები [ინგოროყვა, 2016: 259].

პროფესორი სიმონ ჯანაშია ჩვენ მიერ რარიტეტად შერაცხულ კრებულში წარმოდგენილ წერილში - „შეხედულება ფეოდალურ აღზრდისა და განათლების შესახებ და მათი წესები XVII საუკუნის საქართველოში“ - საუბრობს ახალ საგანამანათლებლო მიდგომებზე ჩვენი ისტორიისთვის საკმაოდ მძიმე პერიოდში. სიმონ ჯანაშიას აზრით, ამ საკითხზე სამსჯელოდ მოგვეპოვება ლექსად დაწერილი ტრაქტატი **მეფე არჩილისა „საქართველოს ზნეობანი“**. არჩილ ბაგრატიონი (1647-1713) არა მხოლოდ ტრაგიკული მეფობით, არამედ შემოქმედებით, სამწერლო და კულტურული მოღვაწეობით, კულტურტრეგერობით გამორჩეული პერსონალია, დრამატული ეპოქის ღვიძლი შვილი. „სუსტი, როგორც პოეზიის ნაწარმოები, ეს თხზულება არსებითად ძვირფასს ცნობებს შეიცავს, და ამ მხრივ მისი მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ იგი გამოწვეული ყოფილა ასეთი სახელმძღვანელო წიგნის არსებობის რეალური საჭიროებით. ამის შესახებ თვით ავტორი მოგვითხრობს თავისი თხზულების ბოლოში:

ბევრი კაცი იმიზეზებს, არა მყონდა მომვლელიო,

ზნეობა რომ დამესწავლა, ხარისხ-ხარისხ ამვლელიო,

ახლა რაღა პასუხი გაქვსთ, აი, თქვენი მსწავლელიო“ [ჯანაშია, 1937:23]

ავტორი თავისი თხზულების საგანს ორ დიდ ჯგუფად ჰყოფს - საღვთო და სამხედრო, ანუ საერო ზნეობად. სწორად გაზრდილი ქართველი, არჩილ მეორის აზრით, უნდა საზრდოობდეს საერო ცხოვრების წესებით, რასაც თავად „ზნეობა სამკვიდროს“ უწოდებს, ამ წესების გარეშე კაცი ვერ იქნება თანადროული ფეოდალური საზოგადოების ღირსეული, სრულფასოვანი წევრი, წესთა უცოდინრობა უზრდელობასა და უწვრთნელობას ნიშნავს, გათვალისწინება კი, პირიქით - ზნეობის სრულყოფას, იდეალთან მიახლოებას. „სამკვიდრო“ ზნეობას არჩილი, თავის მხრივ, ჯგუფებად ჰყოფს: ზნეობა მშვებლისა, მოვაგლახარისა, ლაშქრობის, ნადირობის, საქციელისა და სამსახურის წესები.

„მშვებლის ზნეობად“ უნდა ვიგულისხმოთ ქცევანი, როცა დღიური შრომისაგან დაღლილი ადამიანი ისვენებს, ერთობა. ქართველი ფეოდალი თავისუფალ დროს სხვადასხვა თამაშობასა (ასპარეზობა, ტანთვარჯიშობა, ანუ ფუნდრუკი, საბას ტერმინოლოგიით, „მღერა“ ანუ ყუმარი) და ლხინში ატარებდა. ამავე ჯგუფს ეკუთვნის, თავისი ხასიათით, ნადირობა, მაგრამ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა და არჩილსაც ცალკე აქვს განხილული. თამაშობის, განსაკუთრებით ასპარეზობის დროს ფეოდალი, მომავალი მეომარი, სწავლობდა სამხედრო უნარებს: იარაღის ტარებას, ცხენზე ჯდომას, სიცქვიტესა და სიმარჯვეს, ივითარებდა სხეულს. ამიტომაც მოითხოვს არჩილი ყველამ იცოდეს ხელბურთობა და ჯირითი, მიზანში სროლა, თამაშები, რომლებითაც ცხენზე ამხედრებული ფეოდალები ერთობოდნენ. არჩილი ახსენებს თოფსაც, რომელიც იმ დროს ახალშემოსული იყო. ცალკე კატეგორიას, გონებრივი ხასიათის გართობას მიეკუთვნება ჭადრაკი, „ნარდის მღერა“, „სხვა რაც რამა ყუმარი“. თავისი წესები ჰქონდა სუფრას, სტუმარსაც და მასპინძლებსაც გარკვეული წესრიგი, ადათები უნდა დაეცვათ, მათი ზნეობა აქაც გამოჩნდებოდა. მოვაგლახარისთვის, ჭირისუფლისთვის, მეფის თქმით, ზედმეტი გლოვა, მოთქმა-ტირილი და გადამეტებული მარხვა, რომელიც ზოგჯერ ერთ წელიწადს გრძელდება, მიუღებელია.

იმ დროს, როცა საქართველო ერთ მუდმივ სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სამხედრო გაწვრთნას, გამოცდილებას, მუდმივ მზაობას, ერთი მხრივ, გარეშე მტერთან დასაპირისპირებლად, მეორე მხრივ, კლასობრივი წინააღმდეგობის დასაძლევად. ამისთვის საუკეთესო საშუალება იყო ნადირობა, რომელსაც ფეოდალი გართობის მიზნით მიეცემოდა, მაგრამ გარკვეული უნარების შესაძენადაც ნაყოფიერ ასპარეზად გამოდგებოდა. მონადირესა და მოლაშქრეს უნდა სცოდნოდა მეჭინბობა, ჯინიბის, ანუ მარქაფა ცხენის მოვლაცა და ტარებაც, სხვადასხვა იარაღის ოსტატური ხმარება. ეს საქმე სარდლობას, გარკვეულ ორგანიზებასა და მუდმივ სიფხიზლეს, სწრაფ გადაწყვეტილებებს მოითხოვდა, რაც ომის დროს ორმაგად აუცილებელი იყო. სწორედ ამიტომ ნადირობას ძველ საქართველოში არა მხოლოდ რიტუალისა ან გართობის, დროსტარების, არამედ მომავალი და მოქმედი მოლაშქრის გაწვრთნის, მომზადების, ფორმის შენარჩუნების ფუნქცია ჰქონდა.

მეფე-პოეტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ერთად ცხოვრებისა და, საკუთრივ, ზრდილობის წესებზე, ყველაზე ხშირად იყენებს ტერმინს საქციელი, იშვიათად - ზრდილობას. ეს წესები ორ ჯგუფად იყოფა: კარგი საქციელი და ავსაქციელი, ავსაქციელი მარტვილი. ცალკე არის ჩამოყალიბებული ბატონისა და ყმის ურთიერთობა, სოციუმის წევრების მოვალეობები და საზოგადოებაში მოქცევის, თავის დაჭერის ზოგადი წესები, რომლებიც ყველასთვის სავალდებულოა. საქციელს არჩილის გეგმაში სამსახური მოსდევს. იმდროინდელ ქართველს მეფისა და პატრონის წინაშე არაერთი ვალდებულება აწვა, რომლის შესრულებაც, სიმარდესა და სისწრაფესთან, მღვიმარებასთან ერთად, ცოდნას, განსწავლულობას მოითხოვდა - მრჩევლობაც უნდა შეძლებოდა და მოციქულობაც და, როცა საქმე მოითხოვდა, დარბაზობის წესის ასრულება, სასამართლო საქმეებში გარკვევა, ბჭობა, სიმართლის საქმის ქმნა. ამისთვის აუცილებელი იყო მწიგნობრობის - როგორც ხუცურის, ასევე მხედრულის, ასევე უცხო ენისა და წიგნების ცოდნაც. საერთო განვითარებისათვის არჩილისთვის საკმარისი არ არის გონების წვრთნა, აუცილებელია ესთეტიკური განათლებაც: „სიმღერა და დასდებელი“, მუსიკა, სხვადასხვა ცეკვა. მნიშვნელოვანია მეურნეობა, მიწის დამუშავება, მოსავლის მოყვანა. სათნოებებს შორის ერთ-ერთ უმთავრესად პურადობა და გაცემა, საიდუმლოს შენახვა მიაჩნია.

ამის შემდეგ გადადის იგი საღმრთო ზნეობაზე. ყოველგვარი სათნოების საფუძვლად არჩილს სიბრძნე მიაჩნია, ამ სიტყვას იგი იყენებს ვიწრო მნიშვნელობით,

ღვთისმსახურებისა თუ სასულიერო განათლების აღსანიშნავად. თავისი დროის ზნეობრივ დაცემას იგი ამგვარი სიბრძნის დეფიციტით ხსნის. არჩილი მოუწოდებს ყველას დაუფლებისაკენ იმ სიბრძნისა, რომლის სმა „კეშვით არ კმარა“ [ჯანაშია, 1937:30-32].

„საქართველოს ზნეობანი“ თანადროული საქართველოს შესახებ მოგვითხრობს, სრული წარმოდგენა გვიჩნდება საზოგადოების სხვადასხვა ფენასა და ინტერესებზე, საქმიანობაზე, სოციუმში არსებულ ურთიერთობებსა და ცხოვრების წესზე. მართალია, მეფე-პოეტი, უმთავრესად, ფეოდალისთვის სავალდებულო ზნეობაზე, აღზრდაზე საუბრობს, მაგრამ წესები მთელ საზოგადოებას, მის ყველა წევრს მიემართება. რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, ავტორის თქმით, ეს წმინდა ქართული ზნეობაა და მას სხვა ქვეყნებთან არავითარი კავშირი არ აქვს. საყურადღებოა ისიც, რომ „საქართველოს ზნეობანი“ არის ამ ტიპის პირველი თხზულება ქართულ ლიტერატურაში, რაც არჩილ მეორე ბაგრატიონის კულტურტრეგერულ დიაპაზონს კიდევ უფრო აფართოებს.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან შედარებით ნორმალური პირობები იქმნება საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისთვის. XVIII საუკუნეში განათლება ხელისუფლების საქმედ იქცა, რამაც სათანადო შედეგი გამოიღო - 1755 წელს გაიხსნა თბილისის, 1782 წელს კი - თელავის სემინარია, ითარგმნა და შეიქმნა სახელმძღვანელოები. აქვე აღვნიშნავთ, რომ პირველი ქართული სახელმძღვანელო ტფილისის სტამბაში 1711 წელს დაიბეჭდა. წიგნის თავფურცელი ამგვარად იკითხება: სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა: აწ დაბეჭდული ქართულსა ენასა ზედა: ჟამსა მეფობისა უ[ფლ]ისა ქაიხოსროსა და შრომითა: გამგებლისა მისისა: უ[ფლ]ისა უ[ფლ]ისა ვახტანგისა: შემოკლებით თქმული და გარიგებული გერმანე მღვდელ მონაზონისაგან; ხელითა მიხაილ სტეფანეს ძისა უნგროვლახელისათა ქალაქსა ტფილისისასა...

წიგნის შინაარსი კითხვა-მიგების სახით დაწერილი საქრისტიანო მოძღვრებაა. სახელმძღვანელოდ შეიძლება მივიჩნიოთ ვახტანგისავე სტამბაში 1721 წელს დაბეჭდილი წიგნი, რომელიც პირველ მეცნიერულ გამოცემად ითვლება საქართველოში. ეს არის თავად ვახტანგ მეექვსის მიერ სპარსულიდან თარგმნილი კოსმოგრაფიულ-გეოდეზიური წიგნი „აიათი ანუ ქმნულების ცოდნა“. ვახტანგის მიზანი იყო ქართველებში ზუსტი მეცნიერებისადმი სწრაფვა გაეძლიერებინა, აღმოეფხვრა ის დანაკლისი, რომელიც ჩვენი

ავბედითი ისტორიის გამო განათლების, ღრმა განსწავლულობის საშუალებას არ გვაძლევდა [შარაშიძე, 1937:37].

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საგანმანათლებლო პროცესებს რუსეთის იმპერია წარმართავს. არსდება კეთილშობილთა სასწავლებელი, სამრევლო სკოლა. 1855 წელს საქართველოში 150-მდე სასწავლებელი არსებობდა, მათ შორის, თბილისის პირველი გიმნაზია, ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია და სხვა. 1876 წელს გაიხსნა გორის საოსტატო სემინარია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის პედაგოგთა კადრების მომზადებაში.

ქართული პედაგოგიკის მამამთავარი იაკობ გოგებაშვილი მთელ თავის ძალასა და ენერგიას სახალხო განათლების საქმეს, მოზარდი თაობის აღზრდას ახმარდა. გოგებაშვილის კლასიკურ სახელმძღვანელოებზე - „დედა ენასა“ და „ბუნების კარზე“ - აღიზარდა მრავალი თაობა. იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, იყო ინიციატორი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, რომელიც არსებობის 40 წლის მანძილზე საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა. საზოგადოებამ და მისმა გამგეობამ დიდი მუშაობა ჩაატარა სახალხო სკოლების გასახსნელად არა მარტო საქართველოში, არამედ - საზღვრებს გარეთაც: ვლადიკავკაზში, ბაქოში, ნალჩიკსა და სხვაგან, ასევე - ახალი სახელმძღვანელოებისა და საბავშვო ლიტერატურის შესაქმნელად.

1914-15 სასწავლო წელს საქართველოში არსებობდა ერთკლასიანი (სწავლების ხანგრძლივობა - 3 წელი), ორკლასიანი დაწყებითი, უმაღლესი დაწყებითი და ქალთა ხუთწლიანი სასწავლებლები, სპეციალური სასწავლებლები, გიმნაზიები (მათ შორის, 2 ქართული: თბილისისა და ქუთაისის), პროგიმნაზიები, რეალური, სამასწავლებლო, სასულიერო, სამრევლო და სხვა სასწავლებლები. ერთი კერძო უმაღლესი სასწავლებელი - ქალთა უმაღლესი კურსები [განათლება... (ელ. ვერსია)].

1918 წელს ძალისხმევა დაგვირგვინდა პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებით, რაზეც ასწლეულების მანძილზე ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები. ზემოთქმული ადასტურებს, რომ, ჩვენი სამშობლოს მძიმე და სისხლიანი ისტორიის, გადახდილი ომების სიმრავლის მიუხედავად, ქართველმა ყოველთვის იცოდა განათლების, წიგნის ფასი და ურთულეს გეოპოლიტიკურ სივრცეშიც კი ყველაფერს აკეთებდა მომავალი თაობების

სწორად, ქრისტიანულად, ზნეობრივი პრინციპებით აღსაზრდელად; ყოველთვის იცოდა, რომ საკმარისი არ იყო ოდენ გონებრივი წვრთნა, მორალურ ღირებულებებს პლუს ესთეტიკური აღზრდა ერთიანობაში აყალიბებდა საზოგადოების სრულფასოვან წევრს, რომელიც ინახავდა და მომავალ თაობებსაც გადასცემდა ამ ცოდნას, გამოცდილებას. სწავლა-აღზრდის პრობლემები, დიდაქტიკური კონცეპტები აისახა მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაშიც.

პასაჟის დასასრულს, წარმოვადგენთ მოკლე ექსკურსს, როგორ აირეკლა საგანმანათლებლო დისკურსი ქართულ ლიტერატურაში. ზემოაღნიშნული, ცხადია, არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის თემას. მოზარდთა პირველი პორტრეტები, მოღწეულ ტექსტთაგან, აისახება „კოლაელ ყრმათა მარტვილობაში“; შუმანიკის შვილების პორტრეტები ჩვენამდე მოღწეულ პირველ ჰაგიოგრაფიულ ტექსტში (სავარაუდოდ, შვილები არცთუ პატარები არიან, რადგან დედა ვერ მიუტევებს მათ გამაზღვრებელი მამის მხარეს დგომას და „სახელიცა მათი სმაგდა სმენად“); „ათრვამეტი, გინაი უკნინეს, აჩვიდმეტის წლისა“, ანუ ნინველია ჰაზოც, რომლის სულიერი ზრდა, საბანისძის კონცეფციით, სარწმუნოების ნათელმა განსაზღვრა.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ჰაგიოგრაფიულ ტექსტში - „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი პასაჟები არსენისა და ეფრემის შესახებ - მათი განსაკუთრებული ღვაწლი (ერთი კათალიკოსი, მეორე კი - ეპისკოპოსი გახდა) განპირობებულია აღზრდის უაღრესად სწორი - სარწმუნოებრივი საფუძვლით - ყრმები იზრდებოდნენ წმინდა მამათა სავანეში, მათ სულიერ ზრდას წარმართავდნენ გრიგოლის უპირველესი მოწაფეები - საბა იშხნელი, თეოდორე, ქრისტეფორე. ღირსეულმა ყრმებმა, ათწლეულების შემდეგ, ღირსეულადვე დააგვირგვინეს აღმზრდელთა ძალისხმევა - „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“ [მერჩულე, 2010 (ელ.რესურსი)].

ზემოთ დაწვრილებით ვისაუბრეთ საუნივერსიტეტო განათლებაზე საქართველოში (გელათის, გრემის, იყალთოს აკადემიები) და საკითხზე ლიტერატურული დისკურსით აღარ შევჩერდებით. ჟამთააღმწერლისეული განმარტებით, „დიდი ღამის“ შემდეგ, ე.წ. „აღორძინების ხანაში“ (რომელიც, რასაკვირველია, არ ემთხვევა მსოფლიო აღორძინების ეპოქას) სწავლა-აღზრდის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს ხანძთელის

სულიერმა მემკვიდრეებმა - სულხან-საბა ორბელიანმა („სწავლანი“, „სიტყვის კონა“, უფლისწულის აღზრდის პასაჟი „სიბრძნე სიცრუისაში“), დავით გურამიშვილმა (პასაჟი „სწავლა მოსწავლეთა“ „დავითიანში“), რომელთა ძალისხმევა ამ მიმართულებით საფუძვლიანადაა შესწავლილი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

განმანათლებლობის ეპოქის გამორჩეულ ტექსტად ითვლება იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლაც“, რომლის არსებით თავისებურებას თხრობის განსხვავებული - ერთდროულად, ტრაგიკულ-გროტესკული სტილი წარმოადგენს. განმანათლებლობის ეპოქის საკულტო ტექსტად ითვლება, ასევე, არჩილის „საქართველოს ზნეობანი“, რომელშიც საკმაო სივრცე ეთმობა საგანმანათლებლო დისკურსს.

რომანტიზმის ეპოქის ტრაგიკული კოლიზიები ირეკლება ბარათაშვილის სასკოლო თავგადასავლებში. სოლომონ დოდაშვილის დიდებულ მოწაფეს რუსულენოვან გიმნაზიაში ქართული, იმპერიისაგან შეწყვეტილი საქმის მესვეურობა ეკისრება, რადგან, იმპერიის ძალისხმევით, „დიდნი კაცნი საქართველოსნი“ რუსეთს გადაუსახლებიათ და სასკოლო „ცვეტოკ ტიფლისსკოი გიმნაზიი“-და რჩება ეროვნული სულისკვეთების წარმოჩენისათვის ერთადერთ სივრცედ, რაც, რასაკვირველია, დაუსჯელად არ ჩაივლის - ისევე, როგორც ქართულად საუბარი ქუთაისის გიმნაზიაში - დაუვიწყარია აკაკის „ლინეიკით“ ცემის სცენა „ჩემს თავგადასავალში“ და იმპერიული „აღზრდის“ სხვა „მარგალიტები“ ამავე ტექსტში (მაგალითად, გასაროზგი წკეპლით დატვირთული ურმების ენიგმა), რომლის აზრობრივ-იდეურ გაგრძელებად აღიქმება დავით კლდიაშვილის მემუარებში („ჩემი ცხოვრების გზაზე“) აღწერილი ტრაგიკულ-კომიკური ისტორიები (ქართველებს რუსულენოვან სასწავლებლებში „ტატარჩუკებს“ ეძახიან), ისევე, როგორც ვასილ ბარნოვის უმძიმესი სასკოლო გამოცდილების ანარეკლი მოთხრობაში „ქოჩორა ხე“ (საღვთო სჯულის რუსი მასწავლებელი მეცამეტე საუკუნის სახარებას ბარნაველების სასულიერო საგვარეულოს მოზარდ მემკვიდრეს - მოთხრობის პერსონაჟის პროტოტიპს წაართმევს და ბუხარში შეუძახებს. მტერს აღიზიანებს ისტორია, ტრადიცია, სიძველე - ილიას თქმით, რუსის „აფიცრობა ბევრი მოდის ქართველთა გასანათლებლად“).

ილია სოსელოს „ივერიაში“ დაუბეჭდავს ცნობილ სტრიქონებს, „იხარე, ივერთ მხარეო, და შენც, ქართველო, სწავლითა სამშობლო გაახარეო“. იმპერია ილია ჭავჭავაძეს ტყვიით გაუმასპინძლდება, სოსელო კი მაოხარ მკვდრად მოევილინება „ივერთ მხარეს“,

რაზეც, რასაკვირველია, აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. რასაც, ჩვენი აზრით, საუკეთესოდ ირეკლავს გალაკტიონის სტრიქონები: „მოუნათლავი ბავშვები სკოლაში მიიჩქარიან.“ (ამ სტრიქონს ხშირად ციტირებს ცნობილი ლიტერატურათმცოდნე მკაა ჯოხაძე) და სინტაგმა „სკოლის მღვიმე“, რომელსაც გალაკტიონის გამოუქვეყნებელ ჩანაწერებში მიაკვლია ლევან ბრეგაძემ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მოზარდთა უმძიმეს სულიერ განცდებზე საოცარი სიმძაფრითა და სიზუსტით მოგვითხრობს ზაირა არსენიშვილი რომანში „ვა, სოფელო.“ გავიხსენებთ ერთადერთ დეტალს - ათიოდ წლის ბავშვი, ჩიკო, წერილს სწერს სტალინს, იბრალებს „იაპონიის აგენტობას“ (სწორედ ამ ბრალდებით დაუპატიმრეს მშობლები), გადასახლებული მამის მატარებულს ადევნებული, ატირებული პატარა რელსს დაჰკრავს თავს და იღუპება. თემის ერთგვარ გაგრძელებად შეიძლება აღვიქვათ რეზო ინანიშვილის ტრაგიკული ნარატივი „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“.

ზემოთ წარმოდგენილი მოკლე ექსკურსიც წარმოაჩენს, რომ ქართული ლიტერატურა დასაბამიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდა საგანმანათლებლო დისკურსს, ზოგადად, ყრმათა/მოზარდთა სახეებს, რომელთა ანალიზიც მკვლევართა თაობების ძალისხმევა დასჭირდება.

თავი II.

აღზრდის კონცეპტები XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში

2.1. პიროვნებად ჩამოყალიბების რეცეფცია-რეფლექსიები ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსში“
საბჭოთა ეპოქა, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურული კანონი ურთულეს, იმავდროულად, უნიკალურ გამოწვევებს უქმნიდა ქართულ ლიტერატურას, რადგან სახელმწიფო ცდილობდა ეკონტროლებინა მხატვრული აზროვნება. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ქართველი ავტორები განაგრძობდნენ ბავშვებისა და მოზარდებისთვის განკუთვნილი ლიტერატურის შექმნას. ამ პროცესებში იყო ჩართული ნოდარ დუმბაძეც, უცილობლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში საბჭოთა ცენზურა აღარ იყო ისეთი მკაცრი და დაუნდობელი, როგორც XX საუკუნის 30-40 იან წლებში.

როგორც მწერალი ჯანსუღ ღვინჯილია აღნიშნავს, „დიდი ტრადიციებისა და მდიდარი სალაროს მქონე ქართულ პროზაში ნოდარ დუმბაძე თავისი ქვეყნით, თავისი ხალხით, მანამდე უცნობი და განუმეორებელი სამყაროთი მოვიდა“ [ღვინჯილია, 1990:254]. ლიტერატურის მკვლევარი ავთანდილ ნიკოლეიშვილი წერს, რომ ნოდარ დუმბაძე 50-იან წლებში გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე და შემოქმედებითი მოღვაწეობის პირველივე წლებში მიიქცია ყურადღება, როგორც მხატვრული სიტყვის უაღრესად ნიჭიერმა ოსტატმა. მაგრამ მისი ლიტერატურული შესაძლებლობების სრულყოფილი გამოვლინება, არსებითად, მაინც 60-იანი წლების დამდეგიდან იწყება [ნიკოლეიშვილი, 2013:369].

ნოდარ დუმბაძე მეოცე საუკუნის სამოციანელებს ეკუთვნის, იმ თაობას, რომელმაც ტრადიციული სათქმელი ახალი ფორმით, ახლებურად მიიტანა მკითხველამდე. ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩენისთანავე, იგი ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობდა. „ქართველ მწერალთაგან იშვიათად თუ რგებია ვინმეს ისეთი პოპულარობა, როგორიც ნოდარ დუმბაძეს ხვდა წილად. ცხადია, აქ ჭეშმარიტ პოპულარობას ვგულისხმობ, მწერლის ნამდვილ ღირსებათა საყოველთაო აღიარებას რომ ნიშნავს“ [გვერწითელი, 2005:8].

ნოდარ დუმბაძემ წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ საბავშვო ლიტერატურაზეც. მის სამწერლობო ენაზე საუბრისას, არ შეიძლება იუმორის გრძნობა, განსაკუთრებული ღიმილი და დიალექტიზმები/გურიზმები არ აღინიშნოს. ნოდარ დუმბაძისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იუმორს, ეს გახლავთ ყველაზე დიდი იარაღი ამ ქვეყანაზე. ამ იარაღით ამარცხებს იგი ტკივილს, მწუხარებას, უბედურებას და თვით სიკვდილსაც კი. იგი იბრძვის ამ მასიური იარაღით და ყველაფერს ეგება ადამიანური ღირსების ამ უმთავრესი ნიშნით - ღიმილით. „იუმორია მისთვის შინაგანი გაჯანსაღების გზა, მისი ფრთები ირეკლავს ადამიანურ არსებობის ჟანგს და მოციმციმე, წმინდა რჩება ბოლომდე“ [ღვინჯილია, 1990:256]. მწერლის იუმორს მარტო მკითხველის გართობის ფუნქცია რომ არა აქვს, ამას არაერთი კრიტიკოსი აღნიშნავს: ნოდარ დუმბაძის იუმორს კიდევ სხვა დანიშნულებაც აკეთილშობილებს. „იგი ცრემლიანი ღიმილით მარტო თანაგრძნობას კი არ იწვევს, არამედ სიკეთის გამარჯვების ღრმა რწმენასაც გამოხატავს. აქ წარმოსახულ სამყაროში გმირებს ტრაგიკული ვითარების კვალად უფრო ზნეობრივი სიმახინჯის გამო დატრიალებულ დრამატულ სიტუაციებში უხდებათ საკუთარი სულის წრთობაც და სხვათა ვაჟკაცური თანადგომაც“ [გვერწითელი, 2005:17].

ნოდარ დუმბაძეს, სხვა თანადროულ პრობლემებთან ერთად, აინტერესებს მოზარდთა ყოფის სირთულეები, გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგანან ახალგაზრდები. წინამდებარე თავში განვიხილავთ ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მოთხრობას „HELLADOS“, რომელიც სასკოლო პროგრამაშია შეტანილი და რომელზეც თაობები აღიზარდა და იზრდება. „ნოდარ დუმბაძის ამ პატარა, ერთი შეხედვით, არც თუ დიდად მნიშვნელოვანი, მაგრამ უდიდესი პრობლემატიკით დატვირთული მოთხრობით იწყებენ ჩვენი ბავშვების მეშვიდე კლასის ასაკისათვის დამახასიათებელი თვითდამკვიდრების პრობლემის დანახვასა და გაანალიზებას“ [კობერიძე, 2021:8].

აქცენტს არა იმდენად მოზარდებს შორის თავის დამკვიდრებისათვის ბრძოლისას წარმოქმნილ კონფლიქტზე გავაკეთებთ, რამდენადაც სხვადასხვა ეროვნების ყმაწვილთა თანაარსებობაზე. სწორედ ამ კონტექსტში აღმოჩნდა ჩვენთვის საინტერესო ნოდარ დუმბაძის ზემოაღნიშნული მოთხრობა. „რამდენი რამ თქმულა და დაწერილა მშობლიური მიწის სიყვარულზე, მაგრამ დუმბაძემ შეძლო ახალი კუთხიდან დაენახა და გაეზიარებინა იგი. იგულისხმება ფართოდ გახმაურებული მოთხრობა „HELLADOS-ი“, რომელშიც

სოხუმში დაბადებული და გაზრდილი 14 წლის ბერძენი ბიჭის - იანგულის ტრაგიკული თავგადასავალია გადმოცემული“ [ნიკოლეიშვილი, 2013:397].

ნოდარ დუმბაძემ ეროვნული იდენტობის საკითხი სრულიად სხვა რაკურსით, განსხვავებული კონტექსტით ასახა პოპულარულ მოთხრობაში. ეროვნული კულტურა უცხო კულტურას აღიქვამს და იმახსოვრებს ფასეულობებისა და ნორმების შესახებ თავისი წარმოდგენების შესაბამისად. „სხვისი“ სახის შექმნაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიტყვას, როგორც გამოხატვის უნივერსალურ საშუალებას, აქედან გამომდინარე კი, სიტყვიერ ხელოვნებას, მხატვრულ ლიტერატურას. იმაგოლოგიური სახე/იმაგოტიპი არის ერის/ლინგვოკულტურული ერთობის მიერ შექმნილი იდეალური კონსტრუქცია თავისი/სხვისი სახის, თავისი/სხვისი ქვეყნის. ეროვნული ხასიათის თუ ტიპური თვისებების შესახებ [გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, წერეთელი, 2018:14].

მოთხრობის პოპულარობის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ რაკურსის ორიგინალურობაა, რომელიც აქამდე ასე ხშირად არ დაფიქსირებულა ქართულ ლიტერატურაში, მით უმეტეს, მოზარდებზე ორიენტირებულ/მოზარდებისთვის განკუთვნილ ლიტერატურაში. ნაწარმოების თემატიკა, მეტწილად, განსხვავებული ეროვნებისა და კულტურული აღქმის მოზარდების თანაარსებობას ეხება. ავტორი, თავისი ცხოვრების ბიოგრაფიული ელემენტების გამოყენებისას, ან ნარატორია, ან - მოქმედი პირი. ნოდარ დუმბაძის მოთხრობების უმეტესი ნაწილი ავტობიოგრაფიული თვითგანცდის შედეგად შექმნილი ნაწარმოებებია, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ისინი მემყარული ლიტერატურის ჩარჩოებით არ იზღუდება და მხატვრული განზოგადებულობით წარმოსახავს მოვლენებს [ნიკოლეიშვილი, 2013:399].

მწერალი პერსონაჟების გრძნობათა ბუნებას ექსპრესიულად ხსნის, შესაბამისად, წაშლილია ეროვნული ბარიერის არსებობის საკითხი, რამდენადაც ნაწარმოების ძირითად თემას სწორედ ეს წარმოადგენს. მხატვრულ ტექსტში, მოქმედი პირის მსგავსად, გარკვეული ავტორისეული პერსონალური პროფილი ჩნდება. დუმბაძის მოთხრობებში განსაკუთრებით სიმძაფრით და სიცხოველით არის ასახული მისი ბავშვობა. როგორც ჩანს, ამ ხანისადმი შემოქმედის განსაკუთრებულ ინტერესს ის აღძრავს, რომ მას ძალზე მძიმე და მუხთალ ჟამს მოუხდა თავისი ყველაზე სანატრელი წლების გატარება, რაც, ბუნებრივია, წარუშლელ კვალს დატოვებდა მოზარდის ფსიქიკაზე [ჯაველიძე, 1989:150]. მოთხრობაში

უზვადაა ავტორისეული/ნარატორისეული კომენტარები, წიადსვლები და შეფასებები, რადგან ის ამბავს პირველ პირში გვიამბობს და არც ბიოგრაფიული ელემენტების გამოყენებას და მსოფლხედვის გაზიარებას ერიდება; შესაბამისად, არც გადმოცემას მოზარდობის დროინდელი დაკვირვებებისა და აღმოჩენებისა, მაგალითად, სოხუმელი ბერძნებისა და ქართველების თანაარსებობაზე. მწერლის მიერ კონკრეტულად ამ მოთხრობაში გამოყენებული ავტობიოგრაფიული ელემენტების მნიშვნელობაზე ვრცლად და კონკრეტული დაკვირვებებით საუბრობს ელიზბარ ჯაველიძე: როცა მწერალი თავის ბავშვობაზე მოგვითხრობს, მის მხატვრულ ტილოზე ორი ფერი დომინირებს და ურთიერთს ერკინება: პიროვნების შინაგანი სამყაროდან გადმოღვრილია სინათლე, რომელიც საერთოდ ახასიათებს ამ ასაკობრივ განცდას და ხილვას და მუქი, შავი გამა, რომელიც კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეში ბატონობდა... ამ ჭიდილში წინა პლანზე გადმოდის ტრაგიკულის განცდა როგორც იმ დროინდელი რეალური სპეციფიკურობა... ეს განცდა დომინირებს მწერლის მოთხრობაში „HELLADOS“, რომელშიც ის გადმოგვცემს თავისი ბავშვობის ერთ ეპიზოდს, კერძოდ, მწერალი მოგვითხრობს ორი ყმაწვილის სულიერ და ფიზიკურ ჭიდილზე უბანში „პირველი ყოჩის“ სახელის მოსაპოვებლად. მოთხრობის კითხვისას არ შეიძლება მკითხველს ცოცხლად არ წარმოუდგეს ის რაინდული, ჭეშმარიტი ურთიერთობანი, რომელიც იმ დროს სუფევდა ქუჩასა და ეზოში, ქალაქსა თუ სოფელში, ამასთანავე, შეიმჩნევა ისიც, რომ მწერალი აღწერილი სინამდვილით ცოცხლობს, თითქოს ასაკობრივ გარდასახვას ახერხებს და სანატრელ ასაკში მკითხველსაც ეპატიჟება, ისეთი ძალისხმევით, რომ მეხსიერებას შემორჩენილ წარსულს რეალურად უცოცხლებს [ჯაველიძე, 1989:150].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოთხრობაში ორი სხვადასხვა ეროვნების აბსოლუტურად განსხვავებულ მოზარდს ვხდებით. ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ბერძენი მოზარდი, იანგულია, რომლის ცხოვრებისა და ხასიათის შტრიხები ეროვნული იდენტობით, ამითვე განსაზღვრული სოციალური მდგომარეობითაა განპირობებული, რაზეც ავთანდილ ნიკოლეიშვილი საგულისხმო დასკვნას აკეთებს, რასაც ნაწილობრივ ვიზიარებთ, განსაკუთრებით, იმ ნაწილში, სადაც ბიჭს, თითქოს, გაორების პრობლემა უჩნდება სამშობლოსთან დაკავშირებით: მწერალმა დიდი ფსიქოლოგიური ძალისხმევით გვიჩვენა ამ ორ სამშობლოს შორის შინაგანად მიმდინარე მძაფრი ჭიდილი. უბნის ყოჩად ქცეულ ამ „ხულიგან“ ბიჭს ცხოვრება თავიდანვე აყენებს მკაცრი და უღმობელი

აუცილებლობის წინაშე - მამის გადაწყვეტილებით იგი, სხვა, იქაურ ბერძენთა მსგავსად, წინაპართა ისტორიულ სამშობლოს უნდა დაუბრუნდეს [ნიკოლეიშვილი, 2013:399].

იანგული ბერძენია, მისი დამოკიდებულება მოვლენებისადმი ბერძნული თვალსაწიერიდან გამომდინარეობს. მისი მსოფლმხედველობის წესი ბერძნულია. სვირინგი გულთან „ჰელადოს“ ძველბიჭობის დამლა კი არ არის, არამედ - მისგან მოწყვეტილი სამშობლოს გერბი. მისი დედაენა ბერძნულია, მისი სულის სასიმღერო ჰანგები ბერძნულ საკრავზეა აწყობილი, იანგულიმ იცის, ვის მიწაზე ცხოვრობს, იცის, ვინაა ეს ხალხი, რა ჰქონდა და რა გაუყო მან [საჯაია, 1989:2].

მკვლევარი ამ მოსაზრებას ავითარებს იმ მძაფრი კონტრასტულობის წარმოსაჩენად, რომელიც მოზარდებს შორის არსებობს, იმ მოვლენის მნიშვნელობის ხაზგასასმელად, რომელიც შეიწირავს იანგულს; თუმცა ამ მოსაზრებას მაინც არ ვიზიარებთ. მიგვაჩნია, რომ ავტორმა, იანგულის სახით, არა იმდენად ეროვნულ ნიშნები, არამედ კულტურული განსხვავებულობა გადმოსცა. აქ საუბარი არ არის ბერძნობაზე ან ქართველობაზე, ამას მწერლის სათქმელისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს - აქ აქცენტი სამშობლოს აღქმასა და უცხოობის განცდაზეა გაკეთებული, რაც, ვფიქრობთ, საშუალებას გვაძლევს, მსჯელობა კიდევ უფრო ღრმა და საინტერესო კუთხით წავიყვანოთ.

„მხატვრულ ლიტერატურაში ასახულია სხვათა სახეები, რომელთა ფორმირებაზე უამრავი ექსტრა ლიტერატურული ფაქტორი ახდენს გავლენას. სხვათა სახეების შესწავლა კი მნიშვნელოვანია როგორც სხვათა დასახასიათებლად, მათი მხატვრული წარმოჩენის თვალსაზრისით, ასევე - იმ სოციო-კულტურული გარემოს ინტელექტუალურ-სულიერი ორიენტირების წარმოსადგენად, რომლებშიც სხვათა სახეები და მათ შესახებ წარმოდგენები არსებობს“ [გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, წერეთელი, 2018:18]. ასეა ამ ტექსტშიც, სადაც ავტორი უცხოს, სხვისი სახის ანალიზით უნივერსალურ გამოცდილებებზე საუბრობს. მწერალი წარმოადგენს სოციალური და კულტურული გარემოს ანალიზს იმ ინტელექტუალური თუ სულიერი ორიენტირების წარმოსაჩენად, რომლებშიც განსხვავებული ეროვნული იდენტობის მქონე ადამიანების შესახებ ასევე განსხვავებული წარმოდგენები არსებობს და, როგორც წესი, ამ განსხვავებულობას კოლექტიური აზროვნება იზიარებს, რაც, თავის მხრივ, სტერეოტიპებს ქმნის.

მოთხრობა რამდენადაც შეიძლება იყოს სტერეოტიპული, იმდენადვე შეიძლება ემსახურებოდეს (გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად) ამ სტერეოტიპების ნგრევას; ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მოთხრობის იმაგოლოგიური კონტექსტის მიღმა განხილვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, რადგან სწორედ ეს კონტექსტი განაპირობებს ამ ნაწარმოების განსაკუთრებულობას, მით უფრო, მაშინ, როცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, ფაქტობრივად, არ მოიპოვება განსხვავებული ეროვნებისა და კულტურული ფასეულობების მქონე მოზარდების სახეები და ანარეკლი მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტებისა (გარკვეული სხვაობების ნიადაგზე).

იანგულის განსხვავებულობა მის გარეგნობაშიც ვლინდება; ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო მისი ჩაცმულობა და მანერებია - თამამად შეუძლია ჩაიცვას შავი ხალათი, სოხუმელი ბიჭებისგან გაბედულებით გამოირჩევა; თამამად შეუძლია გამოაჩინოს გულმკერდი, რაც უცხოა ადგილობრივებისთვის და, მეტწილად, სწორედ ეს უცხოობა წარმოადგენს მისი ყოჩობის ნიშანსაც. თავისუფლება, სილაღე და განსხვავებულობა წარმოადგენს იმ ძალას, რომლის წყალობითაც უბნის ბიჭები იანგულის ყოჩობის მომხრენი კი არ არიან მხოლოდ, არამედ ყოჩით აღფრთოვანებასაც არ ძალავენ: „ამ თოთხმეტი წლის დიქტატორს ყურმოჭრილ მონებად ჰყავდა მთელი ვენეციის გზატკეცილის ბიჭები და, მათ შორის, ჩემი დეიდაშვილი კოკაც“ [დუმბაძე, 2011:247]. არ არის იანგული მარტივი, ცალსახა პერსონაჟი, არც ადვილად გასაგები - იანგული კი იყო უსწავლელი, მემწვანილე, უბნის ყოჩი, ხულიგანი, მაგრამ - ადამიანი დიდი გრძნობებით, უზარმაზარი გულით, მშვენიერ მკერდში რომ უფეთქავდა, მკერდი, რომელზეც სამშობლო ეწერა, გულით, რომელიც მამას ემორჩილებოდა, ხელებით, მამის წინ ძირს რომ იყვნენ დაშვებულნი, გულით, რომელსაც მიუწვდომელი ყვავილი უყვარდა, ვაჟკაცობით, რომელმაც მისი მჯობნი შეაყვარა და სისათუთით თავისი დიდყურა და დიდთვალეა ცხოველი უყვარდა; სილაღით, რომლითაც უყვარდა ზღვა, ქვიშა და ზღვის კენჭები, სიამაყით, რომლითაც თავისი ღირსება უყვარდა, უყვარდა, უყვარდა, იცოდა სიყვარული [ქუთათელაძე, 1991:12].

ნელი ქუთათელაძის ამ აზრის გაზიარების საფუძველს ელიზბარ ჯაველიძის მოსაზრებაც გვიმყარებს: ნოდარ დუმბაძეს ძალზე უყვარს ადამიანი და უჭირს მის ჩრდილოვან მხარეზე ზარ-ზეიმით საუბარი. მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ რეალობა,

ცხოვრების მძიმე პირობები აუხეშებს მის სულს. ამიტომაც უმეტესი ჩვენთაგანი კარგავს იმ სიფაქიზეს, გულწრფელობას და, თუ გნებავთ, საყოველთაო სიყვარულის უნარს, ბავშვობისა და ყმაწვილობის ჟამს რომ გაგვაჩნდა [ჯაველიძე, 1989:151].

სწორედ ეს პერსონაჟია მოთხრობაში გადმოცემული ამბის ბიძგი, სწორედ მისი პერსონალური ტრაგედია ხდება მეორე მთავარი გმირის - ჯემალის ცნობიერების შემცვლელი. იანგულის პერსონაჟზე უფრო ვრცლად საუბარს ქვევით გავაგრძელებთ, ახლა კი აღვნიშნავთ, რომ მოთხრობაში აგრეთვე მნიშვნელოვანი პერსონაჟი მუსიკის მასწავლებელი ელენა მიხაილოვნაა. მართალია, ამ უკანასკნელს მცირე ეპიზოდი ეთმობა, თუმცა პასაჟი იმ პერიოდის სწავლების მოდელზე გარკვეული დასკვნის გამოტანის საშუალებას მაინც იძლევა. ელენა მიხაილოვნა სილაღესა და თავისუფლებას მოკლებული, მკაცრი, საქმეზე უზომოდ შეყვარებული მუსიკის მასწავლებელია, რომელსაც თავისი ცხოვრებისეული ხედვები, ინტერესები და აკვიატებები აქვს. სიმპტომატურია ის ფაქტი, რომ იმ პერიოდის (მეოცე საუკუნის შუა პერიოდი) მწერლები რუსი მასწავლებლის სახეს ძირითადად ასე ძერწავდნენ და ამან, გარკვეულწილად, სტერეოტიპების შექმნასაც შეუწყობ ხელი. „გაკვეთილი არ იცი? – მკაცრად მკითხა ელენა მიხაილოვნამ და კვლავ რომ არ გავეცი ხმა, გაკვირვებულმა თვალი გააყოლა ჩემს გამტერებულ მზერას... და მკვდარი თევზები რომ დაინახა... მახსოვს, როგორ ვლულლუდებდი, თავს ვიმართლებდი და ვცდილობდი, როგორმე დამემშვიდებინა მუსიკის მასწავლებელი, მაგრამ ყოველივე ამას იყო... მერე ჩემკენ შემოტრიალდა, უცებ გაშლილი ხელი მოიქნია და ისეთი სილა გამაწნა, თავი ძლივს შევიკავე, რომ არ წავქცეულიყავი. მე სილა და ცრემლი ერთად გადავყლაპე, ვიოლინო ილლიაში ამოვიჩარე და უხმოდ გამოვიხურე თავზარდაცემული, შერცხვენილი და ცოცხალ-მკვდარი მოვაბიჯებდი სახლისაკენ“ [დუმბაძე, 2011:251]. მუსიკის მასწავლებლის საინტერესოა წარმოდგენილი ესმა ონიანის ლექსშიც „სოლოლაკში, მუსიკის უხეშ მასწავლებელთან.“

აქვე საგანგებოდ უნდა აღვნიშნოს ნოდარ დუმბაძის პერსონაჟი ქალი/მასწავლებლები, განსაკუთრებული კასტა, რომელსაც მწერალი გამორჩეული სიყვარულით, ირონიითა და გამომსახველობით გვიხატავს. ამ მხრივ საინტერესოა რეზო ჭეიშვილის „მუსიკა ქარში“, რომელიც ხელახლა გამოსცა „დიოგენეს ბიბლიოთეკამ“ და რომლის ანოტაციაშიც აკა მორჩილაძე წერს: „მუსიკა ქარში“, ჩემი ჭკუით, ეს არის უმნიშვნელოვანესი ქართული წიგნი ბოლო ას წელიწადში. ჩემთვის, ისევ და ისევ, თორემ

სხვისთვის რა ვიცი. ამ წიგნის ტონი სრულიად უცხოა ჩვენებური წიგნებისთვის. ომის და ომისშემდგომი ქუთაისი. სიმინდი, ბაბუა, ლეკის ბიჭი, პორფილი, დაუმთავრებელი სახლი. ბიჭი, რომელიც ყველაფერს იმახსოვრებს. ასეთი ქუთაისი კარგა ხანს მმართავდა. სულ არ ჰგავდა იმას, რასაც თვალს მოვკრავდი ხოლმე. იქ რომ მოვხვდებოდი, აუცილებლად გადავხტებოდი ხოლმე ამ წიგნში და ვადარებდი. ეგეთი ქვეყანაა საქართველო. გააკეთებ ასეთ რაღაცას და არის ეს რაღაცა ჩუმად, ვითომ ასეთი წესია“ [მორჩილაძე, 2023 (ელ. რესურსი)]. ბიჭის განცდებთან ერთად, საინტერესოა მასწავლებელთა გაღერეა, რომელსაც მწერალი ჩვეული ოსტატობით გვიხატავს, დაუვიწყარია სახეები რუსულისა და მათემატიკის მასწავლებლებისა - მაიკო ბერბუთაშვილისა და კალინიკე სიმსივესი. საინტერესოა, რომ ეს ადამიანები, რევოლუციამდელი საუნივერსიტეტო განათლების მქონენი, უაღრესად დახვეწილნი, ყრმათა ფსიქოლოგიის ზედმიწევნით მცოდნენი არიან.

მხატვრულ ლიტერატურაში მწერლები მოზარდის მძაფრ განცდებს, შეურაცხყოფას და დამცირებას, ხშირად უხმო ცრემლებით გამოხატავენ. მაგალითისთვის რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „დამრიგებელიც“ გამოდგება, სადაც მოზარდი/პერსონაჟი ამბობს: „ერთი მწარე ცრემლი ძლივს მოვიხოცე მაჯით“ [ინანიშვილი, 2012:133]. მკითხველიც ამ უხმო ცრემლში გამოხატული განცდის თანაზიარი ხდება.

დუმბადის მოთხრობაშიც მკითხველს ავიწყდება მკვდარი თევზები და მთელი ყურადღება შეურაცხყოფილ და განაწყენებულ მოზარდზე გადააქვს. აქ განსაკუთრებით ჩანს ავტორის ჩანაფიქრი, ბოლომდე განგვაცდევინოს მთავარი პერსონაჟის ტკივილ-სიხარული. თუმცა აქ ერთგვარი საშიშროებაც არსებობს - პერსონაჟების იდეალიზებით რეალობის აღქმის უნარის დაკარგვა. ავთანდილ ნიკოლეიშვილი წერს, ცალკე უნდა შევეხოთ ნოდარ დუმბადის შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ისეთ ტენდენციას, როგორცაა ე.წ დადებით გმირთა იდეალიზება. მწერლის არაერთი პერსონაჟის არსებაში ადამიანური მაღლი და სიკეთე ზოგჯერ იდეალიზებული ფორმითაც კი ვლინდება. ამ თვალსაზრისით, ცხოვრებისეული სიმართლე და მხატვრული წარმოსახვა ხშირად რადიკალურად ემიჯნება ერთმანეთს, მაგრამ სასურველისა და იდეალურის ამგვარი წამოწევა წინა პლანზე ფსიქოლოგიურ სიყალბესა და ილუზიურ სენტიმენტალიზმში არ გადაიზრდება [ნიკოლეიშვილი, 2013:375].

მოთხრობა „HELLADOS-ი“ მოზარდის თვალთ დანახულ სამყაროს ასახავს, რომელიც სავსეა ქარიშხლითა და თავგადასავლებით, სევდითა და სიხარულით, მტრობითა

და მეგობრობით, ბავშვური სიმულვილითა და გულმხურვალე სიყვარულით; მოთხრობის კითხვისას მუდმივად გვაქვს განცდა, რომ ამბის უშუალო თანამონაწილენი ვართ, რაც ავტორის ენის დამსახურებაა. მწერალი საოცრად მსუბუქად, სევდიანი იუმორითა და დამაჯერებელი სილალით გვიჩვენებს ორი მოზარდის – იანგულისა და ჯემალის პაექრობისა და მეგობრობის მძაფრ სურათებს. დაპირისპირება ორ მოზარდს შორის ჯერ სიტყვიერად მიმდინარეობს - დიდი ემოციითა და სიზუსტითაა გადმოცემული ყველა სიტყვა, სპეციფიკური ლექსიკა, რომელსაც მოზარდები იყენებენ. ლაშა ბუღაძის „ბოლო ზარის“ მოზარდი პერსონაჟები სულ სხვა ლექსიკით საუბრობენ, თანამედროვე მეტყველების ფორმებს იყენებენ, „HELLADOS-ში“ მეოცე საუკუნის ორმოციანი წლებისათვის დამახასიათებელი მეტყველება გხვდება. აშკარაა, რომ ფრივოლურ/სლენგური ლექსიკა, დროისა და სივრცის ცვლილებასთან ერთად, ძირეულადაა შეცვლილი. ამასთან, მნიშვნელოვანია ენობრივი გამოხატულების განსხვავების აღნიშვნა სოფელსა და ქალაქში. ნოდარ დუმბაძე სწორედ ამ განმასხვავებელ ნიშნებს იყენებს, რომლებსაც ბიჭები ერთმანეთისთვის შეურაცხყოფის მისაყენებლად იყენებენ.

სოხუმელი იანგულისთვის თბილისელობა „ჰარიფობაა“, ხოლო ჯემალისთვის კი ბერძენობაა ერთგვარი „სისუსტე“. თუ ბერძენი იანგულის ყოჩობა სამშობლოდან შორს ყოფნით გამოწვეული კომპლექსებიდან შეიძლება მომდინარეობდეს, ჯემალის მეამბოხე ბუნება მაშინ იკვეთება, როდესაც აცნობიერებს, რომ არ უნდა ჩაგრულის როლში ყოფნა. ეს ის ასაკია, როცა მოზარდები უფროსების დაუხმარებლად, მალულად ცდილობენ „საქმის მოგვარებას“, ძალების დემონსტრირებით უპირატესობის მოპოვებას.

იანგული საკმაოდ ჯანიანია, ასაკითაც უფროსია ჯემალზე, ამიტომაც არის ლიდერი უბნის მოზარდებში, ყოჩია და ამის დათმობას არ აპირებს. მან კარგად იცის ჯემალისა და მის დეიდაშვილ კოკას ადვილად დაამარცხებს, მაგრამ მისი ბრაზი იქიდან უფრო გამომდინარეობს, ისინი ბრძოლას რომ უბედავენ. მოზარდებს ხომ სამართლიანობის საკუთარი საზომები აქვთ, ხშირად ღირსებისა და პატივის შელახვასაც უფროსებზე მეტად განიცდიან, ამიტომაც ადვილად ვერ შეეგუება იანგული მასზე უმცროსთან დამარცხებას. ის ამ მდგომარეობიდან გამოსვლას ცდილობს და ამიტომაც აიძულებს ჯემალას მასთან ბრძოლას; თავის მხრივ, ჯემალას არ უნდა ყოჩობა, ისიც კარგად იცის, იანგულის რომ ვერ

აჯობებს, მაგრამ ისიც იცის, რომ სხვა გზა არ აქვს. მათი ბრძოლა დაშვებულის საზღვრებს არასდროს სცდება, მოზარდები ერთმანეთის პატივისცემისა და დაფასების უნარს არ კარგავენ. ამას ადასტურებს მათი ურთიერთობის განვითარება, როდესაც იანგული გაიგებს, რომ ჯემალის დედა არ ჰყავს, წამიერად იცვლის დამოკიდებულებას.

მიუხედავად იმისა, რომ სოხუმში სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობა მშვიდობიანად თანაარსებობდა, ქართველებით სავსე პროცესებში სხვა ეროვნების ადამიანთა მიმართ შიშიც ჩნდება, უცხოელები წინააღმდეგობებს აწყდებიან და ფესვებს იხსენებენ, სახლს ეძებენ, სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრობენ. მით უფრო მაშინ, როდესაც საბჭოთა ქვეყანა მათ ავიწროვებს, ხოლო სამშობლო უკეთეს პირობებს სთავაზობს; ამას, ოჯახთან ერთად, მოზარდებიც განიცდიან, შეიძლება ითქვას, უფროსებზე მეტადაც კი. მათი ურთიერთობები, როგორც არ უნდა იყოს, რა კონფლიქტებსაც არ უნდა შეიცავდეს, ძლიერია. ისინი ბედნიერი არიან თავიანთ სამყაროში, რომელსაც ასაკობრივი ინტერესები უმაგრებს ზურგს. მერე რა, რომ ვერ რიგდებიან, პირველობას ცდილობენ, მათ მაინც აქვთ ის საზღვარი გავლებული, რომელსაც არასდროს გადააბიჯებენ.

„HELADOS-ზე“, იანგულის მაგალითზე თაობები გაიზარდა, მისი წაბაძვით უამრავ მოზარდს სდომებია უბნის ყოჩობა. ლიტერატურას დიდი ზემოქმედების ძალა ჰქონდა, განსაკუთრებით, იმ ეპოქაში, როცა მხატვრული სივრცე რეალობიდან გაქცევის, გართობის ლამის ერთადერთი საშუალება იყო. ამ მოთხრობამ ეთნიკურად ბერძენ მოზარდ იანგულის ქართულ ლიტერატურაში ადგილი მყარად დაუმკვიდრა და გააჩინა ტოლერანტობის ბრწყინვალე მაგალითი მოზარდებისთვის.

ნოდარ დუმბაძემ მძიმე პერიოდში იცხოვრა - ეს იყო საბჭოთა ისტორიის ყველაზე მტკივნეული და, ამავდროულად, შემზარავი ხანა; საბჭოთა რეპრესიებმა, ეკონომიკურმა გაჭირვებამ, ომის ტრაგედიამ, მძიმე ცხოვრებამ, შიმშილმა და სიცივემ საკლასო ოთახებშიც შეაღწია, რამაც მწერლის ბიოგრაფიაში მძიმე კვალი დატოვა, ბავშვობა, ფაქტობრივად, წაართვა და მის მეხსიერებაში ტკივილიან მოგონებად იქცა. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები, ძირითადად, ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, შესაბამისად, მოთხრობებში, ავტორიცაა და პროტაგონისტიც/განმცდელიც.

ზემოთქმულის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია მოთხრობა „ნუ გააღვიძებ“. მწერალი ჩვეული იუმორით, ტრაგიკულ პერსპექტივიდან ასახავს ომისდროინდელი სოფლის

ცხოვრებას, სკოლის სივრცეს; მართლაც, რამდენადაც ეპოქა ახდენს გავლენას ავტორზე, იმდენადვე ირეკლება ეს კვალი ნაწარმოებებში. ავტოგრაფიული ელემენტიდან გამომდინარე, მოთხრობაში აშკარაა, რომ ავტორი ომმა მოზარდობაშივე დაახლოვა სიკვდილთან, თვალეში ჩაახედა გაჭირვებას, ამიტომაც მისი პერსონაჟებისთვის განსაკუთრებით ემოციურად აღიქმება ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა, კონკრეტულად, ერთ-ერთი გმირის - კაციას ბედი.

ჯოკონდა მასწავლებელი, რომელიც ქართულს ასწავლის და მთელი გრძნობით ყვება ეგნატე ნინოშვილის ტექსტის შინაარსს, კიდევ უფრო ამძიმებს მოზარდების ტრავმირებულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას - „ისე ჰყვებოდა დალოცვილი, თვითონაც ტიროდა და ჩვენ ხომ გვატირებდა და გვატირებდა“ [დუმბაძე, 2011:263].

მიუხედავად იმისა, რომ მწერალი მოთხრობაში „ნუ გააღვიძებ“ ისეთ მძიმე ამბებზე ყვება, როგორც ომი და ეკონომიკური გაჭირვებაა, იგი მაინც ახერხებს, მკითხველს უნებლიე ღიმილი მოჰგვაროს. იუმორი, როგორც ერთგვარი თავდაცვის ინსტრუმენტი, ეხმარება ავტორს ამბის მსუბუქად გადმოცემაში; შესაბამისად, მწერალი ამ ინსტრუმენტს ხშირად მიმართავს.

მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი ნათელაა, რომელიც სკოლიდან შვიდი ვერსის სიშორეზე ცხოვრობს. დაგვიანებულსა და შეციებულს, ჯოკონდა მასწავლებელი გაკვეთილის მოყოლას ავალებს: „გაკვეთილი თუ იცი? - არა, მასწ“ [დუმბაძე, 2011:262]. გაბრაზებული ქართულის მასწავლებლის საყვედური დუმბაძისეული იუმორის გამოვლინებაა: „გოგო, ამ თოვლ-ჭყაპში, თავსხმაში, ყინვაში და ჯანდაბაში იმიტომ დგები უთენია, ამიტომ გრიხავ საძროხე ბაწარივით ამსიგრძე გზას და იმიტომ მოხრაგუნობ შქერნალში, რომ მოხვიდე და გაკვეთილი არ ვიცო, მითხრა?“ [დუმბაძე, 2011:262]. ღიმილისმომგვრელია მასწავლებლის სახელიც, რომელიც დასავლურქართული, ზოგადად, ქართული, ანთროპონიმების წარმოშობის საინტერესო ისტორიას ინახავს.

მოთხრობის პროტაგონისტი ნოდარია - მწერალი, რომელიც ზაფხულში სოფელში თავის სიყრმის მეგობარ მიტუმარ მარშანას ერთგვარი სინანულით, გულისტკივილითა და სევდით უყვება სოფელში გადამხდარ ამბებს, მათ შორის, მასა და ნათელას შორის გაჩენილ გრძნობას, ბავშვობის, რომელსაც ომმა თავისი „მძიმე ბორბლებით“ გადაუარა, მოზარდობის, სკოლის ისტორიებს. ძველი ამბები მკითხველის თვალწინ ცოცხლდება და

რამდენადაც ფრაგმენტული ხასიათი აქვს, იმდენადვე იკვრება ერთ მთლიანობად. მოთხრობისთვის დამახასიათებელი კოლაჟურობა ნაწარმოების დინამიკას, თხრობის ექსპრესიას აძლიერებს. გურული დიალექტით გამართულ დიალოგს განცდა და ემოცია შემოაქვს ტექსტში და მკითხველს მთელი სიმძაფრით წარმოუჩენს ვითარებას.

მოთხრობის პერსონაჟები, მოზარდები, მაღალი ზნეობითა და სისპეტაკით, გულწრფელობითა და უშუალობით გამოირჩევიან; ზოგჯერ უცნაურ გაკვეთილსაც უტარებენ უფროსებს, შენიშვნებსაც აძლევენ და ქმედებებსაც კარნახობენ, ამას ბევრ ეპიზოდში ვხდებით. მაგალითისთვის გამოდგება ჯოკონდა მასწავლებლისა და ნიჟარაძის დიალოგიც: „რაა, ჯოკონდა მასწავლებელო, რომ დაგვზაფრეთ ამ დილით, გვიკითხავთ და გვიკითხავთ ამდენ უბედურებას! ჩვენ ჩვენი გაჭირვება არ გვეყოფა?! არ გვინდა ჩვენ ამ ზამთარში, შიმშილში, ომში და გაჭირვებაში მაგის სწავლა“ [დუმბაძე, 2011:266].

მოთხრობაში მწერლისათვის ჩვეული სიწრფელითა და გამომსახველობით შემოდის პირველი სიყვარულის თემაც: „ჩვენი ამბავი მთელმა დუნიათ იცოდა და არც არავინ გვიშლიდა ასე ერთმანეთის კუდში ბორიალს. ყველა ხვდებოდა, რომ ეს იყო რაღაც საოცრად წმინდა, სუფთა და გამჭვირვალე, დასაწყისი დიდი სიცოცხლისა, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო და მეტი არაფერი“ [დუმბაძე, 2011:268].

ომმა, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, რომელმაც სრულიად ამოაყირავა ყოფიერების ჩვეული ნირი, შეცვალა მოზარდის სახისადმი სტერეოტიპული მიდგომა, ასევე წაართვა მას სიყვარულის ლამაზად დასასრულების ოცნებაც. ქალაქიდან სოფელში იძულებით გადასულ ავტორს ბავშვობის ისტორიები, ომის სიმძაფრესთან ერთად, ფურცლებზე გადააქვს და ჟამის მხატვრულ ქრონიკას ქმნის. მოთხრობა „ხაზარულა“ ხის შეშინების უძველეს ტრადიციას ეფუძნება, რომლის ფესვებიცა და წარმომავლობაც ძნელი დასადგენია და რომელიც საქართველოს ბევრ კუთხეში არის გავრცელებული - უნაყოფო ხესთან ცულით მიდიან და მოჭრით ემუქრებიან, დამდეგ წელსაც თუ არ დაისხამს! ამ რიტუალის შესრულებას ავალდებულებს ბებია ბიქს. „კაცის ხელი თუ არ მოხვდა, მაგას ჩემი აღარ ეშინია, ქალი რომ ვარ... ვიზეა ლაპარაკი... ხაზარულაზე, მაგ უგვანოზე, უსინდისოზე და უცხვირპიროზე, ამ შიმშილის დროს შეიძლება ასე ღალატი?!“ [დუმბაძე, 2011:273].

თითქოს, მართლაც, „შეშინდა“ ხაზარულა და გაუგონარი ნაყოფი მოისხა: „აყვავილდა ხაზარულა, მაგრამ რა აყვავილდა, დაისია ფუტკარი, მაგრამ რა დაისია,

გამოისხა ხაზარულამ, მაგრამ რა გამოისხა... აგვაგვსო ჩვენც და მეზობლები ჩირით, არაყით და მურაბით“[დუმბაძე, 2011:275].

ბოლო აღმოჩნდა ხაზარულასთვის ეს აყვავილება, ორი წელი გავიდა და კვლავ უნაყოფოდ იდგა ეზოში. ზამთრის პირზე ბებია ბიჭს ხაზარულას მოჭრას სთხოვს. ბიჭი უარზეა - არ ემეტება მოსაჭრელად, გაჯიუტებული, ბებიას არგუმენტებით უპირისპირდება. არ ჭრის ბიჭი ხაზარულას, რადგან „ყველაფერს ხედავდა და ყველაფერი ესმოდა გაყურებულ და ფოთოლდაცვნილ ხეს... შუადამემდე ფიქრობდა ხაზარულა, ნაშუადამევს გული შეუღონდა და ფესვები მოთოკა“ [დუმბაძე, 2011:284]. სამოც წელიწადზე მეტხანს ფესვებქვეშ ჩამალულ ჭურს დარაჯობდა ხაზარულა, სისხამ დილით ბიჭსა და ბებიას „მარანზე მიცვალეზულივით, ახალმოჭრილი, ტოტებდამსხვრეული ვეებერთელა ხაზარულა ესვენა... ხის დედომარღვიდან წითელი, სისხლისფერი სითხე მოჟონავდა“ [დუმბაძე, 2011:28]. განძად შენახული ჭურისღვინო ხაზარულამ თავის ფესვებს ამოაყოლა. ამის შემხედვარე ბებიას ლოცვა აღმოხდა.

საოცარი მხატვრული პასაჟით დამთავრდა ეს პატარა მოთხრობა. მკითხველს არწმუნებს, რომ ეს სულიერი ტკივილები და გამოცდილება სამუდამოდ გაჰყვება ბიჭს, რომელიც ხესთან, ბუნებასთან სრულ ჰარმონიაშია, უყვარს და მისი ენა („რამ საიდუმლო უასაკოთა და უსულთ შორის“) ესმის.

ნოდარ დუმბაძის მოზარდი პერსონაჟები განცდის სიმძაფრით, ემოციათა სიჭარბით, გულწრფელობითა და მტკიცე ხასიათით, ადრე დაკაცების გარდაუვლობით სამუდამოდ ამახსოვრდება მკითხველს. ამ ტექსტებში აღზრდის კონცეპტებზე უფრო მნიშვნელოვანი ცოცხალი ადამიანური ურთიერთობებია - აქ სწორედ ცხოვრებაა ყველაზე დიდი მასწავლებელი. დუმბაძისეული სწავლა/სწავლებაც სწორედ ყოფით სიტუაციებში მიღებულ გაკვეთილებს, პირად და ახლობელთა, ოჯახის წევრების, მშობლების, მასწავლებლების გამოცდილებას ემყარება და არა თეორიულ ცოდნას.

2.2. აღზრდის კონცეპტი (მოზარდის სახე) რევაზ ინანიშვილის პროზაში

ძნელი მოსაძებნია მკითხველი, ვის გულთანაც ახლოს არ მისულა რევაზ ინანიშვილის თბილი, მზითა და სიყვარულით გაჯერებული სიტყვა და მასში სითბო, სიკეთე და სიყვარული არ დაუტოვებია. მწერალი წერს ყველასა და ყველაფერზე - მთაზე, ბარზე, სოფელზე, ქალაქზე: „მე მაინც დავწერ, არ ვიცი, ვისთვის, დიდებისთვის თუ

პატარებისთვის, მაგრამ მაინც დავწერ“ [დათაშვილი, 2010:3]. მამუკა წიკლაური აღნიშნავს, რევაზ ინანიშვილი მტკიცე, გამოკვეთილი პოზიციის მწერალია. მისი სიკეთე როგორღაც ეკლიანი სიკეთეა. სახრესავით წივის ვიღაცის მოღუმულ ბეჭებზე, ქვასავით ხვდება ვიღაცის თვითკმაყოფილებით ჩაბნელებულ სარკმელსო [წიკლაური, 1977:3]. კრიტიკოსი ეხმიანება 1976 წელს გამოქვეყნებულ მოთხრობების კრებულს „მორი თეთრი მწვერვალი“. ნიშანდობლივია, რომ სწორედ 1977 წლით თარიღდება ინანიშვილზე დაწერილ კრიტიკულ რეფლექსიათა უმრავლესობა, თუმცა ამ საკითხზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

ინანიშვილი წერს ისე, რომ მონათხრობი ყველა ასაკისათვის სასურველი და საინტერესო იყოს. მწერლის პროზიდან დიდი ბავშვი იმზირება, წერს ნაადრევად გაზრდილ ბავშვებზე, დიდებით მოფიქრალეებსა და მოაზროვნეებზე, მოზარდების განცდებზე, ხატავს გარემოს, სადაც პერსონაჟები ცხოვრობენ, საქმიანობენ, განიცდიან, დარდობენ. ინანიშვილი ცოცხლად ხატავს სოციუმს, ურთიერთობებსა და ბუნებრივია თავის გამოხატვაში. ახალენაადგმული ბაღი რომ მოჩლექით ლაპარაკობს, მოზრდილთა ბრაღია, რადგან სწორედ ისინი ესაუბრებიან მას ამგვარად - ვითომ ასე უფრო გავაგებინებთო. სამწუხაროდ, ზოგჯერ საბავშვო მწერლობაშიც ხდება ასე. რევაზ ინანიშვილის მთელი საყმაწვილო პროზა ამ ცრუ აზრის წინააღმდეგაა მიმართულიო [შატაიძე, 1980:62], აღნიშნავს ნუგზარ შატაიძე სტატიაში „კეთილი მეზაღე და მისი პატარა სტუმრები“. ლიტერატურას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდა-განათლებაში და რამდენადაც აქვს მნიშვნელობა, იმდენადვე აქვს გავლენა, ამიტომაც არის ბავშვებისთვის წერა განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო და მძიმე შრომა. ამ მოსაზრებას თავად მწერალიც ადასტურებს: „ადამიანი ბავშვობიდანვე უნდა შეაჩვიოთ იმ აზრს, რომ იგი განცხრომისთვის არ არის მოსული ამ ქვეყანაზე. მან უნდა ზიდოს მძიმე ლოდები სახლების ასაშენებლად, თხაროს ქვასავით მაგარი მიწა გზებისა და არხების გასაშენებლად, თვალეები ჩაიწყალოს მილიარდობით დახვავებულ სასტამბო ნიშნებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი დაჰკარგავს სულიერ წონასწორობას, ეს კი უსაშინლესი დაავადებაა ყველა დაავადებათა შორის“ [ინანიშვილი, 2001:28].

სწორედ ამაზე აკეთებს აქცენტს ლალი დათაშვილი წიგნში „რევაზ ინანიშვილი - ქართველი მწერლები სკოლაში“: „აი, ყველაზე მკვეთრად რა უნდა ჩავუნერგოთ პატარას - ლოგინში რომ წვები, თუ წუთით მაინც შეგიპყრობს ფიქრი, - სადღაც ვიღაცას სცივა,

სადღაც ვიღაცას ენატრება ლოგინი, სადღაც ავადმყოფი ფრინველი კანკალებს ბუჩქის ძირას, ანდა ცხოველი წკმუტუნით ილოკავს ჭრილობას - უკვე ნამდვილი ადამიანი ხარ“ [დათაშვილი, 2010:4].

ზნეობრივი, ემპათიური, სხვისი ტკივილ-სიხარულის გამზიარებელი ადამიანი - სწორედ ეს არის ინანიშვილის პროზის პროტოტიპიც, პროტაგონისტიც, ასეთებად უნდა ჩამოყალიბდნენ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის მკითხველებიც.

კრიტიკოსები ინანიშვილს ხშირად „ცრემლიან მწერლად“ მოიხსენიებენ, მჯილით იწმენდენ მისი პერსონაჟები ცრემლს და მკითხველსაც ამგვარ ემოციას უქმნიან: რევაზ ინანიშვილის მოთხრობებში ყველაფერი ცრემლიანი თვალითაა დანახული, ცრემლის პრიზმაშია გატარებული ის, რაც ჩვენ წინაშე ასე გულუხვადაა გადმოფენილი. ცრემლიანი თვალითაა დანახული ჩამავალი მზის „ტკბილი სხივები“, მოგუგუნე გაზაფხული, ბურუსიანი ზამთარი თუ შემოდგომა, რომელსაც ერთმა ფრანგმა მწერალმა „ბუნების ოქროსფერი კვდომა“ უწოდა, რაც საოცრად მიესადაგება ინანიშვილის ონტოლოგიურ განწყობილებებს [ჭილაძე, 2014:346]. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოფიერება მწერალთან ყოველთვის ღრმა სულიერებით, შინაგანი სინათლით არის განათებული.

რევაზ ინანიშვილი მცირე პროზის დიდოსტატია, შეუძლია სათქმელი მოკლედ და აკუმულირებულად გამოხატოს ნოველით/მოთხრობით. ამასვე აღნიშნავს ლიტერატურათმცოდნე ირმა რატიანი: „ორდინარული, თუმცა, ხშირად არაორდინარული სიტუაციებიც, სხვადასხვა ცხოვრებისეული პრობლემები, ეთიკური დილემები, ღირსეული გამოსავალის მუდმივი ძიება - ამ თემების რეალიზაციისათვის მწერალი წარმატებით იყენებს მცირე პროზაულ ფორმატს - მოთხრობისა და, უპირატესად, ნოველის ჟანრს“ [რატიანი, 2013:176].

„რევაზ ინანიშვილს შეუძლია შეძრას ადამიანის გრძნობათა ლაბირინთები, გააცინოს და მწარედ აატიროს მკითხველი, საფიქრალი დაუტოვოს, რათა თავად განსაჯოს და გადაწყვიტოს, რა არის ადამიანის მთავარი მისია, რისთვის მოდის ამქვეყნად. ინანიშვილის მოთხრობაში, მოჩვენებითი უბრალოების იქით, ოცნების ამარა დარჩენილი ადამიანის სიმარტოვესაც ვგრძნობთ. ტყუილად როდი მეორდება, ათასნაირად სახეშეცვლილი, ერთი ძირითადი საყრდენი ფრაზა - თითქოს... გაქცეოდეს და ვერ პოვებდეს საკუთარ თავსო“ [ჭილაძე, 2014:346] - აღნიშნავს მწერალი თამაზ ჭილაძე რევაზ ინანიშვილზე დაწერილ

ესეში, რომელიც შესულია წიგნში „უკვდავების ათინათი“. თამაზ ჭილაძის ესეების კრებული ქართველ მწერლებზე, მათ ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დაწერილია არაორდინარულად, პრობლემები გააზრებულია ორიგინალური რაკურსით, რაც ხელს უწყობს სასკოლო სახელმძღვანელოებში შესული ნაწარმოებების თავისუფალ ანალიზს. შეიძლება ხშირად ავტორისეული მოსაზრება საკამათოც იყოს, მაგრამ აზროვნების თავისუფლებას, მიდგომათა მასშტაბს საგრძნობლად აფართოებს, რაც, სამწუხაროდ, აკლია ქართულ ლიტერატურულ სივრცეს. ამავე ესეში აღნიშნავს თამაზ ჭილაძე, რომ ცრემლიანი თვალებია ის, რაც განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს ინანიშვილის მოთხრობებს: „ამ ცრემლიანი თვალთ მწერალი უფრო მეტს ხედავს, ვიდრე ნებისმიერი ჩვენგანი. ეს უპირატესობა კი არა, უბრალოდ, საქმედ გარდაქმნილი თვისებაა - დანახვა და დამახსოვრება! თვალთ თითქოს სინამდვილის ასლს იღებს და ინახავს კიდევ ყველაზე საიმედო სეიფში, რასაც მახსოვრობა ჰქვია“ [ჭილაძე, 2014:346].

რეზო ინანიშვილის ნაწარმოებები განკუთვნილია როგორც პატარებისთვის, ასევე - ზრდასრული ადამიანებისთვის. რამდენადაც სევდიანია, იმდენადვე იმედისმომცემია მისი მცირე პროზა, განსაკუთრებით, ნოველები, რომლებიც სასკოლო-სასწავლო პროგრამაშიცაა შეტანილი. „ინანიშვილი ვირტუოზულად ფლობს ნოველის ტექნოლოგიას, სრულად შეიგრძნობს ჟანრის კანონს და ქმნის შეუდარებელი მწერლური ალლოთი და გემოვნებით გამორჩეულ ტექსტებს“ [რატიანი, 2013:176].

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ინანიშვილის შემოქმედება იმედისმომცემია, იმედი კი მნიშვნელოვანი საყრდენია და მოზარდს განსაკუთრებით განვითარების იმ ეტაპზე სჭირდება, როცა სამყაროს შეცნობას მთელი არსებით ცდილობს. რევაზ ინანიშვილი ოსტატურად მალავს თავის ცრემლსა და ტკივილს, აქცენტი კი მუდამ დადებითზე, ადამიანურზე, ამაღლებულზე გადააქვს, რადგან ცხოვრების დვრიტა, ადამიანურ ურთიერთობათა მამოძრავებელი ძალა სიკეთეა და არა ბოროტება [ბექიშვილი, 1979:132].

ინანიშვილის პროზას კიდევ უფრო დიდი დანიშნულება აქვს, ვიდრე, უბრალოდ, იმედის ჩანერგვაა, ის აღმზრდელობითი, შთამაგონებელია. მწერალი ჩანაწერებში წერდა, ერთი წუთითაც კი რომ წარმოვიდგინო, მე ვმწერლობ ვიღაცების გასართობად, მაშინ სამუდამოდ ავიღებდი ყოველგვარ წერაზე ხელსო [ინანიშვილი, 2011:183]. ამ მოსაზრებას ავითარებს კრიტიკოსი მამუკა წიკლაურიც, მკითხველისათვის რევაზ ინანიშვილის მიერ

მირთმეულ ტკბილ სუფრაზე თითქმის ყოველთვისაა ისეთი რამ, რისთვისაც მოთხრობა დაიწერა და რაც, ძირითადად, ქვეტექსტითაა წარმოდგენილი. მკითხველთა დიდი ნაწილი მხატვრულ ნაწარმოებს გასართობად კითხულობს: ნამდვილი ლიტერატურის პირველი საზომი სწორედ ისაა, თუ რა ღირებულების აბს „გადააყლაპებს“ მკითხველს ამ გართობისას, როგორ შეძრავს მის სულს.... სწორედ ისაა ძნელად მისაგნები და ძნელად მოსაპოვებელი, მაგრამ აუცილებელი, რადგან სწორედ ის განასხვავებს ნამდვილ მწერლობას გასართობი ლიტერატურისაგან [წიკლაური, 1977:3]. სწორედ ამიტომ არ კარგავს ინანიშვილი მოზარდ მკითხველში აქტუალურობას - სწორედ ეს სერიოზული დამოკიდებულება და პატარა მკითხველისათვის სრული ნდობის გამოცხადება ანიჭებს რევაზ ინანიშვილის მოთხრობებს იმ მაგიურ ძალას, რომლითაც ასე აჯადოებენ ისინი ყოველი ასაკის მკითხველს [შატაძე, 1980:62].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რევაზ ინანიშვილის ნაწარმოებებს ასწავლიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, როგორც დაწყებით საფეხურზე, ისე მაღალ კლასებში, რაც მკაფიო დასტურია იმისა, რომ მისი შემოქმედება მოზარდს პიროვნული სიმწიფის ასაკამდე უნათებს გზას, ყმაწვილი ითვისებს სიკეთეს, მოყვასისა და სამშობლოს სიყვარულს, ადამიანად ყოფნას. ხაზგასმით უნდა ვთქვაო, აღნიშნავს მ. წიკლაური, რომ რევაზ ინანიშვილი რაღაც სხვაგვარი საბავშვო მწერალია - ის როგორღაც ახერხებს, ჩვენ და ჩვენი შვილები ერთ სკამზე დაგვსხას და თავისი მოთხრობები სულგაკმედილებს გვასმენინოს - ჩვენ ჩვენი ბავშვობა დაგვიბრუნოს, ხოლო ყმაწვილების სისხლი და თვალები ბრძოლის და შრომის წყურვილით აავსოს. რევაზ ინანიშვილი ბავშვების დასაჭკვიანებლად კი არა, თითქოს ჭკვიანი ბავშვებისთვის წერს, ბავშვებისადმი დიდი პატივისცემის, მოკრძალების გრძნობით და თუკი ტრადიციაზე აუცილებელია მინიშნება, სწორედ აქ უკავშირდება იგი ვაჟა-ფშაველასა და თედო რაზიკაშვილის ლიტერატურულ ტრადიციებს, რომლებიც, თავის მხრივ, ჩვენი ისტორიული სინამდვილიდან ამოდიოდნენ. მეტისმეტად ადრე ამთავრებდნენ ჩვენი წინაპრები ბავშვობას - ნამდვილ გუთანსა და ნამდვილ ხმალს იღებდნენ ათი-თორმეტი წლისანი“ [წიკლაური, 1977:4].

მე-20 საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს, როდესაც საბჭოთა კავშირში დიდი რეპრესიები მიმდინარეობს, ქვეყანა კიდევ ერთ მსოფლიო ომში ჩაბმისთვის ემზადება; რიგით მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრება მეტად მძიმეა - გაჭირვება, ეკონომიკური

კრიზისი, დემორალიზებული საზოგადოება და დიდ რეპრესიებს შეწირულ ადამიანთა ბედი, გამოუთქმელი შიში ყველა მოქალაქეს თან დაჰყვება, თითოეულის ცხოვრებაზე ახდენს ზეგავლენას. ამ პირობებში მცხოვრები ახალგაზრდები, რომლებიც გარდატეხის ასაკს უახლოვდებიან, სამყაროზე საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბებას იწყებენ, იქცევიან ინანიშვილის პროზის პერსონაჟებად. მათი თვალთ დანახული სინამდვილე მწერლის მოთხრობების ფონია. ეს კონკრეტული დრო და სივრცე იქცევა ინანიშვილისათვის მხატვრული განზოგადების საშუალებად. მისი პროზის გმირი ზოგადი სახეცაა და კონკრეტულიც. როდესაც მწერალი პერსონაჟს ქმნის, შეიძლება ითქვას, რომ ქმნის კრებით სახეს, რომლის ირგვლივ ტრიალებს და ცოცხლობს მოვალეობანი და მოვლენები. ეს განზოგადებული სახეა და მაინც რაღაცით ძალზედ კონკრეტული და სრული. გრჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მას სადღაც შეხვდი და ელაპარაკე. ასეთი ადამიანები ყოველთვის გამახსოვრებენ თავს არა დეკლარაციული ფრაზებით და შეგონებით, არამედ - იმ მიწისა და გარემოს მეშვეობით, სადაც ვცოცხლობთ და ვარსებობთ [ჭინჭარაული, 1977:3]. უშუალოდ, ბუნებრივად იქცევიან, მეტყველებენ ინანიშვილის მცირე პროზის პერსონაჟები, თითქოს ასევე ადვილადაც იხატებიან, უხილავი ზემოქმედების ძალა აქვს მის მოთხრობებს, მორალური და ზნეობრივი ზემოქმედების ძალა, რომელიც უნებურად ჩაგაფიქრებს და გაიძულებს სხვა თვალთ შეხედო გარემოსა თუ ადამიანებს. ყოველივე ამას მწერალი აკეთებს ძალზე ბუნებრივად და ისე მიჰყავხარ თხრობის გზაზე, რომ ვერც დაღლას გრძნობ და არც ბუნების სილამაზე რჩება შენს თვალს მიღმა [ჭინჭარაული, 1977:3].

მწერალი მორალისტი რომ არ უნდა იყოს, მით უმეტეს, დიდაქტიკოსი, თანამედროვე მკითხველებმა, განსაკუთრებით, ახალგაზრდებმა, კარგად იციან. და მაინც, მწერალი უფრო უნდა წააგავდეს მწირს, რომელიც ბრძოლის ველზე დადის და წყლულებს უხვევს დაჭრილებს. ეს მწირი, თვითონ გადამტანი ათასგვარი ჭირ-ვარამის, თავისი სიმშვიდით ნუგეშს უნდა უნერგავდეს სულატკივებულს, ათობდეს შეციებულთ, აწყნარებდეს [დათაშვილი, 2010:4]. სწორედ ასეთი მწერალია ინანიშვილი - ათასგვარი ჭირ-ვარამის გადამტანი და მაინც ნუგეშისმცემელი, არა მორალისტი, არამედ სულიერი სიმშვიდის, წონასწორობის მომტანი.

რევაზ ინანიშვილს განსაკუთრებული სამწერლობო ენა აქვს - მარტივი, მსუბუქი და ლაკონური, ამ მხრივ მას ნიკო ლორთქიფანიძის სკოლის წარმომადგენლად მიიჩნევენ. გურამ ბენაშვილი ესეში „ცხოვრება - დუდილით სავსე“ წერს, „განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ალბათ, რევაზ ინანიშვილის ერთი განსაკუთრებული თვისება, რომელიც განაპირობებს მისი პროზის განუმეორებელ ხასიათს - ეს არის მისი ენა, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი და, იმავე დროს, არაჩვეულებრივიც. მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში ამ მხრივ იგი გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებს. განსაცვიფრებლად სადა, პირველქმნილი უბიწობით და ამავე დროს კლასიკურ სიმალეს მიღწეული პლასტიკით აღბეჭდილი ენობრივი ქსოვილი, თვით უმარტივესი სიუჟეტის მომხიბვლელი განცხადების გარანტიად იქცევა მისთვის“ [ბენაშვილი, 1977:92]. მწერლის ტექსტები ერთნაირად გასაგებია სხვადასხვა ასაკის მკითხველისთვის, განსაკუთრებით, ბავშვებისა და მოზარდებისთვის და ასეც უნდა იყოს - ენის სიმარტივე, რომელიც დიდაქტიკურობისგანაა დაცლილი, უბრალო ამბების უბრალოდ მოყოლა, გაცილებით საინტერესოა, ვიდრე მორალისტური მოთხრობა ან ნოველა. მწერლის ენას კიდევ უფრო განსაკუთრებულად აქცევს ინანიშვილის პოეტური ბუნება - ინანიშვილის მოთხრობები თითქოს თავისივე პოეტურ სიმყუდროვეშია გარინდებული და განაბული, როგორც წვიმის ქვეშ ჩაყურებული იორი. მაგრამ ზოგჯერ იმდენად დინამიურია, შეიძლება კინომატოგრაფიაც კი გაგვახსენდეს.... [ჭილაძე, 2014:346].

„რევაზ ინანიშვილზე, როგორც მწერალზე, მის სტილზე ცოტა როდია დაწერილი. კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, თუ რა ცოცხლად ხატავს იგი ცხოველებს, მცენარეებს, მთებს, ადამიანთა პორტრეტებს. ბევრი როდია ისეთი მწერალი, რომელიც ასე სრულად, ასე ზუსტად ხედავს პიროვნებაში იმას, რაც განუმეორებელი და საკუთარია. მწერალი, რომელიც ასე ღრმად შედის ადამიანის შინაგან სამყაროში, ასე ნათლად გვიჩვენებს ზედმეტს, რაც თეთრი ძაფითაა მიკერებული, რითაც პიროვნებას თავისი თავი ხელოვნურად შეუვსია, პროფესიონალი ადვილად მიხვდება, თუ რა ტანჯვით, შემოქმედებითი ძაბვითაა შექმნილი ეს ლაღი, მარტივი მოთხრობები“ [წიკლაური, 1977:4]. ბუნებრივია, სისადავის, „სიმარტივის“ მიღმა ძალიან დიდი შრომა, ჯაფა იმალება, სწორედ ამაზე აკეთებს კომენტარს სოსო ჭინჭარაული, როცა ამბობს, რომ „უბრალოდ“ ლაპარაკი მკითხველთან ავტორს დიდ რუდუნებად და გარჯად უღირს [ჭინჭარაული, 1977:3]. ამავეს ადასტურებს მწერალი თავის დღიურებში - „სისადავე! სისადავე! სისადავე! ოი, რა ძნელია მიღწევა“ [ინანიშვილი, 2001:13].

„თუ არა სულით მდიდარს, სხვას არ შეუძლია გახდეს საბავშვო მწერალიო, ამბობდა ვაჟა-ფშაველა და რევაზ ინანიშვილის ყოველი საბავშვო მოთხრობა, ნოველა თუ ჩანახატი, დაბეჭდვით გვიმტკიცებს ამ ჭეშმარიტებას“ [შატაძე, 1980:61]. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ინანიშვილის საყვარელი თემები, რომელთა განზოგადებაც მწერლის პროზაში ხდება, მისი ყველა მოთხრობა თუ ნოველა ცალკე უნდა განიხილო, რადგან ყველაზე მცირე თხზულებაშიც კი, დიდი სათქმელია ჩატეული. რევაზ ინანიშვილის შემოქმედება თემატურად ძალზე მრავალფეროვანია, აქ ერთნაირად მონაცვლეობენ წარსული და მომავალი, სოფლის მშრომელი ადამიანები თუ ქალაქელები, ბუნებრივ გარემოსაც დიდი ადგილი უჭირავს მის მოთხრობებში [ჭინჭარაული, 1977:3].

რევაზ ინანიშვილის შემოქმედება ეროვნული თემატიკითაც გამოირჩევა, თუმცა ამაზეც იგი უხმაუროდ, ჩურჩულით, გულისგულში საუბრობს, ხმაურიანი პატრიოტიზმი მისი სტილი არ არის. რევაზ ინანიშვილი, პირველ რიგში, პრობლემატიკითაა ეროვნული მწერალი. ეს პრობლემატიკა მიწისქვეშა მდინარესავით არსებობს მის შემოქმედებაში, არ შიშვლდება, მაგრამ არც იმალება - ის არსებობს და უნდა დაინახო [წიკლაური, 1977:3].

ეროვნულ პოზიციას მწერალი საკუთარი ცხოვრების წესით, ყოველდღიურობით ამტკიცებდა. 1978 წელს ქართველ ხელოვანთა ჯგუფი ევროპაში გაემგზავრა საბავშვო წიგნის საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად. მწერალი მოკრძალებულად შენიშნავს, რა მრავალრიცხოვანი იყო ევროპული ლიტერატურა და მის გვერდით რა ღარიბულად გამოიყურებოდა საბჭოთა კავშირის მხარე. ამაზე საუბარი იმხანად არ შეიძლებოდა – ვინ გაბედავდა ასეთი სიმართლისთვის თვალის გასწორებას?! მაგრამ ეს სხვა საკითხია, რადგან ქართული საბავშვო მწერლობა არც მას შემდეგ გამდიდრებულა დიდად – ძირითადად, თარგმნილი წიგნები ჭარბობს“ [სახელაშვილი, 2012 (ელ. რესურსი)].

თავად მწერალი ამ მოვლენას ასე აფასებს, როდესაც „განათლებულ ადამიანთა“ ერთი ჯგუფი მიმტკიცებს, თითქოს საჭირო არ იყოს ჩვენი, საკუთარი პატარა ლიტერატურის ქონა მსოფლიოს დიდი ლიტერატურების გვერდით, თითქოს თარგმნილი წიგნები უკეთესად გააკეთებდეს ჩვენი ლიტერატურის გასაკეთებელ საქმეს, მე მათ ერთ-ერთ კითხვად ყოველთვის ამას ვაძლევ: ხომ არ მოსწყვეტს თარგმნილი ლიტერატურა ჩვენს მკითხველებს თავის ადგილს, ხომ არ დააბნევს; რადგან მე ასე ვიცი: რამდენი მთაც არსებობს -

იმდენნაირი ხასიათი აქვს ამ მთებს, იმდენნაირი კონკრეტული ხერხებია საჭირო ამ მთის ძირას საცხოვრებლად; ძნელად, რომ ამერიკის პერიფერიების მცხოვრებთა სულისკვეთება მთარგოთ ჩვენი ფიცხი მთების შვილთა ხასიათსო [ინანიშვილი, 2001:26].

ლიტერატურამ მკითხველი არ უნდა მოსწყვიტოს თავის ფესვებს. პირიქით, მან უნდა ასწავლოს, ვინ არის, რა ადგილი უჭირავს დედამიწაზე და რა მისია აქვს შესასრულებელი. რევაზ ინანიშვილი ნამდვილად არის ის მწერალი, რომელმაც ქართული საბავშვო ლიტერატურის პოლიტიკა განსაზღვრა და ის ორგანულ კალაპოტში ჩააყენა. და მაინც, რა არის მის მოთხრობებში ასეთი მიმზიდველი და ადამიანური, როგორი თვალთ ხედავს მწერალი სამყაროს? მისი ტექსტები „დამრიგებელი“ და „შორი თეთრი მწვერვალი“ მოზარდის ცხოვრების ყველაზე აქტიურ ფაზასა და სივრცეს ასახავს - ესაა მოწაფეობა, სკოლა, საკლასო ოთახი, სადაც მასწავლებელი, როგორც წამმართველი ძალა, ხშირად მთავარ როლშია. ის, სწავლებასთან ერთად, აღმზრდელობით გავლენას ახდენს მოზარდზე. ორივე მოთხრობაში სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულებებია წარმოჩენილი.

„დამრიგებელში“ მასწავლებელი მოსწავლის უხერხულობას ბავშვის სახეზე კითხულობს და ცდილობს მძიმე ეკონომიური მდგომარეობით გამოწვეული ემოციური განცდა გაუადვილოს. მოთხრობაში „შორი თეთრი მწვერვალი“, პირიქით - მასწავლებლის უგულო, არაემპათიური დამოკიდებულება მოზარდის ტრავმირებას იწვევს. „დამრიგებელში“ რევაზ ინანიშვილი მიგვანიშნებს პატარების როლზე ჩვენს ცხოვრებაში. ისინი ჩვენი თვალთახედვის საზღვრებს აფართოებენ და სამყაროს განსხვავებულად აღქმაში გვეხმარებიან, ხოლო ნაწარმოებში „შორი თეთრი მწვერვალი“ მწერალი ასახავს ყმაწვილისადმი უფროსის იმგვარ დამოკიდებულებას, რომელმაც შესაძლოა დააზიანოს მოზარდის ფსიქიკა. ამ ტექსტებში ხაზგასმულია დამრიგებლისა და, ზოგადად, მასწავლებლის, მნიშვნელოვანი როლი - ის ზოგჯერ ავად, ზოგჯერ კი სასარგებლოდ ვლინდება მოზარდის ღირებულებების ფორმირების პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებები მცირე ზომისაა და, ერთი შეხედვით, არ იძლევა შესასწავლი მასალის გავრცობისა და დაკვირვების შესაძლებლობას, მათში ასახული სოციალური გარემოს გათვალისწინებით, ისინი გვაძლევს საშუალებას ბევრი საინტერესო ნიუანსი, დეტალი აღმოვაჩინოთ. მოთხრობა „დამრიგებელი“ 14 წლის ბიჭსა

და მისი თვალთ დანახულ გარესამყაროს გვაცნობს: სკოლას, ოჯახს, მის ირგვლივ არსებულ საზოგადოებას. მთხრობელი ჩვეულებრივი ბიჭია, ასაკისთვის დამახასიათებელი მსოფლგანცდით. თანატოლებთან ერთად შიშით და რიდით შესცქერის ყომარის მოთამაშე დიდ ბიჭებს“ [დათაშვილი, 2010:143]. ნაწარმოებებში ეპოქალური ყოფა, სკოლებისა და ოჯახების რეალობა აღწერილი, ამკარად იკვეთება იმდროინდელი მოსწავლის ყოველდღიურობა, რთული ცხოვრება. მწერალი მის ფსიქოლოგიურად ზუსტ სახეს ქმნის, რადგან ეს ასაკი გულისხმობს ნანახისა თუ განცდილის სარკისებურ და ზედაპირულ ასახვას, ყველაფრის (განსაკუთრებით, აკრძალულის) მიმართ ფრთხილ, შიშნარევ ინტერესს, ყველა ამბის შესახებ დაუღალავ თხრობას, რომლებიც კი მის გარშემო ხდება [დათაშვილი, 2010:143].

მოთხრობაში „დამრიგებელი“ მწერალი სიფრთხილით მიაწინებს მკითხველს, თუ როგორ შეიძლება მოზარდი უნებურად, უფროსების უყურადღებობით, სრულიად დაუცველ გარემოში აღმოჩნდეს. 12 წლის მოზარდი ტყეში მიდის და აქ ემალება რეალობას. ფაქტი, რომელმაც მისი ტყეში წასვლა განაპირობა, იყო სირცხვილი საკუთარი ოჯახური პირობების გამო, მაგრამ ამ ამბავს პერსონაჟი ხსოვნაში შემორჩენილ ლამაზ მოგონებად მოგვითხრობს, მოსწავლეობის პერიოდს იხსენებს. ცხადია, რომ დამრიგებლის ქცევამ მასზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. მწერალი მსუბუქად, მარტივი ენით გვაგებინებს მოზარდის სულში დატრიალებულ ქარბორბალაზე. „მე მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი, (მერე გავიგე) დამრიგებელი ოცდაშვიდის ყოფილა“ [ინანიშვილი, 2012:134], - იხსენებს პერსონაჟი. ნაწარმოები პირველ პირშია დაწერილი, მთხრობელი-ნარატორი თავად გვიყვება საკუთარ თავგადასავალს, რაც თითქოს მწერლის ბიოგრაფიადაც აღიქმება. აღსანიშნავია, რომ რევაზ ინანიშვილის ნოველათა უმრავლესობა პირველი პირითაა დაწერილი, რაც განაპირობებს თხრობის ლირიკულობას, გულახდილ, აღმსარებლურ ტონს. აქ სათქმელი, პრობლემატიკა ყოველთვის ერთგვარად შენიღბულია და ნაწარმოებთა სიღრმეშია საგულვებელი. არაფერი ზედაპირზე არ დევს, თითო სიტყვით, თითო ფრაზით მიგვანიშნებს ავტორი თავის სიხარულსა თუ გულისტკივილს [ბექიშვილი, 1979:131]. თუ რეალურად შევხედავთ, ასეთი დამრიგებელი ბევრი სკოლის დამრიგებლად შეიძლება ჩავთვალოთ. მოზარდის მიერ მცირე დანაშაულს (გაკვეთილების გაცდენას) საბჭოთა ოჯახი ტიპური, დამკვიდრებული რეაქციით უპასუხებს: „გადარეული იყო ბებია; ხმადაბლა,

მაგრამ ცუდად მწყევლიდა დედა - მე ქვასავით ვდუმდი“ [ინანიშვილი, 2012:132]; მოზარდი დუმილით იცავს თავს.

საბჭოთა სკოლა, ჟურნალი, საკლასო ოთახი - თითოეული სიტყვა ნათლად და ცოცხლად გადმოსცემს მთელ სასკოლო ცხოვრებას. ეს ხდება პატარა ტექსტში, სადაც ყველაფერი გასაგებია. ავტორი რეტროსპექტულად გადმოგვცემს განცდილ ამბავს, მართალია, მოქმედების სივრცე მცირეა, მაგრამ განმცდელის სულიერი სივრცეა იმდენად ფართო, რომ გავრცობის საჭიროება აღარ არის. დამრიგებლის საცხოვრებლიდან, რომელიც მოზარდის ბინასთან შედარებით ბევრად პატარა იყო, დაბრუნებული მოზარდის გრძნობა მძაფრი განცდითა და გულწრფელი ცრემლით არის გადმოცემული. სწორედ ამ დროს ხდება მისი ტრანსფორმირება, რეალურ ცხოვრებასთან მოულოდნელი შეჩეხებით: „წამოვედი. ვაშლის ჭამა არ მინდოდა. მერე მაინც ფრთხილად ჩავკვირე. თავს ვიკავებდი, მაგრამ ერთი მწარე ცრემლი მაინც მოვიწმინდე მაჯით“ [ინანიშვილი, 2012:133].

მოზარდმა ზუსტად გაიგო, რატომ გააგზავნა დამრიგებელმა თავის ბინაში ბიდონის მისატანად; მოთხრობის დასასრულს ამბობს კიდევ: „იმ დღიდან დამრიგებელი ძალიან შემეყვარდა“ [ინანიშვილი, 2012:133].

ნაწარმოებში „შორი თეთრი მწვერვალი“ მწერალი ამბავს მესამე პირში მოგვითხრობს. ეს პატარა მოთხრობა ბუნების აღწერით იწყება, მოქმედება სოფელში მიმდინარეობს. მკითხველი თითქოს ცხადად ხედავს გულაბების ფიქრიან ტოტებს, რომლებსაც ჩხართვები ესევიან და ხედავს იმ გულაბების უკან, გაქუცულ სერზე თუ როგორი „არქაული სიმშვიდით დაფამფალებენ ჭუჭყიანი, მატყლში მურწაჩაკრული ცხვრები“, ხედავს როგორია „რიყეში ჩაკარგული იორი, იორს იქით, გორაზე - უჯარმა და მუხროვანი, ქვემოთ - მულანლო, - თათრების სოფელი, - იმის ქვემოთ - სართიჭალა, იმის ქვემოთ - სასიანო, თეთრქვა, ქოჩორა... დასცქერი მაღლიდან და ასე გგონია, ამოდენა მიდამოს ბატონ-პატრონი შენ ხარ, გაიქნევ ხელს და ჯადოქარივით შენს ნებაზე აამოძრავებ ყველაფერს“ [ინანიშვილი, 2012:3-4] - ასე დასცქერის მკითხველი გარემოს მწერალთან ერთად. „ილიაში სახრეამოჩრილ ბიჭებს ჯიბეები ზღმარტლით აქვთ სავსე, თან რაღაცას მოლაპარაკობენ და თან იმ ზღმარტლს ჭამენ. შეხვდები, გამოგლიმებენ და მეგობრობის ნიშნად გვერდულად შემოგიღრენენ: „ჰა, ვერან!“ თანაც ზღმარტლს გამოგიწვდიან: „აჰა, ჭამე“ [ინანიშვილი, 2012:4].

მოთხრობის გმირებს სახელებიც კი არ აქვთ. არ აქვს სახელი მთავარ პერსონაჟ ბიჭს, რომელიც შემთხვევით, თითქოს სრულიად არსაიდან შემოდის თხრობაში. ბიჭი საგანგებოდ ამ მწვერვალის დასანახავად ამოდის ხოლმე (თან წალდი მოაქვს, თითქოს ფიჩხსა ან წნელზე იყოს წამოსული). „დგას და გაჰყურებს გულისცემით. ასე რომ ვეღარ უძლებს, ჯდება, ზოგჯერ წვება კიდევ და ხან თვალეზგადიდებული იყურება, ხან თვალეზმოჭუტული. ჯიბეში ვაშლები აქვს, ამოიღებს და მადიანად ჩაკბეჩს...“ [ინანიშვილი, 2012:5]. თხრობა უეცრად საკლასო ოთახში გრძელდება - „არ გესმის, შინდელაშვილო?!“ დაუძახებს მასწავლებელი: „გაიმეორე, რას ეწოდება ადგილის გარემოება“ [ინანიშვილი, 2012:6]. ბიჭი წამოდგება, ხელებს მერხის კალთების ქვეშ ამოაწყოფს, თვალეზში ისევ გაურკვეველობის ბურუსი უდგას.

„ვაი, შენს პატრონს უბედურს, ჰგონია, სკოლაში გამოგზავნა შენც!“ - ზიზღით იტყვის მასწავლებელი და მაგიდიდან ბლოკნოტს აიღებს, რომელშიც წითელი კალმით რაღაცას ჩაინიშნავს. „- გაიკარ ორიანი, ბიჭო?!“ [ინანიშვილი, 2012:6], კახურ კილოზე გადმოსძახებს უკანა მერხიდან ყველაზე დიდი ზომის კლასელი, კლასი ახარხარდება, მასწავლებელი აჩუმებს. შინდელაშვილი თავს ჩაღუნავს და უხერხულობისგან ქვედა ტუჩს კვნიტას დაუწყებს. მის გვერდით მჯდარი კლასელი გოგონა შეამჩნევს, რომ ბიჭს ხელები უკანკალებს. უეცრად კი ქუჩაში ტრამვაის ბუგელი კაშკაშა, ბრაზიან ცეცხლს გაუჩენს მავთულს.

ბიჭი, მასწავლებელი, კლასი და გოგონა - პერსონაჟები, თითქოს ბიჭის მხარეს არავინ დგას, არავის უნდა მისი თანაგრძნობა, მისი გაგება. მხოლოდ ბუნებაშია ის თავისუფალი და ბედნიერი. თვალში თანატოლებისა და უფროსებისა, რომელთა სახე-ხატსაც მასწავლებელი წარმოადგენს, ის დაცინვის ობიექტია, რადგან სხვებს არ ჰგავს, რადგან სურს ის, რაც სხვებს ავიწყდებათ, რადგან ენატრება ის, რაც სხვებს აღარ უნდათ; ერთადერთი კლასელის - გოგონას მზერა რჩება მისადმი თანაგრძნობის სიმბოლოდ - გოგონა და მავთულზე მიბმული ტრამვაი, რომელსაც სურვილი ჰქვია (ამერიკელი მწერლის, ტენესი უილიამსის მნიშვნელოვან ტექსტს „ტრამვაი, სახელად სურვილი“, თუ გავიხსენებთ).

იმის მიუხედავად, რომ ადამიანი დაშორდა თავის პირველად ბუნებას, „შორი თეთრი მწვერვალის“ სიმბოლიკა, ალბათ, ყველასათვის საცნაურია - თავისი რეალური არსებობის მიღმა, ამგვარი თეთრი მწვერვალეები ირეალურისა და შორეულ ოცნებათა მკრთალ

სამყაროებსაც გადაუშლის ამ შემთხვევაში ბავშვის, ზოგადად კი ადამიანის ირაციონალურ ბუნებას [ბენაშვილი, 1977:77].

ბიჭი არავის ჰგავს და მაინც ყველასთვის ახლობელია: „პატარა ბიჭის ოცნებად ქცეული სამყარო, მისი ფაქიზი და მგრძობიარე სული თითქოს განრიდებულია ცხოვრების ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მდინარებას, ამას თვითონაც მშვენივრად გრძნობს, მაგრამ ისევ თავისი ლამაზი ფიქრი ურჩევნია, ხშირად არასასურველ უხერხულობაში ჩავარდნას. უხერხულობა კი ძალიან ხშირი სტუმარი იქნება ამგვარი ხასიათისათვის“ [ბენაშვილი, 1977:91]. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი უხერხულობა, სოციუმიდან ამოვარდნა, არატიპურობა, ზოგადად, ახასიათებთ რეზო ინანიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის პერსონაჟებს. ამ კონტექსტში შეუძლებელია არ ვახსენოთ 10-11 წლის გოგონა (მოთხრობიდან „მირანდუხტ“), რომელიც გამოკვეთილი ინდივიდუალიზმითა და ადამიანების მიმართ ხისტ, თავისი სახელივით მკაცრი დამოკიდებულებით გამოირჩევა. ხასიათების ძერწვა მწერლის განსაკუთრებული ნიჭია.

მოთხრობის დაწერის თარიღი უცნობია. ბევრი ფიქრი არ სჭირდება იმას, რომ ამბავი საბჭოთა კავშირში ხდება. მასწავლებლის ცივი, შეუბრალებელი და ზედმეტად მკაცრი სახეც ამის დასტურია. ეს ტექსტი არის ოდა თავისუფლებასა და ბუნების სიყვარულზე, განშორების სევდაზე, რომელიც პატარა ბავშვში ასე ძლიერად ვლინდება. მწერალი იგონებს, ვკითხულობ ჩემს „შორ თეთრი მწვერვალს“ (წიგნს). მეჩვენება, თუ მართლა ასეა? ვაჟას, ეკატერინე გაბაშვილის და იროდიონ ევდოშვილის სოფლებს მიემატა ჩემი სოფელიც. 30-40-იანი წლების ჩემი სოფელი. ამ წლების შემდეგ უკვე სხვები იქნებიან, ან უკვე არიან კიდევ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ საბავშვო ლიტერატურაში [ინანიშვილი, 2001:236].

1976 წელს გამოიცა რევაზ ინანიშვილის მოთხრობების კრებული, ზემოთ განხილული მოთხრობის სათაურით „შორი თეთრი მწვერვალი.“ ლიტერატურათმცოდნე გურამ ბენაშვილი წერს, ალბათ, შემთხვევითი არ არის წიგნის საერთო სახელწოდებად ამ მოთხრობის სახელწოდების შერჩევა. იგი მხოლოდ გარეგანი სილამაზით ვერ დაიმკვიდრებდა ამ საპატიო ადგილს. სწორედ მოთხრობის შინაგანმა სტრუქტურამ, მთავარი გმირის ხასიათის ორიგინალურმა გააზრებამ, მთლიანად მოთხრობაში გამჟღავნებულმა მსოფლმხედველობამ, მეტ-ნაკლებად, მთლიანი კრებულის საერთო სულისკვეთება გამოხატა [ბენაშვილი, 1977:90].

1977 წელს წიგნი საუკეთესო კრებულის ნომინაციაში შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მფლობელი გახდა.

ზურაბ ჭუმბურიძე 1977 წელს ჟურნალ „განთიადში“ გამოქვეყნებულ ესეში - „სიკეთით სავსე ქვეყანა“ აღნიშნავს, რევაზ ინანიშვილი ხშირად სახელს არ არქმევს თავის პერსონაჟებს, არც უარყოფითებს, არც დადებითებს... [ჭუმბურიძე, 1977:141]. ორივე მოთხრობის პერსონაჟი მოზარდი ბიჭია, ორივე უსახელო, შესაბამისად, ორივეს სახისა და ხასიათის განზოგადება შესაძლებელია. მათ განსხვავებული პედაგოგიური მიდგომების პირობებში სრულიად „მარტო“ უწევთ ყოფნა, მაგრამ ორივეს სუფთა გული, ძლიერი მგრძნობელობა და დიდი ემოცია აქვს. ამით ისინი ერთმანეთს ემსგავსებიან. ძლიერი განცდისგან ერთი მაჯით ცრემლს იწმენდს, მეორე კი ტუჩს იკვნიტს. მათი სახეები მკითხველის გონებაში მკაფიოდ, ფოტოპორტრეტით ირეკლება.

რევაზ ინანიშვილს მტკიცედ სწამს პატარა ადამიანის არსებაში ჩაბუდებული სიკეთისა და კაცთმოყვარეობისა, სწორედ ამიტომ არის, რომ თავის საბავშვო მოთხრობებში, გამუდმებით აძლევს პატარა მკითხველს საკუთარი ბუნების საუკეთესო მხარეთა აღმოჩენის საშუალებას, ამ აღმოჩენებით გამოწვეულ სიხარულს კი არაფერი შეედრება, რადგანაც აქედან იწყება მოზარდის სულიერი სამყაროს გაკეთილშობილება, მისი ზნეობრივი ჩამოყალიბება [შატაიძე, 1980:61], აღნიშნავს მწერალი და დრამატურგი ნუგზარ შატაიძე ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულ წერილში „კეთილი მეზაღე და მისი პატარა სტუმრები“. მწერალი ბავშვის, მოზარდის აღზრდის მეთოდს გვთავაზობს, ის თავის მოთხრობებში მხატვრულად გარდასახავს იმ მაგალითებს, რომლებიც ცხოვრებისეული გამოცდილებით, სიყვარულით შეუგროვებია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწერლისთვის არ არის დამახასიათებელი ხმამაღალი პატრიოტული გრძნობები, თუმცა მის ტექსტებში გამუდმებით იგრძნობა ადგილის დედის, მშობლიური კუთხის სიყვარული: „მინაგანი დრამატიზმი, ცხოვრების მოვლენების ბავშვურად ნათელი გააზრება. დანაშაულის და სასჯელის ლოგიკური ურთიერთგამომდინარეობა, წვდომა და მისი სტოიკური გადალახვა, თავისი სოფლისა თუ მისი შემოგარენის პრიზმაში გადატეხილი - ზოგადად სამშობლოს სიყვარული და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და გრძნობადია, უსაზღვროდ განფენილი მაღალი ჰუმანიზმი - განსაკუთრებულ აზრს და მომხიბვლელობას ანიჭებს მწერლის მიერ ხილულ სამყაროს“ [ბენაშვილი, 1977:77]. ამ სიტყვებს თავად

მწერალიც ადასტურებს: „ჩემი ნაწერები ნამცეცხვად გაბნეული სიკეთის ამოკენკვის ცდაა“ [ინანიშვილი, 2001:64].

სკოლის ინანიშვილისეული კონცეფცია ამომწურავად წარმოაჩენს სასკოლო, საგანმანათლებლო ცხოვრების ავ-კარგს. ამ გზას ყველა ადამიანი გადის, თუმცა - სხვადასხვაგვარად. გადალახული დაბრკოლებები, სამწუხაროდ, ზოგისთვის ტრავმულ მეხსიერებად, ზოგისთვის კი ლამაზ მოგონებად რჩება. ცხოვრების ამ გზაზე, ანუ მოზარდობისას ურთიერთობა პედაგოგებთან, დამრიგებლებთან, აღმზრდელებთან ხშირად საბედისწეროა. ეს კარგად ჩანს რევაზ ინანიშვილის მცირე პროზაში. ამიტომაც კარგი იქნება, თუ მომავალი და მოქმედი მასწავლებლები მეტი ინტერესითა და ყურადღებით წაიკითხავენ მის ნაწარმოებებს, დააკვირდებიან პერსონაჟთა ქცევის მოდელებსა და ფსიქოტიპებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რ. ინანიშვილის მცირე პროზაში ნათლად იხატება კონცეპტი საბჭოთა სკოლისა, რომელიც ძალადობასა და საკუთარი აზრის, ინდივიდუალობის უარყოფაზე იყო დაფუძნებული. მხოლოდ ცალკეული გამორჩეული, თავისი საქმის ერთგული მასწავლებლები ახერხებდნენ ამ სისტემაში განსხვავებული, კონკრეტულ მოსწავლეზე მორგებული პოზიციების გამოხატვას და შეფარულად მაინც აღწევდნენ მიზანს, ამიტომაც საბჭოთა სინამდვილეშიც იყვნენ ადამიანები, რომლებიც საღადაც აზროვნებდნენ და ინდივიდუალობასაც ინარჩუნებდნენ (მიუხედავად რეჟიმის სიმკაცრისა, რომ არა ვთქვათ, სისასტიკისა (განსაკუთრებით - პირველ ათწლეულებში). ზემოთქმულის მაგალითია მოთხრობა „ლარა“, რომლის პერსონაჟი - ჟულიენი, მართალია, გასცდა მოზარდობის ასაკს, მეორეკურსელია, მაგრამ საინტერესოა სწორედ ინდივიდუალობის გამო. ჟულიენი და მისი დედა, პოლიკლინიკის ექიმი ლარა, დინების საწინააღმდეგოდ მავალი, კეთილი და მზრუნველი ადამიანები არიან, რომლებიც ერთად უვლიან გულაგიდან ახლადდაბრუნებულ მომაკვდავ მოხუცს, რომელიც ერთისთვის პაპაა, მეორისთვის კი - მამა. ყოფილი პარტიული მაღალჩინოსანი, როგორც კი ფეხზე წამოდგომას შეძლებს, შვილისა და შვილიშვილის დასასმენად მიდის. ჯიბეში წერილი უდევს, რომელსაც ქუჩაში უგონოდ დავარდნილს აღმოუჩენენ და რომლითაც გაარკვევენ გარდაცვლილის ვინაობას. „ეს დედა-შვილი თითქმის ყოველდღე, დილა იქნება თუ საღამო, იაპონური ტრანზისტორის მეშვეობით, რომელიც დედა-შვილს საექვო გზით უნდა

ჰქონდეს შეძენილი მოსკოვში, უსმენენ ჩვენი ქვეყნისთვის მტრულ გადმოცემებს, საზღვარგარეთიდან, მერე, რაღა თქმა უნდა, ამ გადმოცემების შინაარსს ავრცელებენ სამსახურში და ინსტიტუტში“ [კრებული: მოთხრობები... 2014:192]. მოხუცი ისე დაამახინჯა სისტემამ, რომ საკუთარი შვილისა და შვილიშვილის უმკაცრეს დასჯას მოითხოვს და ავიწყდება, რომ დედაც და შვილიც მისი ოჯახია, რომ სწორედ მათი ძალისხმევით შეძლო სიარული, გამოჯანმრთელება. მეორე მხრივ, ასეთი მამის ოჯახში აღზრდილი ლარა და მისი ვაჟი სრულიად საღად, ადეკვატურად აზროვნებენ (აღსანიშნავია, რომ 2013 წლის ეროვნულ გამოცდაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მეოთხე ვარიანტში, წერით დავალებად, ინანიშვილის „ლარას“ ბოლო ეპიზოდი შეიტანეს, აბიტურიენტთა უმრავლესობამ ნაპატიმრალს „გმირი“ უწოდა, რითაც წაკითხული ტექსტის ადეკვატურად გაგებისა და საბჭოთა წარსულზე ინფორმაციის დეფიციტი გამოიკვეთა).

მოზარდის უაღრესად საინტერესო სახე ჩნდება რევაზ ინანიშვილის „ჩიტების გამომზამთრებელში.“ ინანიშვილის პროზა „ორიენტირებულია საზოგადოების არა მარტო სულიერ-ინტელექტუალურ თუ ფსიქოლოგიურ, არამედ ყოფით-სოციალურ პრობლემებსა და ცვლილებებზე“ [რატიანი, 2013:176]. სწორედ სოციალურ კონტექსტს ვხვდებით ზემოაღნიშნულ ნაწარმოებში. მოქმედება ქალაქში, დაბალჭერიან ბინაში (კიდევ ერთი მინიშნება სისტემაზე) მიმდინარეობს. ცოლ-ქმარი შვილზე, სკოლის მოსწავლეზე იწყებს კამათს, რასაც უთანხმოებაც მოყვება. შვილი მოზარდია, 15 წლის, ამიტომ ცოლს ქმრის მიმართ პრეტენზიები აქვს. ის ფიქრობს, რომ მამა-შვილს სათანადო ყურადღებას არა ქცევს და სწორედ ამიტომ აქვს მათ შვილს დისციპლინაში პრობლემები, დედას ქმრის დაუხმარებლად არ შეუძლია შვილის გაკონტროლება და მასწავლებელთა საყვედურების მოსმენა, ამიტომ უბრაზდება ქმარს. „ჩადი, ბატონო, და შენ თვითონ გაიგე, სად დადის შენი დეგენერატი ვაჟიშვილი, რას სწავლობს, საერთოდ, თუ აკეთებს რამეს. რა ჭირზე ფიქრობს, გამოლენჩებული რომ ზის გაკვეთილზე. ჩადი, ბატონო, და შენი ყურით გაიგე, რას ლაპარაკობენ მასწავლებლები. მე აღარ შემიძლია. მეც ხომ ადამიანი ვარ! კარგი, ადამიანისა აღარ შემრჩა, არაფერი, სულდგმული ხომ ვარ. აი, ვიკუნტები, ვიკრუნჩხები და ისე გევედრებით: მე აღარ შემიძლია, გავთავდი, მოვრჩი, ცოტა დამეხმარეთ!“ [ინანიშვილი, 2016:339].

გადაღლილი ქმარი ოჯახურ პრობლემებს ვეღარ უმკლავდება და მათგან გაქცევას ცდილობს; მოშიებულს ერთი სული აქვს ისადილოს, მაგრამ იმასაც ხვდება, რომ თუ ცოლი ბოლომდე არ დაიცლება ემოციისგან, სუფრას არ გაუშლის და იძულებით უბრუნდება პრობლემაზე საუბარს: „საკონტროლოებში - ორი, გეომეტრიაში - ზედიზედ სამი ორი, ქიმიაში - ორი, ქართული როა, ქართულშიც კი ორი აქვს მიღებული!... ჯანდაბაში იმის თავი!... შემიყვანეს, როგორც უკანასკნელი დებილი, დამაჭერინეს კალამი, მომიკიდეს ხელი და ისე დამაწერინეს ხელწერილი: ერთი ორიანიც რომ მიიღოს კიდეც, პროფსასწავლებელში უნდა გადავიყვანოთ“ [ინანიშვილი, 2016:339].

ცოლის მრისხანება ქმარს გლობალურ თემებზე აალაპარაკებს, ესეც ერთგვარი გზაა პრობლემისგან თავის დაღწევისა: „სადამდე მიდის ჩვენი უგუნურება! თან პროპაგანდას ვუწევთ, თან ჩვენ თვითონ ვაცხადებთ პროფსასწავლებლებს სასჯელის მოსახდელ ადგილებად. თვითონ ვეუბნებით ბავშვებს, საშინელ დღეში ჩავარდებიან, თუ პროფსასწავლებლებში მოხვდნენ“ [ინანიშვილი, 2016:341].

კომუნისტური რეჟიმის არასწორმა პროპაგანდამ თავი ყველგან იჩინა, პროფესიული აღზრდა ხელობის დაუფლებასთან უნდა ყოფილიყო გაიგივებული, ხოლო ხელობა კი შრომის დაფასებისა და აღიარების საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ, როგორც ჩანს, საბჭოთა პროპაგანდა შინაარსსა და ლოზუნგებს შორის უფსკრულის გაჩენას ყოველთვის წარმატებით ახერხებდა, რაზეც პერსონაჟიც სწორად მიაჩნებდა: „ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ეროვნულ უბედურებად იქცა კაბინეტებისკენ სწრაფვა! ყველას უნდა, რომ მას ემსახურებოდნენ, ყველას უნდა, რომ თეთრი, ფაფუკი ხელები ჰქონდეს!.. მამაკაცებს, დღეში რომ სამ კილო ხორცსა და ათ ბოთლ ღვინოს ნთქავენ, თეთრი ხელები უნდათ, თეთრი ხელები და თეთრი ტელეფონი. ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მუცლები მოგვექცა თავზე! ეგ არის ყოველგვარი უკუღმართობის სათავე - ჩემი ოჯახი, ჩემი გეჯა, ჩემი სალაფავი და შიგ ყურებამდე ჩაფლული თავი, რომ სხვამ არ ჩაგვიკრას დინგი“ [ინანიშვილი, 2016:342] (ეს მონაკვეთი, რომელშიც მამის პოზიცია იხატება, გვახსენებს ვაჟა-ფშაველას ლექსს „კაი ყმა“, რომელშიც „სადიაცეებად“ ცხადდებიან მხოლოდ საკუთარ ჯამს ჩამაცქერალნი).

„მწერალი ტკივილით წერს იმ ადამიანებზე, რომელთაც სიკეთის გრძნობა დაკარგეს. მოთხრობაში „ჩიტების გამომზამთრებელი“ მკითხველი ეცნობა ოჯახს, ცოლ-ქმარს, რომელთაც წლების მანძილზე დაუკარგავთ ბევრი, ძალიან ბევრი რამ. ეს ცხოვრებისეული

სიმართლეა. პოეზიის, ამაღლებული ურთიერთობების ნაშთი მათ შორის მხოლოდ კედელზე დაკიდებულ ძველ ფოტოსურათზე შერჩენილა. სიცივეს და გაუგებრობას დაუსადგურებია ოჯახში“ [გიორგობიანი, 1980:22]. ცოლ-ქმრის საუბარი თითქოს ჩვეულებრივი მამისა და დედის კამათია, რაც თითქოს ყველა მოზარდის ოჯახში ხდება, გაზრდილი ბიჭები, უკვე დიდებულად რომ გრძნობენ თავს და ძველებური სიბეჯითით აღარც სასკოლო დავალებებს ასრულებენ და აღარც საოჯახოს, მშობლების მუდმივ შენიშვნებს აპროტესტებენ, აღარც კი უსმენენ განუწყვეტელ, ერთი შეხედვით, სამართლიან საყვედურებს, ასეთი საოჯახო საუბრების მაპროვოცირებლები არიან. თითქოს ჩვენ წინ ერთი თავზეხელაღებული, მოღუშული, ხელმოცარული მოზარდი პერსონაჟი უნდა წარდგეს, მაგრამ „შემოდის გაღიმებული თხუთმეტი წლის ბიჭი. მაღალია, წვრილი, მხრებში მოხრილი. გრძლად გაშვებული სქელი თმა კიდევ უფრო უპატარავეს ისედაც პატარა, სიგამხდრისაგან ჩამუქებულ, ჩატეტკილ სახეს. გაბერილი ქალაღდის პარკი უკავია მკერდთან. მთელი სხეულით მოაქვს გასახარი ამბავი. დიდხანს იწმენდს ფეხებს“ [ინანიშვილი, 2016:343] და მშობლებისა და კიდევ უფრო მეტად მკითხველის გასაკვირად იკითხავს: ფანჯარა ღიაა თუ დაკეტილი?

აღსანიშნავია, რომ სულ სხვა იყო მკითხველის მოლოდინი და სულ სხვა აღმოჩნდა მოცემულობა: „ჩიტბატონები ვიყიდე, მთლად იაფად. გამოვაზამთრებ და გაზაფხულზე გავუშვებ“ [ინანიშვილი, 2016:343]. პარკს პირს მოხსნის და ჩიტბატონებს ამოაფრენს. ისინი ფრთხილით, რიკრიკით, თახთახით დაფრინავენ ოთახში. ბიჭი ქვემოდან შესცქერის და ბედნიერებით სახე უბრწყინავს. წონასწორობადაკარგული დედა იატაკის საწმენდი ჯოხით დასდევს ჩიტებს, სანამ თითოეულს კედელს არ მიასრესს, სასოწარკვეთილი ბიჭი საშველად მამას უხმობს: არ დაარტყას, მამა! ხედავს და გრძნობს, რომ დედა არ დაინდობს ჩიტებს, ბიჭი სასოწარკვეთილი ყვირის. მოთხრობის კულმინაციური მომენტი ნათლად ასახავს ავტორის სათქმელს, როგორ უმძიმეს ზეგავლენას ახდენს არასწორი აღზრდა მოზარდის ფსიქოლოგიაზე, ფსიქიკაზე; რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ კომუნიკაციას. ბიჭი, რომელიც დედას წინააღმდეგობას ვეღარ უწევს, მხოლოდ ამას გაიძახის: კარგი, დედა, კარგი... დიდი, საბრალო თვალები ცრემლებით აქვს სავსე. „ჯერ ერთ ჩიტს აიღებს უმწეო ფრთებით, მერე - მეორეს. დგას ჩიტებით ხელში, თითქოსდა ფეხებდაუძლურებული“ [ინანიშვილი, 2016:344]. მას სიხარული წაართვეს და მერე ვინ? საკუთარმა დედამ, ისიც იმ ჩიტებივით, მიახეთქეს, მიასრისეს კედელს; იმ ჩიტებივით, რომლებიც აშკარაა, რომ

თავისუფლების სიმბოლონი არიან; ისიც იმ ჩიტებივით მოკლა დედამ; ბიჭს ჩაუკლეს სურვილი ეზრუნა ჩიტებზე, გამოეზამთრებინა. მამამ რატომ არ დაუჭირა მხარი? მანაც არ შეიბრალა, გაჩუმება ამჯობინა ამ სისასტიკის წინააღმდეგ წასვლას: „თუ არავინ გავალებს, არც ჩიტების გამოზამთრებაა საჭირო, თუ არავინ გავალებს“ [ინანიშვილი, 2016:344].

ერთ პატარა, თითქოს უპრეტენზიო ოჯახს არც არაფერი დარდი და საფიქრალი არ აქვს, გარდა შვილის გაზრდისა და მასზე ზრუნვისა, რაც პრობლემად ქცევიათ. რატომ ვერ ახერხებს ბიჭი, მშობლების სიტყვებით რომ ვთქვათ, „გამოსწორებას,“ რატომ არ ესმით უახლოეს ადამიანებს შვილის, რატომ ვერ ხედავენ მის მისწრაფებებს, სურვილებს, ოცნებებს და თუნდაც ნიჭს? როგორ შეიძლება ასეთმა უგულო ქალმა, რომელსაც დაუფიქრებლად შეუძლია უმწეო ჩიტბატონების კედელზე მიჰყლეთა და მამამ, რომლისთვისაც სიკეთე მხოლოდ „დაკვეთით“ /დავალებით კეთდება, შვილთან მისასვლელი გზა ადვილად იპოვონ?! (საინტერესოა, რომ პირველ სიყვარულზე, ყმაწვილურ, წრფელ განცდებზე 80-იან წლებში გადაღებული საბჭოთა ფილმის სათაურია „გალია იადონებისათვის“ – «Клетка для канареек» -ც.ა.).

პასუხზე მეტს, კითხვას ტოვებს ინანიშვილის ტექსტი. მოთხრობის ბოლოს ვედარ ვხედავთ ბიჭის მომავალს. მან, თითქოს, იმ წუთას დაასრულა/აღკვეთა ყველა პიროვნული სურვილი, როცა დედამ, რომელიც არასწორად, მაგრამ მაინც შვილის „კარგი“ მომავლისთვის იბრძვის, გათელა, გაანადგურა ისინი. აშკარაა, რომ ბიჭსა და მის მშობლებს შორის უზარმაზარი უფსკრულია; აშკარაა, რომ მშობლები არ ცდილობენ შვილის პრობლემების გაგებას, მის მდგომარეობაში შესვლას. ყველაზე დიდი უბედურებაა, როდესაც ყველაზე ახლობელი ადამიანი ცდილობს, შენი არჩევანი მიწასთან გაასწოროს, მხოლოდ იმიტომ, რომ არ უნდა ხალხში თავი მოეჭრას, არ უნდა, შერცხვეს, რეპუტაცია შეელახოს მხოლოდ იმიტომ, რომ ეგოისტური მიზნები ამოძრავებს (პროსპერ მერიმეს საკულტო მოთხრობა „მატეო ფალკონეში“ მამა 10 წლის ბიჭს მხოლოდ იმიტომ კლავს, რომ ფორტუნატო ოჯახის სახელს „შეურაცხყოფს“, მატეოს ღირსებას „ლაფში ამოსვრის“. ამ ნაწარმოებს ხშირად ალექსანდრე ყაზბეგის „ხვეისბერ გოჩას“ ადარებენ, არადა, ქართულ მოთხრობაში სასწორზე სხვა ღირებულებები, სახელმწიფოებრივი აზროვნება დევს).

„ჩიტების გამომზამთრებელში“ გადმოცემული ამბის განზოგადებაც თავისუფლად შეიძლება - მწერალი სწავლებისა და აღზრდის საბჭოთა პრინციპების კრიტიკით

სისტემასაც აკრიტიკებს. სისტემა ქმნის ასეთ აღზრდისა და განათლების მიდგომებს, სისტემის აღზრდილები კი, მისი ერთგულებით გამოირჩევიან. როგორც ამ ეპოქის არაერთი ქართველი მწერლის შემოქმედებაში, რეზო ინანიშვილთანაც ანტისაბჭოთა განწყობები შეფარულად, ქვეტექსტურად არის გადმოცემული, ასეა ამ მოთხრობაშიც.

2.3. მოზარდის სახე ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში „სასწაული“

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედება არაორდინარული მოვლენაა ქართულ მწერლობაში. ეჭვი არაა, რომ ქარჩხაძის სამწერლობო ენამ, რომელიც არავისას ჰგავს, მკვეთრად ჩამოყალიბებული იდენტობა აქვს, წერის სტილმა, საქმისადმი დამოკიდებულებამ, ფსიქოლოგიზმმა, ინტელექტუალიზმმა, ფილოსოფიამ, გამართულმა და გასაგებმა ცხოვრებისეულმა ლოგიკამ დიდი გავლენა იქონია XX საუკუნის ქართულ მწერლობასა და მკითხველზე. „ჯ. ქარჩხაძე რაციონალური, გონებაჭკრეტიტი ტიპის მწერალია, მის ნაწარმოებებში ლოგიკის სინათლე დგას და საგნებს ძლიერი შუქი სცემთ. მათი ზედაპირი და კონტური მკაფიოდ განირჩევა“ [ვასაძე, 1981:10].

მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში უამრავი დიდებული, აწ უკვე კლასიკოსი პროზაიკოსი/პოეტი ვიცით, ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედება ობიექტურად იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას მისი მკვეთრი ინდივიდუალობის გამო.

ჯემალ ქარჩხაძე იმ მწერალთა რიგს მიეკუთვნება, რომელთა ნაწარმოებებიც სკოლებში ისწავლება და სავსებით მიზანშეწონილადაც. ანალიზისთვის შევარჩიეთ მისი პირველი მოთხრობა „სასწაული“, რომელიც, მართალია, სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ტექსტი არ არის, მაგრამ ნათლად წარმოაჩენს მოზარდის ემოციურ მდგომარეობას სწავლების პროცესში. მოთხრობას აქვს ყველა კრიტერიუმი, რაც აღმზრდელობით და შთამაგონებელი ხასიათის ლიტერატურულ ნაწარმოებს სჭირდება; მაკა ლდკონენი (წერილი „თუ ბიჭი ხარ, შეიყვარე ასეთი მასწავლებელი!“) აღნიშნავს: „მოსწავლეებსა და მასწავლებლებზე დაწერილ ნაწარმოებებში „სასწაული“ მართლაც გამორჩეული მოთხრობაა. მისი წაკითხვის შემდეგ მოზარდებთან არაერთ საჭირობოროტო თემაზე თუ გადაუჭრელ პრობლემაზე შევძლებთ საუბარს და ერთმანეთის უკეთ გასაცნობადაც საუკეთესო გარემოში აღმოვჩნდებით“ [ლდკონენი, 2019 (ელ. რესურსი)].

„სასწაული“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯემალ ქარჩხაძის სადებიუტო მოთხრობაა, რომელიც ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა; ამ ფაქტთან დაკავშირებით, ემზარ

კვიტაიშვილი იხსენებს: პირველი მოთხრობა „მნათობში“ გამოაქვეყნა და ამის შემდეგ მოვიდა ახალგაზრდულ ჟურნალ „ცისკარში“, რომელსაც იმხანად ძნელად შესაგუებელი ხასიათის პიროვნება, საბჭოური ეპოქის ერთგვარი მსხვერპლი, მაგრამ ნამდვილი პროფესიონალი, ნაკითხი და გარკვეული ლიტერატურული გემოვნების კაცი კოსტანტინე ლორთქიფანიძე რედაქტორობდა. ჯემალის მოტანილ მოთხრობას „სასწაული“ ერქვა, სკოლის მოწაფეებზე იყო დაწერილი და თვალთახედვის ორიგინალურობითაც გამოირჩეოდა [კვიტაიშვილი, 2015 (ელ. რესურსი)]. ზემოთქმულს ეხმიანება ლიტერატურათმცოდნე მათა ჯალიაშვილი წიგნში „ჯემალ ქარჩხაძე - ქართველი მწერლები სკოლაში“ - ქარჩხაძის გამოჩენა სამწერლობო ცხოვრებაში მაშინდელი ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორს, კოსტანტინე ლორთქიფანიძეს სასწაულისთვის შეუდარებია [ჯალიაშვილი, 2012:162].

სიტყვა/სათაური „სასწაულის“ კონოტაცია ემოციურია, მკითხველი თავიდანვე იმის მოლოდინშია, რომ არალოგიკური, მოულოდნელი, ირაციონალური ამბის მოწმე გახდება. სასწაული, რომელიც ზებუნებრივი მოვლენაა თავისი შინაარსით, ცხადია, რელიგიურ და მისტიკურ წარმოდგენასთანაა დაკავშირებული, რაც ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედებისთვის არ არის უცხო ფენომენი - რელიგიური თემატიკა მისი პროზის მძლავრი შენაკადია. ურწმუნოებას ის საზოგადოების დაცემის წინაპირობად მიიჩნევდა. მისი შემოქმედება სავსეა ათასგვარი ამბით, მის მიერ აღწერილი დრო-სივრცული არეალი ფართოა, იგი ლაღად გრძნობს თავს ნებისმიერ ეპოქაში [ჯალიაშვილი, 2012:163], თუმცა ხსენებულ მოთხრობაში საქმე ნამდვილად არ გვაქვს ზებუნებრივ მოვლენასთან - მოთხრობა უფრო იმის ხაზგასმას, რომ სასწაულები ხშირად ძალიან რეალურია, ყოფითი მოვლენებიდან შეიძლება ამოიზარდოს, ნამდვილად ხდება და ხდება მოულოდნელად.

მოთხრობა 13 წლის მოსწავლე ბიჭის, გია ბარბაქაძისა და მისი მათემატიკის მასწავლებლის, რაჟდენ კაპანაძის ურთიერთობაზეა. მათ შორის კონფლიქტია, მაგრამ აქ და ახლა რაჟდენ კაპანაძის სახლში ყოფნა უწევთ, გარკვეული გარემოებების გამო. „გარკვეული გარემოება“ გიას დაბალი აკადემიური მოსწრებაა, განსაკუთრებით, მათემატიკაში. ბავშვს ახლა ყველაზე მეტად ფეხბურთის სათამაშოდ წასვლა სურს, გუნდის კაპიტანი და საუკეთესო ბომბარდირია, მაგრამ სამულველ მასწავლებელთან უწევს სამულველი მათემატიკის მეცადინეობა, რაც მისთვის ჯოჯოხეთია. „ოთახში ორნი იყვნენ: გია ბარბაქაძე,

ცამეტი წლის ბიჭი, და მისი დაუძინებელი მტერი რაჟდენ კაპანაძე. ბიჭი მაგიდის ერთ მხარეს იდგა, მხრებში აწურულიყო, ცდილობდა მშვიდი და გულგრილი გამომეტყველება მიეღო და მოსალოდნელ განსაცდელს მხნედ შეხვედროდა“ [ქარჩხაძე, 2012:44].

რაჟდენ კაპანაძე ხანშიშესული საბჭოთა მასწავლებლის ტიპური სახეა. მისთვის ბუნებრივია მოზარდის დასჯა, თუნდაც ეს მოზარდისთვის საზიანო იყოს. ის გიას ემოციურ სურვილებს თრგუნავს და სპორტული შეჯიბრების წინ მათემატიკაში მკაცრ გამოცდას უწყობს. მართალია, ბრძოლა უთანასწოროა, მაგრამ ამ უთანასწორო ბრძოლაში ყველაზე კარგად მაინც გია ბარბაქაძე გრძნობს თავს, რადგან იგი „ცამეტი წლის განმავლობაში უქმად კი არ დაეხეტებოდა ამ ცოდვილ მიწაზე! ცხოვრებამ ბევრი რამ ასწავლა და დიახაც მტკიცედ ჰქონდა შეთვისებული ფასდაუდებელი მცნება, რომ, როდესაც ყველა გზა მოჭრილია, როდესაც უბედურების აცილება სრულიად უიმედო საქმეა, უნდა შეინარჩუნო სიმშვიდე და გულგრილობა და მორალურად მაინც გაიმარჯვო მოწინააღმდეგეზე“ [ქარჩხაძე, 2012:44].

ორთაბრძოლის წინ მთავარი პერსონაჟი სულ სხვა ფიქრებით არის შეპყრობილი, მას სტადიონზე გამართული ფეხბურთის მატჩის ბედი აინტერესებს, ამიტომაც გულს საერთოდ ვერ უდებს მათემატიკაში მეცადინეობას. 13 წლის ბიჭს საკმაო გამოცდილება აქვს, მშვენივრად იცის, რომ სასწაულები იშვიათად ხდება, ამ გარდაუვალ ტანჯვა-მეცადინეობას თავს ვერ დააღწევს. ჯებირი აღმართულა 13 წლის გია ბარბაქაძესა და მასწავლებელ რაჟდენ კაპანაძეს შორის. უშუალო, გულწრფელი დამოკიდებულება აქაც ვერ ხერხდება, ურთიერთობა დაჭიმულია და მხოლოდ სასწაული თუ განმუხტავს მას [ხარანაული, 1967:147].

მოთხრობაში გამოყვანილია ტიპური მოზარდი-მოსწავლე, რომელსაც, სხვა ბიჭებივით, სპორტი უყვარს, ამის გამო შეიძლება ბევრი ტყუილიც კი თქვას. ის ხომ მოზარდია! მას ყველაფერი უნდა ეპატიოს, რა თქმა უნდა, ზომიერების ფარგლებში. 13 წელი ზუსტად ის ასაკია, როდესაც ბევრი რამ, თუნდაც სასჯელი, სამაგიეროს გადახდის ან მკაცრი დასჯის საშუალება არ უნდა იყოს. ბავშვს გეომეტრიის მასწავლებლის „ვერშეყარების“ საკუთარი, ურყევი არგუმენტები აქვს. უკმაყოფილების მიზეზები კლასში რაჟდენ კაპანაძის შესვლის პირველსავე წუთებიდან იღებს სათავეს და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, სასწაულით სრულდება. დიახ, სასწაულით და მოთხრობასაც „სასწაული“ ჰქვია [ლდკონენი, 2019 (ელ. რესურსი)].

ბიჭი ცდილობს, დროებით მაინც ამოიგდოს თავიდან ფეხბურთზე ფიქრი და როცა, მასწავლებლის რჩევით, ვაჟკაცისთვის შეუფერებელ სისუსტეს გამოიჩენს და მეტიჩარა ნათიასთან იმეცადინებს, ის დღე და მაშინ მიღებული ცოდნა გაიხსენოს მაშინ, როცა ასე ძალიან სჭირდება. უნდა აღინიშნოს, რომ ფილოსოფიური განსჯისა და ღრმა ფსიქოლოგიური ინტერპრეტირების პროცესი ჯემალ ქარჩხაძის, როგორც მწერლის, ბუნებრივი, მუდმივი მდგომარეობაა და ამ მდგომარეობაში მკითხველიც თავისუფლად, ბუნებრივად შეჰყავს, მწერლის ფიქრი მკითხველის ფიქრია, მისი ნააზრევი - მკითხველის მიგნება, მისი ცხოვრების გზა - მკითხველის მიერ გავლილი და მისი აღმოჩენები - მკითხველის ცხოვრებისეული მიღწევა. ავტორი ხშირად ყოყმანობს (ეს თითქმის მისი წერის მანერაა) თავისი გმირების განცდების გამოხატვისას. მისთვის განცდა ორნაირია: ის, რაც ადამიანს ეჩვენება, და ის, რაც სინამდვილეშია. ამიტომაც, რომ მწერალი დიდ დროსა და ენერგიას ახმარს განცდის - ადამიანის ფსიქიკის ამ ერთი ძირითადი ერთეულის ობიექტური შინაარსის გარკვევას [ხარანაული, 1967:145].

მასწავლებელი ჰპირდება მოსწავლეს, რომ კიდევ ერთხელ მისცემს გადარჩენის საშუალებას და უცებ, სრულიად მოულოდნელად, ჯერ სახე უთეთრდება, მერე სიყვითლე შეეპარება, ბოლოს გამწვანდება. მოზარდს შემზარავი სანახაობა წარმოუდგება თვალწინ - მასწავლებელი თითქოს დაპატარავებულიყო, უბის წიგნაკი და კალმისტარი გულში ჩაეკრა და მძიმედ სუნთქავდა; მოზარდმა დაინახა, რომ მასწავლებელი ყოვლისშემძლე სულაც არ ყოფილა. „სასწაულთან პირისპირ შეხვედრა არც ისე სასიამოვნო ყოფილა, როგორც ადრე ეგონა გიას. გაგონილი სასწაული, თურმე, ათასწილად ჯობია საკუთარი თვალით ნანახ სასწაულს“ [ქარჩხაძე, 2012:57]. მოზარდის მდგომარეობას ავტორი სიფაქიზით, სიფრთხილითა და გონიერებით წარმოგვიჩენს. „ავტორი ზოგჯერ თავსაც კი არიდებს, ამა თუ იმ განცდას საბოლოო სახელი უწოდოს: ყოყმანობს ან მახვილსიტყვაობს, არაფერს ამბობს გადაჭრით, ან თუ ამბობს, თავს იზღვევს შესაბამისად... იქნებ სულაც მწერლის, როგორც სუბიექტის, ეს ყოყმანი იქცა შემდეგ ავტორის სტილად?!“...[ხარანაული, 1967:145].

გიას ურჩევნია შემოდგომაზე ჩააბაროს გეომეტრია, ოღონდ ამ სანახაობას გაერიდოს; ფიქრობს, რომ რაჟღენ კაპანაძე კვდება და სინდისის ქენჯნას გრძნობს ყველა იმ ხიფათის გამო, რასაც გამოატარა მოხუცი მასწავლებელი. ამ ეპიზოდში, ფაქტობრივად, მთავარი პერსონაჟის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს ვაკვირდებით - სწორედ აქ და სწორედ

ახლა იბადება 13 წლის მოზარდში პიროვნება, რადგან ის გადააფასებს განვლილსა და დანახულს და სწავლობს მოვლენების განსხვავებული პერსპექტივიდან აღქმას. „ავტორი სწვდება ადამიანთა ურთიერთობის რთულ ხვეულებს. მან კარგად დაიჭირა ის მომენტი, როდესაც ადამიანის უშუალო, გულწრფელ გრძნობებს წინ ეღობება სიკეთის კედელი, რომლის იქით საწინააღმდეგო, უხეში ძალები მოქმედებენ და რომელიც ადამიანის გულწრფელობას აიძულებს სახე შეიცვალოს, შეეხამოს, ნიღაბი იხმაროს“ [ხარანაული, 1967:147].

ბიჭი გადაარჩენს მასწავლებელს - რაჟდენ კაპანაძე მას ტელეფონის ნომერს უკარნახებს, გიაც გულდასმით რეკავს ექიმ არჩილ ფერაძესთან, რომელიც ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიდის მოხუცთან და სინჯავს. ამასობაში გია ოფლში ცურავს, მას არ უხარია მასწავლებლის ავადმყოფობა, სინდისის ქენჯნასაც გრძნობს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასწავლებელი კი თავის მკურნალ ექიმს გიაზე ესაუბრება, ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ ერთხელ ისეთი საქმე მიყო, პირდაპირ აღარ ვიციო. გია ბარბაქაძე მისთვის მესაე მოსწავლე ყოფილა, მასწავლებელი გრძნობდა, რომ მესაე მოწაფით დაასრულებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, მისი სახელგანთქმული უბის წიგნაკიც უფუნქციო გახდებოდა. რაჟდენი ექიმს ეუბნება: „ბატონო არჩილ, მინდა ჩემი უბის წიგნაკი გადავცე გამოუსწორებელ მესაეს... გინდა გაჩუქო ჩემი უბის წიგნაკი, გიორგი ნიკიფოროვიჩ? იმიტომ კი არა, თითქოს ვინმეს სჯობიხარ, არა. მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი უკანასკნელი მოსწავლე ხარ და კიდევ იმიტომ, რომ გამოუსწორებელს გტოვებ“ [ქარჩხაძე, 2012:68].

გიას თავიდან ჰგონია, რომ დასცინიან, ვერ ხვდება, რაში გამოადგება ორიანებით სავსე უბის წიგნაკი, მასწავლებელი კი სახეიმო კილოთი განაგრძობს - „აი, უბის წიგნაკი. იცოდუ: ეს არის მთელი ჩემი სინდისი (გიას გააჟრჟოლა) და ოცდაათი წლის ნამოღვაწარი. ვინძლო, გაუფრთხილდე. როცა გაიზრდები და დაკვირვებული თვალით ჩაიხედავ ამაში, დაინახავ, რომ რაჟდენ კაპანაძეს მოსწავლეების გასაწამებლად არ შეუძენია ესოდენ სქელი უბის წიგნაკი. აბა, აწი შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ! ახლა კი გაიქეცი, სამი საათი ხდება. სადაცაა, დაიწყება შენი ფეხბურთი“ [ქარჩხაძე, 2012:69].

გიას ისიც უკვირს, საიდან იცის მასწავლებელმა, რომ ფეხბურთის მატჩი აქვს; გარეთ გამოსული კი უბის წიგნაკს შლის და იქ საინტერესო და გასაოცარ ამბავს აღმოაჩენს: „არჩილ ფერაძის (ექიმის - ც.ა.) გასწვრივ პირველ ხაზზე სულ ორიანები ეწერა, ორიანები ეწერა

აგრეთვე მეორე ხაზზე და მესამე ხაზის შუამდე. მესამე ხაზის შუიდან მეოთხე ხაზის შუამდე სამიანები ეწერა, ხოლო აქედან უკვე ოთხიანები და მეოთხე ხაზის დასასრულს - ერთი, ერთადერთი, ობოლი ხუთიანი“ [ქარჩხაძე, 2012:69].

ავტორი ამ კონკრეტულ მოთხრობაში (ზოგადად, თავის ნაწარმოებებში) ხშირად ეხება ცხოვრებისეულ ლოგიკას, არჩევნის თავისუფლების პასუხისმგებლობას და, ზემოთქმულის საილუსტრაციოდ, ხშირად დიქტომიებსა და კონტრასტულობას იყენებს, რათა ფილოსოფიურ, ყოფით თუ მისტიკურ საკითხებში ჩაღრმავება უფრო მარტივად მოხერხდეს. აღსანიშნავია, რომ ამ ხერხს ავტორი არა მხოლოდ „სასწაულში“, არამედ სხვა ნაწარმოებებშიც მიმართავს. ჯემალ ქარჩხაძის ნაწარმოებები ერთმანეთისგან მართლაც მკვეთრად განირჩევა - თემატურად, შინაარსობრივად, მით უფრო, სტილისა და სახოვანების თვალსაზრისით (სხვაობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდებოდა, თუ მწერლის ყველა ნოველას განვიხილავდით.) და მაინც, მათ აერთიანებთ მუდმივი მხატვრული ამოცანა: გამომზეურდეს ნიღბები, რომლებიც ხშირად ფარავენ და ამახინჯებენ ადამიანის ჭეშმარიტ სახეს, ადამიანების ნათელ, კეთილშობილ არსს [ვასაძე, 1981:10].

ზემოთქმული განსაკუთრებით კონკრეტული პერსონაჟის ან პერსონაჟების ქცევებსა და მსოფლადქმებზე ვრცელდება, ტექსტებში ხშირად ვხვდებით დიქტომიას (მაკა და ირინე რომანში „მდგმური“, ანტონიო და დავითი მოთხრობაში „ანტონიო და დავითი“, სამსონი და გედეონი რომანში „ქარავანი“, იგი და ბელადი მოთხრობაში „იგი“, გია და რაჟდენი მოთხრობაში „სასწაული“ და ა.შ.).

რაკი ავტორს ასეთი მიდრეკილება აქვს, მოვლენების, გარემოს, ხასიათების ნამდვილ არსში გარკვევისაკენ, ეჭვგარეშეა, შესაბამისი პათეტიკაც ექნება. ამ პათეტიკას ავალია სენტიმენტალურის ნეიტრალიზება, მკითხველის ყურადღების წარმართვა უფრო ფხიზელი, გონისმიერი აღქმისკენ. სწორედ ამიტომ, ავტორის თხრობა ხშირად წააგავს ზუსტ, პუბლიცისტური სიძლიერით დაწერილ ინფორმაციას რაიმე აპარატში მექანიზმების მოძრაობასა და განსაკუთრებულ შემთხვევაზე [ხარანაული, 1967:145-146].

ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „სასწაული“ მკითხველს დააფიქრებს და ამას ყოველგვარი პათეტიკის გარეშე გააკეთებს; ჩვენ ვიგებთ ამბავს 13 წლის მოზარდისა, რომელიც სულ სხვანაირად ფიქრობს მასწავლებელზე, საგაკვეთილო პროცესზე, სამყაროზე ზოგადად და, მეორე მხრივ, ვხედავთ მასწავლებელს, რომელსაც თითქოს სწორხაზოვანი

აზროვნების მიღმა შეუძლია ნამდვილად მნიშვნელოვანის დანახვა და აღმოჩენა - მოწაფეცა და მასწავლებელიც სასწაულს ელიან, რადგან სასწაული თუ გადაარჩენთ (დიახ, აქ მხოლოდ მოზარდი არ ელის სასწაულს, ეს სათაური ორივე პერსონაჟს მიემართება). ბოლოს ის, მართლაც, ხდება, სასწაულის ძალით გადაურჩება ერთი საშემოდგომო გამოცდასა და მეორე - სიკვდილს; სასწაულის, რომელიც მათ ცხოვრებას, განსაკუთრებით კი, მოზარდისას, რადიკალურად ცვლის. აღზრდის ნებისმიერ კონცეპტსა და თეორიაზე დიდი მასწავლებელი ცხოვრებაა, რომელსაც გამორჩეული მწერლები ოსტატურად აცოცხლებენ მხატვრული სიტყვით, ამიტომაც არის ლიტერატურა, მწერლობა მოზარდზე ზემოქმედების განსაკუთრებული საშუალება.

2.4. სკოლის საბჭოთა მოდელი გოდერძი ჩოხელის „ლუკას სახარების“ მიხედვით

„ლუკას სახარება“ - რატომ აირჩია მწერალმა ოთხი სახარებიდან ლუკასი? რით განსხვავდება ლუკას სახარება დანარჩენებისგან? სახარების მთავარი თემა იესო ქრისტეს, ძე ღვთისას, ცხოვრება და ქადაგებანია. სახარება დაიწერა ქრისტიანთათვის და მიმართულია თეოფილეს და წმ. პავლეს მიერ დაფუძნებული ახალი ქრისტიანული საზოგადოებისადმი. სახარების რიგი თავისებურებები გამომდინარეობს მისი დანიშნულებიდან და კონკრეტული სახარების ავტორის ამოცანიდან, რომელიც მიემართებოდა წარმართებს და ქრისტეს სახელის გავრცელებას ემსახურებოდა. სახარების ოთხივე თავი/ოთხივე სახარება ერთსა და იმავე ამბავს გვიამობს - ქრისტეს დაბადებისა და აღდგომისა, ოღონდ - გარკვეული განსხვავებებით.

რუსი საეკლესიო მწერალი და არქეოლოგი ალექსანდრ ივანოვი ნაშრომში „სახელმძღვანელო ახალი აღთქმის წმიდა წიგნთა შესასწავლად“ ამ განსხვავებების შესახებ აღნიშნავს: მათე წერს თავისი სახარებას იუდეველებისათვის და უდიდეს გალილეველ მასწავლებელში წარმოაჩენს მესიას, რომლის შესახებაც გვაუწყებდნენ წინასწარმეტყველები და რომელსაც მოელოდნენ იუდეველები. იგი ყველგან წერს მასზე, როგორც კაცობრიობის ძეზე, რომელიც მოვიდა ისრაელის სახლის დაკარგული ცხვრების გადასარჩენად, როგორც დავითის მემკვიდრეზე, ჭეშმარიტ მეფესა და ღვთის სასუფევლის დედამიწაზე დამფუძნებელზე. უპირველესად, ამ მიზნით მოჰყავს მახარებელს ყველა ის საუბარი, რომლებშიც თვით იესო უწოდებს თავს ძეს კაცისა, ამ სიტყვებს იმდროინდელი იუდეველებისთვის მესიის მნიშვნელობა ჰქონდა. იხსენიებს ყველა იმ შემთხვევას,

როდესაც მისგან განკურნებულნი უწოდებდნენ იესოს დავითის ძეს, რითაც ისევ აღინიშნება იესო ქრისტეს მესიანური ღირსება. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ მათესთან, უპირველესად, გამოხატულია იესო ქრისტეს ადამიანური მხარე [ივანოვი, 2022:53].

მათეს კონკრეტული ამოცანა ჰქონდა სახარების შექმნისას - იუდეველებისთვის მიეწოდებინა ქრისტეს სახელი არა როგორც ძველი რჯულის შეურაცხმყოფელისა (ძველი აღთქმის დამრღვევისა), არამედ, პირიქით, მისი გამზიარებლისა და აღმსრულებლისა; შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათე მახარებლის ამოცანას ჰქონდა ვიწრო პოლიტიკური დანიშნულება, ერთგვარი „რეაბილიტაცია“ იესო ქრისტესი ებრაელებში, რომელთაც ჯვარს აცვეს იგი.

მარკოზი, რომელიც პეტრე მოციქულის მოწაფე იყო, თავის სახარებაში, ამბის გადმოცემის, თხრობის თვალსაზრისით, ლაკონიური და კონკრეტულია, გარკვეულ ნაციონალურ (ებრაულ) მოვლენებთან დაკავშირებით კი ზედმეტ კომენტარს არ აკეთებს (არ განმარტავს), სწორედ ამიტომ ჩნდება შთაბეჭდილება, რომ იგი ქრისტეს თანამედროვე იყო, ყოველ შემთხვევაში, მოესწრო მას. აღსანიშნავია ისიც, რომ მარკოზ მახარებელი თავის სახარებაში განსაკუთრებულ ყურადღებას პეტრე მოციქულზე ამახვილებს; იმ ამბავზე, როგორ უარყო მან ქრისტე და შემდეგ მოინანია, რის შემდეგაც სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ღვთისგან - მარკოზი თავის სახარებას იწყებს იესო ქრისტეზე, როგორც ძე ღმერთზე, საუბრით. ამასთან ერთად, მის მოსვლას წარმოაჩენს არა ისე უსაფუძვლოდ, როგორც მოდიოდნენ, წარმართთა აზრით, მათი ღმერთები, არამედ - უძველეს წინასწარმეტყველთა სწავლებების ფონზე. მახარებელი ამთავრებს ძე ღმერთის დედამიწაზე ცხოვრების ისტორიას ზეცად ამაღლებითა და მარჯვენით მამისა დაჯდომით. მისი მონათხრობი უბრალოა, ცხოველი. ამის გამო ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ მარკოზი იყო ქრისტეს ცხოვრების თანადროული ისტორიკოსი [ივანოვი, 2022:56]. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მარკოზი წერდა თავისი მასწავლებლის, ქრისტეს მოციქულის, პეტრეს, გავლენით.

იოანეს სახარება იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ამბის თხრობისას მახარებელი ძირითად აქცენტს იესო ქრისტეს ღვთაებრივ ბუნებაზე აკეთებს: იგი, უპირველესად, არის სახარება სულიერი, როგორც წერენ მის შესახებ ეკლესიის მამები, რადგან იგი ასახავს მაცხოვრის ღვთაებრიობას. მეოთხე სახარების ავტორი პირდაპირ არ მიანიშნებს თავის

სახარებაში საკუთარ სახელს, მაგრამ იძლევა ზოგიერთ ისეთ შტრიხს, რომლის მიხედვითაც ადვილად შეიძლება მისი ცნობა. ისაა იესო ქრისტეს საყვარელი მოწაფე. ის საიდუმლო სერობაზე უფლის ფერხით ზის. უფლის ჯვართან ღირსი გახდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ძეობისა და მიიღო იგი თავის სახლში, მიიღო აღთქმა - არ მოკვდებოდა მანამ, ვიდრე ისევ არ მოვიდოდა მაცხოვარი. ეს ისეთი შტრიხებია, რომლებიც ეკუთვნის მხოლოდ იოანეს [ივანოვი, 2022:59]; აქედან გამომდინარე, ვასკვნით, რომ იოანეს (მეოთხე) სახარება, რამდენადაც თავად ავტორი უშუალო ურთიერთობაში იყო ძე ღმერთთან, იმდენადვე სუბიექტურია თავის გამოხატვაში და უფრო მეტად ავტორისეული დაკვირვებებითაა სავსე, ვიდრე ისტორიული თუ ფაქტობრივი სინამდვილით.

ლუკა მახარებელი, რომელიც პავლე მოციქულის მოწაფე იყო და რომელიც არ მოსწრებია იესო ქრისტეს, გამოირჩეოდა ისტორიის ღრმა ცოდნით, მისი თხრობა უფრო თანმიმდევრული და ფაქტობრივია. მკვლევრები განიხილავენ ლუკას სახარებას, როგორც წერილობით ძეგლს და შენიშნავენ, რომ ტექსტი ლუკასი, როგორც ისტორიკოსისა, რომელსაც ხელთ ჰქონდა ზეპირი და წერილობითი წყაროები, უფრო ვრცელია და უფრო ახლოსაა ქრონოლოგიურ წესრიგთან, პირველი ორი მახარებელი კი ძირითადად აჯგუფებს მოვლენებსა და საუბრებს. თუმცა, როგორც იესოს ცხოვრების არამხილველი, ის რიგ შემთხვევებში იძულებულია, დატოვოს უცვლელად პირველი მახარებლების მიერ მიღებული გადმოცემის წესრიგი და არ ეძებოს მოვლენებისა და საუბრების ქრონოლოგიური კავშირი [ივანოვი, 2022:59].

ლუკა ქრისტეს წარმოაჩენს როგორც ღვთაებრივი, ასევე ადამიანური კუთხითაც, თუმცა მთავარი, რითაც ლუკას სახარება გამოირჩევა, არის ის აზრი, რომ იესო ქრისტე, ძე ღმერთი, წარმათათვისაც მესიაა და მათთვისაც განკაცდა. ლუკა, პავლე მოციქულის მოწაფე, რომელსაც აქვს კარგი ბერძნული განათლება, ცდილობს მისცეს თავის სახარებას წმიდა ისტორიული კვლევის ხასიათი და ასე წეროს ქრისტეს ცხოვრებაზე. ლუკა მახარებელი განამტკიცებს თეოფილეს ქრისტიანულ სწავლებას და განზრახული აქვს დაამტკიცოს, რომ წარმართათვისაც გამოჩნდა მესია, რომ გამართლება ადამიანს ეძლევა არა წარმოშობის მიხედვით, არამედ - შინაგანი ღირსებით, როგორც ამტკიცებს პავლე (ლუკ. 4.25-27; 18.14 და სხვა ადგილები). ამიტომაც ის საუბრობს ქრისტეზე, როგორც ყველა ხალხისა და ყველა წარმართის მაცხოვარზე (2.31-42), სხვა მახარებლებზე უფრო ხშირად

ახსენებს წარმართი სწეულების განკურნებას იესოს მიერ, მათ რწმენას (7.2-9; 17.14-19) [ივანოვი, 2022:57].

ლუკა მახარებელი ცდილობს თავი აარიდოს სიტყვა წარმართის უარყოფით კონტექსტში მოხსენიებას, რათა არ მოხდეს არასწორი გაგების შედეგად წარმოქმნილი გაუგებრობა. მაგალითად, ქრისტეს მთაზე ქადაგებიდან ციტირებულ ფრაზას, რომელიც მათეს სახარებაში შემდეგნაირად ჟღერს: „ანდა თუ მოიკითხავთ მხოლოდ თქვენს მოძმეთ, უჩვეულოს რას სჩადიხართ? განა ასევე არ იქცევით წარმართნი?“ [ბიბლია, 1989, მათე 5:47], ლუკასთან ასეთი ფორმულირება აქვს მიცემული: „და თუ კეთილს უყოფთ თქვენს კეთილისმყოფელთ, რას მიითვლით მადლად?! რადგან ცოდვილნიც ასევე იქცევიან?“ [ბიბლია, 1989, ლუკა 6:33].

ლუკა მახარებელი ხაზს უსვამს სახარების უნიკალურობასა და ღიაობას ყველა ადამიანისთვის; ყურადღებას ამახვილებს ადამიანებსა და მათკენ მიმართულ ღვთაებრივ სიყვარულზე. ის არა მხოლოდ ზუსტი ლიტერატურული ენით ხატავს ყველაზე განსხვავებულ ხასიათებს, არამედ განსაკუთრებულად წარმოაჩენს ქრისტეს მზრუნველობას უბრალო ადამიანებზე. ლუკას სახარებაში მეტი იგავია კონკრეტულად ადამიანებსა და მათ ამქვეყნიურ ურთიერთობებზე, იესო ქრისტე უფრო ტოლერანტულია და სახალხო. ლუკას სახარების ავტორი ყურადღებას ამახვილებს მონანიეთა შემწყნარებლობაზეც. სახარების ბოლოს მახარებელი ლუკა საუბრობს, რომ იესო ქრისტე ამაღლდა ზეცად და უთხრა მოციქულებს: „ასე დაიწერა და ასე უნდა ვნებულიყო ქრისტე, მესამე დღეს კი აღმდგარიყო მკვდრეთით, და ქადაგებულიყო მისი სახელით სინანული ცოდვათა მისატევებლად ყველა ხალხში, იერუსალიმიდან მოყოლებული“ (24.47) [ივანოვი, 2022:59]. ქრისტიანული რელიგია შემწყნარებლობაზე, მიტევებაზე, სიყვარულზე, სიკეთეზე დგას.

ალბათ, სწორედ ამგვარი პოზიციის გამო აირჩია გოდერძი ჩოხელმა ოთხი სახარებიდან მაინც და მაინც „ლუკას სახარება“ და პერსონაჟსაც მახარებლის სახელი უწოდა. თავად მწერლის შინაგანი სამყაროც ხომ დიქტომიურია: წარმართულ-ქრისტიანული, მიწიერიც და მისტიკურიც, ამოუცნობიც და ნაცნობიც, მარტივიცა და რთულიც. წინააღდეგობრივი ბუნება კი შენივთდა და განსხეულდა მის მიერ შექმნილ

მხატვრულ სახეებშიც. ამ წინააღმდეგობრივმა ბუნებამ განაზღვრა გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ხასიათიც.

ზოგადად, გოდერძი ჩოხელის შემოქმედებისთვის დამახასიათებელია მითოლოგიზმი და ფსიქოლოგიზმი, რაც მას ზღაპრულ ელფერსაც აძლევს. ეს ნაწარმოებები სწორედ ასეა დაწერილი - აქ ზღვარი ზღაპარსა და რეალობას შორის წაშლილია, თუმცაღა ტექსტი რეალურ ამბავს ეფუძნება; იმ ამბავს, რაც ტოტალიტარულ სივრცეში მემამბოხე ბუნებისა და წრფელი გულის მქონე მოზარდს შეიძლებოდა გადახდენოდა; რამდენადაც რეალურია გადმოცემული ამბავი, იმდენადვე დაუჯერებელია იგი, რადგან რეალობა, როგორც ასეთი, სულაც არ არის დამაჯერებელი. საგულისხმოა ისიც, რომ გოდერძი ჩოხელი, ძირითადად, სევდიან ამბებს ჰყვება, შესაბამისად, მელანქოლიურ, ტკივილიან ავტორად და, ამავე დროს, მართალ შემოქმედად არის მიჩნეული. მისი ნაწარმოებები ადამიანთა განუზომელი სევდის მატარებელია.

მწერლის შემოქმედება სისადავითა და სილამაზით გამოირჩევა. „გოდერძი ჩოხელი დიდებულია თავისი უბრალოებით. მისი ტკივილი კი საკაცობრიოა და მასშტაბური, ვფიქრობ, იმიტომ, რომ მთაა ამ კაცის შთაგონების წყარო, მთა - სამყაროს მიკრომოდელი, სადაც ყველაფერი ერთ პატარა და თანაც დიდ სიყვარულშია მოქცეული: ეკლესიაც, სასაფლაოც, ყოველდღიურობაც, მარადიულობაც, ხოლო, საზღვარი ცასა და დედამიწას შორის აქ ძალიან მაღალია და თანაც, თითქოს, ხელშესახები“ [ჯმუხაძე, 1998:6].

გოდერძი ჩოხელის მოზარდი ადამიანური გულწრფელობით დაჯილდოვებული პერსონაჟია. მართალია, ის ჩვეულებრივი ბავშვივით იზრდება იმ სამყაროში, რომელსაც ავტორი ხატავს - უყვარს და ეფერება გარემოს, მცენარეებსა და ცხოველებს, თუმცა მაინც განსაკუთრებულია, ისევე, როგორც ყველა ადამიანი. ყველა მოზარდის ყოველდღიურობის ნაწილია სკოლა, შესაბამისად, დიდ დროსა და სივრცეს მოიცავს ცხოვრებაში; ბავშვს სკოლაში უნდა მიუხაროდეს, იქ მას ჯანსაღი გარემო უნდა დახვდეს, რათა ადვილად შეძლოს განათლების მიღება, მაგრამ ზოგჯერ სკოლა მოსწავლისთვის ჯოჯოხეთად იქცევა ხოლმე და ამის მიზეზი, მეტწილად, არსებული წეს-წყობაა. ამიტომაცაა მწერლობაში ძალიან პოპულარული ხერხი სისტემის საჩვენებლად სკოლის წარმოჩენა (საკუთრივ ლიტერატურას რომ თავი დავანებოთ, საკულტო ჯგუფის, „ფინქ ფლოიდის“ საკულტო სიმღერა-კლიპი „Education“ („განათლება“) სწორედ საგანმანათლებლო სისტემის

აბსოლუტურ გაუმართაობას წარმოაჩენს, ნებისმიერი სისტემის სწრაფვას ადამიანთა ნიველირებისაკენ).

გოდერძი ჩოხელის მოთხრობის პერსონაჟ ლუკას, რომელიც მოსწავლე-მოზარდია, სკოლაში არ მიუხარია და მეტიც - სასწავლებელს თავსაც კი არიდებს, რასაც აქვს თავისი მიზეზი. სკოლა ტიპურია, არაფრით გამორჩეული, მაგრამ საშინელი წესებისა და რეჟიმის მატარებელი... დირექტორი - სამოც წელს მიღწეული, მაღალი, გამხდარი, ბრაზიანი კაცი, მისი ყველა ქმედება სისასტიკით გამოირჩევა, ის არავის არაფერს პატიობს, არც ავადმყოფობას. ერთი შეხედვით, დირექტორი ფიზიკურად ჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ სახეზე ბრაზიანი გამომეტყველება ეპოქის ნიშნად ქცეულა, რაც ჩვეულებრივი ადამიანებისგან გამოარჩევს. ჩოხელის შემოქმედებაში ეს დირექტორთა გარდაუვალი თვისებაა. დირექტორი ზოგადი სახეა განათლების სისტემის სასტიკი, შეუზღალებელი, უკიდურესი მეთოდებით გამორჩეული მუშაკისა, რომელიც ცდილობს სკოლაში დისციპლინის განმტკიცებას ისე, რომ პედაგოგებს ავადმყოფობაც კი ეკრძალებათ.

გოდერძი ჩოხელის მოზარდები, განსაკუთრებით, ამ მოთხრობაში, ერთნაირები არ არიან; აქ ვხედავთ ლუკას, რომელიც სათუთად ინახავს მამის დანატოვარ განძს. ბავშვს სიყვარულის, ხსოვნისა და პატივისცემის უნარი აქვს. ვხედავთ უფროსკლასელ აფციაურს, რომელსაც დირექტორი ლუკას გაროზგვას ავალებს. საბჭოთა სკოლაში მოსწავლეს არასოდეს არ მიმართავდნენ სახელით - მხოლოდ გვარით. ეს იყო ერთგვარი ცივი, მკაცრი, ადამიანებს შორის ხიდის ჩამტეხი და ბარიერის აღმმართველი აქტი, რომელსაც ჰქონდა თავისი მკვეთრად განსაზღვრული მიზეზი და ამოცანა. მოზარდს მწერალი შეფასებას არ აძლევს, მხოლოდ „გამროზგველს“ უწოდებს და მკითხველისთვის ყველაფერი გასაგებია. თავისუფლებასა და აზროვნებას მოკლებული მოზარდი ხომ სამყაროს უარყოფითი ენერგიით აავსებს! სწორედ ამ ფენომენის წინააღმდეგაა მიმართული ჩოხელის მოთხრობა.

„ლუკას სახარებაში“ აღწერილია აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. ავტორი/ნარატორი მოგვითხრობს მესამე პირში და დინამიკურად გვიხატავს ერთი პატარა სოფლელი ბიჭის ამბებს. სოფელში თითქოს არაფერი ხდება განსაკუთრებული, ბებია ბიჭს სკოლაში წასვლას აჩქარებს, ბიჭი კი ისე სასიამოვნოდაა ჩართული ოჯახის ყოველდღიურ რუტინაში, არ ჩქარობს. ექსპოზიციამდე ლუკას ბევრი დადებითი თვისება იკვეთება. ბებიასა და შვილიშვილის საუბარს მეზობლთან (მიხო პაპას) დიალოგი ენაცვლება.

დიალოგი ხუმრობანარევია, რადგან ორივეს ხარი ჰყავს და ლუკა თავის ნიკორას გამორჩეულად აქვს; აქვს ამის მიზეზიც, ნიკორა მისი გაზრდილია (თავის სარჩენად მისი დათმობა მოუწევს); დიალოგში დირექტორიც იხსენიება, რომელიც შემდგომ მოთხრობის მთავარ პროტაგონისტად და უბედურების მიზეზად წარმოგვიდგება; პატარა სოფლის სკოლის დირექტორი დიდ მონსტრად ქცეულა, ისეთად, რომ ყველას შიში ზარს სცემს. ლუკა სკოლაში მისვლამდე სასაფლაოზე ჩაირბენს, ერთ-ერთ საფლავთან ჩერდება, იქ მისი დედ-მამაა დასაფლავებული. „მოწყენილი თვალებით უყურებს ქვაზე გამოსახული ახალგაზრდა ქალისა და კაცის სურათებს“ [ჩოხელი, 2017:326].

„ლუკას სახარება“ გოდერძი ჩოხელის რჩეულ თხზულებათა რიცხვს მიეკუთვნება, მოთხრობაში გადმოცემული ამბავი გაიელვებს რომანშიც „წითელი მგელი“, სადაც მთავარი პერსონაჟი ლუკა იხსენებს ბავშვობისდროინდელ ამბავს, აქაც ისეთივე სკოლაა და დირექტორი, როგორც მოთხრობაში. ურწმუნო დირექტორი რწმენისთვის სჯის ლუკას. ფიზიკურ ტკივილთან ერთად, სულიერი ტკივილიც შეიგრძნო პატარამ; ის დაამცირეს, ძაფზე ასხმული აღდგომის კვერცხებით არბენინეს ბავშვების წინაშე, ყველაზე დამთრგუნველი აქაც ისაა, რომ მოსწავლეები საერთო მხიარულებით ხვდებიან ლუკას დასჯას, რაც, ისევ და ისევ, ეპოქის ნიშანია.

მოთხრობა ეფუძნება მწერლის ბიოგრაფიულ პასაჟებს, მასში ვლინდება ეპოქისეული განათლების სისტემის დამოკიდებულება რელიგიური გრძნობებისადმი. მწერალს ხომ სწორედ ათეიზმის ზეობისას მოუხდა ცხოვრება - ეს იყო მმართველობის სტილი, რომელიც მოზარდის სულიდან და გონებიდან, კომუნისტურის გარდა, დევნიდა ყველანაირ მრწამსს, მით უფრო - რელიგიურს. გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში სიღრმისეულად წარმოჩნდა ეპოქის პოლიტიკური იდეოლოგიის ნეგატიური ზეგავლენა, წითელი რეჟიმი ხომ სასტიკად ებრძოდა რწმენის ყოველგვარ გამოვლინებას. მთავარი ამოცანა სრულიად ახალი ადამიანის შექმნაში მდგომარეობდა, ამიტომაც ცდილობდნენ პიროვნების გონებიდან ამოეშანთათ ღვთის რწმენა, ნაცვლად, „ბელად(ებ)ის“ თაყვანისცემა ჩაენერგათ. გოდერძი ჩოხელი პოლიტიკური მმართველობის ამ სტილს თავისი რომანებით („წითელი მგელი“, „სულეთის კიდობანი“, „მღვდლის ცოდვა“) გვაცნობს, რომლებშიც ალეგორიულად აკრიტიკებს მმართველობის საბჭოთა სისტემას.

მკვლევარი ლალი იარაჯული სადისერტაციო ნაშრომში („სამყაროს მხატვრულ-ესთეტიკური საზრისი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“ (2017)) წერდა, ურწმუნოების ყამირს მთელი ძალისხმევით ამტვრევდა და უფლის სიტყვას თესდა გოდერძი ჩოხელი, სიმბოლურ-იდუმალი ანალოგიებითა თუ ფსიქოლოგიური წიაღსვლებით რომ ნიღბავს სათქმელსო [იარაჯული, 2017:81]. გოდერძი ჩოხელი იმ პერიოდში ცხოვრობდა, როდესაც ხელისუფლება ყველაფერში ერეოდა და თან - ერეოდა მკაცრად. ისეთი ფაქიზი სულის შემოქმედისთვის, როგორც ის იყო, რთული იქნებოდა ამ დროსა და სივრცეში არსებობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლა გამორჩეული პარადიგმაა სისტემის მხილებისთვის, ავტორი სწორედ ამ ენიგმას იყენებს და საკმაოდ ოსტატურადაც.

„ლუკას სახარება“ საპროტესტო აქტია, მხილებაა რეჟიმისა, რომელიც რწმენის გასანადგურებლად იბრძვის სასტიკი, კაცთმოძულე, დაუნდობელი მეთოდებით. მოთხრობაში ხსენებული რეჟიმის სახეს დირექტორის პერსონაჟი წარმოადგენს, რომელიც დასჯის სასტიკი მეთოდებით გამოირჩევა, ამასთან, მას არაფრის სწამს, რაც ადამიანის სულიერი აღზრდისთვისაა მნიშვნელოვანი, ცხადია, არც ღმერთისა. მოზარდი ლუკას პერსონაჟი კი, რომელიც დირექტორის ძალადობის წინააღმდეგ ილაშქრებს, გოდერძი ჩოხელის პოზიციას გამოხატავს, სწორედ ლუკაა ავტორის იდეების მატარებელი. ლუკას პოზიციით სიკეთე - ბოროტებაზე, ხოლო რწმენა ურწმუნოებაზე იმარჯვებს. ზემოთქმულის ხაზგასასმელად მწერალმა გვიჩვენა დაუმარცხებელი სული და ნება მთავარი პერსონაჟისა, რომელიც ახერხებს და მამისეულ სახარებას იბრუნებს. რწმენა მაშინ უფრო მტკიცდება, როცა მას ებრძვიან, მორწმუნე ადამიანი ყველაზე ძლიერი და უშიშარი ხდება, რაც ბოროტების დამარცხების საწინდარია; ამას გვეუბნება ბიბლიაც: „უწინარეს ყოვლისა კი, იპყართ რწმენის ფარი, რომლითაც შეძლებთ უკეთურის ყველა ცეცხლოვანი ისრის დაშრეტას“ [ბიბლია, ეფესელთა 6:16. 1989:1165].

სკოლის დერეფანში სიმაღლის მიხედვით სამხედრო წესზე ჩამწკრივებულ ბავშვებს მასწავლებლებიც უერთდებიან; რეჟიმის მკაცრი ხელი მასწავლებლებსაც მისწვდომია და ისინიც მორჩილად დგანან: „სკოლის ფართო ეზო ყოვლითაა შემოღობილი. სკოლის წინ ასე ოცდაათი-ორმოცი მოწაფე იქნება სამხედრო წესზე ჩამწკრივებული სიმაღლის მიხედვით. ლუკა მიირბენს და თავის ადგილს იკავებს ამ რიგში. ბუზის გაფრენის ხმა ისმის. რიგი ნელ-ნელა ივსება ახალმოსულებით“ [ჩოხელი, 2017: 326].

გოდერძი ჩოხელი სულიერებისაგან დაცლილი დირექტორის სახით განათლების სისტემის ზოგად პრობლემასაც წარმოაჩენს - უღმერთობა გაბატონებულა, ურწმუნო დირექტორი განათლების სადავეებს ჩაბლაუჭებია და უმწიკვლო ყრმათა სულებს დაღუპვისაკენ მიაქანებს. სამაგალითო დასჯა ძალადობრივი რეჟიმის შემადგენელი ნაწილია და მასების საყოველთაო დამორჩილებას ემსახურება: „მოიტანეს, თოკით დააკრეს ლუკას ეს ხის ჯვარი ზურგზე, ხელები გვერდებზე შეუკრეს. ჯვრის სიმძიმისაგან ლუკა წელში მოიხარა. კისერზე და ხელებზე თავისივე კვერცხები ჩამოჰკიდეს ლუკას ნაჭრებითა და ბაწრებით“ [ჩოხელი, 2017:336].

დირექტორის არადამიანური სიმკაცრეც აღზრდის მეთოდი კი არა, პარტიული დავალების შესრულებაა - ზოგადად, სამაგალითო დასჯა ძალადობრივი რეჟიმის შემადგენელი ნაწილია და მასების საყოველთაო დამორჩილებას ემსახურება. მოთხრობაში დირექტორის სიმკაცრის მაჩვენებელი ბევრი ეპიზოდია, რომლებსაც მკითხველი პროტესტამდე მიჰყავს, მაგრამ ყოველგვარ ზღვარს სცილდება სარწმუნოების წინააღმდეგ გამოჩენილი სისასტიკე. მოთხრობის კულმინაციაა ლუკას მიერ სკოლაში წაღებული მამის ნაქონი „ლუკას სახარების“ ჩანთაში აღმოჩენა. დირექტორი „მროზგველ“ აფციაურს ლუკას გაროზგვას უბრძანებს. ლუკას ოცდაათ როზგს ურტყამენ. ნაცემი, ნამტირალევი ლუკა დირექტორისგან დიდხანს ითხოვს მამის სახსოვარი წიგნის დაბრუნებას, მაგრამ ქვად ქცეული ტირანის გული არ ღებება.

დიდი მეიგავე სულხან-საბა ორბელიანი სწავლა-აღზრდის სპარტ(ან)ულ მოდელს ემხრობა. უფლისწულ ჯუმბერის აღზრდა სწორედ ამ პრინციპს ექვემდებარება, აღზრდელმა ლეონმა ორმოცდაათი ჯოხიც დაარტყა, მშიერიც ამყოფა და ფეხშიშველიც არბენინა, ამის გამო თავის მართლებაც მოუწია მეფე ფინეხის წინაშე („მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა“ [ორბელიანი, 2011:31]), ბრძნულად დაუსაბუთა ლეონმა აღზრდის პრინციპებიც, მაგრამ, ცხადია, ლეონის აღზრდის მეთოდებს საერთო არაფერი აქვთ ჩოხელის მიერ დახატულ დირექტორის პერსონაჟისეულთან - ჩოხელთან დირექტორს სისასტიკე და დაუნდობლობა ასაზრდოებს, ხოლო ორბელიანთან წარმოჩენილია გონივრული სიმკაცრე, ზომიერი, რაც მიზნად ისახავს ადამიანის (მოზარდის) სულიერ და ფიზიკურ წრთობას, ამ შემთხვევაში, აღზრდას ტახტის მემკვიდრის, უფლისწულისა, რომელმაც საკუთარ თავზე უნდა გამოსცადოს ქვეშევრდომთა მოვალეობანი, ტანჯვა, რომ მოწყალე და ბრძენი ხელისუფალი გახდეს.

ჩოხელის შემოქმედებაში განათლების „მესვეურნი“ იმ ფასეულობებისათვის სჯიან მოზარდებს - მოსწავლეებს, რომელზეც დგას ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა. ეს ეპოქის სახეა, ბოლშევიკურ-კომუნისტური მმართველობის სტილია. სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი ლალი იარაჯული, კომუნისტებმა ბევრი რამ ჩაკლეს და საზოგადოება ერთფეროვან მასად აქციეს, დღითი დღე კარგავდნენ კავშირს შემოქმედთან, ტრადიციებთან. მწერლისათვის პრინციპულად მიუღებელია უღმერთოთა და სულდაცლილთა საზოგადოება, სავსე საცდურითო [იარაჯული, 2017: 70]

ავტორი გვიჩვენებს, რომ საბჭოთა იდეოლოგიას მსუსხავი მედუზას საცეცები მოზარდთა სულებისათვის ჩაუვლია და დასაღუპავად ექაჩება. ურწმუნო და უსულდგმულო დირექტორის სახის ჩვენებით ჩოხელი განათლების პრობლემას წარმოაჩენს, აფციაურის პერსონაჟი მკითხველის გაბრაზებას იწვევს, მაგრამ, ამავდროულად, დაგვაფიქრებს იმ დიდ ტკივილზე, რომელიც გოდერძი ჩოხელს აქვს წარმოჩენილი - მოზარდთა სული, აღზრდა, განათლება-განვითარება ლუკას დირექტორისნაირი ადამიანების ხელთაა, არავინ იცის, რა ელოდება ქვეყანას, ამ დამახინჯებული სულების საპატრონო რომ გახდება. სკოლის დირექტორი კაცთმოძულეობის, არაჰუმანურობის, სადიზმის სახე და პროტოტიპია, მისი გაზრდილი თაობები სულიერად ტრამვირებულები იქნებიან..

უღმერთობის მასობრივი პროპაგანდის ფონზე ბავშვში მაინც ნარჩუნდება ღვთაებრივი სული, საწყისი. ყრმა თუმცა ნაცემ-ნაგვემია, ახერხებს ძალების მოკრებას და დირექტორისაგან დიდხანს და დაჟინებით ითხოვს მამისეული წიგნის დაბრუნებას. ტირანის გულს ვერც ცრემლები და ვერც მუდარა ვერ ალხობს: „აქედან დამეკარგე, თორემ მე ვიცი, რა სახსოვრსაც მოგცემ, სკოლაში არ გაგაჭაჭანებ, ხვალ ბებიაშენი მოვიდეს აქ, წაეთრე სახლში“ [ჩოხელი, 2017:333].

საინტერესოდაა წარმოდგენილი დირექტორისა და ბებუის დიალოგი. მკითხველს უფრო მეტად წარმოუჩენს მწარე რეალობას ბებუის თავის მართლება: „მაგის წაკითხვა არ შეიძლებოდა, ვიფიქრე, ბაღს გაგახარებ-მეთქი. ის კი არადა, კინაღამ სკოლიდან გამოვაგდებინე შენი თავი“ [ჩოხელი, 2017:333-334]. ეს ის „სკოლაა“, საიდანაც წმინდა წიგნის კითხვის გამო გაგრიცხავენ, ამ წიგნის წაკითხვა რომ „არ შეიძლება“, ბებუის გულუბრყვილობასთან ერთად, ტრავმული მეხსიერების ნიშანიცა - ის, რაც რელიგიურია,

დაუშვებელია, აკრძალულია საბჭოთა სკოლაში! ასეთია ეპოქის იდეოლოგიური ხაზი, კონცეპტი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, როდესაც ლუკას ბებია გარდაეცვლება, მისი ერთადერთი მეგობარი თუ საშველი ხარი ხდება - მძიმე ტკივილს ცხოვრების ერთადერთი ნათელი წერტილი - ხარი - უმსუბუქებს, რომელიც გაჭირვების გამო გაყიდეს, მაგრამ უკან ბრუნდება.

პასაჟი გოდერძი ჩოხელის პირადი გამოცდილებით უნდა იყოს ინსპირირებული: „ხარი მყავდა ერთი. სტუდენტობის დროს ბურსაჭირის ულამაზესი ფერდობიდან წამოვიყვანე გასაყიდად. არაფრით არ უნდოდა წამოსვლა, ძლივს მოგვყავდა გზაზე. უკან ბლავილით მოსდევდნენ ძროხები, ვისთან ერთადაც ის იზრდებოდა. ეს ჩვენა ვფიქრობთ, მათ გრძნობა არ აქვთო, თორემ პირუტყვი კარგად ხვდება ყველაფერს. ჩემმა ხარმაც იცოდა, საით მიმყავდა... ერთი კილომეტრზე მოსდიეს ძროხებმა, არაგვი რომ გადმოვატარეთ, საქონელიც ჩამოგვშორდა და ხარიც ბედს დამორჩილდა. ჩამოვიყვანე ფასანაურში და იქ დავაწვინე. ძალიან მეცოდებოდა, მაგრამ რა მექნა... ისიც სულ გულში მქონდა, მშიერი და მწყურვალა-მეთქი. წავედი, მოვუტანე ბალახი, - პირი არ დააკარა. წყალი მივაწოდე, - არ დალია. მოვიდა ყასაბი, მოჰყვნენ კაცები, რომ საკლავის დაწვენაში მიშველებოდნენ. ჩემს ხარს კი ძალის დატანება არ დასჭირდა, თვითონ დაწვა. იცი, რა სევდიანი თვალებით მიყურებდა?!... იმისი ტკივილი დღემდე მომყვება“ [ჯიყაშვილი, 2011:18].

განსაკუთრებული სიმძაფრით გადმოსცა ავტორმა წინაპრების საფლავებთან საყვარელი ხარის დაბრუნება და მასთან გასაუბრება, ვაჟა-ფშაველას მსგავსად, ჩოხელი ახერხებს ამ პასაჟითაც მკითხველთა გულებში ღრმა ემოცია აღძრას და ბუნებას სისხლხორეულად გვაზიაროს: „ბებო აღარა გვყავს, ნიკორ, გუშინ დავმარხეთ, შენ, ალბათ, ნაწყენი ხარ ბებოზე, რომ გაგყიდა, მაგრამ, თუ შეგიძლია, აპატიე, ჩემო ნიკორა. შენ ხომ კეთილი ხარ. მე შენ არასოდეს მიგატოვებ, ბებოს კი არ დაუხარჯია ის ფული, ვაჭარმა რომ მისცა, სკივრში ვიპოვე შენახული. თუ კიდევ მოვიდნენ შენ წასაყვანად, ავდგები და იმ ფულს უკან მივაყრი. ჩემო ნიკორა, შენ ნურაფრის გეშინია, ვიმუშაოთ მე და შენ და ყველაფერი გვექნება, ჩემო ნიკორა. ჩემო ნიკორა“ [ჩოხელი, 2017: 339].

მკვლევარი გიორგი ხორბალაძე სადისერტაციო ნაშრომში „გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები“ (2013) ერთმანეთს უკავშირებს გოდერძი ჩოხელის რომან „წითელ მგელსა“ და მოთხრობა „ლუკას სახარებას.“ რომანში „მგელი“ ლუკას ხარი,

„ბოჩოლა“, ორი დღე-ღამე შეუჩერებლად იბრძვის „წითელ ხართან“, არ ნებდება, თუმცა მარცხდება და ვერ ეგუება ამ მარცხს. პასაჟის კითხვისას, ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ორი ხარის ბოჩოლაზე კი არა, ცხოვრებასთან გამუდმებულ, დაუსრულებელ ჭიდილზეა საუბარი, ჭიდილზე „წითელ“ საზოგადოებაში მოზღვავებულ უსამართლობასთან, მკაცრ ყოველდღიურობასთან, ძლიერთაგან ნაკლებად ძლიერთა ჩაგვრასთან. „მგლის“ ლუკასა და „ლუკას სახარების“ ლუკას მსგავსი პერსონაჟები არ ნებდებიან, რწმენას არ კარგავენ და ბოლომდე, არაქათის გამოცლამდე იბრძვიან, არაქათის გამოცლის შემდეგ კი „ბოჩოლას“ ბედს იზიარებენ [ხორბალაძე, 2013:30]. აქვე აღვნიშნავთ, რომ „ბოჩოლასა“ და ლუკას ურთიერთობა ფინალურ ნაწილში განსხვავებულად წარმოაჩინა გოდერძი ჩოხელმა - თუ რომან „წითელ მგელში“ გამძვალტყავებული ბოჩოლა მოკვდა, „ლუკას სახარებაში“ ავტორმა ბიჭიცა და ნიკორა ხარიც ცოცხალი დატოვა, რითაც მოგვცა იმედი, რომ ღვთის სიტყვა (ლუკას სახარება) გადარჩება, მომავალი თაობების ცხოვრება ამ წიგნის მსოფლმხედველობით გაგრძელდება. ავტორმა ლუკას მიერ წმინდა წიგნის დაბრუნებით სწორედ ამაზე მიგვანიშნა. რწმენა არის უმთავრესი ღირებულება, სიწმინდე, რომლითაც უნდა იზრდებოდნენ მომავალი თაობები - ამ განწყობითაა ნასაზრდოები ჩოხელის მთელი შემოქმედებაც. ბევრი მძიმე და ცრემლისმომგვრელი ეპიზოდის შემდეგ, მწერალი მოთხრობას იმედით ამთავრებს. ქართული ზღაპრიდან გადმოსული წიქარას გულწრფელობა და სიყვარული ამ ძალადობრივი სამყაროს ერთადერთი საპირწონე და სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების ნიშანია, ცხოველისა და ადამიანის ერთიანობა კი - ის მითოსური, საკრალური თემა, რომელსაც გოდერძი ჩოხელი ახალი ძალით წარმოგვიდგენს თანამედროვე ტექსტებში.

გოდერძი ჩოხელმა „ლუკას სახარებაში“ წარმოაჩინა საბჭოთა სკოლაში გაბატონებული სწავლებისა და აღზრდის სასტიკი მეთოდები. ერთი უბრალო, სოფელში მცხოვრები ობოლი მოზარდის ტრაგიკული ცხოვრების ფონზე ამის წარმოჩენა უფრო ადვილი აღმოჩნდა - ლუკა სიწრფელით, კეთილშობილებითა და სიყვარულით გაუმკლავდა ტოტალიტარიზმის გამოწვევებს. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები დრამატული ხასიათისაა (ან - სწორედ ამიტომ), მწერალი მას მაინც იმედიანად ასრულებს, რაც იძლევა მძაფრ და მნიშვნელოვან ეფექტს. რეჟისორმა გოდერძი ჩოხელმა ამ მოთხრობის ეკრანიზაციაც შექმნა. ფილმი „ლუკას სახარებაც“ განსაკუთრებულ ემოციურ ზეგავლენას

ახდენს მკითხველზე, რასაც, რეჟისორულ გადაწყვეტასთან ერთად, ბრწყინვალე სამსახიობო გუნდიც განაპირობებს.

თავი III.

მოზარდთა ფსიქოტიკ(ებ)ი პოსტმოდერნისტულ ტექსტში

ქართული ლიტერატურის საუკეთესო თანამედროვე ნიმუშები ასახავს ქვეყნის მდიდარ კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას. მოზარდი პერსონაჟები ქართული საზოგადოების ტრადიციებს, ღირებულებებს ერთგულებენ. ლიტერატურა ხშირად ეხება ეროვნული იდენტობისა და პატრიოტიზმის თემებსაც. მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატი მშობლიური ხალხის სულიერი სამყაროს დიდი მხატვარია; გამარჯვება თუ დამარცხება, მწუხარება თუ სიხარული, მწარე სინამდვილე თუ ოცნება, ჭეშმარიტი შემოქმედების მხატვრულ სახეებში ისეა ხორცშესხმული, რომ მკითხველში დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ქმნის და მომავალი თაობისათვის შთამაგონებელ წყაროდ იქცევა. მხოლოდ ასეთი ნაწარმოებია მარადიული ისე, როგორც მარადიულია თვით ხალხი. აქედან გამომდინარე, ეროვნული მწერლობის მოზარდებზე შექმნილი ლიტერატურაც ქართველი ხალხის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ეს თანაბრად ვრცელდება როგორც წარსული საუკუნეების, ისე თანამედროვე მწერლობის იმ შესანიშნავ ნაწარმოებების, იმ გამოჩენილი მწერლების მიმართ, რომლებიც ქმნიდნენ და ქმნიან ქართველი ერის სულიერი კულტურის საგანძურს... მხოლოდ ასეთი ნაწარმოებები სცდება ეროვნულ ფარგლებს და მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის საგანძურში საპატიო ადგილს იკავებს [ჩაჩიბაია, 1978:3]. მოზარდები ერის იმედის, გამძლეობისა და მომავლის სიმბოლოებად გვევლინებიან. მათი გამოცდილება და არჩევანი გამოხატულებაა იმ მისწრაფებებისა და გამოწვევების, რომლებიც მთელი ქვეყნის წინაშე დგას. მოზარდები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში.

ისევე, როგორც მსოფლიო მწერლობა, ქართული ლიტერატურაც ეხება თანამედროვე პოლიტიკურ-სოციალურ საკითხებს, რომლებსაც მოზარდები აწყდებიან და რაც მოიცავს თაობათა შორის სხვაობის, ურბანიზაციის, ტექნოლოგიების სოციალურ ურთიერთობებზე გავლენის, საგანმანათლებლო ზეწოლის, ტრადიციულ ღირებულებებსა და

გლობალიზაციის თანმდევი გამოწვევების, კონფლიქტის თემებს. ქართველი ავტორები მოზარდი პერსონაჟების პორტრეტების, ფსიქოტიკ(ებ)ის ჩვენებით ნათელს ჰფენენ ამ საკითხებს და უბიძგებენ მკითხველს, დაფიქრდნენ სოციალურ შედეგებზე, აღზრდის კონცეპტ(ებ)ზე, განათლების სისტემაზე, სკოლებზე, უმაღლეს სასწავლებლებზე, ქუჩაზე, ოჯახისა და საზოგადოებრივი აზრის გავლენაზე... და ასე შემდეგ.

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში მოზარდები ხშირად წარმოადგენენ პროტაგონისტებს ან ნარატორებს, რაც მათ კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოების განვითარებაში ცენტრალური პოზიციების დაკავების საშუალებას აძლევს. დადებითი პერსონაჟები, თავიანთი ნაკლოვანებით წარმოაჩენენ ადამიანურ ცხოვრებას და ხასიათებს მთელ თავის მრავალფეროვნებაში, სირთულეში, წინააღმდეგობებში. ამიტომ დიდია მათი აღმზრდელობითი და შემეცნებითი მნიშვნელობაც [თოფურია, 1991:165].

წინამდებარე თავშიც (ისევე, როგორც პირველსა და მეორე პასაჟში საკვალიფიკაციო ნაშრომისა) ყურადღებას გავამახვილებთ არა საკუთრივ საბავშვო ლიტერატურაზე, არამედ - ლიტერატურაზე ბავშვების, მოზარდების შესახებ, ტექსტებზე, რომელთა მხატვრული ღირსება, უდავოდ, მაღალია (გავიმეორებთ - ისევე, როგორც პირველ და მეორე ეპიზოდში განხილულ-გაანალიზებული ნაწარმოებებისა).

მოზარდის თემა ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული რაკურსით, ძირითადად, გასული საუკუნიდან ჩნდება და განსაკუთრებულსავე ადგილს საუკუნის მიწურულს იჭერს, მაშინ, როდესაც პოსტმოდერნიზმი საბოლოოდ განიმტკიცებს პოზიციებს, ავტორები ახალი თემებისა და ფორმების ძიებით არიან დაკავებული. „მეოცე საუკუნის მიწურულის ქართული მწერლობა მაგონებს იმ სანთელს, რომელიც სალოცავის სამანზეა მიკრული და, მიუხედავად ჭექა-ქუხილისა, მიუხედავად ირგვლივ ატეხილი ქარიშხლისა, მაინც ღიცლიცებს და სრულად თუ ვერა, ოდნავ მაინც ანათებს გარშემო და ეს ოდნავი ნათება არის ნიშანი იმისა, რომ ქართული მწერლობა ძალას იკრებს და ქარიშხლის მერე სრული ნათებით გამოანათებს!“ [მეტრეველი, 2017 (ელ. რესურსი)].

მაშინ, როდესაც XX საუკუნის გარიჟრაჟზე ევროპულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ძვრებია და მოდერნიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, ფეხს აქტიურად იკიდებს, აღნიშნულ მოვლენებს არც საქართველო ჩამორჩება. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ, ევროპის პარალელურად, საქართველოში შემზადდა ნიადაგი

იმისთვის, რომ ქართული მოდერნისტული პროზა გაჩენილიყო და შექმნილიყო აქამდე არსებული ლიტერატურისგან რადიკალურად განსხვავებული ნაწარმოებები, მათ შორის, ტექსტები მოზარდებზე და უფრო მოგვიანებით - მოზარდებისთვის.

XX საუკუნე სავსეა ისტორიული ქარტეხილებით, რაც ხელოვნების ყველა დარგში, განსაკუთრებით, რასაკვირველია, მწერლობაში აისახა. თვითგამორკვევის პროცესში ჩართული საქართველო დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გზებს ერთდროულად ეძებდა, პროცესი მწერალთა მემკვიდრეობაშიც აირეკლა. საზოგადოებაში ახალი სოციალურ-კულტურული ფენები ჩნდება, ყალიბდება ახალი გემოვნება და აზროვნება. სიახლეს, ყველაზე მეტად, ახალგაზრდობა იტაცებს და აგემოვნებს. ეს პროცესი მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის მიჯნაზეც გაგრძელდა. პოსტმოდერნიზმი საუკუნის მიწურულის ზოგად კულტურულ სიტუაციას ირეკლავს და ეპოქის სულს გამოხატავს - ისევე, როგორც მოდერნიზმი - საუკუნის დასაწყისისა(ს). იქმნება ლიტერატურა, რომელიც მკითხველთა ფართო წრეებისთვისაა განკუთვნილი, არ განასხვავებს სოციალურ კლასს, გენდერს, კანის ფერს, რელიგიას, საყოველთაოა და ზღვარს შლის ელიტურსა და მასობრივ კულტურას შორის (განსხვავებით მაღალი მოდერნიზმის ელიტარული ბუნებისაგან).

ტერმინ პოსტმოდერნიზმის გაჩენამდე და, შესაბამისად, ამ მიმართულების ჩამოყალიბებამდე ვხვდებით პოსტმოდერნის ცნებას, რომელიც პირველმა რ. პანვიცმა გამოიყენა წიგნში „ევროპული კულტურის კრიზისი“ (1917). ზემოთქმული ცხადყოფს, რომ თავად მოვლენის ფორმულირებას წინ უსწრებდა მისი აღმნიშვნელი ტერმინის შექმნა, რომელიც მოგვიანებით დაუკავშირდა ზემოაღნიშნულ მიმდინარეობას [ლომთაძე, 2019:9].

პოსტმოდერნისტული სიტუაციები იცვლება და თანდათან გლობალური ხდება, ამიტომ ეს არ არის ჩარჩოებში მოქცეული მიმდინარეობა. კრიტიკის საგანია ისიც, რა საერთო აქვს ამ კონკრეტულ მიმდინარეობას მოდერნიზმთან. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი, საერთო მხატვრულ-ესთეტიკურ გამოცდილებასთან ერთად, ხშირად უპირისპირდება კიდევ ერთმანეთს. თუ მოდერნისტული ხედვა, მარტივად რომ ვთქვათ, განმანათლებლობის ეპოქის შეხედულებების გვიანი გამოძახილია, სადაც კულტურული განვითარების მთავარ პოსტულატს პროგრესის აუცილებლობა წარმოადგენს, პოსტმოდერნიზმი, ფაქტობრივად,

მანამდე არსებული ლიტერატურული მიმდინარეობების „ნგრევას“ იწყებს. მოდერნიზმის დაბადებას ახლდა მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც ადამიანის არსებობის თითქმის ყველა სფეროს გულისხმობდა. ამ რეალობაში მწერლობა, ზოგადად, ხელოვნება მეთოდოლოგიური დილემის წინაშე დადგა, კითხვის ნიშნის ქვეშ მოექცა გარესამყაროს ასახვის შესაძლებლობები, მით უფრო „მაშინ, როდესაც პოზიტივისტურად გაგებული ემპირიული რეალობა არ აღმოჩნდა დასრულებული და თვითკმარი სინამდვილე“ [ბრეგამე, 2018:8].

პოსტმოდერნიზმში ამოსავალი არა სიახლის კულტი ან მომავლისადმი სწრაფვა, არამედ ნოვაციის თავისთავადობაა. მიუხედავად იმისა, რომ, ტერმინის დონეზე მაინც, პოსტმოდერნიზმი მოდერნიზმის გაგრძელებაა, ეს ორი პროცესი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. მოდერნიზმის ცენტრში ავტორი დგას, ხოლო პოსტმოდერნიზმი ავტორს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს; უფრო მეტიც, აქ ავტორი მოკვდა (როლან ბარტი); მიმდინარეობისთვის მთავარი ინტერპრეტაციის მრავალფეროვნებაა.

ქართული პოსტმოდერნიზმი უცებ არ გაჩენილა; იგი, როგორც სხვა ლიტერატურული მიმდინარეობები, თანდათანობით იკვლევს გზას, სათავეს კი, რასაკვირველია, მდიდარი ქართული სალიტერატურო ტრადიციებიდან იღებს. XX საუკუნის დასასრული და XXI საუკუნის მიჯნა საქართველოსთვის ის პერიოდია, როდესაც საზოგადოება რიგი ფასეულობების, ტრადიციების, ცხოვრების წესების შეცვლის აუცილებლობის წინაშე დადგა. თითქმის ყველა ფენამ ერთნაირად განიცადა სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცვლილება, რასაც ადამიანების მეხსიერებაში უკვალოდ არ ჩაუვლია, საზოგადოებას მძაფრი კვალი დააჩნია. შინაურმა ომებმა, გარეშე მტერმა, გაუტანლობამ, ერთმანეთის ენის გაუგებრობამ საქართველო დააზიანა როგორც ტერიტორიულად, ასევე - ეკონომიკურად. საზოგადოებაში, შიშის სინდრომთან ერთად, მძაფრი სტრესიდან გამომდინარე, პანიკის შეგრძნება ჩნდება. ტაბუდადებული თემები სააშკარაოზე გამოდის, რასაც ხელი ცენზურის არარსებობამაც შეუწყო. ქრება აკრძალული თემები, პოსტმოდერნიზმი ხდება არსებული ყოფის რეალურად (ხშირად ნატურალისტურად) ასახვის საშუალება.

3.1. კონცეპტები „პირველი სიყვარული“ და „ზრდა“ ნაირა გელაშვილის რომანში „მე ის ვარ“

ნაირა გელაშვილი (ქართველი მწერალი, გერმანისტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, გარემოსდამცველი, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამშვიდობო და გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „კავკასიური სახლის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი 1994 წლიდან. სალიტერატურო-ფილოსოფიურ ჟურნალ „აფრის“ მთავარი რედაქტორი 1997 წლიდან), 2013 წელს ახალ რომანს გამოსცემს. „მე ის ვარ (მველებური ამბავი მოზარდებისათვის)“ მაშინვე მოექცა არა მხოლოდ ლიტერატურული საზოგადოების, არამედ - მკითხველის ყურადღების ცენტრშიც. წიგნი ასახულია სიყვარულის ამბავი, რომელიც მთავარი პერსონაჟის მოზარდობის დროინდელ ამბებს მოგვითხრობს.

გიორგი ლობჯანიძე „რადიო თავისუფლებისთვის“ დაწერილ სტატიაში წერს, „მე ის ვარ“ ცამეტი წლის გოგონასა და მის მეზობლად მცხოვრები უფროსი ვაჟისადმი ცალმხრივი სიყვარულის ამბავია. რომანის პირველივე ფრაზებიდან შესანიშნავად ჩანს, როგორ უპირისპირდება ყველა და ყველაფერი პატარა გოგონას ნამდვილ გრძნობას, მის იმ დროისათვის ეგებ ყველაზე ნამდვილ სუბსტანციას. ამ დაპირისპირების საყოველთაო ველში ჩართულია ყველა: დედა, ოჯახი, მასწავლებელი და, რაც მთავარია, სასკოლო პროგრამა „ვეფხისტყაოსნის“ ციტატების სახით, რომელიც გოგონას სინამდვილესთან თავისი „არქაული“ შეუსაბამობის ფონზე უცხოვდ, საშიშად და ერთგვარად გროტესკულად გამოიყურებაო [ლობჯანიძე, 2013 (ელ. რესურსი)].

ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ეს წიგნი მოზარდი მკითხველისთვის, რადგან გადმოსცემს ნიშანდობლივ ამბავს და ერთგვარ რჩევას აძლევს მათ, ვისაც ამ ასაკში პირველად შეჰყვარებია, ვისი ქცევაც, გარდატეხის ასაკის თანმდევი ძიებების ფონზე, იცვლება; გამოადგება მშობლებსაც, მასწავლებლებსაც, მეურვეებსაც და ყველას, ვისაც მოზარდის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში გარკვეული ფუნქცია აკისრია. რომანის „მე ის ვარ“ რამდენიმე სიუჟეტი პირდაპირ უკავშირდება მასწავლებლებსა და მათ როლს მოსწავლეთა ცხოვრების გადამწყვეტ ეტაპებზე [ლორთქიფანიძე, 2017 (ელ. რესურსი)].

ნაირა გელაშვილის რომანში პედაგოგს მხოლოდ კონკრეტული საგნის სწავლება კი არ ევალება, არამედ - პიროვნების ჩამოყალიბებაც; მასწავლებელი განსაზღვრავს არა მხოლოდ მოსწავლის მსოფლალქმას, არამედ - ემოციურ განწყობასაც.

ამერიკელი მწერლის, ჰარპერ ლის (1926-2016) საკულტო რომანში „ნუ მოკლავ ჯაფარას“ მასწავლებლის პერსონაჟი, ატიკუსი, ფაქტობრივად, სკაუტისა და ჯეიმისათვის არ მხოლოდ მამაა, მშობელია, არამედ - მასწავლებელიც, აღმზრდელიც, რომელსაც შვილების მორალურ-ემოციური აღზრდაც აქვს საკუთარ თავზე აღებული და წარმატებულადაც უმკლავდება ამ ამოცანას განსხვავებით ნაირა გელაშვილის რომანის პერსონაჟის, ცამეტი წლის მოზარდის, მშობლებისგან და მასწავლებლისგან; ნიას განცდებისა არც მშობლებს ესმით, არც მასწავლებლებს.

თუ ატიკუსის პერსონაჟს დავაკვირდებით, დავინახავთ, როგორ ასწავლის იგი შვილებს ზნეობასა და თანაგრძნობას, როგორ მოუწოდებს მათ, განიხილონ ცხოვრება სხვების პერსპექტივიდან, არ განსაჯონ ადამიანები წინასწარ ჩამოყალიბებული, კლიშირებული იდეებით და გაიგონ თანაგრძნობის, ემპათიის მნიშვნელობა. ამასთან, ის თანაუგრძნობს შვილებს/აღსაზრდელებს.

მართლაც, მასწავლებლის ფუნქცია, განათლების გადაცემასთან ერთად, მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარების ჩამოყალიბებაა. მასწავლებლის/აღმზრდელის ამოცანაა მოსწავლეებთან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს საზოგადოების არასწორი ნორმები და მიაჩვიოს ისინი, დამოუკიდებლად იფიქრონ მნიშვნელოვან საკითხებზე. მასწავლებლის ფუნქციაა ასწავლოს მოსწავლეებს სიტუაციების ანალიზი, ადამიანის ქცევის სირთულეების გააზრება და საკუთარი აზრის ჩამოყალიბება. მასწავლებელი არ უნდა შემოიფარგლებოდეს თუნდაც მხატვრული ტექსტების ციტატების დაზეპირების მოთხოვნით, როგორც ამას ნაირა გელაშვილის რომანის პერსონაჟი მასწავლებელი აკეთებს.

მოზარდის სახის წარმომჩენ მხატვრულ ტექსტებში თავისთავად ხდება აღზრდის კონცეპტების რეპრეზენტაცია. ეს პარადიგმები ერთმანეთის გარეშე, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია და ამას არაერთი ნაწარმოები ადასტურებს. ეს კავშირი მკაფიოდ წარმოჩინდება რომანში „მე ის ვარ“, სადაც ავტორი მკვეთრად უსვამს ხაზს იმას, როგორ შეუძლია მასწავლებელს, ასევე, მშობელს (ზოგადად, აღმზრდელს) ჰქონდეს ღრმა გავლენა მოზარდების მორალურ და ინტელექტუალურ განვითარებაზე.

13 წელი ის ასაკია, როდესაც თინეიჯერობა იწყება (thirteen), სხეული იცვლება, გარემოსთან ადაპტაცია უფრო და უფრო რთული ხდება, უამრავი კითხვის ფონზე ცივდება,

ჩიხში შედის ან საერთოდ წყდება ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის, რაც ცხოვრების ამ გარდაუვალ მომენტს კიდევ უფრო რთულს, მაგრამ, იმავდროულად, საინტერესოს ხდის. ამ აზრს ავითარებს ლუიზა ირემაშვილი გაზეთ „ახალ განათლებაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „პირველი სიყვარული“, რომელშიც, ამ ნაწარმოებზე დაყრდნობით, მოზარდის ქცევას იკვლევს: „გამოკვლევებით დადგინდა, რომ დაახლოებით, 11-13 წლის ასაკიდან მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთგაგება და მშობლის წინაშე გულახდილობა იკლებს“ [ირემაშვილი, 2017:10]. წიგნი იმ ე.წ. ხიდჩატეხილობასაც აჩვენებს, რომელიც მოზარდსა და მშობლებს ან/და მეურვეებს შორის არსებობს, განსაკუთრებით, ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სიყვარული, სექსუალობა, ჰორმონები და ა.შ. მშობლები, მასწავლებლები ხომ არ ვსაუბრობთ შვილებთან, მოსწავლეებთან პირველ სიყვარულზე და, რაც მთავარია, იმ სულიერ ტრავმაზე, რომელიც ხშირად პირველი სიყვარულის მარცხს მოჰყვება და არც ის ვიცით, როგორ გამოვიყვანოთ ამ მდგომარეობიდან. არც საკუთარ სიყვარულზე მოვუთხრობთ - როგორ შეგვიყვარდა მისი მამა ან მამას - დედა [ირემაშვილი, 2017:10]. ირემაშვილის მოსაზრებით, თუ უფროსი თაობის წარმომადგენლები შეძლებენ და დაამყარებენ ადეკვატურ კომუნიკაციას მოზარდებთან, ამ უკანასკნელებისთვის ბევრად მარტივად გადასალახი იქნება რიგი პრობლემები. ამ თვალსაზრისით, ნაირა გელაშვილის მცირე რომანი „მე ის ვარ“ თაობათა შორის დისკურსის გაჩენის და შემდეგ მისი პრაქტიკაში დანერგვის არაჩვეულებრივი საშუალებაა.

ნაირა გელაშვილს, როგორც თანამედროვე რომანისტს, ერთნაირად ეხერხება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური თხრობის ხერხების გამოყენება - „თქმაც“ და „ჩვენებაც“ [ტურავა, 2013:375]. ავტორი არ კარგავს ეპოქის პულსაციის აღქმას, გამოირჩევა დაუნდობელი გულწრფელობით და პრობლემების სიღრმისეული ცოდნით. ნაირა გელაშვილი არის თანამედროვე ქართველი მწერალი, რომელსაც მრავალჯერ დაწერილის ახლებურად, სიღრმისეულად და თანამედროვე მკითხველისათვის გასაგებ, საინტერესო ენაზე გადმოცემა შეუძლია. ის არც ეპატაჟურია, არც სკანდალური, არც მძიმე წასაკითხი, არც მარტივი და ზედაპირული... ნაირა გელაშვილის ახალი ქმნილება „მე ის ვარ“ თანამედროვე ქართული რომანის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს [ტურავა, 2023:372].

რომანი ნაირა გელაშვილის პირადი ცხოვრებით არის ინსპირირებული, ამიტომაც ნამდვილი და მართალია. „მე ის ვარ“ ავტობიოგრაფიული რომანია, მწერლის პირადი

გამოცდილებით ინსპირირებული. ამას გამოუცდელი მკითხველიც ადვილად შეატყობს - „ნია ლელაშვილი ნაირა გელაშვილის ორეულია, რაც მწერლის გამბედაობასა და პიროვნულ თავისუფლებას კიდევ ერთხელ წარმოგვიჩენს ხაზგასმულად“ [ტურავა, 2013:376]. ამ აზრს ამყარებს მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნე თამარ კოტრიკაძეც, რომლის განაზრებითაც ნაირა გელაშვილის მცირე რომანი მე ის ვარ“, შეიძლება ითქვას, უნიკალური ნაწარმოებია, პირველ რიგში, თავისი გულწრფელობით. ჩვენ ბევრს ვიცნობთ, ბევრი გვინახავს ავტობიოგრაფიული ნაწარმოები, მაგრამ ეს მაინც გამორჩეულია თავისი გულწრფელობითა და საკუთარ თავთან კრიტიკული მიმართებით. ბანალურად რომ ვთქვათ, ეს არის ნაწარმოები პირველ სიყვარულსა და მოზარდზე, მაგრამ ამით არაფერია ნათქვამი. აქ ძალიან მტკივნეული მომენტია აღწერილი ადამიანის ცხოვრებაში. ეს არის, ფაქტობრივად, თვითიდენტობის გზაგასაყარზე დგომა, როდესაც ჯერ არ იცი, ვინ ხარ, რაღაც ახალი შემოდის შენში და მეორედ მოსვლასავით დაგატყდა თავს. ეს ახალი არის შენი ახალი „მე“, ეს ახალი არის სიყვარული და ეს სიყვარული ჯერ იმდენად ტლანქი და სტიქიური ძალაა, რომ პერსონაჟი მას უბრალოდ ვერ უმკლავდება [ლობჯანიძე, 2013 (ელ. რესურსი)].

ნაირა გელაშვილის ნაწარმოებებით ქართულმა ლიტერატურამ არათუ მხოლოდ შეიძინა მკვეთრი ინდივიდუალიზმის მქონე ავტორი, არამედ განვითარდა კიდევ, რადგან ის გახდა შთამაგონებელი რიგი ავტორებისათვის, რომელთაც სწორედ გულწრფელობა და გამბედაობა აირჩიეს პოსტმოდერნის ეპოქაში.

„მე ის ვარ“ კომპოზიციით პოსტმოდერნისტული რომანია. ხშირად პოეტური ობერტონებით არის დახატული ნიას სიყვარულის დრამა. „ვეფხისტყაოსნის“, გალაკტიონისა და ანა კალანდაძის, ხალხური და გერმანული პოეზიის ნიმუშები თითქოს ამ დიდი და სათუთი გრძნობის გადმოსაცემად სჭირდება ავტორს [ტურავა, 2013:374].

ნაწარმოების დროსივრცული მოდელიც პოსტმოდერნისტულია. „თხრობა ერთდროულად ორ დროში მიმდინარეობს - გასული საუკუნის 50-60-იან წლებში - აქედან იწყება 13 წლის გოგონას სიყვარული მეზობლად მცხოვრები 20 წლის ვაჟისადმი და თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ გრძელდება მთავარი პერსონაჟის მიერ ძველი სიყვარულის ძებნით“ [ტურავა, 2013:373].

ქართულის მასწავლებელსა და ნიას შორის არსებული კონფლიქტი კიდევ ერთხელ მიანიშნებს, როგორ უჭირთ უფროსებს მოზარდების გაგება. კონფლიქტი იმით სრულდება, რომ მასწავლებელი გოგონას დედის სკოლაში მოყვანას უბრძანებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაკვეთილზე არ დაუშვებს. პასაჟის საფუძველზე ასკვნის გიორგი ლობჯანიძე, რეალურად, ისე ჩანს, რომ მხოლოდ ამ გოგონაში დულს ისეთი სიყვარული, რაც „ვეფხისტყაოსანშია“ აღწერილი, მაგრამ რადგან მოზარდისთვის ამ პოემის ენა უკვე ძველია, გარემომცველი სინამდვილისათვის კი ეს ენა - პრაქტიკულად გაუგებარი, ამიტომ ბავშვი ამ ციტატებს უფროსების მიერ მის დასათრგუნად გამოყენებულ იარაღად აღიქვამსო [ლობჯანიძე, 2013 (ელ. რესურსი)].

ლევან ლორთქიფანიძის მიხედვით კი, ნია თავისი განწყობითა და მოქმედებით ძალზე ენათესავება „ვეფხისტყაოსნის“ პროტაგონისტს – ისიც მარტო ყოფნას ესწრაფვის, ხატოვნად თუ ვიტყვით, ველად გაჭრას ცდილობს. მასაც დაუკარგავს იმედი, რომ ოდესმე კვლავ მოახერხებს სულის სიმშვიდის დაბრუნებას. „ვეფხისტყაოსნის“ საზეპიროები ზუსტი და ამომწურავი პასუხია ყველა იმ კითხვაზე, რომლებიც გოგონას ძილს უფრთხობს და სიმშვიდეს აკარგვინებს, მაგრამ ამაზე მას არავინ ესაუბრება, მხოლოდ გენიალური სტრიქონების დაზეპირებას აიძულებენ, მისგან მხოლოდ დისციპლინასა და უტყვე მორჩილებას მოითხოვენ. ერთი მასწავლებელიც არ გამოჩნდება, რომ ნიას ეპოსის გმირებთან მისი კავშირის არსი აუხსნას. გოგონა განსაცდელის წინაშე მარტო რჩება [ლორთქიფანიძე, 2017 (ელ. რესურსი)].

ამკარაა, რომ სკოლაში „ვეფხისტყაოსნის“ სიბრძნეს, არსს კი არ ასწავლიან, არამედ - საზეპიროებს, რომლებიც ამ ტექსტთანაც აუცხოებს მოზარდს და მასწავლებლებთანაც. ნიას გენიალური ქართული პოემის კონცეპტები და პასაჟები ღრმად რომ გაეაზრებინა, სწორედ ეს განკურნავდა სულიერი ტკივილებისგან.

თხრობა ხან პირველ პირში მიმდინარეობს, ხან მეორე პირში გადადის, ხანაც მესამე პირშია; გარკვეულ მომენტში ავტორი მკითხველს უშუალოდ, ერთგვარი ლირიკული ინტერმეცოთი მიმართავს, რაც დისტანციას მასა და მკითხველს კიდევ უფრო ამცირებს. უნდა აღინიშნოს მწერლის ოსტატობა, დიდი სიმძაფრითა და სიზუსტით აღწერა 13 წლის გოგონას შინაგანი მდგომარეობისა, ცნობიერებისა, დაკვირვებებისა და თან იმდენად ცხადად, რომ მკითხველიც სწრაფადვე ხდება განცდათა თანაზიარი: „რომანში ამბავს

გადმოგვცემს ავტორი-ნარატორი პერსონაჟის დიალოგებისა და შინაგანი მეტყველების, მონოლოგის მონაცვლეობით, რასაც ერთმანეთს ოსტატურად უხამებს და ანაცვლებს... ხშირად დიალოგსა და მონოლოგს შორის საზღვარი იშლება, არ არსებობს“ [ტურავა, 2013:375]. ამავე აზრს ავითარებს ირემაშვილიც, დამაჯერებელია ნაირა გელაშვილის გაფრთხილება 13 წლის გოგონების მიმართ [ირემაშვილი, 2017:10].

რამდენადაც რომანი მოზარდი პერსონაჟის - ნიას პერსპექტივიდანაა დაწერილი, იმდენადვე გასაგებია მისი აღქმების გადამეტებული დრამატულობა და ურთიერთობების სიმძიმე. რომანის მიხედვით, რეალური გარემო მტრული გარემოა ადამიანისათვის. ადამიანი უმწეო და მიუსაფარია. 13 წლის შეყვარებულ გოგონას მთელი სამყარო უპირისპირდება, იგი მარტო რჩება საკუთარ გრძნობასთან და ტკივილთან [ტურავა, 2013:376].

ნია ლექსიკონს ათვალიერებს, იატაკზე ფეხმორთხმულს წინ რუსულ-ქართული ლექსიკონის სამტომეული უდევს, ბოლოს და ბოლოს, უნდა გაიგოს რა არის ეს, მაინც რა უბედურებაა, რა სიმპტომები აქვს, რამდენ ხანს გრძელდება, რანაირი გართულებები იცის და რით შეიძლება დამთავრდეს: „ЛЮБОВЬ - და „სიყვარული“ - სხვა არაფერი. სულ არაფერი. კი მაგრამ, სადღაც ხომ უნდა იყოს „სიყვარულის“ ა ხ ს ნ ა - გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა და დახასიათება, რომელიმე წიგნში, აბა, მარტომ როგორ უნდა გაართვას თავი ა მ ა ს მოწაფე გოგომ? ეგებ დედამისის სამედიცინო ლექსიკონებში იყოს? ხომ აშკარად ავადმყოფობას ჰგავს? ალბათ, არის კიდევ ავადმყოფობა. ახლა სქელ სამედიცინო ცნობარს ფურცლავ გამალებით“ [გელაშვილი, 2020:21].

იქნებ გალაკტიონმა იცოდეს რაიმე, მის ლექსებში ამოიკითხოს, გაშიფროს სიყვარულის საიდუმლო? ნიას უკვირს, რანაირად გახდა სრულიად უცხო ადამიანი უფრო მშობლიური, ვიდრე დედა, მამა და ძმები. სწორედ ამ პასაჟის საფუძველზე ასკვნის გიორგი ლობჯანიძე, რომ პოეზია ხდება მოზარდი გოგონას დამხმარე, თანამგზავრი, თუმცა, სანამ ამ აზრამდე მივა, გრძელ და რთულ გზას გადის. ბევრად მარტივი იქნებოდა, მასწავლებლებს მშვიდად, საფუძვლიანად აეხსნათ წიგნებში გადმოცემული სიყვარულის ადამიანური და პოეტური გამოვლინებები. მწერალი, ფაქტობრივად, საუბრობს წიგნის, უფრო კონკრეტულად, პოეზიის მნიშვნელობაზე: „წიგნში საინტერესოა სწორედ ის ხაზი, თუ როგორ და რაში პოულობს 13 წლის მოზარდი ძალას იმისათვის, რომ მთელ ამ მტრულ

კონგლომერატს გაუმკლავდეს. პოეზია, ლიტერატურა და ბუნება გოგონას მის წინაშე წამოჭრილი ურთულესი პრობლემების გადაწყვეტაში ეხმარება. დროისა და სივრცის განაწილების თვალსაზრისით, პროფესიულად, ამ ძალზე ძნელად დასაწერი წიგნის ნამდვილი ღირსებაა პოეზიასთან 13 წლის მოზარდის დამოკიდებულება. ნაირა გელაშვილს პოსტმოდერნისტული მანერით შექმნილ ამ პასაჟებში რუსთაველისა და გალაკტიონის არაერთი ციტატი შემოაქვს, ოღონდ, სასკოლო საზეპირობებისაგან განსხვავებით, ყველა ეს ფრაგმენტი არაჩვეულებრივად ცოცხალი და სიტუაციის შესაბამისია. ეს ის ფრაგმენტებია, რომლებიც ადამიანს სიყვარულივით ადრეული სიყმაწვილიდან მთელი ცხოვრების განმავლობაში მოგყვება“ [ლობჯანიძე, 2013 (ელ. რესურსი)].

13 წლის ნიას ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ ხდება, წელისა და მუცლის არეში საშინელი ტკივილი აღვიძებს, ზეწარზე სისველესაც გრძნობს. სტკივა და განიცდის ამ ტკივილს, ვერ ხვდება, მის თავს რა ხდება, სანამ უფროსი ქალები - დედა და ნათესავი ცისანა არ აუხსნიან. ასე იწყება გაზრდისკენ ნიას კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა, ასე იწყება მარადიული „დედათა წესი“, როგორც ავტორი მოიხსენიებს ბებიის ციტირებით. ნაირა გელაშვილი ტაბუირებულ თემაზე ღიად საუბრობს, მოურიდებლად აღწერს ბუნებრივ მდგომარეობას, რომელიც ყველა ქალის ხვედრია. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მესიჯია მოზარდებისთვის, რომლებსაც განათლების სივრცეებში, სამწუხაროდ, არ აქვთ იმის შესაძლებლობა, ადეკვატური სექსუალური და ბიოლოგიური განათლება მიიღონ, რაც ასე მნიშვნელოვანია მოზარდის პიროვნული ზრდისთვის. მოზარდები ხომ, განსაკუთრებით გარდატეხის ასაკში, უამრავ გამოწვევას და დაბრკოლებას აწყდებიან, რადგან გარდამავალ ასაკში მკვეთრ ცვლილებებს განიცდის მოზარდის განვითარების ყველა მხარე – როგორც ანატომიურ-ფიზიოლოგიური, ისე გონებრივი და სოციალურ-პიროვნული [ლაბარტყავა, 2012 (ელ. რესურსი)]. ამასთან, მოზარდები განიცდიან თანატოლების ზეწოლას, მუდმივ სტრესს გარემოსაგან, ფიზიოლოგიურ ცვლილებს და იტანჯებიან საზოგადოების, განსაკუთრებით ოჯახის მოლოდინებისგან. ამის გამო საკუთარ თავში იკეტებიან ან/და ზედმეტად ექსპრესიულები ხდებიან, უჭირთ ემოციების კონტროლი, ხდებიან აგრესიულები, ყველაფრის მიმართ პროტესტი უჩნდებათ. გარდამავალ ასაკში ადგზნებისა და შეკავების პროცესები გაუწონასწორებელია – ადგზნება მნიშვნელოვნად სჭარბობს შეკავებას. ადგზნების პროცესი ხშირად ისეთი ძლიერი და

ინტენსიურია, რომ მოზარდს ძალა არ ჰყოფნის მის შესაკავებლად. აგზნება ერთბაშად აღმოცენდება, დიდი ენერგიით ვითარდება, მაგრამ მალევე ცხრება [ლაბარტყავა, 2012 (ელ. რესურსი)]. ლიტერატურას შეუძლია შთააგონოს და გააძლიეროს ახალგაზრდა მკითხველი, განსაკუთრებით, იმ მოზარდი პერსონაჟების გამოცდილების გათვალისწინებით, რომლებიც გადალახავენ სირთულეებს, ავლენენ გამძლეობას და აუცილებლად პოულობენ თავიანთ ადგილს სამყაროში.

რომანში მოქმედება სხვადასხვა დროში მიმდინარეობს: „ნაწარმოების ქრონოტოპიც განსაზღვრულია - სამი სხვადასხვა დრო, გაერთიანებული ერთი სივრცით - თბილისის პრესტიჟული უბნით, ლოკალური სივრციდან და გრძნობიდან დანახული ურთულესი სამყარო ადამიანისა“ [ტურავა, 2013:374]. მკვეთრად იკვეთება ნიას ცხოვრების სამი ასაკი - თინეიჯერობის დასაწყისი, ანუ ბავშვობა, ახალგაზრდობა, სადაც ის უკვე შემდგარი ლექტორია და ზრდასრულობა/მოწიფულობა.

მთავარი პერსონაჟის ახალგაზრდობის პერიოდი რომანის ბოლოსკენ იკვეთება, სადაც ის სტუდენტებთან სენსიტიურ, ტაბუდადებულ თემებზე საუბრობს - განშორებაზე, მიტოვებაზე, მარტოობასა და უპასუხო სიყვარულზე. თუმცა, თხრობა ძირითადად ორ დროში მიმდინარეობს, „ორივე დრო და ორივე ამბავი მთავარი და მნიშვნელოვანია, დრო 1975 წელსაც ჩერდება, როდესაც 28 წლის პერსონაჟი ლექციებისა და პოეზიის მეშვეობით გადმოსცემს თავის დამოკიდებულებას ცალმხრივი, უპასუხო სიყვარულის მიმართ“ [ტურავა, 2013:374].

თხრობის ამგვარი სტილი - ანაქრონულობა, რეტროსპექტულობა და ფრაგმენტულობა ნაწარმოებს თავისთავად საინტერესოს ხდის და მისი ლიტერატურული ანალიზისთვის დიდ სივრცეებს აჩენს. „რომანში არის კიდევ ერთი დრო - პერსონაჟის - ნიას შინაგანი კალენდარი, შინაგანი დრო, მხოლოდ მის მიერ მართული. ეს დრო მოქმედებას 13 წლის ასაკში მისი გაცნობით იწყება, შემდეგ არაერთხელ განახლდება - 28, 48, 58, 60... წლის ასაკში და ყოველთვის მას უკავშირდება“ [ტურავა, 2013:374].

13 წლის მოზარდის ყოვლისმომცველი გრძნობა, რომელიც სიყვარულზე მეტია, ისეთი მძაფრია, დრო ვერ აფერმკთალებს, ვერაფერს აკლებს. „სიყვარულზე წერა ყოველთვის იწვევს ადამიანური დრამის ასახვას, რაც მწერლისაგან დიდ გამომსახველობას და გემოვნებას მოითხოვს. ნაირა გელაშვილს ამ მხრივ უსათუთესი გემოვნება აქვს,

არასოდეს ღალატობს ალღო, რაც მწერალს ზეგარდმო მოემადლება“ [ტურავა, 2013:373]. მიუხედავად იმისა, რომ სიყვარულზე ბევრი დაწერილა, ნაირა გელაშვილი მაინც ახერხებს, იყოს ორიგინალური. თითქოს ტრივიალური და ნაცნობი ფაბულის მიუხედავად, „მე ის ვარ“ არის მრავალმრიანი და მრავალწახნაგოვანი ნაწარმოები, ადამიანის ფსიქიკის ურთულეს ხვეულებს, მოზარდისა და ოჯახის, გარემომცველი სამყაროს ურთიერთობებს რომ გვიხატავს [ტურავა, 2013:373]. ეს, პირველ რიგში, იმის დამსახურებაა, რომ ავტორი თხრობის დიდ ნაწილს მოზარდის გრძნობის გენეზისსა და განვითარებას უთმობს, რაც თავისთავად სიმძაფრეს სძენს ნაწარმოების დინამიკას. ამ შემთხვევაშიც, სიუჟეტის ერთგვარი სიმარტივისა თუ მოჩვენებითი ბანალურობის ფონზე, მწერალი ადამიანის ფსიქიკისა და გარემომცველი სინამდვილის ურთიერთობის ისეთ შრეებს ეხება, რომ არც ერთი ასაკის მკითხველი გულგრილი არ დაუტოვებია [ლობჯანიძე, 2013 (ელ. რესურსი)].

ნაწარმოებში გადმოცემული თემა ყოველი ეპოქისა და სოციუმისათვის საინტერესოა, მაგრამ, მნიშვნელოვანი არა გამოხატვის ფორმები თუ სხვა პირობითი კატეგორიებია, არამედ თვითონ სიყვარული, მშვენიერება და სილამაზე. როგორც წიგნში მთავარია, არა ხანდაზმულ და 13 წლის პროტაგონისტს შორის განსხვავებები, არამედ მათი მაკავშირებელი, უცვლელი ესენცია – ცხოვრების გზაზე ადამიანს მეობის განცდას რომ უნარჩუნებს და რისი დამსახურებითაც ჩვენც ვხვდებით, ნიასა და ნესტანის გრძნობას ერთი და იგივე ნაცვალსახელი რომ იტევს [დორეული, 2022 (ელ. რესურსი)].

ნაირა გელაშვილის მინირომანი „მე ის ვარ“ ასახავს დამოუკიდებლობის, პასუხისმგებლობის, ზნეობისა და მნიშვნელობის ძიებას, რადგან მოზარდობის პერიოდს თავისთავად ახასიათებს ინტენსიური ემოციები და ემოციური ზრდის დინამიკურობა. ნაწარმოები იმის ჩვენებას ცდილობს, რომ ადამიანი დიადი არსებაა. მის სიღიადეს მოგონების, წინათგრძნობის, სინანულის, აღტაცების უნარები განაპირობებს, ადამიანის მთავარი ღირსება კი ის არის, რომ შეუძლია, ტანჯვა სულიერი ზრდისთვის გამოიყენოს. ენერგიას, რომელსაც სიყვარულში ვერ გამოხატავს, ნია სხვა საქმისკენ მიმართავს და შესანიშნავ გერმანისტად ყალიბდება. მისი მაგალითი გვეუბნება, რომ ყველაზე უიღბლო სიყვარულიც კი უკვალოდ არ იკარგება და უტოვებს შანსს ადამიანს, საკუთარი ადგილი და თავისი წილი ბედნიერება მოიპოვოს“ [ლორთქიფანიძე, 2017 (ელ. რესურსი)].

ტექსტი სრული სიზუსტით ასახავს თინეიჯერობის წლების ემოციურ ტურბულენტობას; სიხარულს, შფოთვას, ვნებასა და დაბნეულობას, რომლებიც თან სდევს ურთიერთობებს, მეგობრობას, სკოლას, ოჯახს თუ, ზოგადად, სოციალურ, მაგრამ მაინც, განსაკუთრებით - სიყვარულს.

ხშირად მოზარდი პერსონაჟები ლიტერატურულ ნაწარმოებებში გამოწვევებს წარმატებით უმკლავდებიან და პიროვნებად ყალიბდებიან, ან თუ ვერ უმკლავდებიან, გამოცდილებით სწავლობენ და მაინც ყალიბდებიან; ამ კონკრეტული შემთხვევაში, წარმოჩენილია არა იმდენად შედეგი, რამდენადაც პროცესი სირთულეებთან გამკლავებისა, რაც თავისთავად იძლევა მნიშვნელოვან მაგალითებს. გარდა იმისა, რომ რომანში ამბავი (მისი ძირითადი ნაწილი) მოზარდის ირგვლივ ტრიალებს, ვფიქრობთ, რომ ნაწარმოები განკუთვნილია არა მხოლოდ ზრდასრული, არამედ, უპირველესად, მოზარდი მკითხველისთვის და ემსახურება განსაკუთრებულ მიზანს - ერთგვარი გზამკვლევის შეთავაზებას საკუთარი თავის აღმოჩენის რთულ და ერთი შეხედვით, დაუძლეველ გზაზე.

ნაირა გელაშვილის არაერთ ტექსტში გვხვდება მოზარდის სახე, ამ მხრივ განსაკუთრებულია „სარკის ნატეხები“ - ეს არის მოზაიკის პრინციპით აგებული რომანი-ფაზლი, რომელიც უამრავი „ნატეხის“, ფრაგმენტის, ნამდვილი და გამოგონილი ამბისგან შედგება. 2018 წელს წიგნის ხელახალი გამოცემის ანოტაციაში ვკითხულობთ: „პირველადქმული სამყაროს სინედლიდან ცხოვრებისეული გამოცდილების სიმკვრივემდე გავლილი გზა და ამ გზის მეტაფიზიკა - ეს ყოველივე წიგნის სიუჟეტურ ქარგას კრავს და მკითხველს უნაშთოდ ითრევს“ [გელაშვილი, 2018 (ელ. რესურსი)].

ნაირა გელაშვილის მოზარდი პერსონაჟები განსაკუთრებული მგრძობელობით, ემოციურობით, რეფლექსიითა და თვითრეფლექსიით გამოირჩევიან. ისინი ადრეული ასაკიდანვე ცდილობენ საზოგადოებრვ გამოწვევებთან გამკლავებას, ბრძოლას სტერეოტიპებთან და საკუთარი იდენტობის, განსაკუთრებულობის შენარჩუნებას. ასეა „სარკის ნატეხებში“, „სერსოში“, ასეა მწერლის მთელ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ნაირა გელაშვილის პერსონაჟები უადვილებენ მოზარდს პრობლემასთან, ასაკობრივ სირთულეებთან გამკლავებას. მწერალმა კარგად იცის, რომ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან და ამ პერიოდში მიღებული სულიერი ტკივილებიდან, შთაბეჭდილებებიდან,

ღირებულებებიდან მოვდივართ, ამიტომაც ცხოვრების ამ პერიოდზე განსაკუთრებული სიწრფელითა და სიღრმით წერს.

3.2. მოზარდის სახე ლაშა ბუღაძის პოსტმოდერნისტულ მინირომანში „ბოლო ზარი“

მოზარდისადმი, მისი სულიერი სამყაროსადმი, ინტერესით გამოირჩევიან პოსტმოდერნიზმის ეპოქის ცნობილი ქართველი მწერლები. არჩევანი ლაშა ბუღაძის „ბოლო ზარზე“ შევაჩერეთ, რადგან ჩვენი კვლევის საგანს ლიტერატურული მიმდინარეობები კი არა, ამ მიმდინარეობებში მოზარდის ფსიქოლოგიური სახე წარმოადგენს.

„ბოლო ზარში“ წარმოჩენილია თბილისის ერთ-ერთი პრესტიჟული სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა ცხოვრება, მათი ტკივილი და სიხარული, იდეალები, სულიერი სამყარო, ყალბი ავტორიტეტების მსხვრევით გამოწვეული გულგატეხილობა და იმედგაცრუება. მიუხედავად რომანის მოცულობითი სიმცირისა („ბოლო ზარი“, რეალურად, თანამედროვე მინირომანია), მწერლისეული პორტრეტები დასრულებულია. მკითხველს არ უჩნდება ნაკლოვანების განცდა და საეგებო კითხვები [დვალიშვილი, 2010:120].

ლაშა ბუღაძე იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ყოველგვარ ბარიერს ანგრევენ და თამამად გამოხატავენ სუბიექტურ აზრს თუნდაც ისეთ ტრადიციულ საკითხებზე, რომლებსაც მანამდე კრიტიკულად არავინ შეხებია. ლაშა ბუღაძე ნიჭიერი მწერალია, რომელიც ფლობს სიტყვას, ფრაზას. ის თავისუფლად და ლაღად ქმნის მხატვრულ ქსოვილს. არავითარი ძალდატანება, არავითარი უადგილო ყოყმანი ან პაუზა, თხრობა მთლიანი, სავსე და ჰარმონიულია და ერთ უწყვეტ ნაკადად მიედინება [მილორავა, 2007:117].

„ბოლო ზარი“ თამამიც და ერთი შეხედვით, რეალისტური ტექსტია, თუმცა ნაწარმოები პოსტმოდერნიზმის გავლენას განიცდის და სათქმელის გადმოცემის ზღვრულობით, მაქსიმალური სიხისტით გამოირჩევა. „ბოლო ზარი“ ალბომს უფრო ჰგავს, რომელშიც სურათები განლაგებულია არა სიუჟეტის მკაცრად ლინეარული ან სხვაგვარი განვითარებისათვის, არამედ - კომიკური ეფექტის მისაღწევად [პაიჭაძე, 2006 (ელ. რესურსი)].

სათაური „ბოლო ზარი“ განსაკუთრებულია, კონცეპტუალური; ეს, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი სასკოლო რიტუალი, ტრადიცია, რომელსაც, ფაქტობრივად, ყველა სკოლადამთავრებული იცავს, ძალიან სევდიანი სანახავიცაა, რადგან იმ ადამიანების მდგომარეობის ილუსტრაციას წარმოადგენს, რომლებსაც წინ უცხო, გრძელი და რთული გზა აქვთ გასასვლელი და ერთმანეთს გამამხნეველი სიტყვებით ემშვიდობებიან. წიგნი ახალგაზრდების ცხოვრების შესახებ მარტივ, ბანალურ ამბავს მოგვითხრობს. რომანი აირეკლავს თანამედროვეობის უმწვავეს პრობლემებს და მხატვრულ ქსოვილში, მხატვრულ სისტემაში აქცევს „აქ“ და „ახლა“ მომხდარს, ნანახს, განცდილსა და გააზრებულს. ეს ტექსტი, უპირატესად, თანამედროვე და ახალგაზრდა მკითხველზეა ორიენტირებული, შედარებით ფართო მასაზე და, უპირველეს ყოვლისა, მისგან მოელის რეაქციას [მილორავა, 2007:113]. წიგნი ეპოქის სულისკვეთებას გამოხატავს, იმ ეკლექტურობას, დაბნეულობას, გაურკვეველობას, ქაოტურობას, მენტალურ და ეკონომიკურ გაჭირვებას, ღირებულებათა სისტემის ჩამოშლას, რამაც იმდენად ღრმად დატოვა კვალი, რომ სასკოლო ცხოვრებას დღემდე ატყვია.

რომანი დაყოფილია თავებად, რომელთაც ავტორი „ზარებს“ უწოდებს, შესაბამისად, ვხვდებით არა „პირველ თავს“, არამედ - „პირველ ზარს“, მეორეს და ა.შ.. იგი სულ ოცი „ზარისგან“ შედგება; ამის შემდგომ წიგნში თავები „ბოლო ზარი“ და „ათი წლის შემდეგ“ გვხდება. ლაშა ბულაძე ცდილობს არ მიატოვოს საკუთარი პერსონაჟები და „ათი წლის შემდეგ“ გვიყვება პოსტსასკოლო ცხოვრების შესახებ. ამასთან, რომანში არ არის მხოლოდ ერთი ცენტრალური პერსონაჟი - ტექსტში ყველა პერსონაჟი თითქმის თანაბრად მნიშვნელოვანია. ისინი, ყველანი, წინა პლანზე, ზედაპირზე, სამოქალაქო სცენის პირას არიან გამოყვანილნი [მილორავა, 2007:117].

შთამბეჭდავია, მძიმეა რომანში წარმოჩენილი თემები: უბნებს შორის დაპირისპირება, ყოჩობა, პრივილეგიები, ჩაგვრა და ასე შემდეგ. პოსტკომუნისტური საქართველო ერთიანად გადაეშვა გვაროვნულ-თემურ ურთიერთობათა მორევში... ხან კორექტულად და ხანაც დაუფარავად და გააფთრებით ებრძვის ყველა ერთმანეთს გავლენისათვის, ძალაუფლებისა და ამქვეყნიური ნეტარებისათვის [მილორავა, 2007:114].

რომანში გადმოცემული ერთ-ერთი მთავარი თემა უბნებს შორის დაპირისპირებაა. ვაკე და საბურთალო - ამ ორ უბანს შორის იმთავითვე არსებობდა უთანხმოება. გზამ,

რომელმაც ისინი გააერთიანა, ვერ მოშალა „უთანასწორობა“ და უამრავი ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და კიდევ უფრო მეტის ცხოვრება დაანგრია. „გზა, რომელმაც ორი უბნის დიდ ამხანაგობას ჩაუყარა საფუძველი, ხალხში ვაკე-საბურთალოს გზად იწოდება...“ [ბუღაძე, 2018:5].

ორივე უბანში ყოფა ერთნაირად მდორედ მიედინებოდა, ორივეგან სიღუპიერე ბატონობდა, მით უმეტეს, იმ „ავადსახსენებელ“ პერიოდში. „და ამ ასანთის კოლოფებში, სახლებს რომ უწოდებენ, ზოგიერთი ჭკუასუსტი ერთმანეთს ეჯიბრება. ჩვეულებრივი ცხოვრების დინებას თან ბავშვების თამაში და დედების შიმ-კანკალი ერთვის, მათი ვაჟების, თხუთმეტი წლის ვაჟების გამო. სწორედ ამ ასაკში სადარბაზოსთან ჩაკუზვის, ფურთხის გუბის დაყენების, ცხვირის ქექვის, შავი ქუდის ნიკაპამდე ჩამოფხატების, ხმაში ხრინწისა და მგლების ხროვასავით ძმაკაცებთან ერთად ეზო-ეზო სუნსულის დრო დგება“ [ბუღაძე, 2018:6].

თბილისურ ამბებს მწერალი მესამე პირში გვიყვება, ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს, დემურს წარმოგვიდგენს. ლაშა ბუღაძეს თავიდანვე შემოჰყავს მთავარი გმირი, წიგნიერი ნინველი („თინეიჯერის“ სულხან-საბასეული შესატყვისია), სახელად დემური, და იქვე განსაზღვრავს კიდევ თავისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თბილისურ თემას, რომელიც წიგნიერი ბიჭების დაჩაგვრაში გამოიხატებოდა [ხარბედია, 2008 (ელ. რესურსი)].

დემური ორი რამის გამო იტანჯება: ერთი, რომ დემური ჰქვია და მეორე, რომ ვაკეში არ ცხოვრობს. ვაკეში ცხოვრება გარკვეულ პრივილეგიას გულისხმობს, განსაკუთრებით, ქუჩაში. ერთი შეხედვით, მთავარი გმირი თითქოს დემურია, მისი პირველი სიყვარული და ცხოვრების მახინჯ რეალობასთან (თვითონ კი ვერ აცნობიერებს, რომ მახინჯია, ვერ ბავშვობაში და ვერც მერე) შეჯახება თხრობის იმპულსის აღმძვრელია, მაგრამ მაინც, დემური არ არის ამ მიკროსამყაროს ცენტრი [მილორავა, 2007:117].

მწერალი „ძმაბიჭობის“ ასახვას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. „ძმაბიჭობა“ ერთგვარი ფენომენია, რომელიც ქუჩის ცხოვრებას ასახავს, გუნდურ პრინციპზე დამყარებული ერთობაა, რომელიც ზოგჯერ გაბატონებულ, საყოველთაოდ აღიარებულ მორალურ კანონებს ეწინააღმდეგება და დამოუკიდებელ ღირებულებათა სისტემას ქმნის, რომლის დალატიც ხშირად სიცოცხლის ფასად უჯდებათ. პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში ეს ცნება მხატვრული ხერხებით აირეკლება, შესაბამისად, ამ ხერხთა

გამოყენებისას მკითხველები ისეთ ჟარგონულ ლექსიკას ვეცნობით, რაც მხოლოდ იმ კონკრეტული ლოკალისთვის, ტერიტორიისთვისაა დამახასიათებელი, სადაც ქუჩის ცხოვრების შესახებ ხორციელდება, სადაც, ტკივილთან ერთად, ბევრი სიხარულიცაა, სადაც უამრავი ცხოვრება დაინგრა და აშენდა კიდევ.

„ბოლო ზარი“ ჟარგონით გადატვირთული ნაწარმოებია, რომელიც იმ პერიოდის თანამედროვე ახალგაზრდობის პრობლემებს ეხმიანება და ყველას ამ „ძმაბიჭობის“ ქარგაში აქცევს. ეს ლექსიკა, ეს დამოკიდებულებები უნდა ასახოს ლიტერატურამაც, რომელიც რეალობის რეფლექსირების უტყუარი ფუნქციით გამოირჩევა. „თბილისში, როგორც წესი, ხალხს სწორედ წიგნიერების გამო ჩაგრავენ. მეტისმეტად წიგნიერი, ზრდილი და საამოდ მოსაუბრე ყმაწვილი პატივისცემას არ იმსახურებდა... ხოლო გმირთა გმირია ის, ვისაც ქუჩაში აუდგამს ფეხი“ [ბულაძე, 2018:10].

ავტორის პოზიცია უამრავ ეპიზოდში ჩანს: „მიუხედავად იმისა, რომ წესიერ ყმაწვილთა გალახვის ჟამს გოგონები ყოველთვის ამ უკანასკნელთა მხარს იჭერდნენ, მოწონებით მაინც აგრესიული ცარლიკა, ჭიჭიკა, ფისო ჩაჩხიანი და მისთანანი მოსწონდათ... ისინი ხომ მრავალ საეჭვო გმირობას სჩადიოდნენ და უფრო მეტ გოგონას აყვარებდნენ თავს... ამას ხვდებოდა საბრალო დემური და ამიტომ ცდილობდა სახელის შეცვლას, ეგებ თავადაც გამოცვლილიყო. ნინჩოს ხომ ქუჩაში მოხეტიალე და ფურთხის გუბეთა დამყენებელი ბიჭები მოსწონდა“ [ბულაძე, 2018:11].

ნაომარი ქალაქი, სადაც ქუჩის კანონები მოქმედებს, განსაკუთრებით რთული მისაღებია იმ ახალგაზრდა კაცისთვის, რომელიც თავის დამკვიდრების სულ სხვა გზას ირჩევს, წიგნებს კითხულობს ან/და ფორტეპიანოზე უკრავს; ის განწირულია მუდმივი ბულინგისა და ჩაგვრისთვის. თაობა გატაცებულია ყალბი იდეალებით. მის თვალში უკიდურესობამდე ყავლი აქვს გასული პატიოსან, მშრომელ, წიგნიერ ადამიანს. სამწუხაროდ, ეს ტიპური ხედვაა ამ თაობის მხრიდან [დვალიშვილი, 2010:121]. ამ, არსებითად, პერსონალურ, გამოცდილებასაც ეფუძნება ბულაძის ტექსტი. მწერალი ნამდვილად გულწრფელია, როცა ასეთ სამყაროს ქმნის, რაც დაბადა წარმოსახვამ რეალობაზე დაყრდნობით [მილორავა, 2007:119].

პოსტმოდერნისტული ლიტერატურის არსებითი თვისებაა, დაეფუძნოს ემპირიულ კვლევას, ავტორის პერსონალურ გამოცდილებას, გააჩნდეს მკვეთრად განსაზღვრული

ფორმა. ერთ-ერთი მთავარ პერსონაჟს დავუბრუნდეთ - დემური მშობლების ერთადერთი შვილია, რომლებიც მისი განათლებისთვის ყველაფერს აკეთებენ, დემურს კი განათლების მიღება სულაც არ სჭირდება, სწავლა მოდაში აღარაა, სწავლის გამო ქუჩაში ხალხს სცემენ, ამიტომ შვილი მშობლებს ეწინააღმდეგება, თავის მხრივ, დედ-მამა ვერ ხვდება, რა არის დემურის მეტამორფოზის მიზეზი, რადგან მასთან ჯანსაღი კომუნიკაციის დამყარება უჭირთ და ამიტომ ვერც ეხმარებიან.

მოქმედება რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის - ნადრიკუჩას ირგვლივაც ვითარდება. ის ოცდაერთი წლის კრიმინალია, რომელიც ქუჩაში დიდი რეპუტაციით სარგებლობს. „ის [ნადრიკუჩა] თითქმის არ ლაპარაკობდა. თუკი იტყოდა რამეს, ათასში ერთხელ - მხოლოდ შე ჩემას, თუკი წამოიძახებდა და - მხოლოდ ბოიშვილოს, და თუკი ვერბალურ აღერსს გამოხატავდა ვისმეს მიმართ, მხოლოდ ასე, ერთი სიტყვით: წარეკე“ [ბულაძე, 2018:13]. შემზარავია სახედაკარგული ნადრიკუჩა, რომელიც ერთდროულად კრიმინალიცაა და ტრაგიკული ბედის ადამიანიც, თუმცა მწერალს მისი ტრაგიკულობისათვის დიდი დრო არ დაუთმია. ალბათ, არც იყო მისი მიზანი... მწერალი თავისი რომანით ცდილობს მხოლოდ სინამდვილის ანაბეჭდის შექმნას [მილორავა, 2007:118].

ლაშა ბულაძის დამოკიდებულება 1990-იანი წლების მიწურულის მოზარდების მიმართ არაერთგვაროვანია, რამდენადაც დასცინის მათ, იმდენადვე თანაუგრძნობს, რამდენადაც არარეალურად ჟღერს იქ გადმოცემული სიტუაციები, იმდენადვე რეალურია, რადგან, თავის მხრივ, რეალობა არის არადაძაგერებელი. საქმე ისაა, რომ ნადრიკუჩას ციხიდან გაქცევისა და მოკვლის სცენა დაუჯერებლად მოჩანს, თუმცა კი სწორედ ეს ე.წ. ფანტასმაგორიულობა და ზღვარგადასული მღერა-ლალობა იძლევა საშუალებას, „ბოლო ზარი“ ნამდვილ ლიტერატურად ვაღიაროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელთ მხოლოდ „გატისკული“ თაობის მოსაწყენი ქრონიკები შეგვრჩებოდა და არა რომანი [ხარბედია, 2008 (ელ. რესურსი)].

ნინჩო სახეა იმ პერიოდის თბილისელი გოგონებისა, რომელთაც ქუჩის ბიჭების ყველა ქცევა მოსწონთ, იხიბლებიან და ცხოვრებას ინგრევენ კიდეც. დემურზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ნინჩოს ხასიათი, რომელიც თანამედროვე პოპულარული გოგონა-კერპის განზოგადებულ სახედ წარმოდგება. თავის მხრივ, ნინჩო, როგორც ერთგვარი ავტორიტეტი, თავისი გარესამყაროსადმი დამოკიდებულებით გასაგებს ხდის, რა არის ამ პატარა

საზოგადოებაში ფასეული. ნინჩოს მისწრაფება კრიმინალისა და ესტრადის გროტესკული მომღერლისადმი ნათლად უჩვენებს ახალი კერპების წარმოშობის გზას [მილორავა, 2007:118].

მართლაც, ციხეში მოხვედრილ შეყვარებულს ნინჩო მალევე სხვაზე, „პრესტიჟულ“ მომღერალ ჯამბულ ქართველზე ცვლის. ამ ეპიზოდებში ავტორი პაროდირების ხერხს მიმართავს და წარმოაჩენს პერსონაჟს, რომელიც არა კონკრეტული, არამედ კრებსითი სახეა იმ „მომღერალთა“ არმიისა, რომლებიც იმ პერიოდის თბილისში, ყოვლად გაურკვეველი მიზეზების გამო, დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. „ჯამბულა ქართველი პოპ-ვარსკვლავი გახლდათ, იყო მელოტი და გრძელი წვერი ჰქონდა, ბანჯგვლიან მკერდს ვეებერთელა ვერცხლის ჯვარი უმშვენებდა...“ [ბუღაძე, 2018:73].

„ბოლო ზარში“ ავტორი კი არ აფასებს მოვლენებს, არამედ ამბავს გვიყვება, ოღონდ ამას ისე ახერხებს, რომ მის სკეპტიციზმს იოლად ამოვიკითხავთ: „ჯამბულა ჯგუფს თავდაპირველად „მირიანი და ნანა“ ერქვა, მერე, უბრალოდ, „ჯამბულა და მოციქულები“ ეწოდა. ჯამბულა დიდი მარხვის დროს არასდროს მღეროდა, ამბობდა, ახლა ესტრადნიკებმა იმღერონ, ჯოჯოხეთში ეგენი მოხვდებიანო“ [ბუღაძე, 2018:74]. რომანში როგორც რელიგიური, ასევე სოციალური და კულტურული თემების პაროდირებასაც ვხვდებით. აღსანიშნავია, რომ ეს უფრო პასტიშია, ვიდრე პაროდია. პასტიში ემოციურად უფრო ნეიტრალურია და მოკლებულია უარყოფით ენერგიას; პაროდია იცის, რომ სადღაც არსებობს იდეალი, პასტიში კი იდეალს არ სცნობს. პასტიშით ოსტატურად მქლავნდება პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ორმაგი კოდირება. ერთი მხრივ, იგი პარადიის ტრადიციული ფუნქციით ვლინდება და, მეორე მხრივ, პარადიის შესაძლებლობასაც კი დასცინის, რაც მას ნაკლებად განათლებული მკითხველისთვის გასაგებსა და საინტერესოს ხდის, მაგრამ ირონიის ხერხის გამოყენებით, ის ყველაზე განათლებულ მკითხველსაც კი მიიზიდავს. ამ უკანასკნელმა გამოიწვია ლაშა ბუღაძის „ბოლო ზარისადმი“ დიდი ინტერესი მკითხველთა, ძირითადად, ისევ მოზარდებისა და ახალგაზრდებისა. განსაკუთრებული ინტერესით მაინც მოზარდები კითხულობენ ამ ნაწარმოებს და მწერალს ნამდვილად არავინ სთხოვს არც დიდაქტიკოსობას და არც მორალისტობას [მილორავა, 2007:121].

სამწუხაროა, რომ „ბოლო ზარამდე“ მისული ეს თაობა ღირებულს ვერაფერს ქმნის. ისევე უინტერესოდ და უღიმღამოდ ამთავრებენ სკოლას, როგორი უღიმღამოც მათი მოწაფეობის პერიოდი იყო. ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვით, რომ მათ ერთმანეთი დეკლარირებულად სძულდათ ან უყვარდათ, ისინი ერთმანეთთან, უბრალოდ, ურთიერთობდნენ, რადგან ასე იყო მიღებული. ესენი არიან მოზარდები, რომლებიც დაიკარგნენ, რომლებმაც ვერ იპოვეს თავიანთი ადგილი; აქ არიან „მოზარდები - ათასგვარი სნობური ტკივილით და ვნებით შეპყრობილი, უსახური, ცოცხლად მკვდარი, დიდობისთვის განწირული ნახევრად ადამიანები“ [მილორავა, 2007:120].

ლაშა ბუღაძის „ბოლო ზარი“, მწერლის პირველი რომანი, ყველა იმ მოზარდს ეძღვნება, რომელიც საკუთარი თავის ძიების პროცესში უზომოდ სევდიან და ამავდროულად ამაღელვებელ გზას გადის. ქართველი თინეიჯერების ცხოვრების ამსახველი რომანი ქართულ მწერლობაში კანტიკუნტადაა (ფაქტობრივად, არცაა!). ალბათ, ადრეული ეპოქები არ გრძნობდნენ ამის საჭიროებას. ეს ფენა (ახლა უკვე შეიძლება ასე ვთქვათ) არც მოჩანდა საზოგადოებრივი დიფერენციაციის ჭრილში, მაგრამ დროებამ, ტექნიკურ-ურბანისტულმა პროცესებმა საგულისხმო და გასათვალისწინებელ ძალად წარმოაჩინა ისინი. ამდენად, ლაშა ბუღაძის წარმატებული მცდელობა, შეექმნა თანამედროვე ქართველი თინეიჯერების ცხოვრების ამსახველი ტილო, მათი ფსიქო-ფიზიკურ-ფიზიოლოგიური პორტრეტების ჩვენებით, საჭიროზე საჭირო საქმეა [დვალიშვილი, 2010:120].

რომანში მკითხველს არა მხოლოდ წიგნის პერსონაჟებსა და ქცევებზე ეცინება, არამედ - მათში აღმოჩენილ საკუთარ თავზეც. აქაც დასუნსულებენ და იქექებიან დაბღვერილი ბიჭები, გოგოები კი შეუბრალებლად მოტკეცილი შარვლებით დადიან. მაგარ ბიჭებს თავიანთი სავაჭრო ნიშნით, ფურთხის გუბეებით, მზესუმზირის ქერქებით, კანგადაქერცლილი ცხვირებითა და გადაგლესილი თმებით გამოარჩევთ, გარდატეხის ასაკში მყოფნი კი აქლემებს დამსგავსებიათ. ახლა სახელები ნახეთ: კაწკა, გვაჯი ვახო, კაკუჩა, ფანჩულა, სულიჩა, ლადუნა, პუსკა, ჯღიბო, ჟვირავა, ბათუმელი ამირანა... [ხარბედია, 2008 (ელ. რესურსი)]. რომანში ასახული ყოფა ახალგაზრდებისა, გრძნობებისგან დაცლილი, უშინაარსო და სასაცილოა, რადგან დარდი წვრილმანებზე, ისეთ დეტალებზე უხდებათ, რაც, ფაქტობრივად, არაფერს აძლევს; განიცდიან, რას ჩაიცვამენ, სად წავლენ საჭმელად,

როგორ მოიქცევიან კონკრეტულ მომენტში, რაზე იჭორავენ. საბოლოოდ, ვხედავთ, რომ ცვლილება არც ათი წლის შემდეგ მომხდარა, ზუსტად ისეთები არიან, როგორებიც ბავშვობაში, რაც უსიყვარულობით, გაუცხოებით, შეჯიბრებითობით სავსე ურთიერთობებში ვლინდება.

ლაშა ბუღაძის „ბოლო ზარი“ ყოველგვარი შელამაზების გარეშე ამხელს რეალობას; ეს არის წიგნი „დაკარგულ თაობაზე“, რომელსაც არც აწმყო აქვს და არც მომავალი, სადაც ისინი საკუთარი თავის რეალიზებას შეძლებენ, იმ მოქალაქეებად ჩამოყალიბდებიან, რომლებიც ქვეყნის, ქალაქისა თუ ქუჩის ცხოვრების მაჯისცემის განსაზღვრავენ. ეს არის გაჭირვებაში, ომში, შიმშილსა და სევდაში გაზრდილი თაობა, რომელიც დაბნეულია და არ იცის, კრიზისიდან რა გზით გამოვიდეს, როგორ გაექცეს; ეს ნისლით მოცული გაუგებრობა მათ ცხოვრებას საბედისწერო ნიშანს აჩნევს. ლაშა ბუღაძეს ეყო სითამამე დაეწერა პირველი ქართული „სიტყუაი ნინველთათვის“, წიგნი თინეიჯერებისთვის, სადაც იშვიათად გამომკრთალი ჰიპერბოლებისა და დაუჯერებელი სარაინდო-საფალავნო ჰეროიკის მიუხედავად, კონკრეტულ ადგილებსა და კონკრეტულ ადამიანების თავს გადამხდარი ამბებია მოთხრობილი [ხარბედია, 2008 (ელ. რესურსი)].

წიგნში, გროტესკულ-ფანტასმაგორიული ბუნების მიუხედავად, არაფერია გამოგონილი; აქ რეალური ამბებია მოთხრობილი, რეალურ სახე-ხატებს ვხედავთ. რომანი თბილისის უახლესი ისტორიის ბნელ მხარეს წარმოაჩენს, გასული საუკუნის მიწურულის ყველაზე მტკივნეული ფურცელია, რომელსაც, მიუხედავად ნოსტალგიურობისა, ავტორი ძალიან სხარტად, თავისუფლად და ცოცხლად წარმოაჩენს, რაც პოსტმოდერნიზმის კიდევ ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია. და როგორც ჩანს, მხატვრული ამოცანაც ეს არის: შეძრას, ზიზღის, შიმშის და უძლურების გრძნობა აღუძრას მკითხველს [მილორავა, 2007:120].

წიგნის გამოცემას სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია; მას სკანდალურ ნაწარმოებად მიიჩნევდნენ, რომლის წაკითხვაც მკითხველს შეურაცხყოფას მიაყენებდა, მაგრამ ფაქტია, რომანი დღემდე ბესტსელერია. ეს „გარყვნილი“ წიგნი, როგორც მას უწოდებდნენ, იყო და არის წიგნი, რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ქართველ მკითხველში; თავად ავტორის თქმით კი, იმ კრიტიკოსთა დიდ ნაწილს, რომელიც „ბოლო ზარს“ მსგავსად ეხმიანებოდა, არც კი ჰქონდა წიგნი წაკითხული [ნინჩო...(ელ. რესურსი)].

ნაწარმოების ბოლოს საერთოქართული, ყველა ასაკისთვის მნიშვნელოვანი შეკითხვის დასმით ავტორი, ერთი მხრივ, თხრობას ასრულებს, მეორე მხრივ კი, თითქოს ჯოჯოხეთურად ერთფეროვანი რეალობისკენ გვაბრუნებს. ესაა მტანჯველი, შხამიანი შეკითხვა: – ამ სადამოს რა ვქნათ? შეკითხვა, რომელიც რუსული, უფრო სწორად, სკვითური პათოსითაა დასმული, თუმცა კი დანტეს იმპერატივივით ჟღერს: „თქვენ, აქ მოსულნო, იმედები დატოვეთ ყველა...“ [ხარბედია, 2008 (ელ. რესურსი)]. „ბოლო ზარის“ თაობა დროის კატაკლიზმებმა დააზიანა, გამოუცვალა ღირებულებები, დაუცარიელა მისწრაფებები და მწარე სინამდვილეში ამყოფა. ცხოვრების ლაბირინთებში არც ეს პოსტმოდერნისტული ლიტერატურული „ოდისეა“ დასრულებულა, პოსტმოდერნისტული კონცეპტების გამოყენებით კიდევ ბევრი დაიწერება. ამ მიმდინარეობამ მწერლებს რეალობის ლიტერატურული ხერხებით გამოხატვას უამრავი შესაძლებლობა მისცა.

მწერალმა „ბოლო ზარი“ თანადროული რეალობის გათვალისწინებით დაწერა. ჯოჯოხეთურ ყოფას, ბუნებრივია, „დავარცხნილი“, მოხდენილი მხატვრული სტილი, ენა არ მოუხდებოდა, ამიტომაც საუბრობენ ლაშა ბუღაძის პერსონაჟები სპეციფიკური სლენგით, რაც ესთეტიკურ ღირებულებებზე აღზრდილ მკითხველს, ერთგვარად, აშორებს ამ ტექსტისგან, თუმცა ოცდამეერთე საუკუნის პირველმა ოცწლეულმა დაამტკიცა, რომ ამგვარ ნარატივს არაერთი სხვა ახალგაზრდა ავტორიც სთავაზობს მკითხველს.

3.3. მოზარდი და ოჯახი (თამარ გეგეშიძის „საშლელეები“, ანა კორძაია-სამადაშვილის „გიმნაზისტკა“)

ქართული ლიტერატურა ხშირად ასახავს ქვეყნის კულტურულ ღირებულებებს, სოციალურ ნორმებსა და ოჯახური ურთიერთობების თავისებურებებს. საინტერესოდ და არაერთგვაროვნად ერწყმის ერთმანეთს ოჯახისა და მოზარდის საზოგადოებასთან ინტეგრირების თემა ლიტერატურულ ნაწარმოებებში. თუ სადმე აქვს სიმბოლური დატვირთვა მოზარდის ფენომენს, განსაკუთრებით იმ კონტექსტში, სადაც ოჯახი არა მხოლოდ ტრადიციული შინაარსის მქონე ფენომენადაა წარმოდგენილი, არამედ მნიშვნელოვანი კონცეპტის სახეც აქვს. ეს კონცეპტი შესაძლოა იყოს, ზოგადად, ძველი თაობა, სისტემა ან რაიმე ინსტიტუცია, რომელიც კვდება, დროს ეწირება, ხოლო მოზარდი ამ კონცეპტის ოპონენტად, ანტაგონისტადაა წარმოდგენილი, რომელიც ამარცხებს ან ცვლის მას.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც სოციალისტური რეალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, ქართველი მწერლებისთვის თვითგამოხატვის ერთადერთი საშუალება გახდა, მათ ოჯახისა და მოზარდების ცხოვრების თითქოს რეალისტურად და დეტალურად ასახვა დაიწყეს. ამ ნაწარმოებებს დაჰკრავდა იგავური ელფერი, რაც იმ პოლიტიკური და ეკონომიკური წეს-წყობიდან გამომდინარეობდა, რომელიც ხელოვანს აიძულებდა ცენზურის პირობებში შეექმნა ლიტერატურული ტექსტი. კონკრეტული ნარატივები ნათელს ჰფენს არა მხოლოდ თინეიჯერების წინაშე არსებულ გამოწვევებს, როდესაც ისინი ებრძვიან საზოგადოების მოლოდინებს, განათლების სისტემის წნეხს, პირად მისწრაფებებსა და ოჯახების გავლენას, ასევე ააშკარავებდა სისტემის, სახელმწიფოსა და სოციალური კონიუნქტურის ზეწოლას ახალგაზრდებზე. თინეიჯერების დახატვით მწერლობა ცხოვრებას, ეპოქის თავისებურებებსაც წარმოაჩენს.

მოზარდის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ოჯახს, სკოლას, სოციუმს - იმ გარემოს, სადაც ადამიანი იზრდება. გარდამავალი ასაკის მთავარ სირთულედ მიიჩნევენ კონფლიქტს მშობლებსა და სხვა უფროსებთან, რომლებიც მოზარდთა დამოუკიდებლობისა და ავტონომიისკენ სწრაფვას ეწინააღმდეგებიან. როგორც ირკვევა, არც მოზარდთა ემოციური გაუწონასწორებლობა და არც უფროსებთან კონფლიქტი არ წარმოადგენს განვითარების აუცილებელ ატრიბუტს. მოზარდთა დიდი ნაწილი მოზრდილებთან მშვიდობიან და კეთილგანწყობილ ურთიერთობას ინარჩუნებს (ლაბარტყავა, 2012 (ელ. რესურსი)].

რადგან მოზარდები დამოუკიდებლობას ეძებენ, მათი ურთიერთობა ოჯახის წევრებთან იცვლება. შესაძლოა წარმოიშვას კონფლიქტები მშობლებთან, მეურვეებთან, დამმებთან ან ნათესავებთან; ეს ხდება მაშინ, როდესაც ისინი ცდილობენ იპოვონ ბალანსი ავტონომიურობასა და დამოკიდებულებას შორის. ავტონომიის ცნების განსაზღვრისას ძირითადი აქცენტი კეთდება უფროსების გავლენისგან გათავისუფლებაზე, მაგრამ შეუძლებელია, გარდამავალ ასაკში ადამიანი მათზე არ იყოს დამოკიდებული. სრული თავისუფლება არც მოზარდებისთვის არის ხელსაყრელი, რადგან მათ აფრთხობთ ის პასუხისმგებლობა, დამოუკიდებლობას რომ ახლავს თან. ამასთანავე, მოზარდები ეკონომიურადაც მშობლებზე არიან დამოკიდებულნი, ამიტომ უფრო მართებული იქნება, თუ ავტონომიას განვიხილავთ როგორც თვითრეგულაციას. ამ თვალსაზრისით,

დამოუკიდებლობა საკუთარი დასკვნების გამოტანასა და საკუთარი ქცევის რეგულაციას გულისხმობს. სწორედ ამას სწავლობენ მოზარდები. ისინი ოჯახსა თუ სკოლაში ათვისებული წესების, საზღვრებისა და ღირებულებების გადაფასება-გადასინჯვას ახდენენ. ამ პროცესში ზოგჯერ უფროსების წინააღმდეგობას აწყდებიან, რაც კონფლიქტს იწვევს. ხშირია ოჯახური უთანხმოება... მაგრამ ამ კონფლიქტებს დადებითი მხარეც აქვს: მოზარდი უსაფრთხო, ოჯახურ გარემოში ცდის, რა სახის დამოუკიდებლობა შეუძლია მოიპოვოს, რამდენად შეუძლია საკუთარი მოსაზრების დაცვა (ლაბარტყავა, 2012 (ელ. რესურსი)].

ოჯახი მნიშვნელოვანი თემაა მოზარდისა და მისი განვითარებისთვის, ზოგჯერ იმდენადაც, რომ ის განსაზღვრავს მოზარდის სამომავლო პიროვნებასაც, განსაკუთრებით ისეთ ტრადიციულ კულტურებში, როგორც ქართულია, შესაბამისად, ლიტერატურა ოჯახის (როგორც, მინიმუმ, თემის) იგნორირებას არ და ვერ ახერხებს. საკითხს განვიხილავთ ანა კორძაია-სამადაშვილისა და თამარ გეგეშიძის ტექსტებზე დაყრდნობით.

ანა კორძაია-სამადაშვილი თანამედროვე ქართველი ავტორია, რომელიც ცნობილია არა მხოლოდ მხატვრული ტექსტებით, არამედ - თარგმანებითა და პუბლიცისტური წერილებითაც. ის ამ თემატიკით დაინტერესებულ ერთ-ერთი გამორჩეულ ავტორადაც შეიძლება ჩაითვალოს. ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი ტექსტია „გიმნაზისტკა“, რომელიც ეხება მოზარდების გამოცდილებებსა და გამოწვევებს და, ამავდროულად, წარმოაჩენს აღზრდის კულტურულ და სოციალურ ელემენტებს, რაც საკმაოდ რელევანტურია თანამედროვე სამყაროში.

ტექსტი მცირე ზომისაა, შინაარსი - გასაგები და მკაფიო, მიუხედავად იმისა, რომ თხრობა არ არის ერთმნიშვნელოვნად ლინეალური. მთავარი პერსონაჟი ცამეტი წლის გოგონაა, საკუთარი ფიქრებითა და ოცნებებით; ბავშვი, რომლის დედა აღზრდის განსხვავებულ მეთოდს მიმართავს, განსხვავებულს იმ სამყაროსგან, რომელშიც გოგონას უწევს ცხოვრება. ეს „განსხვავებული“ მეთოდი, რასაც თამამად შეგვიძლია „მკაცრიც“ ვუწოდოთ, გოგონაზე უარყოფით ემოციურ ზეგავლენას ახდენს - ის სტრესულ მდგომარეობაშია და სამყაროს ადეკვატური აღქმაც უჭირს. სკოლის მოსწავლე ჩვეულებრივ დილას რუტინით იწყებს, მაგრამ დილა უცნაურ ვალდებულებებსაც მოიცავს, რომლებიც დედამ დაუწესა: „ყოველ დილით სანამ, როგორც დედაჩემი იტყოდა, ცხოვრებას

დავიწყებდე, ჯერ კედელთან ვდგავარ, კეფა, მხრები, უკანალი და ქუსლები კედელზე მაქვს მიბჯენილი და ჩემ წინ, თაროზე მდგარ შურას მიერ გადატრიალებულ ქვიშის საათს ვუყურებ“ [კორძაია-სამადაშვილი, 2012 (ელ. რესურსი)].¹

ამბავი პირველ პირშია მოთხრობილი; მოთხრობელი უშუალოდ არის კონკრეტული ამბის თანამონაწილე: ეს ამბავი/ამბები მასზე რეალურად ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ან მის ირგვლივ ვითარდება; ის განმცდელიცაა და აღმქმელიც ერთდროულად. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ტექსტი პირველ პირშია დაწერილი, იმის დადგენა რთულია, რამდენად ეფუძნება იგი ავტორის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ანუ რამდენად არის ავტობიოგრაფიული. იმდენად არ ჩანს ავტორის პოზიცია, როგორც სუბიექტის, რამდენადაც სრული სიზუსტითაა გადმოცემული ცამეტი წლის მოზარდის ემოციური მდგომარეობა და ის ოჯახური ამბავი, რომელიც ნებისმიერ გოგონას შეიძლება გადახდენოდა, მით უფრო, XX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში. ეპოქის დასახელების საფუძველს გვაძლევს დედის აღზრდის მეთოდი და უცხო ეროვნების აღზრდელის ფენომენი, თუმცა ეს ერთმნიშვნელოვნად არ ნიშნავს იმას, რომ ნაწარმოებში ეპოქა დაკონკრეტებულია. მართალია, გადმოცემული ამბავი, გარკვეულწილად, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ იგი უფრო ადრე მოხდა. იმდენად მნიშვნელოვანი არ არის ის, თუ როდის მოხდა, რამდენადაც ის, რა მოხდა და რა იყო ამის მიზეზი.

პირველ პირში თხრობა ერთმნიშვნელოვნად ავტობიოგრაფიულობას არ ნიშნავს, თუმცა ავტორი ყოველთვის იყენებს პირად გამოცდილებასა და პრაქტიკას. მხატვრული ნაწარმოების არსს განსაზღვრავს არა პერსონალური (ავტორისმიერი) თვისებებით გაჯერებულობა, არამედ ის, რომ იგი საკაცობრიო სულიერების სახელით გვესაუბრება და მას მიმართავს. მხოლოდ პირადულის, ხელოვნებისათვის, შეზღუდულობის მანიშნებელიც კი არის [ჭილაია, 2012:23].

ნაწარმოებში გოგონას დედისგან განსხვავებული გემოვნება და შეხედულებები აქვს, მისი გემოვნება შურასას უფრო ემთხვევა. შურასა და გოგონას ერთი საიდუმლო აქვთ - ის გოგონას ყოველთვის სკოლამდე აცილებს, მაგრამ საშუალებას აძლევს, სკოლაში მარტო შევიდეს; უკანა გზაზეც ასეა, გოგონა სკოლიდან მარტო გამოდის. შურა მოზარდის

¹ ანა კორძაია-სამადაშვილის „გიმნაზისტკა“ (მწერლის სურვილით) არ არის გამოცემული, მისი მხოლოდ ელექტრონული ვერსია არსებობს. შესაბამისად, ვიმოწმებთ ელ. რესურსს.

მესაიდუმლე, გულშემატკივარია, რაც, ცხადია, გოგონას უხარია. შურა შინამოსამსახურეა და გოგონაზე ზრუნვაც ავალია, შესაბამისად, მას აქვს მოზარდზე ზემოქმედების შესაძლებლობა.

შურასა და დედის რადიკალურად განსხვავებული აღქმა აღზრდისადმი მცირე ცხოვრებისეულ, მაგრამ ნამდვილად ნიშანდობლივ დეტალებში ჩანს, რაზეც მოზარდი იმაზე უფრო დიდ ყურადღებას ამახვილებს, ვიდრე ზრდასრული გაამახვილებდა. შურა გოგონას ჩაცმულობას მოსაწყენად აფასებს, დედა კი - ელეგენტურად: „კოხტა გოგო ვარ. შურას თქმით, ნამდვილი გიმნაზისტკა, ელეგანტური და მოსაწყენი“ [კორძაია-სამადაშვილი, 2012 (ელ. რესურსი)].

დედა გოგონას არასდროს აქებს, შურა კი განუმარტავს, რომ ასეთი წესია, არ შეიძლება დედამ შვილი შეაქოს, თუმცა, გოგონა დედისა და მამის საუბარს ხშირად უსმენს (ეს უნებურად ხდება, მაგრამ მაინც, იცის, რომ ეს არ არის კარგი ქცევა, თუმცა ინტერესი სძლევის). მხოლოდ ამ დროს აქებს დედა გოგონას; მამას ეუბნება, რომ ის კარგად სწავლობს და მასწავლებლები აქებენ. შვილი დედასთან არ საუბრობს, ყველა კითხვაზე პასუხს შურასთან ეძებს, რაც უფრო აახლოებს მასთან.

ნაწარმოებში ზეწოლა, რასაც ოჯახი (ამ შემთხვევაში, მკაცრი დედა და გულგრილი მამა - ისევე, როგორც რევაზ ინანიშვილის მოთხრობაში „ჩიტების გამომზამთრებელი“) მოზარდზე ახდენს, გადმოცემულია ძლიერი ემოციური პასაჟებით; ამასთან, ხაზგასმულია სოციალური უთანასწორობაც, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციაც. ეს მწვავე სოციალური საკითხები ყველაზე უკეთ ჩანს მაშინ, როდესაც მკითხველი მოზარდთან ერთად აღმოაჩენს, რომ შურას უფლებები ოჯახში შეზღუდული აქვს, რაც გოგონას აოცებს, რადგან პატარაა და ეს გააზრებელი არ აქვს; გოგონა ზედმეტ კითხვებს არ სვამს; ზედმეტი კითხვების დასმის უფლება ხომ პატარებს არ აქვთ, თუმცა უკვირს და ეხამუშება.

გარდა ნაწარმოებში ასახული შინაგანი კონფლიქტისა, რაც ოჯახის შვილისადმი დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს, კონფლიქტი არსებობს დედასა და შურას შორისაც. ისინი სამყაროს განსხვავებულად აღიქვამენ, შესაბამისად, განსხვავებულია აღზრდის მეთოდებისადმი მათი დამოკიდებულებაც. შურამ გოგონას დედას პირდაპირ ვერ დაუწუნა აღზრდის ხერხები, ამიტომ დაბადების დღეზე აჩუქა ნობელიანტი ავტორის წიგნი, რომლითაც მიანიშნა, რამდენად ტრაგიკულ შედეგს გამოიღებდა ამგვარი აღზრდა

მომავალში. დედას ეს წიგნი წაუკითხავს, შურასთან სამზარეულოში შევარდნილა, გოგონას სკოლიდან წამოყვანა უბრძანებია და შემდეგ სამსახურიდან სამუდამოდ დაუთხოვია. რასაც დედას შურა მთელი რვა წელი ვერ ეუბნებოდა, უნდოდა ამ წიგნით ეთქვა, რადგან არ სურდა, გოგონას იგივე დამართნოდა, რაც იმ ქალს წიგნში დაემართა. მხატვრულ ტექსტს, წიგნს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანებზე, რაც ოსტატურად წარმოაჩინა აქ ავტორმა.

ჩვენი მოსაზრებით, „გიმნაზისტკაში“ შურას ქმედებები გამოხატავს ავტორის პოზიციას, მის იდეებს. ყველაზე გავრცელებულ შემთხვევებში ტექსტში იდეოლოგიური თვალსაზრისი წარმოდგენილია რომელიმე ერთი დომინანტური პოზიციით. ტექსტში ამგვარ ურყევ პოზიციას ემყარება ყველა დანარჩენი; თუკი ნაწარმოებში გვხვდება ამ დომინანტური პოზიციისაგან განსხვავებული პოზიცია, ვთქვათ, პერსონაჟ(ებ)ის თვალსაზრისი, მაშინ ამგვარი შეხედულებები დომინანტური პოზიციის ჭრილში განიხილება [ლომიძე, 2012:302]. ის არა მხოლოდ აფიქსირებს და რეალურად აფასებს სიტუაციას, არამედ ცდილობს მოზარდის დახსნას, რადგან კრიტიკულად მნიშვნელოვანი ჰგონია მისი გადარჩენა. ამ ნაცრისფერ სამყაროში შურა სხივია, რომელიც მალევე ჩააქრეს.

შურა ეთნიკურ უმცირესობას ეკუთვნის და ეს არ არის შემთხვევითი. ცივილიზებულ სამყაროში ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული შეხედულებები გაცილებით არაცივილიზებული შეიძლება იყოს, რადგან, სტერეოტიპებიდან გამომდინარე, ამგვარი მიდგომებით სწორედ ეთნიკური უმცირესობები გამოირჩევიან. ავტორი აქ კონტრვერსიულობას გვთავაზობს, რათა მოვლენის სიმძაფრეს უფრო კარგად დავაკვირდეთ და სხვა რაკურსით დავინახოთ; ამასთან, დავძლიოთ სტერეოტიპური აზროვნება. ლიტერატურულ თხზულებებში გამოხატულ ადამიანთა უმრავლესობას ატყვია საკუთარი წრის, გარემოსა და დროის აღმნიშვნელ ნიშან-თვისებათა ბეჭედი. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოქმედი პირი რამდენადმე „საერთო ადამიანური“, განყენებული მოდელის სახით წარმოგვიდგება, იგი გარკვეული პლანით მაინც ატარებს კონკრეტულ-ისტორიული ცხოვრებისა თუ მოვლენის შემცველ ნიშანს [კიკაჩიშვილი, 2012:114].

ნაწარმოების ფინალში ასახული პასაჟი, სადაც გოგონა გიმნაზიაში ბავშვების უფლებების დაცვის კონვენციის 25-ე წლისთავის იუბილეზე საუბრობს, განსაკუთრებულად ემზადება და ბოლოს კი იზეპირებს კიდევ კონვენციას, არის

გარკვეული ირონია. რეალურად სად ირღვევა ბავშვის უფლებები და რას ნიშნავს საერთოდ იგი? შეიძლება მოზარდს ჰქონდეს თავზე ჭერი, საკვები და ტანსაცმელი, მაგრამ არ ჰქონდეს უფლება, იყოს პიროვნება. სწორედ ამ მორალით/დასკვნით, ერთგვარი რეზიუმეთი ასრულებს „გიმნაზისტკას“ ანა კორძაია-სამადაშვილი; ასრულებს და მკითხველს, განსაკუთრებით, მოზარდსა და მშობლებს, საფიქრალს უტოვებს. ყველაფერს შერიგებული გოგონა მიჰყვება დედის მკაცრ, ზოგჯერ ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის საზიანო წესებს და უფერულ ყოველდღიურობას, თან ისე, რომ გვერდით კითხვებზე პასუხის გამცემი შურაც აღარ ჰყავს.

პრობლემა საინტერესოა არეკლილი თამარ გეგეშიძის „საშლელეზშიც“. თამარ გეგეშიძე გამორჩეული თანამედროვე ავტორია, რომელიც ცნობილი ბავშვთა და მოზარდთა თემატიკით გახდა. მისი ნაწარმოებები ეხება ახალგაზრდა მკითხველისთვის აქტუალურ თემებსა და გამოცდილებებს, იდენტობის ძიებასა და თანამედროვე გამოწვევებს, ოჯახსა და სკოლასთან ურთიერთობას.

„საშლელეზი“ - ასე ჰქვია წიგნს, რომელიც ჩვენი კვლევის ობიექტი გახდა. წიგნმა განსაკუთრებით მოზარდი მკითხველი მოხიბლა. ტექსტი უკვე არის სკოლის კლასგარეშე საკითხავთა სიაში. „საშლელეზი“ ცნობილია თავისი მიმზიდველი, დამაფიქრებელი, მარტივი და მსუბუქი თხრობით; გვიყვება ამბავს ცამეტი წლის ანას ცხოვრებაზე, რომელიც, ძირითადად, ოჯახსა და სკოლასთან არის დაკავშირებული. თამარ გეგეშიძის „საშლელეზი“ 13 წლის ანა ყიფიანის ცხოვრების ქრონიკაა, სავსე განსხვავებული ემოციებით, სურვილებით, იდეებითა და პრობლემებით. მართალია, წიგნი გამომცემლობა „ინტელექტმა“ სერიაში „გაკვეთილების შემდეგ საკითხავი“ გამოსცა და თინეიჯერი მკითხველისთვისაა გათვალისწინებული, მისი წაკითხვა მშობლების თაობასაც ბევრ რამეს შესძენს [დიდიშვილი, 2021:14].

წიგნს კონკრეტული ადრესატი ჰყავს - მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც, მშობლებიც და აღზრდასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირი. სწორედ ამიტომაც ის ერთნაირად საინტერესო ყველა ასაკის მკითხველისთვის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის მოზარდებისთვისაა განსაკუთრებით საინტერესო, რადგან მთავარი პერსონაჟი მოზარდია. „საშლელეზის“ ერთ-ერთი მთავარი თემა ოჯახის წევრებთან მოზარდის ურთიერთობაა.

ყოველდღიურობის ფერხულში ჩაბმულ მშობლებს ხშირად გვავიწყდება მთავარი – ემოციური კავშირი შვილებთან [ფურცელაძე, 2020 (ელ. რესურსი)].

წიგნში თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს; ნარატორი, ერთდროულად, მთხრობელიცაა და პერსონაჟიც; შესაბამისად, გვხვდება მთხრობელი „მე“ და განმცდელი „მე“. წიგნი ნამდვილად არ არის ავტობიოგრაფიული, ის ემპირიულ დაკვირვებებს ეფუძნება, რადგან ავტორი სკოლის მასწავლებელია. „თხრობის პირი არ არის დამოკიდებული ტექსტში მთხრობლის სტატუსზე - მთხრობლის სტატუსს შეიძლება ფლობდეს ავტორი-მთხრობელი ან პერსონაჟი-მთხრობელი - თუმცადა, გამოკვეთს მთხრობლის ადგილსა და პოზიციას ამ კონკრეტულ ტექსტში“ [რატიანი, 2012:150].

თხრობა ლინეალურია და ასახავს ცამეტი წლის ანას სასკოლო ცხოვრებას, ოჯახს, ოცნებებს და მისწრაფებებს, რომლებიც ხშირად ერთმანეთისგან განსხვავებულია, ამაში გასაკვირი არაფერია, ცამეტი წლის მოზარდს ხომ ყველაფერი ყოველთვის განსხვავებული აქვს; ანას, რომელმაც თინეიჯერობაში ახლახანს შეაბიჯა, ერთი შეხედვით, სხვა მოზარდებისგან არაფრით გამორჩეული, მაგრამ მაინც მრავალფეროვანი და საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს, რომელიც სავსეა მძაფრი ემოციებით, რომლებთანაც გამკლავებასაც ზოგჯერ წარმატებულად ახერხებს, ზოგჯერ კი - ვერა.

ნაწარმოებში მოზარდის სასკოლო და საოჯახო ყოველდღიურობაა გადმოცემული, აქ ცალ-ცალკე ცხოვრობენ ოჯახის წევრები. ერთად არიან, მაგრამ საერთო არაფერი აქვთ. ანას დედა ინგლისურის მასწავლებელია უბნის მეორე სკოლაში, ისედაც გადაღლილი დედა, რომელსაც თავი შეკითხვებით აქვს გამოტენილი, ხშირად ნებისმიერ წვრილმანზე ღიზიანდება. მოსწავლეები მას სახლშიც ჰყავს და ანაც იძულებულია, დედის მოსწავლეებს შეურთდეს. დედა ყოველთვის გაღიზიანებულია და როდესაც რაიმეს ეკითხებიან - ბრაზობს, საკუთარ თავზეც კი. ანას მამა ექიმია, ტრავმატოლოგი; ის ხშირად ხუმრობს ხოლმე. ანას ერთადერთი ძმა კოსტა ჰყავს. კოსტას არაფერი აინტერესებს, მითუმეტეს, სწავლა. მისი ერთადერთი გატაცება ველოსიპედიანია, რის გამოც ხშირად მეზობლები საჩივრებით აწუხებენ ოჯახს.

მოზარდები დეტალებს განსაკუთრებულად აკვირდებიან და მოვლენებს მძაფრად აღიქვამენ, ხშირად ინდივიდუალური დასკვნები გამოაქვთ. მათი მორალური ღირებულებები ჩამოყალიბების პროცესშია, შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია აღზრდისას

მშობლებსა და შვილებს შორის ჯანსაღი ურთიერთობის არსებობა, რაც გულწრფელობასა და თავისუფლებაზე უნდა იყოს დაშენებული. „მგონი, უკვე აქსიომაა და არა მითი, რომ მოზარდები, მშობლებისგან განსხვავებით (ტექსტის ავტორს სურს შეგახსენოთ - არ იგულისხმება მათი სრული უმრავლესობა!), ბევრად უფრო თავისუფლები და ლაღები არიან, კარგად აკვირდებიან დეტალებს და ადამიანებზე შთაბეჭდილებებს უყალიბებთ მათი ქმედებების მორალური მხარე. სწორედ ამიტომ, რომ ანას დედა ჩუმად ეწევა სიგარეტს და შვილებს ობიექტურად უკვირთ - განა რა არის აქ დასამალი? საქმე ისაა, რომ დედა საკუთარ საქციელს სხვანაირად აღიქვამს და ვერ ან არ ხვდება, რომ შვილებისთვის მისი პერსონაჟის სახეს მწეველობა-არამწეველობის აქტი არ ცვლის“ [დიდიშვილი, 2021:14].

ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეულ, თანამედროვე ქართულ ოჯახში ცამეტი წლის მოზარდი ცხოვრობს, სამყაროსადმი მისი დამოკიდებულება დამახასიათებელია ამ ასაკის მოზარდებისთვის, თუმცა გოგონაში არის რაღაც განსაკუთრებული. მწერლის ამოცანა აშკარად არ არის ის, რომ მოგვიყვას ამბავი განსაკუთრებულ ოჯახზე, აქ მნიშვნელოვანია ის, რომ, ერთი შეხედვით, არაგანსაკუთრებულში აღმოაჩინოს მკითხველმა ის, რაც შემდეგ თანაზიარობას გაუჩენს, დააკავშირებს პერსონაჟთან. მხატვრული სახე ექსპრესიულია იმდენად, რამდენადაც ავტორს სურს მისი სამყაროს აღქმის თანამონაწილედ გაქციოს. ეს ლიტერატურული ტაქტიკა მუშაობს ყოველთვის, როდესაც ავტორის ამოცანა ერთმნიშვნელოვანია. მხატვრული სახე ექსპრესიულია, ანუ გამოხატავს ავტორის იდეურ-ემოციურ დამოკიდებულებას საგნისადმი. იგი მიმართულია მკითხველთა, მსმენელთა, მაყურებელთა არა მარტო გონების, არამედ - გრძნობებისადმი. ემოციური ზემოქმედების ძალით გამოხატულება ხშირად სჭარბობს განსჯას. ხასიათების ავტორისეულ იდეურ-ემოციურ შეფასებას ადასტურებს გმირების „დადებითად“, „უარყოფითად“ და ასევე „წინააღმდეგობრივად“ დაყოფის მყარად დამკვიდრებული ტრადიცია [ლომიძე, 2012:136].

„საშლელების“ მთავარ პერსონაჟს ოჯახთან, სკოლასთან, სამეგობროსთან მიმართებით პრობლემები და პროტესტ(ებ)ი აქვს, ასაკი ამის განმაპირობებელია. ავტორი ამ პროცესს სრული სიზუსტით ასახავს, ეჭვიც კი არ გვეპარება, რომ მოზარდი გოგოს დღიურებს ვკითხულობთ. საინტერესოა, როგორ ასახავს გადაღლილი დედისა და გულგრილი მამის სახეს თამარ გეგეშიძე, განსაკუთრებით, მამის, რომელიც სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი, სხვა ნაწარმოებების პერსონაჟი მამების მსგავსად, გამოირჩევა

გულგრილობით, მაგრამ განსხვავებულია თავისი უდარდებლობით. ეს განსაკუთრებით იკვეთება იმ პასაჟში, როცა დილით ყველა ცუდ ხასიათზე იღვიძებს, მამის გარდა, რადგან ის (თითქოს ზედმეტადაც კი) ოპტიმისტია, მშვიდი, თავაზიანი, თავზე რომ ცეცხლი გეკიდოს, შეიძლება მაშინაც კი გაიღიმოს, სულ მინდა, რომ მივვარდე და ვუთხრა: „გამოფხიზლდი მამა, ყველაფერი ისე არ არის, როგორც გგონია“ [გეგეშიძე, 2019:33].

პროფესიით პედაგოგ დედისთვისაც კი შეუმჩნეველია შვილის მისწრაფებები. უნდა აღინიშნოს ჩვენი დაკვირვებაც, რომ ქართველი ავტორების მიერ დახატული დედები, ზოგადად, როგორც წესი, ჰიპერმზრუნველობით გამოირჩევიან, რაც შვილისადმი ზრუნვის რუტინასთან განშორების სიძნელეშიც ჩანს. ამგვარი დედის სახეს ისეთ კლასიკურ ტექსტშიც ვხვდებით, როგორიცაა ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“. ამ შემთხვევაში კი პირიქითაა, დედის პერსონაჟი თავისი ჰიპერინდიფერენტულობით ვლინდება და სწორედ ეს ხდება ავტორის დაკვირვების საგანი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ ანა კორძაია-სამადაშვილის „გიმნაზისტკაში“, რომელიც ასევე პირველ პირშია დაწერილი, მკაფიოდ არ ჩანს დედის მკაცრი აღზრდის მიზეზი, არ ჩანს დედის პერსონაჟის პრესტორია, ბექგრაუნდი, არ არის გამოკვეთილი მისი შინაგანი მდგომარეობა ან ძირითადი საქმიანობა, „საშუალებებში“ ავტორი გვთავაზობს მოზარდში პროტესტის გამოძვვევ დედის ქცევის მიზეზებს: იგი გადაღლილია საოჯახო რუტინით - სახლ-კარის მოწესრიგებით, უწყვეტი შრომით, მოზარდი შვილების გაზრდა-აღზრდაზე გამუდმებული ზრუნვითა და დარდით, რაშიც იგი აშკარად მარტოა; პედაგოგ დედას აწუხებს დამლული სამსახურიც, რომელიც შინაც გრძელდება და რაც ასევე, ბავშვებსა და მოზარდებთან ურთიერთობას მოიცავს, ღლის მეზობლების საყვედურები უფროს ბიჭთან დაკავშირებით და ისიც, რომ, მიუხედავად თავდაუზოგავი მცდელობისა, შვილებთან გატარებული დრო არ არის საკმარისი. ზემოაღნიშნული დედის სულიერ-მენტალურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს, რაც მუდმივ გაღიზიანებაში გამოიხატება.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ნაწარმოები - „საშუალებებიცა“ და „გიმნაზისტკაც“ - პირველ პირში გადმოსცემს ამბავს მოზარდისა და ოჯახის ურთიერთობაზე, აღზრდის თავისებურებებზე სახლსა და სკოლაში, შედარებისთვის ეს ორი ნაწარმოები ამ კონტექსტში იმდენად არ გამოდგება, რამდენადაც ისინი ჟანრობრივად და ზომითაც რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. „გიმნაზისტკა“ ნოველაა და, ბუნებრივია, ავტორს არ აქვს დიდი სივრცე პერსონაჟთა ფსიქოტიპის გაშლის, სიღრმისეული ანალიზისა და ქმედებების

ახსნა-განმარტებისათვის, რაც, არსებითად, არც არის ანა კორძაია-სამადაშვილის, როგორც ავტორის ამოცანა და მიზანი. „საშლელები“ ვრცელი ნაწარმოებია; აქ თამარ გეგეშიძის, როგორც ავტორის ჩანაფიქრით, მეტი დრო ეთმობა თითოეული მნიშვნელოვანი პერსონაჟის, განსაკუთრებით, ოჯახის წევრების დახასიათებას და ხასიათის ანალიზს, რაც დედის პერსონაჟის ქცევის გამართლების საფუძველს თუ არ გვამღვეს, ქალისადმი თანაგრძნობას მაინც გვიჩენს.

წიგნში წარმოჩენილი სკოლა თანამედროვეა და სტერეოტიპებსაც ანგრევს. აღსანიშნავია ის ეპიზოდი, რომელშიც მასწავლებელი ბავშვებს ქართულ ფილმ „ფესვებს“ აყურებინებს და თან იმის შესახებ ესაუბრება, რას გრძნობს ადამიანი, როდესაც თავის სამშობლოს შორდება. საინტერესოა ის, რომ ზოგიერთებისთვის „ფესვები“ პირველი ქართული ფილმი აღმოჩნდება, რომელიც ოდესმე უნახავთ - ეს პასაჟი ტექსტში შემთხვევით არ გაჩენილა. თანამედროვე ბავშვების ნაწილი, სამწუხაროდ, ქართულ კინემატოგრაფიას საერთოდ არ იცნობს, რისი ცოდნაც ძალიან მნიშვნელოვანად მიაჩნია ავტორს. საბავშვო მწერლის და (არამარტო საბავშვო მწერლის) ჩანაფიქრი, მისი მიზნობრივი სწრაფვა ნაჩვენებია ნაწარმოების მხატვრულ სახეებში, რომლებიც ხელს უწყობს მოზარდს ჩასწვდეს პოეტურ სიტყვებში ჩაქსოვილ ცხოვრების მართალ სურათებს, ეპოქის ცხოველმყოფელ იდეებს, ამით იგი ობიექტური სინამდვილის კრიტიკული თვალით განჭვრეტის, გაგების, განსჯის, შეფასებისა და სათანადო დასკვნების გამოტანისათვის უმნიშვნელოვანესი საშუალება ხდება, ეს კი საბავშვო ლიტერატურას მეტად დიდი ისტორიული ამოცანების წინაშე აყენებს [ჩაჩიბაია, 1978:8].

აღსანიშნავია სკოლაში ლიტერატურული კლუბის არსებობა, რომელიც მოზარდებს წიგნსა და ლიტერატურასთან ურთიერთობას ასწავლის და ამით კულტურით დაინტერესების შანსსაც ზრდის, რადგან კონკრეტული მასწავლებელი განსხვავებული მეთოდით ცდილობს ბავშვებთან ურთიერთობას - სხვებისგან განსხვავებით, ის იღიმის.

ავტორი, ანას საშუალებით არაერთხელ აღნიშნავს, რომ მისი ოჯახის ცხოვრება თითქმის ერთნაირად უინტერესოა, იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როცა დედა ცდილობს ტრადიციებს არ უღალატოს და დასვენების დღეებში ოჯახი ერთად ასადილოს; მხოლოდ მაშინ იკრიბება მაგიდის ირგვლივ ყველა. ეს ეპიზოდი წიგნის პოზიტიურ დასასრულს მოასწავებს და იმ იდეას ავითარებს, რომ ცხოვრება ისეთი, როგორც არის,

მაინც მისაღებია. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ რეპრეზენტირებს ამას თავად მწერალი, რამდენად უყვარს მას თავისი პერსონაჟი. მწერლისთვის ლამის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რას ფიქრობს იგი ზოგადად ადამიანზე და როგორია მისი მსოფლადქმა: „მწერლის მთლიან სახეს და ხასიათს - შემოქმედებით მეთოდს, მხატვრულ სამყაროს, მსოფლმხედველობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი დამოკიდებულება ადამიანისადმი. შემოქმედის მიერ გამოხატული ადამიანი ის ცენტრია, რომელსაც უკავშირდება მხატვრული ნაწარმოების აგებისათვის საჭირო მთელი მექანიზმი, ანუ სისტემით ნათლად უნდა გაცხადდეს პერსონაჟების საზოგადოებასთან რთული, მრავალფეროვანი ურთიერთობა, ბუნებასთან მათი განსაკუთრებული დამოკიდებულება, ადამიანზე ისტორიულ მოვლენათა ზეგავლენის როლი და, ამავე დროს, ცალკეულ მათგანზე თვით ადამიანის ზეგავლენის მნიშვნელობა [კიკაჩიშვილი, 2012:114]. თამარ გეგეშიძეს უყვარს თავისი პერსონაჟები, რაც ამ ტექსტში გამორჩეულად იგრძნობა.

შეუძლებელია „საშლელის“ რომელიმე ეპიზოდში უფროსი თაობის წარმომადგენელმა საკუთარი თავი ვერ იცნოს - თინეიჯერებიც ერთმანეთს ჰგვანან - უბრალოდ, გამეორება ცოდნის დედაა და ძველ მოგონებებთან ერთად დაფიქრდებით - რა სურთ შვილებს, რა პრობლემებს აწყდებიან ყოველდღიურად? რა გავლენას ახდენს მათზე ოჯახური გარემო? [დიდიშვილი, 2021:14].

ნაწარმოების დასასრულს ანას ფიქრები უფრო დიდი ადამიანის ფიქრებს ჰგავს. მოზარდი, რომელსაც მხოლოდ საკუთარი პრობლემების დარდი აქვს, უცებ სწავლობს, რომ გარკვეული ქცევა ხშირად კორექციას მოითხოვს, სანამ მოქმედებაში მოვა, რადგან ცხოვრებას საშლელი არა აქვს, რომ უკვე მომხდარი წაიშალოს; ამიტომ დარდი და სასოწარკვეთილება რომ არ დაგვეუფლოს ჩვენივე ქცევის გამო, ბევრი ისეთი რამის კეთება უნდა ვისწავლოთ, რაც არც ისე ადვილია. შესაძლებელია. „ეს წიგნი იმიტაცაა მნიშვნელოვანი, რომ არა მხოლოდ საკუთარ შეცდომებს გვაპოვნინებს, არამედ იმაშიც დაგვარწმუნებს, რომ შეცდომა ყველას მოსდის და გამოსავალიც ყოველთვის არსებობს, მთავარია, ვაღიაროთ, რომ შეგვეშალა და მერე დავიწყოთ გამოსავლის ძიება“ [ფურცელაძე, 2020 (ელ. რესურსი)].

მოზარდებსა და მათთვის შექმნილმა თანამედროვე ქართულმა ტექსტებმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ ჩამოუყალიბებული აღზრდის კონცეპტების, მუდამ ცვლადი

პარადიგმების, განათლების გაუთავებელი რეფორმების ოცდაათწლიან მარათონში, მწერლები საკუთარ გამოცდილებას, ცხოვრებისეულ მიდგომებს გვთავაზობენ, რაც სავსებით ბუნებრივია. ქაოტური ვითარება ტექსტებშიც ქაოსად/ქაოტურად აისახება. მოზარდის სახე ძალიან საინტერესოდ, ღრმად და სხვადასხვა რაკურსშია წარმოდგენილი, მაგრამ ამ მხრივ კვლევები, მეცნიერული დისკურსი, რასაკვირველია, კიდევ უნდა გაგრძელდეს.

წიგნი განკუთვნილია მოზარდებისთვის (და არამხოლოდ) და მოზარდზე ჰყვება ამბავს, განსაკუთრებული დანიშნულებაც აქვს, რაზეც უფრო ვრცლად ნუგზარ შატაიძე წერს: მოზარდის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაში საბავშვო ლიტერატურას დიდი და კეთილშობილური როლი აკისრია. მან უნდა განუვითაროს ბავშვს მოვლენათა განზოგადების უნარი. ჩაუნერგოს სიკეთის, პატიოსნების, მეგობრობის, მოყვასისათვის თავის გაწირვის, მამულის სიყვარულის ფაქიზი გრძნობები. საბავშვო ლიტერატურის ვალია, თავისი ესთეტიკური ღირსებითა და ემოციური სიძლიერით ღრმად ჩასწვდეს მოზარდის სულს, გააკეთილშობილოს მისი გრძნობები, აღმოაჩინოს და გააძლიეროს ყმაწვილის ბუნებაში არსებული საუკეთესო მხარეები [შატაიძე, 1980:61]. ამ დანიშნულებასაც „საშლელების“ ავტორი თავს წარმატებულად ართმევს.

პასაჟის დასასრულს, ერთგვარი ექსკურსის სახით, წარმოვაჩინოთ მოზარდის ფსოქოტიკის რეცეფციას უცხოურ ნარატივში. მოზარდის სულიერების რეფლექსირებით გამოირჩევა საკულტო ნაწარმოებები: ჯერომ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“, უილიამ გოლდინგის „ბუზთა ბატონი“, ლინდა მალალი ჰანთის „თევზი ხეზე“. რომანები არსებითად განსხვავდებიან როგორც სტილისტურად, ასევე - ჟანრობრივად. „თამაში ჭვავის ყანაში“ არის კლასიკური ლიტერატურული რომანი, სადაც ამბავი ნიუ-იორკში ვითარდება თექვსმეტი წლის „ახირებული“ (საზოგადოების აღქმით) ბიჭის გარშემო; „ბუზთა ბატონი“ დისტოპიაა, რომელშიც მოქმედება მიმდინარეობს უკაცრიელ კუნძულზე, სადაც მოზარდების ჯგუფი სოციალური მოდელის შენების პროცესში ტრაგიკულ თავგადასავლში ეხვევა, ხოლო „თევზი ხეზე“ თანამედროვე ბესტსელერია, რომელიც ისეთ მნიშვნელოვან საკითხს ეხება, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობები და მის გარშემო არსებული დისკუსია სასკოლო სივრცეში.

სელენჯერის რომანში ვხვდებით პირველი პირის თხრობას, რომელიც მკითხველს სთავაზობს პირდაპირ წვდომას ჰოლდენ კოლფილდის აზრებსა და ემოციებზე; იგივეა ლინდა მალალი ჰანთის შემთხვევაშიც. გოლდინგის რომანში ამბავი მესამე პირშია გადმოცემული, ყოვლისმცოდნე მთხრობელი ამბავს დამაჯერებლად გვაუწყებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გადაკვეთის წერტილები, თითოეულ რომანს აქვს თავისი უნიკალური აქცენტი - „თამაში ჭვავის ყანაში“ ასახავს ინდივიდის გაუცხოებას გარემოსგან, იმედგაცრუებას, ინდიფერენტიზმს, რომელიც საზოგადოების მიმართ გააჩნია, „ბუზთა ბატონი“ - ადამიანის ბუნების თანდაყოლილ ველურობას, ხოლო „თევზი ხეზე“ - აღზრდის კონცეპტის თავისებურებებს და მნიშვნელობას. სამივე ნაწარმოებში განსხვავებულია კონფლიქტების ბუნება და მათი გადაწყვეტა. სელინჯერის რომანი ყურადღებას ამახვილებს მთავარი პერსონაჟის, ჰოლდენის, შიდა კონფლიქტებზე და არ იძლევა კონკრეტულ გადაწყვეტას ან პოზიციას. გოლდინგის რომანი ასახავს როგორც გარე, ასევე - შინაგან კონფლიქტებს კუნძულზე მოხვედრილ ბიჭებს შორის, რასაც ტრაგიკული დასკვნამდე მივყავართ, ხოლო ლინდა მალალი ჰანთის წიგნი ასახავს მთავარი პერსონაჟის ბრძოლას დისლექსიასთან და ამ ბრძოლაში საკუთარი თავის მიღების თავგადასავალს.

1944 წელს დაბადებული ფრანგი მწერლის, დანიელ პენაკის გახმაურებული წიგნია „სკოლის სევდა,“ რომელშიც მწერალი დრომოჭმულ სტერეოტიპებად ჩამოყალიბებულ აღზრდის კონცეპტებსა და თეორიებს ებრძვის. სკოლა არის ადგილი, სადაც, დადებით ემოციებთან ერთად, უარყოფითიც ჩნდება. პენაკი ემხრობა აზრს, რომ მასწავლებელმა, მეცნიერებებთან ერთად, პიროვნული თვისებებიც, პასუხისმგებლობის გრძნობა, მორალური ღირებულებები, ემოციური სრულფასოვნება უნდა ასწავლოს და განუვითაროს მოზარდს. მწერალი უპირისპირდება ტესტირებებისა და წერიტი დავალებების სტანდარტულ ნიმუშებს, რომლებიც, მისი აზრით, ახშობს მოზარდის ბუნებრივ მიდრეკილებას კითხვისა და კვლევისადმი. წიგნი დანიელ პენაკის პირადი გამოცდილებითაა ინსპირირებული: „არა, ეს წიგნი სკოლას არ ეძღვნება, დღეს, ვისაც არ ეზარება, სკოლითაა დაკავებული. ამოვიდა ყელში ეს გაუთავებელი დავა-კამათი მასწავლებლების ძველსა და ახალ თაობებს შორის, ყბედობა პროგრამებზე, სკოლის ადგილზე საზოგადოებაში და მასზე დაკისრებულ სოციალურ როლზე, მის მიზნებზე, დღევანდელ და ხვალინდელ სკოლაზე... არა, ეს წიგნი მოგვითხრობს ოროსანზე, იმ

ტკივილებზე, რომლებიც მას ტანჯავს, იმ გაუგებრებებზე, რომლებსაც ის აწყდება“ [პენაკი, 2020:17].

ქართულსა და მსოფლიო სკოლებში ერთნაირად დგას ეს პრობლემა; სკოლის წარმატებული მოსწავლეები ვერ ახერხებენ თვითრეალიზებას, საკუთარი ადგილის დამკვიდრებას, მაჩანჩალები კი დანიელ პენაკის მსგავს მწერლებად, ცნობილ, შემდგარ ადამიანებად ყალიბდებიან.

ოთხივე ნაწარმოები რეპრეზენტირებს თემებს, რომლებიც დაკავშირებულია მოზარდობასთან, იდენტობასა და უფროს ასაკში გადასვლასთან, აღზრდის კონცეპტებთან. ტექსტები განსხვავდება სტრუქტურის, ენის, თხრობის სტილისა და ჟანრის თვალსაზრისით, თუმცა მაინც საერთო აქვთ თემები და სამიზნე აუდიტორია. თითოეული წიგნი საინტერესოა შესასწავლად ადამიანის მდგომარეობისა და იმ გამოწვევებისა, რომელთა წინაშეც ინდივიდები დგანან, როდესაც გაზრდის სირთულეებთან გამკლავებას ცდილობენ. თანამედროვე ლიტერატურა მოზარდებზე ოთხ ძირითად ჯგუფად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

- 1) ეს არის წიგნები ადამიანის თვითდამკვიდრებაზე, საზოგადოებასთან გაუცხოებაზე, დისტანცირებაზეც კი;
- 2) აქცენტი კეთდება შეზღუდული შესაძლებლობებსა და განსხვავებულის მიღებაზე, საზოგადოების ტოლერანტობაზე, მაგრამ განსხვავებულის რაკურსიდან;
- 3) მესამე ჯგუფში წარმოჩენილი არიან მოძალადე მოზარდები, რომლებიც ექსტრემალურ სიტუაციაში მხოლოდ ფიზიკური ძალით უპირისპირდებიან გამოწვევებს;
- 4) სკოლებში, სასწავლო დაწესებულებებში არსებული სწავლა-სწავლების მეთოდები ხშირად (საბედნიეროდ, არა ყოველთვის) ახშობს ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებას შემეცნებისაკენ მიმავალ გზაზე.

3.4. მოზარდი და „ომის ტრავმა“ (ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“, თამთა მელაშვილის „გათვლა“)

ომის თემაზე შექმნილ მხატვრულ ტექსტს თინეიჯერული გამოცდილების ასახვა განსაკუთრებულ რაკურსს, მნიშვნელობას ანიჭებს. მაგალითისთვის გამოდგება ყველასთვის ცნობილი „ანა ფრანკის დღიური“ ან ავსტრალიელი მწერლის, მარკუს ზუსაკის (დაიბადა 1970) 2005 წელს გამოცემული გახმაურებული წიგნი „წიგნის ქურდი“, რომელშიც

მოქმედება ნაცისტურ გერმანიაში, მეორე მსოფლიო ომის დროს მიმდინარეობს და ასახავს მოზარდი გოგონას, ლიზელ მემინგერის ცხოვრებას. ის თავის აღმზრდელებთან, ჰანს და როზა ჰუმბერმანებთან, ცხოვრობს. თინეიჯერი გოგონა ლიზელი წიგნებს იპარავს და კითხვით აღძრულ შთაბეჭდილებებს სხვებს უზიარებს; ის ომით გამოწვეული ტკივილისგან თავის დაღწევასა და ნუგეშს კითხვაში პოულობს. ამბის მთხრობელი სიკვდილია (ედგარ პოს მოთხრობაში „წითელი სიკვდილი ნილაბი“ სიკვდილი პერსონაჟია), რაც მოვლენებს გამორჩეული პერსპექტივით დაგვანახებს. რომანი ასახავს სიყვარულის, მეგობრობისა და სიტყვების ძალას უბედურების პირისპირ/საპირწონედ.

ომი არღვევს ადამიანის ბუნებრივ განვითარებას, აიძულებს ახალგაზრდა პერსონაჟებს სწრაფად გაიზარდონ, ყმაწვილები უპირისპირდებიან სიცოცხლისა და სიკვდილის მიჯნაზე არსებულ მკაცრ რეალობას. „მოგზაურობა“ (ინიციაცია) უდანაშაულობიდან, უმანკოებიდან გამოცდილების შეძენამდე - ეს არის ცენტრალური თემა, რომელზეც, ძირითადად, შენდება მსგავსი ნაწარმოებები.

ომის ფონზე წარმოდგენილია თინეიჯერი პერსონაჟი, რომელსაც სასტიკი რეალობა აიძულებს დაუპირისპირდეს სამყაროს, აღარ იყოს გულუბრყვილო და, რაც მთავარია, აღარ იყოს ბავშვი. თემის რეპრეზენტაციაა ამერიკელი რომანისტი, ტიმ ო'ბრაიენის (დაიბადა 1946 წელს) 1990 წელს გამოცემული ნახევრადბიოგრაფიული მოთხრობების კრებული „რასაც თან დაათრევდნენ“. ტექსტში ნაჩვენებია ჯარისკაცების, მათ შორის თინეიჯერი ჯარისკაცების, მდგომარეობა ვიეტნამის ომის დროს. მიუხედავად იმისა, რომ წიგნში თავმოყრილი მოთხრობები კონკრეტულად მოზარდებზე არ არის ფოკუსირებული, ის წარმოაჩენს ადამიანებს, რომლებიც ომში ახალგაზრდა ასაკში გაიწვიეს. ჯარისკაცები სამხედრო სამსახურს საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ან ცოტა ხნის შემდეგ უერთდებოდნენ. სწორედ ამიტომ, მოთხრობების პერსონაჟები გვიანი თინეიჯერობის ან დაახლოებით ოცი წლის არიან. მოთხრობებში ასახულია გამოწვევები, რომლებსაც ახალგაზრდა ჯარისკაცები ომის შუაგულში აწყდებიან; გადმოსცემს შიშის, მეგობრობის, დანაკარგის თემებსა და მორალური გადაწყვეტილების მიღების სირთულეებს. ტიმ ო'ბრაიენის მოთხრობების კრებულში „რასაც თან დაათრევდნენ“ გადმოცემული ისტორიები ურთიერთდაკავშირებულია, წარმოდგენილია საერთო პერსონაჟები, თემები და იდეები. აქ ავტორი ასახავს იმ ფიზიკურ და ემოციურ ტვირთს, რომელსაც ჯარისკაცები

ატარებენ ომის დროს და ამ გზით წარმოაჩენს არა მხოლოდ მატერიალური ნივთების წონას (მაგალითად, იარაღის ან აღჭურვილობისა), არამედ - არამატერიალურ ტვირთსაც, როგორცაა შიში, დანაშაულის შეგრძნება და მოგონებები. ამ თვალსაზრისით, ტიმ ო'ბრაიენი „დაკარგული თაობის“ ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებს XX საუკუნის დასასრულში.

ომი წინ წამოსწევს მორალურ ორაზროვნებასა და ეთიკურ დილემებს, რომლებიც ომამდე არც არსებობს მოზარდ(ობ)ის სამყაროში. ომზე შექმნილი თინეიჯერული ლიტერატურა ახალგაზრდა მკითხველს უბიძგებს დაფიქრდეს ისეთ რთულ საკითხებზე, როგორებიცაა ერთგულება, თავგანწირვა და ბუნდოვანი საზღვრები სწორსა და არასწორს შორის. ომი არღვევს ადამიანის არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ - ემოციურ მდგომარეობასაც. ე.წ. „ომის ლიტერატურის“ მოზარდი პერსონაჟები ხშირად იწყებენ იდენტობის ფორმირებას კონფლიქტის ფონზე. თინეიჯერი პროტაგონისტები თავად იგონებენ სირთულეების დაძლევის მექანიზმებს. ზემოთქმულის ნათელი მაგალითია პულიტცერის პრემიის მფლობელი ამერიკელი მწერლის, ენტონი დოერის (1973) 2014 წელს გამოცემული რომანი „ნათელი, რომელსაც ვერ ვხედავთ“. მოქმედება მეორე მსოფლიო ომის დროს ვითარდება ორი მოზარდის - ბრმა გოგონა მარი-ლორასა და ობოლი გენიოსი ბიჭის, ვერნერის ირგვლივ. წიგნში ამბები მოზარდების პერსპექტივიდან მიმდინარეობს. ბრმა გოგონა მარი-ლორე (შეუძლებელია არ მოგვაგონდეს ნოდარ დუმბაძის ასევე ომის თემაზე დაწერილი რომანი „მე ვხედავ მზეს“ და მისი მოზარდი პერსონაჟი, ასევე ბრმა ხატია), რომელიც მამასთან ერთად პარიზში ცხოვრობს, ომის გამო იძულებული ხდება, მშობლიური ქალაქი მამასთან ერთად დატოვოს და ბიძასთან, სენ-მალოს გალავნით შემოსაზღვრულ ზღვის პირას მდებარე ციტადელში გადასახლდეს; ამავდროულად, გერმანიის ერთ-ერთ მაღალმთიან ქალაქში თავის უმცროს დასთან ერთად ობოლი ვერნერი იზრდება, რომელიც თავისი ნიჭით (შეაკეთოს და შექმნას სხვადასხვა ტექნიკა) „ჰიტლერის ახალგაზრდული ლიდერობის აკადემიაში“ (გერმ. Akademie für Jugendführung) აღმოჩნდება. მოზარდთა გზები ნაცისტური გერმანიის მიერ ოკუპირებულ საფრანგეთში გადაიკვეთება მაშინ, როდესაც ორივე ცდილობს გადაურჩეს მეორე მსოფლიო ომის საშინელებას. ადამიანები ცდილობენ ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილნი იყვნენ. თინეიჯერი პროტაგონისტები ომის ფონზე ვითარდებიან, შესაბამისად, დგანან რადიკალურად

განსხვავებული გამოწვევების წინაშე, რადგან ომი პიროვნების სწრაფ მომწიფებას მოითხოვს.

„ომის ლიტერატურის“ თინეიჯერი პერსონაჟები ხშირად ებრძვიან ტრავმის მუდმივ გავლენას. კონფლიქტის ფსიქოლოგიური ნაწიბურები აყალიბებს პიროვნულ თავისებურებებს და გავლენას ახდენს ომისშემდგომ ცხოვრებაზე. ავლანური წარმოშობის ამერიკელი მწერლის, ხალედ ჰოსეინის (1965) 2003 წელს გამოცემული ნაწარმოები „ფრანით მორბენალი“ ზემოთქმულის ნათელი მაგალითია. წიგნი, უპირველეს ყოვლისა, მთავარი პერსონაჟის, ამირის, ცხოვრებას წარმოგვიდგენს ბავშვობიდან სრულწლოვანებამდე. მიუხედავად იმისა, რომანში ამბავი დროში განგრძობილია და რამდენიმე ათწლეულს მოიცავს, ტექსტი მაინც წარმატებულად ასახავს თინეიჯერი პერსონაჟების გამოცდილებას სხვადასხვა ისტორიულ კონტექსტში, როგორებიცაა საბჭოთა კავშირის შეჭრა ავღანეთში და თალიბანის აღზევება. ავტორი მოგვითხრობს იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც ახლავს მოზარდობას, გვიყვება მეგობრობის მნიშვნელობასა და ცხოვრების გადამწყვეტ მომენტში გაკეთებული არჩევანის შედეგებზე. რომანში ასახულია როგორც მოზარდის ფსიქიკური და ემოციური მდგომარეობა ომის ფონზე, საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებულ ავღანეთში, ასევე, ტრავმის ხანგრძლივი ეფექტი ადამიანზე.

ომი არც ქართული ლიტერატურისთვისაა უცხო თემა, მით უფრო, ბოლო პერიოდში, უკანასკნელ ათწლეულებში, როდესაც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ოცდაათი წლის განმავლობაში საზოგადოებას არაერთი ომისა და კონფლიქტის გადატანა მოუხდა. „მეორე მსოფლიო ომის თაობის შემდეგ დღევანდელი თაობაა, რომელიც, სამწუხაროდ, ყველაზე ხშირად წერს ომზე და ჩვენ ამის რეალური მიზეზი ძალიან კარგად ვიცით. ის სამოქალაქო და სახელმწიფოთაშორისი ომები თუ ეთნიკური კონფლიქტები, ბოლო 30 წლის განმავლობაში რომ დაგვატყდა თავს, ცხადია, რომ მწერლებს ურეაქციოს ვერანაირად ვერ დატოვებდა“ [იათაშვილი, 2021:6].

„შიშის საათი“ არის ომის თემაზე დაწერილი პროზაული ტექსტების კრებული, რომლის წინასიტყვაობაშიც შოთა იათაშვილი არაერთ მნიშვნელოვან პრობლემას შეეხო. ომზე წერა ახალგაზრდა ავტორსაც უჭირს და გამოცდილსაც, არსებობს პათეტიკურობის, ძალადობის წახალისების, ზედაპირულობისა და მრავალი სხვა საფრთხე, შესაბამისად, ავტორს, რომელიც ამ თემაზე მუშაობს, რთული ამოცანა აქვს ამოსახსნელი. როგორია ის

„ომის პროზა“, რომელსაც თანამედროვე ქართველი მწერლები დამოუკიდებელ საქართველოში ქმნიდნენ და ქმნიან? ბევრნაირი. ხშირად პაციფისტური, შემრიგებლური, რაც ცხადია, კარგია, მაგრამ ისიცაა, რომ ზოგჯერ ძნელია ამ დროს გაერკვე, წრფელია ავტორის განწყობა თუ შეკვეთილი [იათაშვილი, 2021:6]. ამ მიმართულებით დაწერილი ტექსტებიც სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების არსებობა-არარსებობით ფასდება მკითხველისა თუ კრიტიკოსებისგან, არის დოკუმენტურ მასალაზე აგებული, შედარებით „მშრალი“ პროზაც და ფანტაზიის სიშლეგით დაწერილი ტექსტებიც. ომის უნიკალური გამოცდილება ზოგჯერ იგავის ფორმას იღებს ხოლმე, ზოგჯერ კი საერთოდ ბექგრაუნდში გადადის, მაგრამ - ისე ოსტატურად, რომ ასეთ ნაწარმოებებში ომის ატმოსფერო და მისი ტრაგიზმი გაცილებით უკეთ ჩანს ხოლმე, ვიდრე იქ, სადაც ფრონტის ხაზია გავლებული და ცეცხლია გახსნილი [იათაშვილი, 2021:7]. შესაბამისად იღებს მას მკითხველიც და კრიტიკოსიც და ეს არა მხოლოდ გემოვნების, არამედ მორალის, როგორც ფილოსოფიური კატეგორიის, საკითხიცაა.

საკვალიფიკაციო ნაშრომის წინამდებარე პასაჟში განვიხილავთ მოზარდის ფენომენს თანამედროვე ქართული „ომის პროზის“ კონტექსტში, ნუგზარ შატაიძის მოთხრობის „მოგზაურობა აფრიკაში“ და თამთა მელაშვილის მცირე რომანის, „გათვლის“ მაგალითებზე.

3.4.1. ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“

ნუგზარ შატაიძის შემოქმედება დიდი გულწრფელობით გამოირჩევა, ასახავს ცოცხალ ადამიანურ გამოცდილებას და მკითხველს გადმოცემული ამბების თანაზიარად აქცევს. ნუგზარ შატაიძე გასული საუკუნის ბოლო პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად მიიჩნევა ქართულ მწერლობაში, მისი შემოქმედება სავსეა ჩვეულებრივი ადამიანების ჩვეულებრივი ცხოვრების არაჩვეულებრივი ასახვით.

ფართო საზოგადოებისთვის მწერლის ყველაზე ცნობილი ტექსტია „მოგზაურობა აფრიკაში“, რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამაშია შეტანილი და რომლის მიხედვითაც 2009 წელს (მწერლის გარდაცვალების წელს), გიორგი ოვაშვილის რეჟისორობით, გამოვიდა პოპულარული ფილმი „გაღმა ნაპირი“, რომელსაც ამავე მწერლის სხვა მოთხრობის სათაური აქვს.

ნუგზარ შატაიძის მოთხრობა იქნება ჩვენი საკვლევო ობიექტი, რადგან ასახავს ამბავს მოზარდზე, რომელიც აფხაზეთის ომის მძიმე შედეგებს იმკის დაკარგული სახლის, დაკარგული ბავშვობისა და იდენტობის, დანგრეული ოჯახის დაბრუნებისა და ქუჩაში ცხოვრებისას გადარჩენის სასოწარკვეთილი მცდელობების ფონზე. ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“ ფოტოგრაფიული მეხსიერების სიზუსტით აღადგენს ოცი-ოცდახუთი წლის წინანდელ რეალობას - გვიყვება ბავშვებზე, რომლებიც წებოს სუნთქავენ, იპარავენ, მოკლედ, აკეთებენ ყველაფერს, რომ გადარჩენ. აქ არ არის კლასობრივი ბრძოლა და ბიურგერულ-პურიტანული საზოგადოებების ვახშმობები, რომელთა პერსონაჟებს სქელტანიანი რომანების ფურცლებზე ვხვდებით. ამ ტექსტის გმირები დღესაც ჩვენ გვერდით ცხოვრობენ, ბავშვობაში ჩვენთან ერთად თამაშობდნენ, ჩვენც ვართ ისინი, ნაწილობრივ მაინც [ჭელიძე, 2019 (ელ. რესურსი)].

მოთხრობის სათაურს, ერთი შეხედვით, თითქოს არავითარი კავშირი არ აქვს მასში მოთხრობილ ამბავთან, თუმცა სწორედ ეს სათაური წარმოაჩენს ნათლად ამ ტრაგიკული ამბის მძიმე შედეგებს. აფრიკა ის ადგილი-ზმანებაა, რომელიც ქუჩაში დარჩენილ მოზარდებს, გათბობის მიზნით, წებოს ყნოსვისას ელანდებათ. აფრიკა, ძალიან შორი, ეგზოტიკური ცხოველებით სავსე, თბილი და უცხო ადგილია, რომელიც იმაზე უფრო მშობლიური ხდება, ვიდრე სულ ახლახანს დაკარგული სამშობლო, სახლი და ოჯახია. რატომ ჰქვია მოთხრობას „მოგზაურობა აფრიკაში“? აფრიკა ჰალუცინაციაა, რომელიც წებოს მოხმარებას მოსდევს: ზებრები, მარტორქები, ანტილოპები. არჩევანიც სწორედ ახლოს არსებულ აფრიკასა და შორს არსებულ აფხაზეთს შორის კეთდება. ერთი მარტივად მისაღწევი ილუზიაა, მეორე კი - რთულად მისაღწევი სინამდვილე, თუმცა, ვინ იცის, იქნებ აფხაზეთიც არ არსებობს რეალურად?! [ტეფანიძე, 2018 (ელ. რესურსი)].

ტექსტი ასახავს აფხაზეთის ომგამოვლილი, დაახლოებით, ცამეტი-თოთხმეტი წლის დევნილი და ქუჩაში მცხოვრები მოზარდის ტრაგიკულ თავგადასავალს, რომელიც, მწერლის გადაწყვეტილებით, განმცდელიცაა და აღმქმელიც, თუმცა, არავითარ შემთხვევაში - თავად ავტორი, იმის მიუხედავად, რომ მოთხრობაში ამკარად იკვეთება ავტორის მკვეთრი პოზიცია.

ამბავი აფხაზეთის ომიდან რამდენიმე წელიწადში თბილისში მიმდინარეობს და გვიჩვენებს დევნილი, ოჯახდაკარგული და ქუჩაში დარჩენილი მოზარდების გაუსაძლის

ცხოვრებისეულ მდგომარეობას. აქ ავტორი ასახავს არა უშუალოდ ომს, ფრონტის ხაზსა და საბრძოლო შეტაკებებს, არამედ ომის უმძიმეს შედეგებს, რაც ზოგჯერ, და ამ შემთხვევაშიც, იმაზე უფრო მძაფრად გადმოსცემს ამ მოვლენის საშინელებას, ვიდრე უშუალოდ ომის ქრონიკები. ავტორს სხვა ჩანაფიქრი აქვს - მას, ჯოჯოხეთურ გზაზე მეტად, ამ ჯოჯოხეთგამოვლილი ადამიანების ცხოვრება აინტერესებს უღელტეხილს აქეთ. ყინვას, შიმშილს, ტყვიას კი გადაურჩნენ ეს ბავშვები, ქალები, მოხუცები, კაცებიც, მაგრამ აქ როგორ გააგრძელეს ცხოვრება, ან, საერთოდ, თუ გააგრძელეს. აქ რამ შეიწირა ეს ადამიანები; [კობერიძე, 2021 (ელ. რესურსი)].

რა თქმა, უნდა მოთხრობის პერსონაჟები არ არიან ომის წინა ხაზზე და არც ყოფილან, მით უფრო, რომ ახლა აღარც ომი აღარ არის, მაგრამ საშინელი კვალი, რომელსაც ომი ტოვებს, პირველ წინადადებაშივე იჩენს თავს და მკითხველიც ამბის შუაგულში შეჰყავს (რემინისცენციულად გაგახსენდება ჰორაციუსის „In medias res“). ყველასათვის ცნობილია, რომ აფხაზეთის ომი მხოლოდ იმ მსხვერპლით არ დამთავრებულა, რაც უშუალოდ აფხაზეთში გაიღო ქართველობამ, არამედ ომი „მშვიდობიან“ პერიოდშიც გაგრძელდა; ეს უკვე გადარჩენისათვის ბრძოლა გახლდათ. მწერალს სწორედ ამის გადმოცემა სურს — როგორ იბრძვიან უქმროდ, უმამოდ დარჩენილი ოჯახები არსებობისათვის და როგორი შედეგით მთავრდება მათი ბრძოლა?! [კობერიძე, 2021 (ელ. რესურსი)].

მართალია, ომი დასრულდა, მაგრამ ის კვლავ გრძელდება, მისი წამლეკავი ინერცია სპობს ყველაფერს, რაც გზად შეხვდება, განსაკუთრებით, მოზარდის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას, რაც აღსაქმელად და გასააზრებლად იმაზე უფრო მძიმეა, ვიდრე ზრდასრული ადამიანის შემთხვევაში იქნებოდა.

მოთხრობაში უსახელო მოზარდი ჰყვება თავის ამბავს ომამდე, ომის დროსა და ომის შემდეგ. მიუხედავად ემოციური პერიპეტეიებისა და თხრობის არათანმიმდევრულობისა, ნაწარმოებში ყველაფერი რეალური, ხელშესახები და ცხადია, უფრო მეტიც - ნაცნობიც კი, ამ ეფექტს გეოგრაფიული ადგილებისა და პერიოდის დასახელება იძლევა; ასევე, სახელები, რომლებითაც პერსონაჟები ერთმანეთს მიმართავენ და ის მეტყველება, ჟარგონული ლექსიკა, რასაც ერთმანეთში სასაუბროდ იყენებენ. „მწერლის ყურადღების ცენტრში 12 წლის ბიჭია, რომელიც მუყაოს ყუთში ცხოვრობს. მოვლენებსაც სწორედ მისი თვალთ ვხედავთ. ის გვიყვება ქუჩაში გატარებულ ღამეებზე, პოლიციელებსა თუ კეთილ

ადამიანებზე, რომლებიც მისთვის ცოტაოდენ ფულს იმეტებენ“ [ტეფანიძე, 2018 (ელ. რესურსი)]. მთავარი პერსონაჟი ბიჭის ასაკი მოთხრობაში დაკონკრეტებული არ არის, თუმცა, ტექსტში ასახული მოვლენების კვალდაკვალ, დაახლოებით, ცამეტი-თოთხმეტი წლის გამოდის.

მოზარდი პერსონაჟი ჰყვება: „წინათ დედასთან ვცხოვრობდი, ძილი არ მიყვარდა. მაშინ ჩემი ლოგინიც მქონდა და ყველაფერი“ [შატაიძე, 2010:255]. ახლა მისი საძინებელი სარდაფია, სადაც სხვა ბავშვებზე აფარებენ თავს: „სანამ ამ სარდაფს მოვაგნებდი, ძალიან ვწვალობდი - მე და წუპაკა დიდმის ტრასაზე, ალეაში ძველ პაკრიშკას ვანთებდით ხოლმე და ცეცხლთან ჩამომსხდარები ვიძინებდით, ახლა აქ მძინავს. მოვალ, შევძვრები მუყაოს ყუთში და გავეხვევი ამ ჩემს საბანში“ [შატაიძე, 2010:255].

მოზარდს ქუჩაში მასწავლებლები, მრჩევლებიც და პატრონებიც ჰყავს - გომკას, წუპაკასა და მისთანების სახით, რომლებიც ქუჩაში ცხოვრებას ასწავლიან. ამასაც, ისევე, როგორც ყველაფერს, აქვს თავისი წესები. „მუყაოს ყუთში ძილი სოხუმელმა ბიჭმა გომკამ მასწავლა“ [შატაიძე, 2010:255]. ბავშვები ქუჩაში გადარჩენას სწავლობენ. ესაა მათი სკოლაც და კლასგარეშე წრეებიც. მათ მათხოვრობის სხვადასხვა უნარი აქვთ გამომუშავებული - „11 წლის ოჩამჩირელი ბიჭი ფერადი ფანქრებით დახატულ ნახატებს ყიდდა“ [შატაიძე, 2010:258], თუმცა არც ამას აქვს გადარჩენისთვის დიდად აზრი, რადგან არადევნილებსაც ძალიან უჭირთ. ხალხს ფული არ აქვს, ამიტომ ვერც ვერაფერს იძლევა, ფულიანები კი ქუჩაში ისედაც არ დადიან. ეს ის პერიოდია, როცა ომმა ადამიანები როგორც მენტალურად, ასევე ეკონომიკურადაც გაანადგურა, ყველანაირ საშინელებასთან ერთად კი, საკუთარ ქვეყანაში დევნილებად აქცია ისინი. ნაწარმოებში ასახულია, თუმცა უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ნახსენებია ჭუბერის უღელტეხილის ტრაგიკული ამბავი, საიდანაც ვასკვნი, რომ ამბავი აფხაზეთის ომის ტრაგედიის ირგვლივ ტრიალებს.

ამბავი ძირითად თხრობაში ჩანართის სახით შემოდის, რაც კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს ანიჭებს მას - „სხვებთან ერთად ფეხით მოვდიოდით. უღელტეხილზე გაგვითოვლდა, ხალხი გზადაგზა ეცემოდა და იხოცებოდა, განსაკუთრებით, მოხუცები და ძუძუთა ბავშვები“ [შატაიძე, 2010:261]. ამ თემას პირველად სოხუმელი მწერალი გურამ ოდიშარია შეეხო რომანში „დევნილთა უღელტეხილი,“ ჩვენი უახლესი წარსულის ტრაგიკული ამბავი აქ შთამბეჭდავდაა გადმოცემული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოქმედება თბილისში, კერძოდ, თემქაზე მიმდინარეობს, ორიათასიანი წლების დასაწყისში, აფხაზეთის ომიდან დაახლოებით შვიდი-ათი წლის შემდეგ. სიცივესა და თოვლში სრულიად მარტო, ბედის ანაბარად დარჩენილი მოზარდები ცხოვრებასთან გამკლავებას ცდილობენ, თუმცა - ზოგჯერ უშედეგოდ. ძალიან ტრაგიკულია ყველა მათგანის ბედი, წუპაკა აცეტონს იყნოსავს, რათა გათბეს, რადგან გაუსაძლისად სცივა და ამასობაში ამ აცეტონზე დამოკიდებული ხდება. ქუჩაში მოხვედრილი მოზარდები უკონტროლოდ, უპატრონოდ არიან და საზიანო ჩვევებს იძენენ - „მერე წუპაკა აცეტონზე შეჯდა და ბოლომდე ჩაეშვა, სულ გათიშული დადიოდა... ბოლოს მოკვდა. ამბობდნენ, გაიყინაო, მაგრამ ტყუილია, აცეტონით მოიწამლა“ [შატაიძე, 2010:256].

ჩნდება კითხვა, სად არიან მშობლები, განსაკუთრებით, დედა - „ჩვენ გადავრჩით და ახლა აქ ვართ, ოღონდ ცალ-ცალკე, ის თავისთვის, მე - ჩემთვის“ [შატაიძე, 2010:261]. ბიჭის დედა ცოცხალია, მაგრამ სხვაგან ცხოვრობს. ვერ გაუძლო ომის შედეგებს, უსახლკაროდ, უპატრონოდ დარჩენას, ქმრის ამბის არცოდნას, არასრულწლოვანი ბავშვით ხელში, უფულოდ და უპატრონოდ ყოფნას; ცივ ჯიხურში უწევს მუშაობა მიზერული ანაზღაურების სანაცვლოდ, გასათბობად სვამს, გონება არეული აქვს - იმდენად, რომ შვილსაც სცემს ხოლმე. „სწორედ ეშმაკისა, გაცვეთილი ნერვებისა თუ ამღვრეული გონების წყალობით“ ბიჭს სკამის ფეხით ისე სცემს, რომ წარბი გაუსკდება, მარჯვენა ხელის ნეკა თითი მოტყდება და, რომ არა ბიჭის ყვირილზე შემოცვენილი მეზობლები, შეიძლებოდა მოეკლა კიდევ.

მკითხველს შესაძლოა გაუჩნდეს განცდა, რომ სწორედ ამიტომ შეიძლება აღარ ცხოვრობდეს ბიჭი დედასთან და სწორედ ამიტომ მიდიოდა იგი სახლიდან, თუმცა როგორც თავად პერსონაჟი აღნიშნავს - მიზეზი სულ სხვა რამეა. „რას უნდა გულისხმობდეს ბავშვი „სხვა რამეში?“ ავტორი თითქოს არ ამხელს, ჩემი აზრით, ძალიან თანაუგრძნობს პატარას და იმიტომ, თუმცა მისანიშნებლად იმას გვამცნობს, რომ წუპაკა, ბიჭის მეგობარი, მალავდა იმას, რომ დაჰყავდა, მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გაიგებს ბიჭი სიმართლეს — „ვიღაც გოგო მოვიდა, შენ ჩემი ძმის მეგობარი ყოფილხარო და თხუთმეტი ლარი მაჩუქა... მერე გოშკამ მითხრა, რომ იმ გოგოს ლუიზა ერქვა და ცირკთან იდგა“. აი, თურმე რატომ მალავდა წუპაკა დის არსებობას და რატომ არ ამხელს ჩვენი გმირიც „სხვა რამეს“ -

მანაც ხომ დამალა „მანანა დეიდასთან“ დედის არსებობა — „ერთხელ მანანა დეიდა მე-კითხება, მართლა არავინა გყავსო? არა-მეთქი, ვინმე რომ მყავდეს, ქუჩაში რატომ ვიქნებოდი მეთქი“ [კობერიძე, 2021 (ელ. რესურსი)].

მოზარდი აფხაზეთში მამასთან წასვლის გადაწყვეტილებას იღებს. მანამდე მომხდარი პერსონაჟის ამ იმპულსური და საშიში გადაწყვეტილების ახსნაში გვეხმარება. „ერთ დღესაც, ბიჭი გადაწყვეტს, აფხაზეთში წავიდეს. გეგმა გიჟურია, მაგრამ მოთხრობის მთავარ გმირს არც არაფერი აქვს დასაკარგი. ან აქ უნდა დარჩეს და დაელოდოს, როდის მოაგნებს სიცივე, ან წავიდეს იქ, სადაც მისი და მისი მშობლების ისტორია დაიწყო, ტყვარჩელში“ [ტეფანიძე, 2018 (ელ. რესურსი)]. მოთხრობის ამ პასაჟთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს თამარ კობერიძეს, რომელიც აღნიშნავს: „რა მოხდა? რატომ და როგორ მიიღო ასეთი უცაბედი გადაწყვეტილება ბიჭმა? პასუხი ერთადერთია — ბიჭს იმედი აქვს, რომ მამის საშუალებით დედას და ოჯახს დაიბრუნებს. მამის გარეშე დამოუკიდებლად, ჩვენ ვნახეთ, რომ მან ვერ შეძლო დედის შენარჩუნება და ეს პატარა ბიჭი, შესაძლოა, ამ ყველაფერს ვერც კი აცნობიერებს, მაგრამ მტკიცედ გადაწყვეტს, რომ ეს აუცილებლად უნდა გააკეთოს“ [კობერიძე, 2021 (ელ. რესურსი)]. ვიზიარებთ ორივე მოსაზრებას, რადგან ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავს - მოზარდის გადაწყვეტილება - წავიდეს აფხაზეთში, მისი სასოწარკვეთილი მდგომარეობიდან გამომდინარეობს, რომლიდანაც თავის დაღწევის საშუალებად ოჯახის გაერთიანება წარმოადგენს. ბიჭს აღარაფერი აქვს დასაკარგი, გარდა სურვილისა, გადარჩეს.

ბიჭი გადაწყვეტს წავიდეს მამის სანახავად, თუმცა ეს გზა ნამდვილად არ არის მარტივად გასავლელი. ბიჭმა იცის, რომ ქართველები არ „ევასებათ“ და, გოშკას რჩევით, საუკეთესო გამოსავალს მოიგონებს - ვითომ მუნჯია. ამ მონაკვეთში ჩანს მოზარდების მახვილგონიერება, რაც მათ კიდევ უფრო უვითარდებათ, როდესაც საფრთხეს გრძნობენ, კრიტიკულ სიტუაციებს ხომ სჩვევიათ ყმაწვილთა ნაადრევი გაზრდა, სწორედ ამით შეიძლება აიხსნას მოზარდი პერსონაჟის საუბრის ტონი, რომელიც ზოგჯერ გვეჩვენება, რომ უფრო გამოცდილი, ზრდასრული ადამიანისთვის არის დამახასიათებელი. არ შეიძლება არ აღინიშნოს, თუ როგორი მეგობრობა აკავშირებთ ქუჩაში დარჩენილ და ომგამოვლილ მოზარდებს ერთმანეთთან. ომის დროს, როგორც წესი, განსაკუთრებული მეგობრობა ყალიბდება - ერის მარია რემარკის რომანებში („სამი მეგობარი“ და „დასავლეთის ფრონტი

უცვლელია“) წარმოჩენილი მშობიდან დაწყებული მარკუს ზუსაკის ნაწარმოებში „Messenger“ აღწერილ მეგობრობამდე. ომის ლიტერატურა განსაკუთრებით ასახავს ისეთ მოზარდებს, რომლებიც ერთმანეთთან მეგობრობით, ჭირის გაზიარებით ნუგეშსა და ძალას პოულობენ.

ბიჭის გიჟურ მოგზაურობას თავგადასავლებისადმი სწრაფვა, გარკვეული ეიფორიაც ახლავს, აქ ყველაზე მეტად ვლინდება ასაკის შესაბამისი ცნობისმოყვარეობა: „რა თქმა უნდა, მე ის მაინტერესებდა, რა მდგომარეობა იყო ხიდს გაღმა... თბილისში აფხაზ ბოევიკებზე საშინელი ამბები დადიოდა: ყვებოდნენ, როგორ აწამებდნენ ისინი ქართველებს“ [შატაიძე, 2010:269], თუმცა ეს შთაბეჭდილებები ტრამეული გამოცდილებებით არის ნაკარნახევი, რაც ზოგჯერ სტერეოტიპულია, ზოგჯერ - ბუნდოვანი, ზოგჯერ - მართალი, რასაც მალევე გადააფასებს იგი.

ბიჭს გზადაც არ აკლია თავგადასავლები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რომელიც, ფაქტობრივად, მოთხრობისა და, შესაბამისად, ავტორის მთავარ სათქმელსაც გადმოსცემს, არის სტუმრობა აფხაზურ ოჯახში. ბიჭი აღმოაჩენს, რომ აფხაზებიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ქართველები; კარგი ადამიანები არიან, მასზე ზრუნავენ. სწორედ აქედან იწყება შეხედულებების, მიდგომების გადაფასება. ამ ეპიზოდზე ნიშანდობლივი მოსაზრება აქვს თამარ კობერიძეს, რომელსაც სრულად ვიზიარებთ: „როგორც ვიცით, დევი ქართულ მითოლოგიაში ბოროტებასთან, ბნელ ძალებთან ასოცირდება და ბიჭის წარმოდგენაშიც აფხაზებად წოდებული აფსუები, რომელთაც თბილი და ტკბილი ოჯახი და ცხოვრება დაუნგრის, ლტოლვილთა უღელტეხილი გამოატარეს, მიუსაფარი ცხოვრების სიმწარე განაცდევინეს, რაღა უნდა იყვნენ, თუ არა ბოროტი დევები?! მაგრამ ნახეთ, თურმე ყველაფერი ისე არ ყოფილა, როგორც ჩვენს გმირს წარმოუდგენია: აღმოჩნდა, რომ ზიტამ ქართული იცოდა და „გემრიელად კისკისებდა“ კიდეც, ხოლო ცოტა ხანში იმასაც აღმოაჩენს, რომ მისი ქმარი „რა დევი, ჩვეულებრივი ადამიანი იყო — საშუალო ტანისა, სუფთად გაპარსული, ქართველისაგან ვერ გაარჩევდი“. საუბრისას ისიც გაირკვევა, რომ ზიტას და დაურს დედები ქართველები ჰყვლიათ! მაინც რა არის ბავშვური ლოგიკა — „ქართველისაგან ვერ გაარჩევდი“ - ძალიან მარტივად გვაგებინებს, რომ, ეთნიკური ნიშნის მიუხედავად, ყველანი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები ვართ“ [კობერიძე, 2021 (ელ. რესურსი)].

შინ დაბრუნებით ბიჭი უეცრად ომის კომმარულ სინამდვილეში ბრუნდება, ბავშვობის სათამაშოს, დათუნია გერასიმეს ხელი არ აქვს, რაც დამახინჯებული ბავშვობის, დამახინჯებული ცნობიერებისა და ნაწილმოგლეჯილი ქვეყნის სიმბოლოა. ბიჭი ბრუნდება ტრაგიკულ სინამდვილეში, სადაც კიდევ უფრო მტკივნეულ ფაქტს აღმოაჩენს: მამა, რომელიც მისი უკანასკნელი იმედი იყო ოჯახის ერთიანობის, საბოლოო სიმშვიდე-ბედნიერების მოპოვებაში, თავის გადარჩენის მიზნით, აფხაზ ქალზე დაქორწინებულა. სწორედ აქ სრულდება ბიჭის ბავშვობა, სწორედ აქ ხდება მოზარდი ზრდასრული. სწორედ ამიტომ გადაიფიქრებს მამის, მის გონებაში დედამისის კაბაშემოსილი დედინაცვლისა და ნახევარდების ნახვას. აქ თითქოს, ბიჭი დედის მდგომარეობასაც აანალიზებს, მის მიმართ თანაგრძნობაც უჩნდება. ეს განსაკუთრებით იკვეთება იმ მომენტში, როდესაც სახლიდან მოპარული საქორწინო ბეჭდის დედისთვის დაბრუნების გადაწყვეტილებას იღებს.

ბავშვობადაკარგული მოზარდი თბილისის სარდაფ-სახლში ბრუნდება. სცივა, ამიტომ ზმანებაში მიდის: თავის მკლავმოწყვეტილ გერასიმეს მკლავს მიაკერებს და „აფრიკაში მოგზაურობას“ იწყებს. მწერალი აბსოლუტურად ლოგიკურად ასრულებს მოთხრობას — ქუჩისა და მარტოობისათვის განწირული მოზარდის „მომავალი“, ამ სასტიკ ცხოვრებაში, ისეთივე ტრაგიკული დასასრულისათვის არის განწირული, როგორც სოხუმელი და ტყვარჩელელი ბიჭების სიცოცხლე დასრულდა საქართველოს დედაქალაქში [კობერიძე, 2021 (ელ. რესურსი)].

პერსონაჟის ბოლო, შესაბამისად ტექსტის ფინალი ტრაგიკულია. ომი და მისი შედეგი ყველაზე მეტად ბავშვს, მოზარდს ანადგურებს, რომელსაც ტრავმული მეხსიერება სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება, თუ, რა თქმა უნდა, ეს ცხოვრება ხანმოკლე არ აღმოჩნდება.

3.4.2. თამთა მელაშვილის „გათვლა“

თამთა მელაშვილი თანამედროვე ქართველი ავტორია. მისი სამწერლობო ენა მკვეთრად ინდივიდუალურია, რაც მის რომანებში უფრო ჩანს, ვიდრე ადრეული პერიოდის მოთხრობებში. ავტორი წერს სრულიად განსხვავებული პრიზმით, განსხვავებული პერსპექტივით, რაც მისმა პირველადმა პროფესიამ (გენდერის მკვლევარი) და ფემინისტურმა აქტივ(ისტ)ობამაც განაპირობა; არის არაერთი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელი და ნომინანტი როგორც საქართველოში, ასევე - საზღვრებს გარეთ.

განვიხილავთ მწერლის პირველ მინირომანს „გათვლა“, რომელიც ასახული ომითა და ომთან მოზარდების შეხებით, თხრობის თავისებურებითა და ემოციისგან დაცლილი მხატვრული სახეებით იპყრობს ჩვენს ყურადღებას. „წიგნი ავტორის სადებიუტო ნაწარმოებია და ბოლო 15-20 წლის მანძილზე მე ვერ ვიხსენებ ასეთ სერიოზულ დებიუტს. იყო ძალიან ნიჭიერი, მახვილგონივრული ან ოსტატური დებიუტები, მაგრამ - ასეთი თანმიმდევრული და სულისშემძვრელი, იშვიათად. ესაა წიგნი ომის შესახებ, სადაც არც ერთი გასროლის ხმა არ ისმის, სადაც სულ რამდენიმე ზარმაცი მეომარი ჩანს, მაგრამ, ამის მიუხედავად, იგი მთელი თავისი სიმძაფრით გვაჩვენებს ომის საშინელებას, რადგან საქმე ბავშვებს ეხება“ [ხარბედია, 2013:15].

ნაწარმოებში ნაჩვენებია ამბავი ორი ცამეტი წლის მოზარდი გოგონასი, რომლებიც ომის დროს ორ ქვეყანას შორის არსებულ საზღვრისპირა დასახლებაში ცხოვრობენ, გაყინული კონფლიქტისა და ოკუპაციის პირობებში - „ეს ომი არ არის, ისინი - იქით, ესენი - აქეთ, შუაში კიდევ არაფერი“ [მელაშვილი, 2010:5]. ამბავი გოგონების ცხოვრების სამ დღეს და იმ გარემოს წარმოაჩენს, სადაც მათ ბრძოლა უწყვეტ ძალადობის, შიშისა და სიკვდილის წინააღმდეგ. აშკარაა, რომ ამბავი ომის დროს ხდება, თუმცა არ არის დაკონკრეტებული, რომელი ომია, სად ან როდის ხდება მოქმედება; თუმცა, ომი, როგორც ობიექტური, ადამიანებს გარეთ არსებული რეალობა თავისი სტატისტიკით, გეოგრაფიითა და ეკონომიკით, ამ შემთხვევაში ტექსტის მეორე პლანზე ინაცვლებს. ავტორი ერთხელაც არ ასახელებს არცერთ გეოგრაფიულ პუნქტს, არცერთ თარიღს, რაც ტექსტს გარკვეულ დროით ჩარჩოში მოაქცევდა და ა.შ. აქ არის მხოლოდ ორი გოგონას შემზარავი თავგადასავალი, მათი ნაადრევი „ქალური ინიციაცია“ [გაბუნია, 2011 (ელ. რესურსი)].

ავტორის ამოცანა არ იყო მოეყოლა ამბავი კონკრეტულ ომსა და მის შედეგებზე, რადგან ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს; მას სურდა ეჩვენებინა და ეს წარმატებულადაც მოახერხა, რომ ომი ომია, კონკრეტული სივრცულ-დროითი ჩარჩოების გარეშე და ყველა ომი ერთნაირად შემზარავია. ამასვე აღნიშნავს ლიტერატურათმცოდნე მალხაზ ხარბედია: „ჯერ ერთი, მოქმედება ქალაქში ვითარდება, რომელიც არც ცხინვალია, არც ახალგორი და არც გორი, აქ არც ქართლური აქცენტით ლაპარაკობენ, გვარებიც სხვადასხვა კუთხისაა, სახელები კი უცნაური, მთავარი გმირებისა – ხაზგასმით თბილისური, უფრო სწორად კი, კარიკატურულად, საწყლად თბილისური. ავტორმა ერთი მცირე ჩანაფიქრიდან ვრცელი

მოთხრობა გადმოადნო, სადაც გამოაგნებელი სიზუსტითაა აღწერილი გრძნობები, ფიქრები და საუბრები და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი თითქმის მთლიანადაა დაცლილი სენტიმენტებისგან“ [ხარბედია, 2013:15].

მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში არ არის არაფერი კონკრეტული, მაინც აშკარაა, რომ იგი აგვისტოს ომის საპასუხო რეაქცია იყო. „ცხადია, მკითხველი პირველ რიგში სამაჩაბლოზე და 5 წლის წინანდელ ომზე გაიფიქრებს და მართალიც იქნება, რადგან თავად თამთასთვის იყო ეს ომი წიგნის მთავარი იმპულსი, თუმცა დაასრულებთ კითხვას და მიხვდებით, რომ ამბავიც და პერსონაჟებიც სცილდებიან ერთი კონკრეტული ომის ფარგლებს“ [ხარბედია, 2013:15]. თავად ავტორი პლატფორმისათვის „ქალები საქართველოდან“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავს: „გათვლა“ აგვისტოს ომის საპასუხოდ დაწერე. ეს ჩემი პროტესტი იყო ომის და ძალადობის წინააღმდეგ. მაშინ მივხვდი, რომ წერა რაღაც სიმბოლურებისგან გამოთავისუფლებაა და ერთგვარი თერაპია. წერის პროცესში რაც ყველაზე მეტად მომწონს, ისაა, რომ ბევრი სხვადასხვანაირი ადამიანის გამოგონებით, შენც შეგიძლია ბევრი სხვადასხვანაირი ადამიანი გახდე, ბევრ სხეულში ჩასახლდე, იმაზე მეტი განიცადო და იგრძნო, რასაც შენ თვითონ გრძნობ და განიცდი. მე მომწონს ამ სხვა, გამოგონილ სხეულებში და გრძნობებში გადასახლება, მგონია, რომ ეს ჩემს სიცოცხლეს მეტ შინაარსს სძენს“ [მელაშვილი, 2017 (ელ. რესურსი)].

დღიურის ფორმით დაწერილ ტექსტს სიმბოლურად პირველ პირში გადაწყვეტილი თხრობა აძლევს, რომელიც ასევე ძალიან საინტერესო მახასიათებლით გამოირჩევა. მოზარდი პერსონაჟების მეტყველება დეტერმინირებული და დანაწევრებულია, ისევე, როგორც მათი ფსიქო-სომატური სამყარო. ლინგვისტური თვალსაზრისით, ასეთი საინტერესო მასალა, ალბათ, ბოლო წლების ქართულ ლიტერატურაში იშვიათია. მელაშვილის თხრობა არც დიალექტურ ფორმას ეფუძნება, არც მთლიანად რომელიმე კონკრეტული სლენგია და არც „სალიტერატურო ქართული“. ეს ნეიტრალური ენა კიდევ ერთხელ იცავს ტექსტს, ჩემი აზრით, არასაჭირო კონკრეტისგან და მას უფრო ზოგად ჟღერადობას ანიჭებს. თითქოს სულერთია, სად ან რომელი კონფლიქტის ზონაში იცხოვრებდა ეს ორი ბავშვი, მათი პრობლემები უნივერსალურია და მე ვიტყვოდი, უნივერსალურად ქალური [გაბუნია, 2011 (ელ. რესურსი)].

ტექსტი სავსეა გამიზნული გრამატიკული შეცდომებით, ავტორი დამახინჯებული მეტყველებით გადმოგვცემს იმ სიცხადეს, რასაც ცამეტი წლის გოგონები შეიძლება გრძნობდნენ ომის პირობებში. 2010-იან წლების დასაწყისში თამთა მელაშვილმა, ერთი შეხედვით, გრამატიკულად გაუმართავი, თითქმის უპუნქტუაციო ენით დაწერილი ტექსტი შემოგვთავაზა, თუმცა, რეალურად, 13 წლის გოგონები სწორედ ასე მეტყველებენ; მათი ფანტაზიები, ემოციები, ახალი თავგადასავლები და, რაც მთავარია - სხვების დახმარების სურვილი, ისეთივე სპონტანური და გადაბმულია, როგორც ეს მოთხრობა, რომელიც სხვაგვარად ბევრად უფრო ბანალური და ყალბი გამოვიდოდა. მომავალი წლების ლიტერატურამ კი გვაჩვენა, რომ სხვა მწერლებმა მიაკითხეს „გათვლას“ და გვერდი არ აუარეს მას, როგორც ლინგვისტურ მასალას [დიდიშვილი, 2021:13].

ამბავი პირველ პირშია მოთხრობილი და საინტერესოა ის, რომ მას ის მოზარდი პერსონაჟი ჰყვება, რომელიც ნაწარმოების ბოლოს ტრაგიკულად ასრულებს სიცოცხლეს. ფინალში ავტორის ხმა და პერსპექტივა შემოდის. თუ აქამდე ავტორი ტექსტში, ფაქტობრივად, არ ჩანდა, ფინალში იგი საკუთარ თავს პოზიციის დაფიქსირების საშუალებას და უფლებას აძლევს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაწარმოები დაყოფილია თავებად, რომელთაც კვირის დღეების სახელები აქვს. „ნაწარმოების ყოველ თავში ხდება რაღაც ისეთი, რაც ყველაზე არსებითი შეიძლება მოეჩვენოს მკითხველს, ანუ ტემპერატურა თხრობისას არასდროს კლებულობს, პირიქით, მატულობს და ყოველი მომდევნო სცენა სულ უფრო ნაკლებ დროსა და ადგილს გიტოვებს ამოსუნთქვისთვის – ასეთია დაუმარხავი მკვდარის ამბავი, დალუპულების ტანსაცმლის დაწვის, ეპილეფსიის სიმულაციის და სხვ. - სცენები, რომელიც ნაწარმოებს ერთ მხურვალე მთლიანობად აქცევენ“ [ხარბედია, 2013:15].

რამდენად უჩვეულო და უცხოა ომი თინეიჯერი გოგონებისთვის, იმდენად ექსპრესიულია წიგნში გადმოცემული ამბავი და იმდენად უჩვეულო, არასტანდარტული ენა აქვს შერჩეული ავტორს ამბის გადმოსაცემად, იმის ხაზგასასმელად, რომ ამბავს მოზარდის პერსპექტივიდან აღვიქვამთ; ნინცო, მეორე მთავარი პერსონაჟი, ცქნაფას მეგობარია, რომელიც მისივე ტოლია, თუმცა დიდივით იქცევა; ის ურჩევს, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსვლაში ისევ გველესიანების აფთიაქს მიმართოს: „მოგიკვდებათ ის ბავშვი და მერე იძახოს დედაშენმა, ღმერთს რომ ანგელოზები მიჰყავს თავისთან.

- არ იცი როგორია, ერთი საათი მწყევლა მანანას მაღაზიიდან მოპარულ ჩაიზე და მაკარონზე...

- ჰუმანიტარულის ქალებმა მომცესო არ უთხარი?

- კი, ვუთხარი, ოღონდ ფასების აძრობა დამავიწყდა.

- რატომ ხარ ასეთი დებილი“ [მელაშვილი, 2010:3-4].

ეს დიალოგი ნათლად წარმოაჩენს ადრე დაქალებული გოგონების თვითგადარჩენის მცდელობას.

ნაწარმოებში უამრავი კაცი პერსონაჟია, რომელიც, ფაქტობრივად, განსაზღვრავს ამბის დინამიკას; მაგალითად, ნინცოს ბაბუა ზაურა, რომელიც მთელი დღე გარეთ, მედლებში გამოწყობილი ზის და ნინცოს ერჩის, ეს ცქნაფასთან დიალოგში ჩანს: „ჩათლახი იზრდება ეს და შენც ჩათლახი იზრდება. ბებიამისი კიდე ოთახში კვდება“ [მელაშვილი, 2010:4]; კვერნაძე, რომელიც გოგონებზე ოდნავ დიდი, თუმცა ასევე მოზარდია, ზრდასრული ადამიანის ჩვევებით გამოირჩევა: „კვერნაძემ ნინცოს სიგარეტი შესთავაზა, ნინცო გაუბრაზდა მარტო მე რატომ შემომთავაზე, ორნი ვართო - კვერნაძეს, როგორც ჩანს, ნინცო მისი მკერდის გამო მოსწონდა“ [მელაშვილი, 2010:41]. მას გარკვეული კავშირები აქვს საზღვართან, უფრო გათვითცნობიერებულია არსებულ მდგომარეობაში - სწორედ მისი დახმარებით იგეგმება საზღვარზე რაღაცების გადმოტანა, განსაკუთრებით, წამლის. „ეგ არის საქმე, ორივეს უნდა აერიდო, წამალი იმათი, მყიდველი - ჩვენი“ [მელაშვილი, 2010:44]. მოზარდებს ნარკოტიკის გაყიდვაში სწორედ ომი აბამს. თავის გადარჩენის მიზნით, კვერნაძე, თავის მხრივ, გოგონებს რთავს ამ საქმეში, რადგან ბიჭია და მისთვის ეს საქმიანობა საშიშია, ეჭვით უყურებენ, თანაც თითქმის გამოჭერილია, ხოლო გოგონების შემთხვევაში, საქმე უფრო მარტივად იქნება. ისინიც თანხმდებიან კვერნაძის შემოთავაზებას, რადგან სჯერათ, რომ სანაცვლოდ დიდ ფულს მიიღებენ, მაგრამ გარიგება ფატალურად სრულდება.

კაცი-პერსონაჟებიდან აღსანიშნავია ნინცოს მამა, რომელიც ომში იბრძვის და რომლის სიკვდილის გაგების შემდეგაც გოგონების ცნობიერებაში დიდი აფეთქება იწყება. ამასთან არიან მეორეხარისხოვანი თუ სახასიათო კაცი პერსონაჟები: გუშაგები, სოფლისა და უბნის ბიჭები, ჯარისკაცები, მესაზღვრეები, ყველას თავისი ფუნქცია- დანიშნულება აქვს ამ

ამბავში, ამ ომში, საერთოდაც, ომი კაცებისაა, ამ შუალედურ ზონაში გაჩხერილი მოზარდი გოგონები კი ომის მსხვერპლნი არიან, თავისი თვალთ უყურებენ ომის საშინელებას. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში არაერთ მამაკაც პერსონაჟს ვხვდებით, „გათვლა“ ბოლომდე ქალებისაა. ყოველთვის, როცა რომელიმე მედიასაშუალება - ტელევიზია, რადიო, ბეჭდური თუ ონლაინ ჟურნალ-გაზეთი საუბარს იწყებს ომზე, მას განიხილავს ბოლომდე მასკულინურ აქტად, თითქოს სისხლისღვრის პარალელურად ქალები საერთოდ არ არსებობენ [დიდიშვილი, 2021:13].

ქალი პერსონაჟებიდან საინტერესოა გაუთხოვარი თებრონიას მხატვრული სახე; შინაბერას ნიჩაბი ხევში უპატრონო, გახრწნილი გვამისთვის მიწის მისაყრელად მიაქვს, თუმცა „სულ გააგიჟა ამ ომმაო“, ამბობენ მასზე. ამ პასაჟში ყველაზე ნათლად ჩანს ქალების სახე ომიანობის დროს. შინაბერობის ტრაგიკულობა თამთა მელაშვილს პირველივე ტექსტებიდან აინტერესებს, ამ თემას ეძღვნება მისი ბოლო, გახმაურებული რომანი „შაშვი, შაშვი, მაყვალი“ - „ეს წიგნი უამრავი მარტოხელა, დაუცველი, საზოგადოების ქირქილისა და ძალადობის პირისპირ დარჩენილი ქალისთვის გაწვდილი ხელია“ [ტურავა, 2022:3].

ომი ნაწარმოებში უფრო ფონია, რომელიც ათასი საშინელების წინაპირობა ხდება, იქნება ეს დაცლილი სახლები თუ სოციალური უთანასწორობა - „[სახლის პატრონები] ერთხელ და სამუდამოდ წავიდნენ! და იცი, რატომ? შენნაირი და ჩემნაირი საცოდავები არ იყვნენ - ფული ჰქონდათ!“ [მელაშვილი, 2010:11]; ძარცვა, ქურდობა - „ქურდო, მე ვუთხარი, ქურდო! მოიცა რა, ნინცომ თქვა, ნუ დაიწყებ რა, მკვდარზე ქურდობა, ქურდობა არ არის“ [მელაშვილი, 2010:6]; უუნარობა, სიკვდილის გაუფასურება, რომელიც პატარა ბავშვებისთვის სანახაობად ქცეულა, უფრო ხელშესახები და აშკარა ხდება - „ჩვენ რა ვქნათ, კაცი აღარ დარჩა დამმარხავი და ჩვენ დავმარხოთ?“ [მელაშვილი, 2010:26].

„გათვლაში“ ომის სისასტიკე, სისაძაგლე, საშინელება მხოლოდ ფონს ქმნის და წამოწეულია ის, რაც ომს ახლავს - დაუმარხავი ცხედრები, გაჭირვებული მოქალაქეები, გაუბედურებული ოჯახები, გაუკაცრიელებული, ნანგრევებად ქცეული სახლები და, რაც მთავარია, მოლოდინი: ვიღაც ელოდება მამას, ძმას, შვილს ან ქმარს და ამ მოლოდინში სამყარო ისეთივე შემადრწუნებელი ხდება, როგორც ფრონტის ხაზზე. საკუთარ ტკივილებსა და ემოციებს ყველა თავისებურად უმკლავდება - ვიღაც შვილს ცოცხლად დაიტირებს და მის ტანსაცმელს დაწვავს, რადგან ამ ტანსაცმელს სხვის ტანზე ვერ უყურებს; ვიღაც ქმარს

ელოდება და მის მოლოდინში ჩვილ ბავშვს ვეღარ უვლის - რძე უშრება; ვიღაც კი სრულად კარგავს კონტროლს“ [დიდიშვილი, 2021:13].

მოზარდი გოგონების ყოველდღიურობა სავსეა საზრუნავით, შრომითა და თამაშითაც, რადგან ისინი, მართალია, მალე გაიზარდნენ, მაგრამ მაინც ბავშვები არიან. ცქნაფას ბავშვობა სახიერად დაასრულა მწერალმა: სკოლის ტუალეტში შედის და ტრუსზე წითელ ლაქას შეამჩნევს. „დერეფანში შერჩენილ ჭუჭყიან ფარდას ბოლო გადავახვიე“ [მელაშვილი, 2010:56] (ასე მთავრდება კედის ბავშვობაც ფოლკნერის საკულტო რომანში „ხმაური და მძვინვარება“).

ნინცოს პატარა მავნებელი ბიჭები შეურაცხმყოფელად მიმართავენ: ვიცით, რასაც აკეთებ გუშაგთან, შენ, მწოველოო! ჩნდება განცდა, რომ ბიჭები მართაღს ამბობენ. ნინცო იძულებულია თავისი მეგობრის ძმისთვის საკვების მოსაპოვებლად რაღაც ისეთი ჩაიდინოს, რის ჩადენაც არ უნდა, მაგრამ სხვა გამოსავალი ვერ იპოვა. ნინცო ასე „იზრდება.“

საზარელია ტყის სცენა, რომელიც, საბოლოოდ, ორივე პერსონაჟს ზრდასრულობაში გადაისვრის. „მამაჩემი ღმერთია, მამას რა მოკლავსო“ [მელაშვილი, 2010:87] - ეს ამ გოგონების უმამობის, უღმერთობის საზარელი განცდაა. „ტრადიციულად მასკულინიზებული მილიტარისტული დისკურსი აქ მთლიანად ქალებს ეთმობა, უფრო ზუსტად კი, ბავშვებს, რომლებიც თამაშობენ ქალებს. წიგნი გულახდილად მოგვითხრობს პუბერტატის ასაკში მყოფი გოგონების ფანტაზიების და მათი მკაცრ რელობასთან შეჯახებით გამოწვეული ტკივილით სავსე ამბავს და ამ ყველაფერს თითქოს სასხვათაშორისოდ, შიგადაშიგ მოჰყვება ეპიზოდური პერსონაჟების მიერ შემოტანილი ომის ამბები“ [გაბუნია, 2011 ელ. რესურსი)].

რომანის ბოლო და მთავარი თავი, რომელსაც „გათვლა“ ჰქვია, ყველაზე მძიმეა და, ფაქტობრივად, აერთიანებს, კონტრაპუნქტში კრავს ნაწარმოებში მიმდინარე დანაწევრებულ თხრობას; ის ფაზლის უკანასკნელი დეტალია, რომელიც შემზარავი ამბის მთლიანობის აღქმაში ეხმარება მკითხველს; „მესვრიან, ნინცო ესენი, მესვრიან ნინცო, ტვინს გამასხმევინებენ ესენი“ [მელაშვილი 2010:107], - ამბობს ცქნაფა, რითაც აანონსებს კიდევ თავის სიკვდილს. მოზარდი გოგონები საზღვრის გადალახვას აპირებენ, ცქნაფა იწილო-ბიწილოს ითვლის და სწორედ ამ დროს ფეთქდება.

ბოლო თავში ავტორი შემოდის და გვიყვება ოცი წლის შემდეგ მომხდარ ამბავს. საზღვარზე კვერნადის ახლობელი, მოხდენილი „დამა ქალი“ მიდის; გუშაგები ქალის სახელს მარჩიელობენ - ნინოა თუ ნანო, თან უკვირთ, ამ საშიშ ადგილას, კანონსაწინააღმდეგოდ რატომ გააჩერეს ეს ქალი; გააჩერეს, რადგან სასაზღვრო ზონაზე ნახევარ საათზე მეტხანს იდგა, არ უტირია, ფართოდ გახელილი შავი თვალები ჰქონდა. შემდეგ თხრობა ისევ პირველ პირს უბრუნდება, ამჯერად გაზრდილი ნინოს პერსპექტივიდან, რაც ნაწარმოებს მეტ სიმძაფრეს სძენს - „გთხოვთ, დატოვოთ, ტერიტორია, თქვა და თვალი ავარიდე; დიახ, რა თქმა უნდა, ახლავე დავტოვებ, ვთქვი და თვალი ავარიდე... ეს მინდორი ადრე დანადმული იყო, აქ, ადრე ამ მინდორზე...“ [მელაშვილი, 2010:115] - ქალი ვეღარ ამთავრებს სათქმელს, ხმა უწყდება და ტირილს იწყებს. ეს ადგილი მისი ბავშვობის ყველაზე ტრაგიკულ, მძიმე მოგონებას აცოცხლებს. „სიუჟეტს ყველა წინაპირობა აქვს იმისთვის, რომ სენტიმენტალურ, ცრემლიან თხრობაში გადაიზარდოს, მაგრამ თამთა მელაშვილის წიგნი პარადოქსულად დაცლილია ამგვარი „მგრძნობელობისგან“. სტილის ერთგვარი სიმშრალე, თავშეკავებულობა, რომელიც ირიბი და პირდაპირი ნათქვამის ორიგინალური რეკომბინაციით იქმნება, ერთდროულად დოკუმენტურობის, აღწერილი მოვლენების ზედმიწევნით ავთენტურობის განცდას ბადებს და თან, თხრობის უჩვეულო ფორმის გამო, წაკითხულისგან დისტანცირების საშუალებასაც იძლევა“ [გაბუნია, 2011 (ელ. რესურსი)].

ომის ლიტერატურის თინეიჯერი გმირები ხდებიან ემპათიისა და ინტროსპექციის ერთგვარი გამტარები, რაც, ფაქტობრივად, აიძულებს მკითხველს დაფიქრდეს ომის საშინელებაზე ინდივიდუალურ და კოლექტიურ დონეზე. თინეიჯერობის პერიოდი, მოზარდობის ხანა, რომელიც ბავშვობის დასრულებას უკავშირდება, რთული პროცესია, ტრავმის შემცველია, მშვიდობის პირობებშიც კი. კიდევ უფრო მძაფრდება ეს პროცესი ომში, რომელიც ადამიანის ყველაზე ცუდ თვისებებს, ნეგატიურ მხარეებს წარმოაჩენს, ამკვეთრებს. ომი ორივე ტექსტში პერსონაჟთა უცაბედი, მოულოდნელი, ნაადრევი, ასწრაფებული გაზრდის მიზეზია. ტრაგიკული კონტექსტი, ექსტრემალური სიტუაცია მოზარდებზე ყველაზე მეტად ზემოქმედებს, რაც ნუგზარ შატაიძესაც და თამთა მელაშვილსაც სრულიად გააზრებულად, მაგრამ განსხვავებულად მიაქვს მკითხველამდე.

ბოლო დროს ომის დისკურსი მოდური გახდა ქართველ მწერლებში - ალექსოს ომმა მიიყვანა თეონა დოლენჯაშვილი აფხაზეთის ომამდე; რომანის „ჩიტი არ გამოფრინდება“ პერსონაჟი, ფოტორეპორტიორი ნატა „სხვის ომში ცდილობს საკუთარის გააზრებას“, თუმცა, ამ შემთხვევაში, ინსპირაციაზე უფრო მნიშვნელოვანი მწერლის პიროვნული დამოკიდებულებაა საქმის, პროფესიის მიმართ. „თეონა დოლენჯაშვილი ნიჭიერი და საინტერესო ავტორია, არაერთი კარგი ტექსტის შემქმნელი, საკუთარი ბექგრაუნდით, მწერლური ბიოგრაფიით, ამიტომაც იმგვარი უზუსტობანი, ლაფსუსები, რომლებსაც ასე მტკივნეულად აღიქვამს მკითხველი, განსაკუთრებით, ომგამოვლილი, არ ეპატიება. რომანის დასაწყისშივე ვკითხულობთ, რომ ქალაქის დატოვების წინ ქართველები აალებულ კვარებს ესროდნენ საკუთარ სახლებს და წვავენ: „სწორედ ამ სასიკვდილო ფეირვერკის ფონზე ვტოვებთ სოხუმსო“, იხსენებს ნატა. შესაძლოა, ორიოდე ასეთი შემთხვევა, მართლაც, იყო, მაგრამ ქართველები რამდენიმე თვეში უკან დაბრუნებას გეგმავდნენ და საკუთარ ეზო-კარს ასე ადვილად არ იმეტებდნენ. ნატა და მისი ოჯახის წევრები ჭუბერით ტოვებენ აფხაზეთს, მერე ექიმისა და წამლის ძიებაში ხან ოჩამჩირეში აღმოჩნდებიან, ხან - ტყვარჩელში, რაც სრულიად წარმოუდგენელია. ელემენტარული გეოგრაფიის ცოდნაც ააცდენდა მწერალს ამ უხერხულობას, არაფერს ვამბობ ამ თემაზე შექმნილი ავტორის ცნობილი რომანის პირდაპირ რემინისცენციებსა თუ ალუზიებზე. რასაკვირველია, ამგვარი დამოკიდებულება სრულიად აქარწყლებს რომანის მეტაფორულობას, ღრმა დრამატიზმს, ხასიათებისა და ტრაგიზმის ხატვის ოსტატობას. ასეთი ავტორი კარგავს მკითხველის ნდობას, რაც აჭიანურებს კიდევ კითხვის პროცესს“ [ტურავა, 2023: 3].

ამგვარი გამოხმაურებების გამო თავი შევიკავებთ თეონა დოლენჯაშვილის რომანის ანალიზისაგან, თუმცა მოზარდი ნატას განცდები ომისდროინდელ სოხუმსა და დევნილობის პირველ წლებში, მართლაც, საინტერესოა.

ომის თემაზე დაწერილ თანამედროვე ქართულ ტექსტებში, ევროპულისა და მსოფლიო ლიტერატურის ამავე თემაზე შექმნილი ნაწარმოებების მსგავსად, მოზარდებს წართმეული აქვთ ბავშვობა, სილაღე, ნორმალური განათლების მიღების საშუალება და ფიზიკური გადარჩენისთვის იბრძვიან, რაც მათ ადრე დაკაცებას/დაქალებას, გაზრდას იწვევს. მოზარდები ყველაზე მეტად ზარალდებიან დიდების სისხლიან თამაშებში, რაც მათ ფსიქიკასა და პიროვნებაზე გარდაუვალ კვალს ტოვებს.

დასკვნა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში გავაანალიზეთ აღზრდის კონცეპტები/მოზარდის სახე თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. სადისერტაციო ნაშრომის შესავალში გამოვკვეთეთ განსახილველი პრობლემის აქტუალურობა, ჩამოვყალიბეთ დისერტაციის მიზანი და ამოცანები, კვლევის წყაროები; განვიხილეთ საკვალიფიკაციო ნაშრომის თეორიული ბაზა და კვლევის მეთოდოლოგია; განვსაზღვრეთ ნაშრომის სიახლე, მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება.

სადისერტაციო ნაშრომის I თავში - *საგანმანათლებლო დისკურსის ისტორიიდან* - გავაერთიანეთ ორი ქვეთავი: 1.1 მსოფლიო საგანმანათლებლო მოდელები; 1.2. სწავლა-აღზრდის კონცეპტები საქართველოში. აღნიშნული თავი ერთგვარ ექსკურსს წარმოადგენს პრობლემის ისტორიულ ასპექტში შესწავლის თვალსაზრისით; ამდენად, მასში მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმეთ მსოფლიო საგანმანათლებლო მოდელების ანალიზს; ამ საკითხზე არსებული სამეცნიერო და კრიტიკული ლიტერატურის მიმოხილვას; წარმოვაჩინეთ, რომ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომის კვლევა შეუძლებელია მსოფლიოში არსებული სწავლა-აღზრდის მოდელების გაანალიზების გარეშე უძველესი დროიდან დღემდე.

აღზრდა, როგორც ადამიანის პიროვნული განვითარება, სოციალური მოვლენაა და ის კაცობრიობის განვითარების თანმდევაა. სამეცნიერო და პედაგოგიურ ლიტერატურაში საყოველთაოდ მიღებული ჭეშმარიტებაა, რომ აღზრდა-განათლების შინაარსი ისტორიულ ხასიათს ატარებს. ის იცვლება ცხოვრებისეული მოთხოვნების, წარმოებისა და მეცნიერული ცოდნის განვითარებასთან ერთად. შესაბამისად, საზოგადოებისა და ქვეყნის მომავალი განათლებული, ეპოქის მოთხოვნების შესაბამისი ღირებულებების მქონე თაობების აღზრდაშია. ფასეულობები დროთა განმავლობაში იცვლება, ამის კვალობაზე იცვლება აღზრდის მოთხოვნებიცა და სისტემებიც. ამ ცვლილებებს რეტროსპექტულად გადავავლეთ თვალი, აღზრდის სხვადასხვა სისტემის რეპრეზენტაციისა და შესწავლისთვის გამოვიყენეთ ქართულ და უცხოურ სალიტერატურო სივრცეში არსებული სამეცნიერო წყაროები და ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაშრომები. აღვნიშნეთ, რომ სასწავლო პროგრამების

ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი უნივერსიტეტებს მიუძღვით. შესაბამისად მოკლედ მიმოვიხილეთ ბოლონის უნივერსიტეტის (იტალია), ოქსფორდისა და კემბრიჯის

უნივერსიტეტების (დიდი ბრიტანეთი), სალამანკას უნივერსიტეტის (ესპანეთი), პარიზის უნივერსიტეტის - სორბონა (საფრანგეთი) სწავლების მეთოდები. ხაზი გავუსვით, რომ დღეს ძირითადად საუნივერსიტეტო განათლება განსაზღვრავს სწავლების ხარისხს. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი XX საუკუნის დასაწყისში (1918 წელს) ჩამოყალიბდა, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ყოველთვის არსებობდა კერები, რომლებიც ქართველთა სწავლა/სწავლებას უზრუნველყოფდა. დაწვრილებით ვისაუბრეთ გელათის, გრემის, იყალთოს აკადემიებზე.

დავასკვნით, რომ ქართველმა ყოველთვის იცოდა განათლების, წიგნის ფასი და ურთულეს გეოპოლიტიკურ სივრცეშიც კი, ყველაფერს აკეთებდა მომავალი თაობების ქრისტიანულად, ზნეობრივი პრინციპებით აღსაზრდელად; სწავლა-აღზრდის პრობლემები, დიდაქტიკური კონცეპტები აისახა მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაშიც. შესაბამისად, დასასრულს წარმოვადგინეთ მოკლე ექსკურსი, თუ როგორ აირეკლა საგანმანათლებლო დისკურსი და აქედან გამომდინარე, მოზარდის სახე ქართულ ლიტერატურაში. დავასკვნით, რომ მოზარდთა პირველი პორტრეტები, მოღწეულ ტექსტთაგან, აისახა „შუშანიკის წამებაში,“ მისი შვილების პორტრეტების სახით, ასევე - „კოლაელ ყრმათა მარტვილობაში“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ - წარმოდგენილი პასაჟებით არსენისა და ეფრემის შესახებ და ა.შ. ქვეთავში წარმოდგენილი მოკლე ექსკურსიც წარმოაჩენს, რომ ქართული ლიტერატურა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდა საგანმანათლებლო დისკურსს, ყრმათა/მოზარდთა სახეებს, რომელთა ანალიზსაც, ჩვენი დაკვირვებით, თემის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მკვლევართა არაერთი თაობის ძალისხმევა დასჭირდება.

სადისერტაციო ნაშრომის აღნიშნულ ქვეთავზე მუშაობისას ხელთ გვექონდა ძველი გამოცემა, უკვე რარიტეტად ქცეული კვლევა - „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ 1937 წელს გამოცემული (დ. გვაზავას, გ. ლომინაძისა და ლ. ციხისთავის რედაქტორობით). სხვადასხვა ავტორი იკვლევს აღზრდის კონცეპტებს საქართველოში, კვლევა მე-11 საუკუნიდან, კერძოდ, გიორგი ათონელის მოღვაწეობიდან იწყება. საკვალიფიკაციო ნაშრომი ასევე ეფუძნება სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის ტექსტებს წიგნიდან „სწავლა-აღზრდის

ისტორია საქართველოში“, თემისტიოსის „გეორგიკიდან“ ტექსტს - „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“ და ა.შ.

სადისერტაციო ნაშრომის II თავმა - *აღზრდის კონცეპტები XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში* - ოთხი ქვეთავი გააერთიანა: 2.1. პიროვნებად ჩამოყალიბების რეცეფცია-რეფლექსიები ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსში“; 2.2. აღზრდის კონცეპტი (მოზარდის სახე) რევაზ ინანიშვილის პროზაში; 2.3. მოზარდის სახე ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში „სასწაული“; 2.4. სკოლის საბჭოთა მოდელი გოდერძი ჩოხელის „ლუკას სახარების“ მიხედვით და მიეძღვნა XX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე სხვადასხვა ავტორის სხვადასხვა ნაწარმოების ანალიზს, რომლებშიც ასახულია აღზრდის კონცეპტის (შესაბამისად მოზარდის სახის) გამოვლინებები. თემის შესაბამისად, ვიკვლიეთ პიროვნებად ჩამოყალიბების რეცეფცია-რეფლექსიები მოცემულ ტექსტებში.

ჩამოთვლილმა ნაწარმოებებმა მოგვცა შესაძლებლობა სიღრმისეულად გვეკვლია აღზრდის კონცეპტების სხვადასხვაგვარობა, თუმცა ეპოქიდან გამომდინარე, აქცენტი მაინც გაკეთდა ე.წ საბჭოთა სკოლის აღზრდის სიტემის თავისებურებებსა და მის გავლენაზე ლიტერატურაში. კვლევით გამოვლინდა, რომ საბჭოთა ეპოქა, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურული კანონი ურთულეს გამოწვევებს უქმნიდა ქართულ ლიტერატურას, რადგან სახელმწიფო ცდილობდა ეკონტროლებინა თავისუფალი აზრი, მხატვრული აზროვნება. მაგრამ რამდენადაც რთული იყო ეს გამოწვევა, იმდენადვე უნიკალური გახლდათ იგი; მიუხედავად გამოწვევებისა, ქართველი ავტორები განაგრძობდნენ ბავშვებისა და მოზარდებისთვის განკუთვნილი ლიტერატურის შექმნას, განაგრძობდნენ უფრო დიდი მონდომებით, ძალისხმევითა და მოტივაციით.

პირველ ქვეთავში გავაანალიზეთ ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული მოთხრობა „ჰელადოსი“, რომელიც სასკოლო პროგრამაშია შეტანილი და რომელზეც თაობები იზრდება. კვლევაში აქცენტი სხვადასხვა ეროვნების ყმაწვილთა თანაარსებობაზე გაკეთდა. გამოიკვეთა, რომ ნოდარ დუმბაძემ ეროვნული იდენტობის საკითხი სრულიად სხვა რაკურსით, განსხვავებული კონტექსტით ასახა პოპულარულ მოთხრობაში. მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, ფაქტობრივად, არ მოიპოვება განსხვავებული ეროვნებისა და კულტურის მქონე მოზარდების სახეები და ანარეკლი მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტებისა (გარკვეული სხვაობების ნიადაგზე). საგანგებოდ აღვნიშნეთ ნოდარ დუმბაძის პერსონაჟი ქალი/მასწავლებლები, განსაკუთრებული კასტა,

რომელსაც მწერალი გამორჩეული სიყვარულით, ირონიითა და გამომსახველობით გვიხატავს.

დადგინდა, მოთხრობაში უხვადაა ავტორისეული/ნარატორისეული კომენტარები, წილსვლები და შეფასებები, რადგან ის ამბავს პირველ პირში გვიამბობს. მიუხედავად ამისა, მოთხრობა მოზარდის თვალთ დანახულ სამყაროს იდეალურად ასახავს; სამყაროს, რომელიც სავსეა ქარიშხლითა და თავგადასავლებით, სევდითა და სიხარულით, მტრობითა და მეგობრობით, ბავშვური სიძულვილითა და გულმხურვალე სიყვარულით.

საბჭოთა რეპრესიებმა, ეკონომიკურმა გაჭირვებამ, ომის ტრაგედიამ, მძიმე ცხოვრებამ, შიმშილმა და სიცივემ საკლასო ოთახებშიც შეაღწია, რამაც მწერლის ბიოგრაფიაში მძიმე კვალი დატოვა, ბავშვობა წაართვა და მის მეხსიერებაში ტკივილიან მოგონებად იქცა. ეს მოგონებები არაერთი ნაწარმოების ინსპირაციად იქცა, ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია მოთხრობა „ნუ გააღვიძებ“, სადაც მწერალი ჩვეული ტრაგი-კომიზმით ასახავს ომისდროინდელი სოფლის ცხოვრებას, სკოლის სივრცეს; ასეთივე მოთხრობა „ხაზარულა“, რომელიც ხის შეშინების უძველეს ტრადიციას ეფუძნება. ქალაქიდან სოფელში იძულებით გადასულ ავტორს, ომის სიმძაფრესთან ერთად, ფურცლებზე გადააქვს ბავშვობის ისტორიები, რითაც ჟამის მხატვრულ ქრონიკას ქმნის. მოთხრობების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ამ ტექსტებში აღზრდის კონცეპტებზე ღირებული ცოცხალი ადამიანური ურთიერთობებია, ცხოვრებაა ყველაზე დიდი მასწავლებელი.

კრიტიკოსები ინანიშვილს ხშირად „ცრემლიან მწერლად“ მოიხსენიებენ, მჯილით იწმენდენ მისი პერსონაჟები ცრემლს და მკითხველსაც ამგვარ ემოციას უქმნიან. ზნეობრივი, ემპათიური, სხვისი ტკივილ-სიხარულის გამზიარებელი ადამიანი - სწორედ ეს არის ინანიშვილის პროზის პროტოტიპიც, პროტაგონისტიც. მისი ტექსტები „დამრიგებელი“ და „შორი თეთრი მწვერვალი“ მოზარდის ცხოვრების ყველაზე აქტიურ ფაზასა და სივრცეს ასახავს - ესაა მოწაფეობა, სკოლა, საკლასო ოთახი, სადაც მასწავლებელი ხშირად მთავარ როლშია. ის, სწავლებასთან ერთად, აღმზრდელობით გავლენას ახდენს მოზარდზე. ორივე მოთხრობაში ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულებებია წარმოჩენილი.

„დამრიგებელში“ მასწავლებელი მოსწავლის უხერხულობას ბავშვის სახეზე კითხულობს და ცდილობს მძიმე ეკონომიური მდგომარეობით გამოწვეული ემოციური განცდა გაუადვილოს. მოთხრობაში „შორი თეთრი მწვერვალი“, პირიქით - მასწავლებლის

უფულო, ფლეგმატური დამოკიდებულება მოზარდის ტრავმირებას იწვევს. „დამრიგებელში“ რევაზ ინანიშვილი მიგვანიშნებს პატარების როლზე ჩვენს ცხოვრებაში. ისინი ჩვენი თვალთახედვის საზღვრებს აფართოებენ და სამყაროს განსხვავებულად აღქმაში გვებმარებიან, ხოლო ნაწარმოებში „შორი თეთრი მწვერვალი“ მწერალი ყმაწვილისადმი უფროსის იმგვარ დამოკიდებულებას გვიჩვენებს. რომელმაც შესაძლოა დააზიანოს მოზარდის ფსიქიკა. ორივე ტექსტში ხაზგასმულია დამრიგებლისა და, ზოგადად, მასწავლებლის, მნიშვნელოვანი როლი - ის ზოგჯერ ავად, ზოგჯერ კი სასარგებლოდ ვლინდება მოზარდის ღირებულებების ფორმირების პროცესში. „დამრიგებელში“ მწერალი სიფრთხილით მიანიშნებს მკითხველს, თუ როგორ შეიძლება მოზარდი უნებურად, უფროსების უყურადღებობით, სრულიად დაუცველ გარემოში აღმოჩნდეს.

ავტორი რეტროსპექტულად გადმოგვცემს განცდილ ამბავს, მართალია, მოქმედების სივრცე მცირეა, მაგრამ განმცდელის სულიერი სივრცეა იმდენად ფართო, რომ გავრცობის საჭიროება აღარ არის. ნაწარმოებში „შორი თეთრი მწვერვალი“ მწერალი ამბავს მესამე პირში მოგვითხრობს. მოთხრობის გმირებს სახელებიც კი არ აქვთ. არ აქვს სახელი მთავარ პერსონაჟ ბიჭს, რომელიც შემთხვევით, თითქოს სრულიად არსაიდან შემოდის თხრობაში. ბიჭი არავის ჰგავს და მაინც ყველასთვის ახლობელია. დავადგინეთ, რომ სოციუმიდან ამოვარდნა, არატიპურობა ზოგადად ახასიათებთ რეზო ინანიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის პერსონაჟებს. ამ კონტექსტში მაგალითად მოვიყვანეთ 10-11 წლის გოგონა მოთხრობიდან „მირანდუხტ“, რომელიც გამოკვეთილი ინდივიდუალიზმითა და ადამიანების მიმართ ხისტით, თავისი სახელივით მკაცრი დამოკიდებულებით გამოირჩევა.

ქვეთავში განვიხილეთ ინანიშვილის მოთხრობა „ჩიტების გამომზამთრებელიც“, სადაც ჩნდება მოზარდის უაღრესად საინტერესო სახე. რატომ ვერ ახერხებს ბიჭი, მშობლების სიტყვებით რომ ვთქვათ, „გამოსწორებას“, რატომ არ ესმით უახლოეს ადამიანებს შვილის, რატომ ვერ ხედავენ მის მისწრაფებებს, სურვილებს, ოცნებებს და თუნდაც ნიჭს? კვლევისას გამოიკვეთა, რომ პასუხზე მეტს კითხვას ტოვებს ინანიშვილის ტექსტი.

ჩვენი დაკვირვებით, „ჩიტების გამომზამთრებელში“ გადმოცემული ამბის განზოგადებაც თავისუფლად შეიძლება - მწერალი სწავლებისა და აღზრდის საბჭოთა პრინციპების კრიტიკით სისტემასაც აკრიტიკებს. როგორც ამ ეპოქის არაერთი ქართველი

მწერლის შემოქმედებაში, რეზო ინანიშვილთანაც, ანტისაბჭოთა განწყობები შეფარულად, ქვეტექსტურად არის გადმოცემული.

ჯემალ ქარჩხაძე იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ნაწარმოებებიც სკოლებში ისწავლება და სავსებით მიზანშეწონილიადაც. საკვლევად შევარჩიეთ მწერლის სადებიუტო მოთხრობა „სასწაული“, რომელიც, მართალია, სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ტექსტი არ არის, მაგრამ ნათლად წარმოაჩენს მოზარდის ემოციურ მდგომარეობას სწავლების პროცესში. ჩვენ მიერ წარმოებული კვლევის თანახმად, მოთხრობას აქვს ყველა კრიტერიუმი, რაც აღმზრდელობითი და შთამაგონებელი ხასიათის ლიტერატურულ ნაწარმოებს სჭირდება.

მოთხრობაში ბიჭი შემთხვევითი სიკვდილისგან გადაარჩენს მასწავლებელს. ნაწარმოებში ფაქტობრივად, ბიჭის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს ვაკვირდებით - სწორედ აქ და სწორედ ახლა იბადება 13 წლის მოზარდში პიროვნება, რადგან ის გადააფასებს განვლილსა და დანახულს და სწავლობს მოვლენების განსხვავებულად აღქმას.

ჩვენი დაკვირვებით, ავტორი ამ კონკრეტულ მოთხრობაში (ზოგადად, თავის ნაწარმოებებში) ეხება ცხოვრებისეულ ლოგიკას, არჩევანის თავისუფლების პასუხისმგებლობას და, ზემოთქმულის საილუსტრაციოდ, ხშირად დიქტომიებსა და კონტრასტულობას იყენებს, რათა ფილოსოფიურ, ყოფით თუ მისტიკურ საკითხებში ჩაღრმავება უფრო მარტივად მოხერხდეს. აღსანიშნავია, რომ ამ ხერხს ავტორი არა მხოლოდ „სასწაულში“, არამედ სხვა ნაწარმოებებშიც მიმართავს. მოწაფეცა და მასწავლებელიც სასწაულს ელიან, რადგან სასწაული თუ გადაარჩენთ (აქ მხოლოდ მოზარდი არ ელის სასწაულს, ეს სათაური ორივე პერსონაჟს მიემართება). ბოლოს ის, მართლაც, ხდება, სასწაულის ძალით გადაურჩება ერთი საშემოდგომო გამოცდასა და მეორე - სიკვდილს; სასწაულის, რომელიც მათ ცხოვრებას, განსაკუთრებით კი, მოზარდისას, რადიკალურად ცვლის.

ქვეთავში განხილულია საბჭოთა სკოლის მოდელი გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „ლუკას სახარების“ მიხედვით. ჩვენი დაკვირვებით, მწერალმა გააზრებულად აირჩია ოთხი სახარებიდან მაინც და მაინც „ლუკას სახარება“ და პერსონაჟსაც მახარებლის სახელი უწოდა. ეს არც იყო გასაკვირი იმდენად, რამდენადაც თავად მწერლის შინაგანი სამყაროა დიქტომიური: წარმართულ-ქრისტიანული, მიწიერიც და მისტიკურიც, ამოუცნობიც და

ნაცნობიც, მარტივიცა და რთულიც. წინააღმდეგობრივი ბუნება კი შენივთდა და განსხვულდა მის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებშიც. გოდერძი ჩოხელის მოზარდები, განსაკუთრებით, ამ მოთხრობაში, ერთნაირები არ არიან; აქ ვხედავთ ლუკას, რომელიც სათუთად ინახავს მამის დანატოვარ განძს. მას სიყვარულის, ხსოვნისა და პატივისცემის უნარი აქვს. ვხედავთ მის თანატოლს, უფროსკლასელ აფციაურს, რომელსაც დირექტორი ლუკას გაროზგვას ავალებს.

მოთხრობა ეფუძნება მწერლის ბიოგრაფიულ პასაჟებს, მასში ვლინდება ეპოქისეული განათლების სისტემის დამოკიდებულება რელიგიური გრძნობებისადმი. „ლუკას სახარება“ გოდერძი ჩოხელის რჩეულ თხზულებათა რიცხვს მიეკუთვნება, მოთხრობაში გადმოცემული ამბავი გაიელვებს რომანში „წითელი მგელიც“, რომელშიც მთავარი პერსონაჟი ლუკა იხსენებს ბავშვობისდროინდელ ამბავს, აქაც ისეთივე სკოლაა და დირექტორი, როგორც მოთხრობაში.

დავასკვნით, რომ დირექტორის არაადამიანური სიმკაცრეც აღზრდის მეთოდი კი არა, პარტიული დავალების შესრულებაა - ზოგადად, სამაგალითო დასჯა ძალადობრივი რეჟიმის შემადგენელი ნაწილია და მასების საყოველთაო დამორჩილებას ემსახურება.

სადისერტაციო ნაშრომის III თავმა - *მოზარდთა ფსიქოტიპ(ებ)ი პოსტმოდერნისტულ ტექსტში* გააერთიანა ოთხი ქვეთავი: 3.1. კონცეპტები „პირველი სიყვარული“ და „ზრდა“ ნაირა გელაშვილის რომანში „მე ის ვარ;“ 3.2. მოზარდის სახე ლაშა ბუღაძის პოსტმოდერნისტულ მინირომანში „ბოლო ზარი;“ 3.3. მოზარდი და ოჯახი (თამარ გეგეშიძის „საშლელები“, ანა კორძაია-სამადაშვილის „გიმნაზისტკა“); 3.4. მოზარდი და „ომის ტრავმა“ (ნუგზარ შატაძის „მოგზაურობა აფრიკაში“, თამთა მელაშვილის „გათვლა“), ეს უკანასკნელი ორ პარაგრაფად წარმოვადგინეთ: 3.4.1. ნუგზარ შატაძის „მოგზაურობა აფრიკაში,“ 3.4.2. თამთა მელაშვილის „გათვლა.“

წინამდებარე თავშიც (ისევე, როგორც საკვალიფიკაციო ნაშრომისა პირველსა და მეორე პასაჟში) ყურადღებას ვამახვილებთ, არა საკუთრივ საბავშვო ლიტერატურაზე, არამედ - ლიტერატურაზე ბავშვებისა და მოზარდების შესახებ; ტექსტებზე, რომელთა მხატვრული ღირსება, უდავოდ, მაღალია. აღვნიშნეთ, რომ ისევე, როგორც მსოფლიო მწერლობა, ქართული ლიტერატურაც ეხება თანამედროვე პოლიტიკურ-სოციალურ საკითხებს, რომლებსაც მოზარდები აწყდებიან და რაც მოიცავს თაობათა შორის სხვაობის, ურბანიზაციის, ტექნოლოგიების სოციალურ ურთიერთობებზე გავლენის,

საგანმანათლებლო ზეწოლის, ტრადიციულ ღირებულებებსა და გლობალიზაციის თანმდევი გამოწვევების, კონფლიქტის თემებს. მოზარდის თემა ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული რაკურსით, ძირითადად, გასული საუკუნიდან ჩნდება და განსაკუთრებულსავე ადგილს საუკუნის მიწურულს იჭერს, მაშინ, როდესაც პოსტმოდერნიზმი საბოლოოდ განიმტკიცებს პოზიციებს, ავტორები ახალი თემებისა და ფორმების ძიებით არიან დაკავებული.

მესამე თავის შესავალში მიმოვიხილეთ პოსტმოდერნიზმის განვითარების მთავარი ტენდენციები ქართულ ლიტერატურაში. დავასკვნით, რომ მოზარდისადმი, მისი სულიერი სამყაროსადმი, ინტერესით გამოირჩევიან პოსტმოდერნიზმის ეპოქის ცნობილი ქართველი მწერლებიც. ქვეთავში განვიხილეთ ნაირა გელაშვილის 2013 წელს გამოცემული მინირომანი „მე ის ვარ (ძველებური ამბავი მოზარდებისათვის)“ კონცეპტების - „პირველი სიყვარული“ და „ზრდა“ - კონტექსტში. წიგნში ასახულია სიყვარულის ამბავი, რომელიც მთავარი პერსონაჟის, ცამეტი წლის გოგონას, ნიას, მოზარდობის დროინდელ თავგადასავალს ირეკლავს.

ცამეტი წელი ის ასაკია, როდესაც თინეიჯერობა იწყება (thirteen), სხეული იცვლება, გარემოსთან ადაპტაცია უფრო და უფრო რთულდება, უამრავი კითხვის ფონზე ცივდება, ჩიხში შედის ან საერთოდ წყდება ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის, რაც ცხოვრების ამ გარდაუვალ მომენტს კიდევ უფრო რთულს, მაგრამ, იმავდროულად, საინტერესოს ხდის - სწორედ ამ პერიოდს ასახავს მწერალი აღნიშნულ ნაწარმოებში. დიდი სიმძაფრითა და სიზუსტითაა ასახული ცამეტი წლის გოგონას შინაგანი მდგომარეობა, განცდები და დაკვირვებები.

დავასკვნით, რომ მოზარდის სახის წარმომჩენ მხატვრულ ტექსტებში თავისთავად ხდება აღზრდის კონცეპტების რეპრეზენტაციაც. ეს პარადიგმები ერთმანეთის გარეშე, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია და ამას არაერთი ნაწარმოები ადასტურებს. ეს კავშირი მკაფიოდ წარმოჩინდება რომანში „მე ის ვარ“, სადაც ავტორი ხაზგასმულად წარმოაჩენს, როგორ შეუძლია მასწავლებელს, ასევე მშობელს (ზოგადად, აღმზრდელს) ჰქონდეს ღრმა გავლენა მოზარდების მორალურ და ინტელექტუალურ განვითარებაზე. ნაირა გელაშვილის რომანში პედაგოგს მხოლოდ კონკრეტული საგნის სწავლება კი არ ევალება, არამედ - პიროვნების ჩამოყალიბებაც, მასწავლებელი განსაზღვრავს არა მხოლოდ მოსწავლის მსოფლალქმას, არამედ - ემოციურ განწყობასაც.

დაგვჭირდა პარალელის გავლება ამერიკელი მწერლის, ჰარპერ ლის (1926-2016) საკულტო რომანთან „ნუ მოკლავ ჯაფარას“, რომელშიც მშობელი-მასწავლებლის პერსონაჟი, ატიკუსი, ფაქტობრივად, სკაუტისა და ჯეიმისათვის არა მხოლოდ მამაა, მშობელია, არამედ - მასწავლებელიც, აღმზრდელიც, რომელსაც შვილების მორალურ-ემოციური აღზრდაც აქვს საკუთარ თავზე აღებული და წარმატებულადაც უმკლავდება ამ ამოცანას, ნაირა გელაშვილის რომანის პერსონაჟის, ცამეტი წლის ნიას, მშობლებისგან და მასწავლებლისგან განსხვავებით.

დავადგინეთ, რომ ნაირა გელაშვილის მოზარდი პერსონაჟები განსაკუთრებული მგრძნობელობით, ემოციურობით, რეფლექსიითა და თვითრეფლექსიით გამოირჩევიან. ისინი ადრეული ასაკიდანვე ცდილობენ საზოგადოებრვ გამოწვევებთან გამკლავებას, ბრძოლას სტერეოტიპებთან და საკუთარი იდენტობის, განსაკუთრებულობის შენარჩუნებას. ასეა „სარკის ნატეხებში“, „სერსოში“, ასეა მწერლის მთელ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ნაირა გელაშვილის პერსონაჟები უადვილებენ მოზარდს პრობლემასთან, ასაკობრივ სირთულეებთან გამკლავებას. მწერალმა კარგად იცის, რომ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან და ამ პერიოდში მიღებული სულიერი ტკივილებიდან, შთაბეჭდილებებიდან, ღირებულებებიდან მოვდივართ, ამიტომაც ცხოვრების ამ პერიოდზე განსაკუთრებული სიწრფელითა და სიღრმით წერს.

სადისერტაციო თემის კვლევის ფარგლებში არჩევანი ლაშა ბუღაძის „ბოლო ზარზეც“ შევაჩერეთ, რომელიც პოსტმოდერნისტული პერსპექტივიდან გავანალიზეთ. „ბოლო ზარში“ წარმოჩენილია თბილისის ერთ-ერთი პრესტიჟული სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა ცხოვრება. აღსანიშნავია, რომ ლაშა ბუღაძე იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ყოველგვარ ბარიერს ანგრევენ და თამამად გამოხატავენ სუბიექტურ აზრს, თუნდაც ისეთ ტრადიციულ საკითხებზე, რომლებსაც მანამდე კრიტიკულად არავინ შეხებია. სათაური „ბოლო ზარი“ კონცეპტუალური, ახალი გზის დაწყების მაუწყებელია, მაგრამ გზაცა და რეალობაც ბუნდოვანია.

გამოიკვეთა, რომ „ბოლო ზარში“ ავტორი კი არ აფასებს მოვლენებს, არამედ ამბავს გვიყვება, ოღონდ ამას ისე ახერხებს, რომ მის სკეპტიციზმს იოლად ამოვიკითხავთ, რომანში როგორც რელიგიური, ასევე სოციალური და კულტურული თემების პაროდირებასაც ვხვდებით. ჩვენი აღმოჩენით, ეს უფრო პასტიშია, ვიდრე პაროდია. მწერალმა „ბოლო ზარი“ თანადროული რეალობის გათვალისწინებით დაწერა. ჯოჯოხეთურ ყოფას, ბუნებრივია,

„დავარცხნილი“, მოხდენილი მხატვრული სტილი, ენა არ მოუხდებოდა, ამიტომაც საუბრობენ ლაშა ბუღაძის პერსონაჟები სპეციფიკური სლენგით, რაც ესთეტიკურ ღირებულებებზე აღზრდილ მკითხველს, ერთგვარად, აშორებს ამ ტექსტისგან, თუმცა XXI საუკუნის პირველმა ოცწლეულმა დაამტკიცა, რომ ამგვარ ნარატივს არაერთი სხვა ახალგაზრდა ავტორიც სთავაზობს მკითხველს.

წიგნი ეპოქის სულისკვეთებას გამოხატავს, იმ ეკლექტიურობას, დაბნეულობას, გაურკვეველობას, ქაოტურობას, მენტალურ და ეკონომიკურ გაჭირვებას, ღირებულებათა სისტემის ჩამოშლას, რამაც იმდენად ღრმად დატოვა კვალი, რომ სასკოლო ცხოვრებას დღემდე ატყვია.

აღნიშნულ ქვეთავში განვიხილეთ მოზარდისა და ოჯახის მიმართება ანა კორძაია-სამადაშვილისა და თამარ გეგეშიძის ტექსტებზე დაყრდნობით. დავადგინეთ, თუ სადმე აქვს სიმბოლური დატვირთვა მოზარდის ფენომენს, განსაკუთრებით იმ კონტექსტში, სადაც ოჯახი არა მხოლოდ ტრადიციული შინაარსის ფენომენადაა წარმოდგენილი, არამედ მნიშვნელოვანი კონცეპტის სახეც აქვს. ეს კონცეპტი შესაძლოა იყოს, ზოგადად, ძველი თაობა, სისტემა ან რაიმე ინსტიტუცია, რომელიც კვდება, დროს ეწირება, ხოლო მოზარდი ამ კონცეპტის ოპონენტად, ანტაგონისტადაა წარმოდგენილი, ის ამარცხებს ან ცვლის მას.

ოჯახი მნიშვნელოვანი თემაა მოზარდისა და მისი განვითარებისთვის, ის განსაზღვრავს მოზარდის სამომავლო პიროვნებასაც, განსაკუთრებით ისეთ ტრადიციულ კულტურებში, როგორც ქართულია, შესაბამისად, ლიტერატურა ოჯახის (როგორც, მინიმუმ, თემის) იგნორირებას არ და ვერ ახერხებს. ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი ტექსტია „გიმნაზისტკა“, რომელიც ეხება მოზარდების გამოცდილებებსა და გამოწვევებს და, ამავდროულად, წარმოაჩენს აღზრდის კულტურულ და სოციალურ ელემენტებს, რაც საკმაოდ რელევანტურია თანამედროვე სამყაროში.

კვლევის თანახმად წარმოჩინდა, რომ სრული სიზუსტით გადმოცემული ცამეტი წლის მოზარდის ემოციური მდგომარეობა და ის ოჯახური ამბავი, ნებისმიერ გოგონას შეიძლება გადახდენოდა XX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში. ტექსტში ასახული ის ზეწოლა, რასაც ოჯახი (ამ შემთხვევაში, მკაცრი დედა და გულგრილი მამა - ისევე, როგორც რევაზ ინანიშვილის მოთხრობაში „ჩიტების გამომზამთრებელი“) მოზარდზე ახდენს, გადმოცემულია ძლიერი ემოციური პასაჟებით; ამასთან, ხაზგასმულია სოციალური უთანასწორობაც, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციაც, ეს მწვავე სოციალური

საკითხები ყველაზე უკეთ ჩანს მაშინ, როდესაც მკითხველი მოზარდთან ერთად აღმოაჩენს, რომ შურას (გოგონას ძიძა, დიასახლისი) უფლებები ოჯახში შეზღუდული აქვს. ამ პასაჟის ანალიზისას დავადგინეთ, რომ „გიმნაზისტკაში“ შურას ქმედებები, რომელიც გოგონას დედის აღზრდის მეთოდს ეწინააღმდეგება, გამოხატავს ავტორის პოზიციას.

„საშუალებები“ - ასე ჰქვია თამარ გეგეშიძის წიგნს, რომელიც ჩვენი კვლევის ობიექტი გახდა. წიგნმა განსაკუთრებით მოზარდი მკითხველი მოხიბლა. ტექსტი უკვე არის სკოლის კლასგარეშე საკითხავთა სიაში. „საშუალებები“ გვიყვება ამბავს ცამეტი წლის ანას ცხოვრებაზე, რომელიც, ძირითადად, ოჯახსა და სკოლასთან არის დაკავშირებული: აქ ცალ-ცალკე ცხოვრობენ ოჯახის წევრები. ერთად არიან, მაგრამ საერთო არაფერი აქვთ.

„საშუალებების“ მთავარ პერსონაჟს ოჯახთან, სკოლასთან, სამეგობროსთან პრობლემები და პროტესტ(ებ)ი აქვს, რასაც ასაკიც განაპირობებს. ავტორი ამ პროცესს სრული სიზუსტით წარმოაჩენს და ეჭვიც კი არ გვეპარება, რომ მოზარდი გოგოს დღიურებს ვკითხულობთ. საინტერესოა, როგორ ასახავს გადაღლილი დედისა და გულგრილი მამის სახეს თამარ გეგეშიძე, განსაკუთრებით, მამის, რომელიც სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი, სხვა ნაწარმოებების პერსონაჟი მამების მსგავსად, გამოირჩევა გულგრილობით, მაგრამ განსხვავებულია თავისი უदारდელობით.

დავადგინეთ, რომ ქართველი ავტორების მიერ დახატული დედები, ზოგადად, როგორც წესი, ჰიპერმზრუნველობით გამოირჩევიან, რაც შვილისადმი ზრუნვის რუტინასთან განშორების, „ჭიპლარის გადაჭრის“ სიმნელეშიც ჩანს. ამგვარი დედის სახეს ისეთ კლასიკურ ტექსტშიც ვხვდებით, როგორცაა ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“. „გიმნაზისტკაში“ პირიქითაა, დედის პერსონაჟი თავისი ჰიპერინდიფერენტულობით ვლინდება და სწორედ ეს ხდება ავტორის დაკვირვების საგანი.

მოზარდებსა და მათთვის შექმნილმა თანამედროვე ქართულმა ტექსტებმა დაგვარწმუნა, რომ ჩამოუყალიბებული აღზრდის კონცეპტების, მუდამ ცვლადი პარადიგმების, განათლების გაუთავებელი რეფორმების ოცდაათწლიან პროცესში, მწერლები საკუთარ გამოცდილებას, ცხოვრებისეულ მიდგომებს გვთავაზობენ, რაც სავსებით ბუნებრივია. ქაოტური ვითარება ტექსტებშიც ასევე აისახება. მოზარდის სახე ძალიან საინტერესოდ, ღრმად და სხვადასხვა რაკურსშია წარმოდგენილი, მაგრამ ამ მხრივ კვლევები, მეცნიერული დისკურსი, რასაკვირველია, კიდევ უნდა გაგრძელდეს.

პასაჟის დასასრულს, ერთგვარი ექსკურსის სახით, წარმოვაჩინეთ მოზარდის ფსოქოტიპის რეცეფცია უცხოურ ნარატივში. შევარჩიეთ ოთხი ნაწარმოები, რომლებიც მოზარდის სულიერების რეფლექსირებით გამოირჩევა: ჯერომ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“, უილიამ გოლდინგის „ბუზთა ბატონი“, ლინდა მალალი ჰანთის „თევზი ხეზე“ და დანიელ პენაკის „სკოლის სევდა.“ რომანები არსებითად განსხვავდება, როგორც სტილისტურად, ასევე - ჟანრობრივად, მაგალითად, „თამაში ჭვავის ყანაში“ არის კლასიკური ლიტერატურული რომანი, სადაც ამბავი ნიუ-იორკში ვითარდება თექვსმეტი წლის „ახირებული“ (საზოგადოების აღქმით) ბიჭის გარშემო, „ბუზთა ბატონი“ დისტოპიაა, რომელშიც მოქმედება მიმდინარეობს უკაცრიელ კუნძულზე, სადაც მოზარდების ჯგუფი სოციალური მოდელის შენების პროცესში ტრაგიკულ თავგადასავლში ეხვევა, „თევზი ხეზე“ თანამედროვე ბესტსელერია, რომელიც ისეთ მნიშვნელოვან საკითხს ეხება, როგორებიცაა შეზღუდული შესაძლებლობი და მის გარშემო არსებული დისკუსია სასკოლო სივრცეში, ხოლო 1944 წელს დაბადებული ფრანგი მწერლის დანიელ პენაკის „სკოლის სევდაში“ ავტორი დრომოქმულ სტერეოტიპებად ჩამოყალიბებულ აღზრდის კონცეპტებსა და თეორიებს ებრძვის. ეს ტექსტები უცხოური ლიტერატურის საკვლევი კონტექსტის მრავალფეროვნების სადემონსტრაციო დაგვჭირდა.

საკვალიფიკაციო ნაშრომის ბოლო პასაჟში განვიხილეთ მოზარდის ფენომენი თანამედროვე ქართული „ომის პროზის“ კონტექსტში, ნუგზარ შატაიძის მოთხრობის „მოგზაურობა აფრიკაში“ და თამთა მელაშვილის მცირე რომანის „გათვლის“ მაგალითებზე. ნაწარმოებების დეტალურ კვლევამდე პარაგრაფს წავუძმღვარეთ შესავალი, რომელშიც გაანალიზებულია ომის ფენომენის გავლენა მოზარდზე და შემდეგ მისი ასახვა ლიტერატურაში, უცხოური ნაწარმოებების დამოწმებით. ნარატივის გასაძლიერებლად, შედარებისათვის გამოვიყენეთ ყველასთვის ცნობილი „ანე ფრანკის დღიური“ და ავსტრალიელი მწერლის, მარკუს ზუსაკის (დაიბადა 1970) 2005 წელს გამოცემული გახმაურებული წიგნი „წიგნის ქურდი“, რომელშიც მოქმედება ნაცისტურ გერმანიაში, მეორე მსოფლიო ომის დროს მიმდინარეობს. დავადგინეთ, რომ ომის შესახებ შექმნილ ლიტერატურაში წარმოჩენილია თინეიჯერი პერსონაჟი, რომელსაც სასტიკი რეალობა აიძულებს დაუპირისპირდეს სამყაროს, აღარ იყოს გულუბრყვილო და, რაც მთავარია, აღარ იყოს ბავშვი. მაგალითისთვის გამოვიყენეთ ამერიკელი რომანისტის, ტიმ ო'ბრაიენის (დაიბადა 1946 წელს) 1990 წელს გამოცემული ნახევრადბიოგრაფიული მოთხრობების

კრებული „რასაც თან დაათრევდნენ“, რომელშიც აღნიშნული თემის რეპრეზენტაცია ვიეტნამის ომში მონაწილე თინეიჯერი ჯარისკაცების დახატვით ხდება. ომი არღვევს ადამიანის არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ - ემოციურ მდგომარეობასაც. ე.წ. „ომის ლიტერატურის“ მოზარდი პერსონაჟები ხშირად იწყებენ იდენტობის ფორმირებას კონფლიქტის ფონზე, თავად იგონებენ სირთულეების დამლევის მექანიზმებს. ზემოთქმულის გასაძლიერებლად გამოვიყენეთ მაგალითი - პულიტცერის პრემიის მფლობელი, ამერიკელი მწერლის, ენტონი დოერის (1973) 2014 წელს გამოცემული რომანში „ნათელი, რომელსაც ვერ ვხედავთ“ მოქმედება მეორე მსოფლიო ომის დროს ვითარდება, ორი მოზარდის - ბრმა გოგონა მარი-ლორასა და ობოლი გენიოსი ბიჭის, ვერნერის ირგვლივ. პოსტტრავმული სტრესული აშლილობის წარმოსაჩენად დავიმოწმეთ ავღანური წარმოშობის ამერიკელი მწერლის, ხალედ ჰოსეინის (1965) 2003 წელს გამოცემული ნაწარმოები „ფრანით მორბენალი“. წიგნი, უპირველეს ყოვლისა, მთავარი პერსონაჟის, ამირის ცხოვრებას წარმოგვიდგენს ბავშვობიდან სრულწლოვანებამდე. ეს მაგალითები ადასტურებს, რამდენად აქტუალურია ომის დისკურსი უცხოურ მწერლობაში.

კვლევისას დადგინდა, რომ ომი არც ქართული ლიტერატურისთვისაა უცხო თემა, მით უფრო, ბოლო პერიოდში, უკანასკნელ ათწლეულებში, როდესაც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ოცდაათი წლის განმავლობაში საზოგადოებას არაერთი ომისა და კონფლიქტის გადატანა მოუხდა.

ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“ ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამაშია შეტანილი. რომანის მიხედვითაც 2009 წელს (მწერლის გარდაცვალების წელს), გიორგი ოვაშვილის რეჟისორობით გამოვიდა პოპულარული ფილმი „გაღმა ნაპირი“, რომელსაც ამავე მწერლის სხვა მოთხრობის სათაური აქვს.

მიუხედავად ემოციური პერიპეტეიებისა და თხრობის არათანმიმდევრულობისა, ნაწარმოებში ყველაფერი რეალური, ხელშესახები და ცხადია, უფრო მეტიც - ნაცნობიც კი, ამ ეფექტს გეოგრაფიული ადგილებისა და პერიოდის დასახელება იძლევა; ასევე, სახელები, რომლებითაც პერსონაჟები ერთმანეთს მიმართავენ და ის მეტყველება, ჟარგონული ლექსიკა, რასაც სასაუბროდ იყენებენ. რომანის მთავარი პერსონაჟი აფხაზეთში მამასთან წასვლის გადაწყვეტილებას სპონტანურად იღებს. აფხაზეთში დაბრუნებით კი, უეცრად ომის კომმარულ სინამდვილეში ბრუნდება, ბავშვობის სათამაშოს, დათუნია გერასიმეს

ხელი არ აქვს, რაც დამახინჯებული ბავშვობის, ცნობიერებისა და დანაწევრებული ქვეყნის სიმბოლოა. ბავშვობადაკარგული მოზარდი თბილისის სარდაფ-სახლში ბრუნდება. სცივა, ამიტომ ზმანებაში მიდის. პერსონაჟის ბოლო ტრაგიკულია. დავასკვნით, რომ ომი და მისი შედეგი ყველაზე მეტად ბავშვს, მოზარდს ანადგურებს, რომელსაც ტრავმული მეხსიერება სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება, თუ, რა თქმა უნდა, ეს ცხოვრება ხანმოკლე არ აღმოჩნდება.

თამთა მელაშვილის „გათვლაში“ ნაჩვენებია ამბავი ორი ცამეტი წლის მოზარდი გოგონასი, რომლებიც ომის დროს ორ ქვეყანას შორის არსებულ საზღვრისპირა დასახლებაში ცხოვრობენ, გაყინული კონფლიქტისა და ოკუპაციის პირობებში. ამბავი გოგონების ცხოვრების სამ დღეს და იმ გარემოს წარმოაჩენს, სადაც მათ ბრძოლა უწევთ ძალადობის, შიშისა და სიკვდილის წინააღმდეგ. აშკარაა, რომ ამბავი ომის დროს ხდება, თუმცა არ არის დაკონკრეტებული, რომელი ომია, სად ან როდის ხდება მოქმედება; ავტორის ამოცანა არ იყო მოეყოლა ამბავი კონკრეტულ ომსა და მის შედეგებზე, რადგან ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

ჩვენი დაკვირვებით მოზარდი პერსონაჟების მეტყველება დეტერმინირებული და დანაწევრებულია, ისევე, როგორც მათ ფსიქო-სომატური სამყარო. ტექსტი სავსეა გამიზნული გრამატიკული შეცდომებით, ავტორი დამახინჯებული მეტყველებით გადმოგვცემს იმ სიცხადეს, რასაც ცამეტი წლის გოგონები შეიძლება გრძნობდნენ ომის პირობებში. კვლევისას გამოიკვეთა, რომ ნაწარმოები ქალი პერსონაჟების ირგვლივ ტრიალებს, შესაბამისად ავტორის დაკვირვების ობიექტსაც ისინი წარმოადგენენ. თამთა მელაშვილის მომდევნო რომანებში აშკარად გამოიკვეთა ფემინური განწყობები.

საბოლოოდ დადგინდა, რომ ომის ლიტერატურის თინეიჯერი გმირები ხდებიან ემპათიისა და ინტროსპექციის ერთგვარი გამტარები, რაც, ფაქტობრივად, აიძულებს მკითხველს დაფიქრდეს ომის საშინელებაზე. თინეიჯერობის პერიოდი, მოზარდობის ხანა, რომელიც ბავშვობის დასრულებას უკავშირდება, რთული პროცესია, ტრავმის შემცველია, ზოგადად. კიდევ უფრო მძაფრდება ეს პროცესი ომში, რომელიც ადამიანის ყველაზე ცუდ თვისებებს, ნეგატიურ მხარეებს წარმოაჩენს, ამკვეთრებს. ომი ორივე ტექსტში პერსონაჟთა უცაბედი, მოულოდნელი, ნაადრევი, ასწრაფებული გაზრდის მიზეზია. ტრაგიკული კონტექსტი, ექსტრემალური სიტუაცია მოზარდებზე ყველაზე მეტად ზემოქმედებს, რაც

ნუგზარ შატაიძესაც და თამთა მელაშვილსაც სრულიად გააზრებულად, მაგრამ განსხვავებულად მიაქვთ მკითხველამდე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე ნოდარ, „ქართული პედაგოგიკის ისტორია“, თბ., 2013;
2. ბენაშვილი გურამ, „ცხოვრება - დუღილით სავსე“, ჟ. „კრიტიკა“, თბ., 1977, N2;
3. ბერძენიშვილი ნიკო, „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, მასალების კრებული I, თბ., 1937, „პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოცემა“, 254 გვერდი;
4. ბეჟიშვილი თედო, „სიყვარულით მოწეული გაზაფხული“ ჟ. „ცისკარი“, თბ., 1979. N8;
5. ბიბლია, თბ., 1989, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1216 გვერდი;
6. ბორხესი ხორხე ლუის, „შვიდი საღამო“, თბ., 2015, გამომცემლობა „ინტელექტი“, 162 გვერდი;
7. ბრეგაძე კოსტანტინე, „მოდერნი და მოდერნიზმი“, თბ., 2018, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 320 გვერდი;
8. ბულაძე ლაშა, „ბოლო ზარი“, თბ., 20018, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 192 გვერდი;
9. გაფრინდაშვილი ნანა, მირესაშვილი მარიამ, - „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, 2011, გვერდი 181;
10. გაფრინდაშვილი ნანა, მირესაშვილი მარიამ, წერეთელი ნინო - „იმაგოლოგია: კულტურათა დიალოგის თავისებურებანი“ – (პოსტკოლონიური ქართული ლიტერატურის მაგალითზე), თბ., 2018, გამომცემლობა „მერიდიანი“, 307 გვერდი;
11. გეგეშიძე თამარ, „საშლელეები“, თბ., 2019, გამომცემლობა „ინტელექტი“, 200 გვერდი;
12. გელაშვილი ნაირა, „მე ის ვარ“, თბ., 2020, გამომცემლობა „ALONI“, 126 გვერდი;
13. გვერწითელი გურამ, „ნოდარ დუმბაძე“, თბ., 2005, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 511 გვერდი;
14. გიორგობიანი ნათელა „სიკეთით განათებული ქვეყანა“, გაზეთი „დროშა“, თბ., 1980, N4;
15. დათაშილი ლალი, „რევაზ ინანიშვილი“, ქართველი მწერლები სკოლაში, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2010, 292 გვერდი;
16. დვალისხვილი ლუკა, „აპოკალიფსური ბოლო ზარის ექო ლაშა ბულაძის რომანში „ბოლო ზარი“, ჟ. „ენა და კულტურა“, ქუთაისი, 2010, 261 გვერდი;
17. დიდიშვილი ანი, გაზეთი „ლიტერატურული გაზეთი“ N18 (298) 1 - 14 ოქტომბერი, 2021, 16 გვერდი;

18. დუმბაძე ნოდარ, „ნოდარ დუმბაძე“ - პროზა I, ტომი, თბ., 2011, გამომცემლობა „პალიტრა L“, 352 გვერდი;
19. ვასაძე თამაზ, „მეთერთმეტე მცნება“, თბ., 1981, 11 სექტემბერი, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“;
20. თემისტიოსი, „გეორგიკა“ – „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, ტ. I, თბ., 1961 „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, გვ. 45-58;
21. თოფურია აკაკი, „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდისა“, თბ., 1991, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 445 გვერდი;
22. იათაშვილი შოთა, წინასიტყვაობა, გვ. 5-7, „შიშის საათი“, თანამედროვე ქართული „ომის პროზა“, თბ., 2021, გამომცემლობა „პალიტრა L“, 363 გვერდი;
23. იარაჯული ლალი, „სამყაროს მხატვრულ-ესთეტიკური საზრისი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“, თელავი, 2017, 172 გვერდი (სადისერტაციო ნაშრომი);
24. ივანოვი ალექსანდე, „სახელმძღვანელო ახალი აღთქმის წმიდა წიგნთა შესასწავლად“, წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარიის გამოცემა, თბ., 2022, გამომცემლობა „მერიდიანი“, 1276 გვერდი;
25. ინანიშვილი რევაზ, „რჩეული მოთხრობები“, თბ., 2016, გამომცემლობა „ელფის გამომცემლობა“, 363 გვერდი;
26. ინანიშვილი რევაზ, „სამაგიდო რვეულებიდან“, თბ., 2001, გამომცემლობა „საარი“, 119 გვერდი;
27. ინანიშვილი რევაზ, „შორი თეთრი მწვერვალი“ - მოთხრობების კრებული, ტომი 3, თბ., 2012, გამომცემლობა „პალიტრა L“, 284 გვერდი;
28. ინანიშვილი რევაზ, „ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან“ ტომი 6, თბ., 2012, გამომცემლობა „პალიტრა“, ,2012, 408 გვერდი;
29. ინანიშვილი რევაზ, „წისქვილი ქალაქის გარეუბანში“ - მოთხრობების კრებული, ტომი 5, თბ., 2012, გამომცემლობა „პალიტრა L“, 408 გვერდი;
30. ინგოროყვა პავლე, რუსთველოლოგიური თხზულებანი, 1, რუსთველიანა, თბ., 2016:259;
31. ირემაშვილი ლუიზა, „პირველი სიყვარული“, გაზეთი „ახალი განათლება“, N22(776), თბ., 2017, 15-21 ივნისი;

32. ირემაძე თენგიზ, „გვიანი ანტიკური ხანის ფილოსოფია საქართველოში“, გაზეთი, „საპატრიარქოს უწყებანი“, #8 (28 თებერვალი - 6 მარტი, 2019 წ.), გვ. 13-15;
33. კვაჭანტირაძე თამაზ, „განსჯანი“, თბ., 2013, გამომცემლობა „თბილისი“, 504 გვერდი;
34. კიკაჩიშვილი თენგიზ, „პორტრეტი“, გვ.103-133, „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“, თბ., 2012, გამომცემლობა „GCLAPress“, 395 გვერდი;
35. კობერიძე თამარ, „ნოდარ დუმბაძე - ჰელადოსი“, გაზეთი „ახალი განათლება“ N9, თბ., 2021, 25-31 მარტი, 12 გვერდი;
36. კრებული, „ბიჭიკოს ავადმყოფობის ისტორია“, „მოთხრობები საბჭოთა სინამდვილეზე“ თბ., 2014, გამომცემლობა „ინტელექტი“;
37. „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“, თბ., 2012, გამომცემლობა „GCLAPress“, 395 გვერდი;
38. ლომთაძე ანა, „პოსტმოდერნიზმის ეპოქის მთარგმნელობითი ტენდენციები (ვლადიმერ სოროკინის „ოპრიჩნიკის დღის“ ქართული თარგმანის მაგალითზე)“, თბილისი, 2019, 70 გვერდი (სამაგისტრო ნაშრომი);
39. ლომიძე გაგა, „კომპოზიცია“, გვ.300-323, „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“, თბ., 2012, გამომცემლობა „GCLAPress“, 395 გვერდი;
40. ლომიძე გაგა, „მხატვრული სახე“, გვ.134-146, „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“, თბ., 2012, გამომცემლობა „GCLAPress“, 395 გვერდი;
41. მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების პროგრამა, „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“, თბილისი 2012 წ, გვ.7;
42. მალალი ჰანთი ლინდა, „თევზი ხეზე“, თბ., 2017, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 224 გვერდი;
43. მელაშვილი თამთა, „გათვლა“, თბ., 2010, გამომცემლობა „დიოგენე“, 115 გვერდი;
44. მილორავა ინგა, „თაობის პორტრეტი ბნელ ინტერიერში“, ჟ. „კრიტიკა“, N2, თბ., 2007, 203 გვერდი;
45. მინდაძე ნუნუ, „მეომრის აღზრდის ტრადიციები და სამხედრო მედიცინა ძველ საქართველოში“ - მეომრის ბიბლიოთეკა #8, 2008, 4 გვერდი;
46. ნიკოლეიშვილი ავთანდილ, „ქართული ლიტერატურა“ IV, ტომი, ნაწილი II, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2013, 478 გვერდი;
47. ობოლაძე უ., „იაკობ გოგებაშვილი ქართული სახალხო სკოლის ფუძემდებელი“, განათლება, თბ., 1977;
48. ორბელიანი სულხან-საბა, „სიბრძნე სიცრუისა“ (მოგზაურობა ევროპაში), თბ., 2013, გამომცემლობა „პალიტრა L“, 352 გვერდი;
49. ჟოზელი ჟან-ფრანსუა, „სად ხდება ეს თამაში, ჭკავის ყანაში?“, გაზეთი „თბილისი“, N88, 1986 15 აპრილი, 8 გვერდი;

50. რატიანი ირმა, „თხრობა“, გვ.147-160, „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“, თბ., 2012, გამომცემლობა „GCLAPress“, 395 გვერდი;
51. რატიანი ირმა, „იუმორი, როგორც თავდაცვის მექანიზმი საბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურაში“, გვ. 166-178, „შედარებითი ლიტერატურის კრებული 1“, თბ., 2013, „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 560 გვერდი;
52. საჯაია თამთა, „ძმაო ძმითა ხარ ძლიერი“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 1989, 31 მარტი, 16 გვერდი;
53. სირაძე ჟაკლინ, „გულწრფელობის ორი ველი - ჯერომ სელინჯერი და ნოდარ დუმბაძე“, საქართველოს ბიბლიოთეკა: სამეცნიერო-პოპულარული და მეთოდური ჟურნალი, თბ, 2023 N1 (90);
54. ტურავა მარინე, „ანგელოზის ხელი“ (თამთა მელაშვილის „შაშვი, შაშვი, მაყვალი“), გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, სექტემბერი, 2022, გვ.3;
55. ტურავა მარინე, „ჯერაც ართქმულის განცდა,“ წიგნიდან „გართვეული ლაბირინთი,“ თბ., 2013, გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“, 381 გვერდი;
56. ტურავა მარინე, ლს ანკეტა: თანამედროვე ქართული რომანი, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 2023 წლის, იანვარი; მე-3 გვერდი;
57. ვაჟა-ფშაველა, პოეზია, ტომი 3, თბ., 2012 გამომცემლობა „პალიტრა L“, 304 გვერდი;
58. ქარჩხაძე ჯემალ, მოთხრობები - სრული კრებული - მოთხრობა „სასწაული“, თბ., 2012, „ქარჩხაძის გამომცემლობა“ 807 გვერდი;
59. ქობულაძე რ., „ფიზიკური აღზრდა“, ქუთაისი, 2003, გვერდი 2003;
60. ქუთათელაძე ნელი, „ჰელადოსი“, ჟ. „დროშა“ N7, თბ., 1991, 24 გვერდი;
61. ღვინჯილია ჯანსუღ, „წერილები კლასიკურ და თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე“, თბ., 1990, გამომცემლობა „მერანი“, 559 გვერდი;
62. შარაშიძე ქრისტინე, „ქართული ნაბეჭდი სახელმძღვანელოები მეთვრამეტე საუკუნეში“, წიგნიდან: „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, მასალების კრებული, თბ., 1937, გვ. 37;
63. შატაიძე ნუგზარ, „გაღმა ნაპირი“ - ქართული პროზის საგანძური, თბ., 2010, გამომცემლობა „პალიტრა L“, 320 გვერდი;
64. შატაიძე ნუგზარ, „კეთილი მეზაღე და მისი პატარა სტუმრები“ ჟ. „სკოლა და ცხოვრება“, თბ., 1980, N2;

65. „მედარებითი ლიტერატურის კრებული 1“, თბ., 2013, „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 560 გვერდი;
66. „შიშის საათი“, თანამედროვე ქართული „ომის პროზა“, თბ., 2021, გამომცემლობა „პალიტრა L“, 363 გვერდი;
67. ჩაჩიბაია არჩილ, „ქართული საბავშვო ლიტერატურა“, თბ., 1979-1980, გამომცემლობა „განათლება“, 450 გვერდი;
68. ჩოხელი გოდერძი, „პროზა, პოეზია, წერილები“, თბ., 2017, გამომცემლობა „პალიტრა L“, 553 გვერდი;
69. წიკლაური მამუკა, „მწერლის სამრეკლო“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 101.28.1977;
70. ჭილაია რამაზ, „ავტორი და ტექსტი“, გვ.22-29, „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“, თბ., 2012, გამომცემლობა „GCLAPress“, 395 გვერდი;
71. ჭილაძე თამაზ, „უკვდავების ათინათი“, თბ., 2014, გამომცემლობა „ინტელექტი“, 370 გვერდი;
72. ჭინჭარაული სოსო, „ზემოქმედების ძალა“, გაზეთი „წიგნის სამყარო“, თბ., 1977, N3;
73. ჭუმბურიძე ზურაბ, „სიკეთით სავსე ქვეყანა“, ჟ. „განთიადი“, თბ., 1977 N1;
74. ხარანაული ბესიკ, „სასწაული - (ჯემალ ქარჩხაძე „სასწაული“, 1967 წ.) , ჟ. „ნაკადული“, თბ., 1967, N10;
75. ხარბედია მალხაზ, „რომანი და განმეორებები“ ჟ. „არილი“, თბ., 2013/სექტემბერი, 2 (217), 63 გვერდი;
76. ხონელიძე ლეილა, გაზეთი „ახალი განათლება“ N24 (928) 28.06.2021, 13 გვერდი;
77. ხორბალაძე გიორგი, „გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები“ თბ., 2013, გვერდი143, (სადისერტაციო ნაშრომი);
78. ჯაველიძე ელიზბარ, „მარადიული ფერების ქვეყანაში“, ჟ. მნათობი N9, თბ., 1989/09, 160 გვერდი;
79. ჯალიაშვილი მაია, „ჯემალ ქარჩხაძე - ქართველი მწერლები სკოლებში“, თბ., 2016, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 168 გვერდი;
80. ჯანაშია სიმონ, „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, მასალების კრებული I, თბ., 1937, „პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოცემა“, 254 გვერდი;

81. ჯიყაშვილი ლელა, „გუდამაყრელი იები“, გოდერძი ჩოხელის მემუარები, თბ.,2011, გამომცემლობა „პალიტრა L“, 200 გვერდი;
82. ჯმუხაძე ელზა, „ლუკას სახარება, შენი გახარება“, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N93 (2793), თბ., 1998, 19 აპრილი, 12 გვერდი;
83. ანთაძე ციცინო, „სკოლის კონცეფცია რეზო ინანიშვილის მოთხოვნებში: „დამრიგებელი“ და „შორი თეთრი მწვერვალი“, კულტურათაშორისი კომუნიკაციები = Intercultural Communications = Межкультурные коммуникации, თბ., 2022/2023. N 36/37;
84. ანთაძე ციცინო, „ტოტალიტარიზმის ეპოქის სკოლა გოდერძის ჩოხელის „ლუკას სახარების“ მიხედვით“ ჟ. „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“ N 36-37, 2022-2023, 197 გვერდი;

ელექტრონული წყაროები:

85. ასათიანი სალომე, „განდევილი. ჯერომ სელინჯერის გარდაცვალებისთვის,“ <https://www.radiotavisupleba.ge/a/1943521.html>
(შემოწმებულია 02.03.2024);
86. „აცტეკების მიღწევები. აცტეკების ყველაზე ცნობილი მიღწევები,“ <https://farbitis.ru/ka/geography-of-the-world-economy/dostizheniya-actekov-samye-izvestnye-dostizheniya-actekov-drevnie/>
(შემოწმებულია 02.03.2024);
87. ახალაია ბექა, „ბუზთა ბატონი ბენის ვიდეოში“, <https://mastsavlebeli.ge/?p=16552>
(შემოწმებულია 02.03.2024);
88. გელაშვილი ნაირა, „სარკის ნატეხები,“ <https://shorturl.at/zH057>
(შემოწმებულია 02.03.2024);
89. ბრეგმანი რათგა „რეალური „ბუზთა ბატონი“ - უბედური შემთხვევა, რომელმაც 6 ბიჭი კუნძულზე გამოამწყვდია,“ <https://shorturl.at/rGNRX>
(შემოწმებულია 02.03.2024);
90. გაბუნია დავით, „თამთა მელაშვილი - „გათვლა“, „როცა პირადი პოლიტიკურია და პირიქით,“ <https://shorturl.at/dxGW1>
(შემოწმებულია 02.03.2024);

91. „იყალთოს მონასტერი,“ <https://shorturl.at/abvx8>
(შემოწმებულია 02.03.2024);
92. ჯორჯ გორდონ ბაირონი (1788-1824), <https://studinfo.ge/2016/02/03/10-udzvelesi-universiteti/>
(შემოწმებულია 02.03.2024);
93. დიმიტრიევიჩი ურსული არკადი, „გლობალური სამშვიდობო განათლების ფორმირება,“ <https://cyberleninka.ru/article/n/stanovlenie-obrazovaniya-globalnogo-mira>
(შემოწმებულია 02.03.2024);
94. დორეული ლექსო, „თანამედროვე ქართული რომანის 20-წლიანი ისტორია – იდენტობის ძიებაში (მეორე ნაწილი)“ - 2013 – ნაირა გელაშვილი, „მე ის ვარ“, გამომცემლობა „კავკასიური სახლი“, <https://shorturl.at/1LR35>
(შემოწმებულია 02.03.2024);
95. „განათლება საქართველოში“, <https://shorturl.at/fqxs7>.
(შემოწმებულია 02.03.2024);
96. ზაგალოვა ზალინა, „განათლების სისტემები. საგანმანათლებლო სისტემები პედაგოგიკის ისტორიაში“, http://www.i-kiss.ru/rubrika/vospitatelnye_sistemy
(შემოწმებულია 02.03.2024);
97. ირემადე მიქელ, „უილიამ გოლდინგი – „ბუზთა ბატონი“ - უმანკოების დასასრული არაცნობიერში შემალული კერპი, ღორის გახრწნილი თავი,“ <https://shorturl.at/DHMu5>
(შემოწმებულია 02.03.2024);
98. კატია კაილა, „ფინეთის განათლების სისტემის დადებითი მხარეები“, <https://mastsavlebeli.ge/?p=21794>
(შემოწმებულია 02.03.2024);
99. კვიციანიშვილი ემზარ, „რაოდენი სიმდიდრე დაგვიტოვა,“ <https://shorturl.at/gnuDM>
(შემოწმებულია 02.03.2024);
100. კობერიძე თამარი, განწირული სულის ძახილი – ნუგზარ შატაიძე. „მოგზაურობა აფრიკაში,“ <https://shorturl.at/akCMQ>
(შემოწმებულია 02.03.2024);
101. კომენსკი იან ამოს, „პედაგოგიური იდეები,“ <https://medconfer.com/node/18755>
(შემოწმებულია 02.03.2024);
102. კორძაია-სამადაშვილი ანა, „გიმნაზისტკა“ -
<https://liberali.ge/articles/view/3808/gimnazistka>
(შემოწმებულია 02.03.2024);

103. ლაბარტყავა ნინო, „მოზარდის ასაკი“, <http://mastsavlebeli.ge/?p=2496>
(შემოწმებულია 02.03.2024);
104. ლდოკონენი მაკა, „თუ ბიჭი ხარ შეიყვარე ასეთი მასწავლებელი!“
<https://mastsavlebeli.ge/?p=23531>
(შემოწმებულია 02.03.2024);
105. ლობჯანიძე გიორგი, „ნაირა გელაშვილის „მე ის ვარ“,“
<https://www.radiotavisupleba.ge/a/naira-gelashvilis-me-is-var/25113577.html>
(შემოწმებულია 02.03.2024);
106. ლორთქიფანიძე ლევან, „მე ის ვარ“, <https://mastsavlebeli.ge/?p=13337>
(შემოწმებულია 02.03.2024);
მელაშვილი თამთა, ინტერვიუ პლატფორმისთვის „ქალები საქართველოდან“,
<https://shorturl.at/lqBLU> (შემოწმებულია 02.03.2024);
107. მერჩულე გიორგი, „გიორგი მერჩულე“, <http://buki.ge/author-2142.html>
(შემოწმებულია 02.03.2024);
108. მეტრეველი საბა, „ნუ მოჰპარავთ ერთმანეთს კუბოს სახურავს“, <https://sputnik-georgia.com/20171002/goderdzi-choxeli-237564594.html> (შემოწმებულია 02.03.2024);
109. მკერვალიძე ნინო, „ალორმინების ჰუმანიზმის ეპოქის პედაგოგიური აზროვნება“, <https://rb.gy/cph6i5> (შემოწმებულია 02.03.2024);
110. მოდებაძე მარიამ, „განათლება“, <https://www.radiotavisupleba.ge/a/25367110.html>
(შემოწმებულია 02.03.2024);
111. მორჩილაძე აკა, „მუსიკა ქარში“, <https://diogene.ge/ka/shop/1118-musika-qarshi>
(შემოწმებულია 02.03.2024);
112. „ნინჩო, დემური, სხვები და ლაშა ბულაძის „ბოლო ზარი“ ჩვენ გარშემო“,
<https://www.etaloni.ge/geo/main/index/13694>
(შემოწმებულია 02.03.2024);
113. პაიჭაძე დავით, „ლაშა ბულაძის ახალი რომანი“,
<https://www.radiotavisupleba.ge/a/1549692.html>
(შემოწმებულია 02.03.2024);
114. „პეტრიწონის სავანე ბულგარეთში“, <https://patriarchate.ge/news/1924>
(შემოწმებულია 02.03.2024);
115. რამაშკინა დარია მიხაილოვნა, „რას შეისწავლის პედაგოგიკა“,
https://spravochnick.ru/pedagogika/obschie_osnovy_pedagogiki/chto_izuchaet_pedagogika/
(შემოწმებულია 02.03.2024);

116. სახელაშვილი თინათინი, „რევაზ ინანიშვილი და ჯანი როდარი“, <https://mastsavlebeli.ge/?p=3651>
(შემოწმებულია 02.03.2024);
117. სილაგაძე ნიკოლოზ, „შუა საუკუნეების ევროპული სკოლები“, <http://mastsavlebeli.ge/?p=3513>
(შემოწმებულია 02.03.2024);
118. ტეფანიძე ანინა, „მარტივად ნუგზარ შატაიძის "სკანდალური" მოთხრობის შესახებ“, <https://shorturl.at/elGNX>
(შემოწმებულია 02.03.2024);
119. ტყემელაშვილის შორენა, „თევზი ხეზე“ – წიგნი, რომელიც ყველას დაგვაფიქრებს,“ <https://mastsavlebeli.ge/?p=28018>
(შემოწმებულია 02.03.2024);
120. ფაღვა ელენე, „ცხოვრება და მოღვაწეობა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმინდელისა,“ <http://logos.org.ge/files/files/Broshura-new.pdf>
(შემოწმებულია 02.03.2024);
121. ფხალაძე თორნიკე, „ფაზისის აკადემია - მეცნიერებისა და ხელოვნების ცენტრი“, <https://rb.gy/kxnvcs>
(შემოწმებულია 02.03.2024);
122. ფირჩხაძე მათა, „პედაგოგიური იდეალი და მისი კონკრეტულ-ისტორიული განხორციელება,“ <http://mastsavlebeli.ge/?p=2093>
(შემოწმებულია 02.03.2024);
123. ფურცელაძე ნათია, „მოულოდნელი არდადეგები და „საშლელეები,“ <https://mastsavlebeli.ge/?p=24961>
(შემოწმებულია 02.03.2024);
124. ჭელიძე თორნიკე, „მოგზაურობა აფრიკაში“, <https://mastsavlebeli.ge/?p=20848>
(შემოწმებულია 02.03.2024)
125. ხარბედია მალხაზ, „განტისკულნი“, <https://rb.gy/epd07b>
(შემოწმებულია 02.03.2024);
126. „About The Things They Carried“, <https://www.cliffsnotes.com/literature/t/the-things-they-carried/book-summary>
(შემოწმებულია 02.03.2024);
127. „All the Light We Cannot See, by Anthony Doerr (Scribner),“ <https://www.pulitzer.org/winners/anthony-doerr>
(შემოწმებულია 02.03.2024);

128. „BOOK REVIEW: THE KITE RUNNER BY KHALED HOSSEINI“, <https://www.bookishelf.com/book-review-the-kite-runner-by-khaled-hosseini/>
(შემოწმებულია 02.03.2024);
129. Flaherty Devon Trevarrow, „Book Review: The Things They Carried“, <https://devontrevarrowflaherty.com/2021/01/17/book-review-the-things-they-carried/>
(შემოწმებულია 02.03.2024);
130. Ford Rebeca, „All the Light We Cannot See: 5 Biggest Changes From Book to Series“, <https://www.vanityfair.com/hollywood/2023/11/all-the-light-we-cannot-see-biggest-changes-from-book-to-series>
(შემოწმებულია 02.03.2024);
131. Crace John, „The Book Thief by Markus Zusak – review“, <https://www.theguardian.com/childrens-books-site/2014/mar/17/review-the-book-thief-markus-zusak>
(შემოწმებულია 02.03.2024);
132. Jain Aakankshka, „Book review: The Kite Runner by Khaled Hosseini“, <https://www.bookschharming.com/2020/04/book-review-the-kite-runner-by-khaled-hosseini.html>
(შემოწმებულია 02.03.2024);
133. „Joining the Hitler Youth“, <https://www.facinghistory.org/resource-library/joining-hitler-youth>
(შემოწმებულია 02.03.2024);
134. Kate Lohnes, „The Catcher in the Rye novel by Salinger“, <https://www.britannica.com/topic/The-Catcher-in-the-Rye>
(შემოწმებულია 02.03.2024);
135. „Lord of the Flies Full Book Summary“, <https://www.sparknotes.com/lit/flies/summary/>
(შემოწმებულია 02.03.2024);
136. „Lord of the Flies novel by Golding“, <https://www.britannica.com/art/English-literature>
(შემოწმებულია 02.03.2024);
137. „Lord of the Flies -William Golding,“ <https://www.cliffsnotes.com/literature/l/lord-of-the-flies/book-summary>
(შემოწმებულია 02.03.2024);
138. Paulsen Nancy, „Fish in a Tree, by Lynda Mullaly Hunt: a powerful favorite of 2015“, <https://greatkidbooks.blogspot.com/2015/05/fish-in-tree-by-lynda-mullaly-hunt.html>
(შემოწმებულია 02.03.2024);

139. Timothy Aubry, „The Catcher in the Rye: The Voice of Alienation“,
<https://mrtomecko.weebly.com/uploads/1/3/2/9/13292665/catcherintherye.pdf>
(შემოწმებულია 02.03.2024);
140. Vollmann William T., „Darkness Visible“
,<https://www.nytimes.com/2014/05/11/books/review/all-the-light-we-cannot-see-by-anthony-doerr.html>
(შემოწმებულია 02.03.2024);
141. Yarboro Brittany, „Fish in a tree Essay“,
<https://www.coursehero.com/file/68572233/Fish-in-a-tree-Essaydocx/>
(შემოწმებულია 02.03.2024).